

K 30.028
2

6023000000000000

ရွှေမြန်မာ

ပြည့်စုံမြန်မာ


အသက္ကတိ



କୋଡ଼ି ନାତୋରାତ୍ମକା
ପ୍ରକାଶକ ପରିବାର
ବିଜୁଳିଷ୍ଟ ପାଠ୍ୟକର୍ମ


ଶ୍ରୀକୃତିବ୍ୟାକୁମାର
ପାଠ୍ୟକର୍ମ
ପାଠ୍ୟକର୍ମ

K 30.028
2



«ନାତାରାତ୍ମକା ପାଠ୍ୟକର୍ମ»

19 ଡିସେମ୍ବର 1981



* * *

ქურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე, სხვადა-
სხვა ლროს, ასოცამდე კაცის ნაწარმოები დაიბეჭდა.
ეს იყო, ასე ვთქვათ, ერთი კარგი მთლიანი ანსამბ-
ლი, რომელის თითოეული წევრი — „პრემიერიც“
და „რიგითი“ მოთამაშეც. ისე როგორც ყოველი მე-
ომარი მებრძოლ ასეულსა და ესკადრილიაში, თა-
ნაბარი მონდომებით აკეთებდა საერთო საქმეს.

ამ ჯგუფიდან მრავალი ნიჭიერი მწერალი გამო-
იზარდა. შემდეგ ისინი თანატოლებით გვერდში
ამოუღვნენ უფროსი თაობის წარმომადგენლებს და
ჩვენი ახალი ქართული მწერლობის თვალსაჩინო და
საიმედო ძალები გახდნენ... მაგრამ ზოგიერთ მათ-
განს აღარ დასცალდა დაგაჟყაცება და ადრე წავიდა
ამ ქვეყნიდან: ერთნი — საჩიმულო ომის მძიმე
წლებმა შეიწირა, ხოლო სხვებს — უდროოდ მოუს-
ტრაფა სიცოცხლე უღმობელმა სიკვდილმა, და ისე
მოექცა მათ, როგორც გამოკლილმა მგელმა იცის:
ცხენს წინიდან დაესხმის თავს, ხოლო ხარს უკანი-
დან მიუხტება და ჯოგშიც საუკეთესოებს შეარჩევს...

რამდენიმე ხნის წინათ პოეტი გაბრიელ ჯაბუ-
შანური ხევსურეთიდან იწერებოდა: „ძალიან მოვე-
ნატრა თბილისი. სულ მთებში ვცხოვრობ გამოუსვ-

ლულაზ და უმეგობროდ. ამხანაგები შემოიფარგლენ. ყველაზე უფრო აღიოშა, მირზა და ლადო სტკივიან ჩემს გულს. ახლა კიდევ გადავიცითხე, მათ უკანასკნელი წიგნები და მეტკინა რაღაც... გულგრძელების ჩვენი თაობის ბიჭები ხომ სწორედ ოქტომბრის კბილანი ვიყავით, ცტოვრებასა და მწერლობაში ახლადუესშედგმულნი, დიდი გეგმებითა და ფართო, მგზნებარე გულით. რა გვიქნა, როგორ დაგვჭანტა იმ წყეული ომის სასტიკმა ქარცეცხლმა და ბევრ ჩვენგანს რა ცუდად აუბნია გზაკვალი!..

...ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიასა და, ამ ოციოდე წლის მანძილზე ჩვენგან ადრე წასულ და უდროოდ დალუპულ სხვა ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალთა დაუკიწყარი ხსოვნის წინაშე ყოველთვის მოწიწებით ქედს ვიდრეკთ მათი ტოლმეგობრები იმ ფიქრით, იმის ნატვრითა და ოცნებით, რომ — ჩვენი მწერლობის დამამშვენებლად და მთელი ქვეყნის სასიქადულოდ — ნეტავი ახლა ისინი ცოცხლები იყვნენ, და ჩვენ, თუნდაც, რამდენიმე წლის სიცოცხლე მოგვკლებოდეს!.. როგორ მინდა, ვინმემ მოიგონოს ჩვენი ამბები, დაწეროს ჩვენი ახალგაზრდული თავგადასავალი. რა კარგი საქმე იქნებოდა ეს! ჯერჯერობით მე ვერ ვახერხებ ამას!“

ვასრულებ ჩვენი კარგი გაბრიელის სურვილს: ვიგონებ „ჩვენგან ადრე წასულ და უდროოდ დალუპულ ახალგაზრდა ნიჭიერ მწერლებს“, რომლებიც როგორც იტყვიან, სიკვდილს შემდეგ არასოდეს

ბერდებიან და ისეთივე ახალგაზრდები რჩებიან და
 ცოცხლებივით დგანან ჩვენს ცხოვრებასა და წარმო-
 დგენაში, როგორებსაც ვიცნობდით მათ, რა სახითაც
 გაგვშორდნენ სამუდამოდ და ჩავიდნენ უსარებელი-
 ახლა ისეთივე ჭაღარაშერთული, შემუშავებული
 და უფრო დაბრძენებული შუახნის ჭარმაგი მამაკა-
 ცები იქნებოდნენ, როგორებიც მათი ტოლ-მეგობრე-
 ბი არიან დღეს, მაგრამ ცოცხლადღარჩენილნი ამას
 ვერ წარმოვიდგენთ: ჩვენ გვახსოვს ისინი კერ კი-
 დევ 20-22 წლის ჭაბუკები, ადრიან გაზაფხულივით
 მოწიფულნი, დღენიალაგ სიცოცხლისა და პოეზიის
 სიყვარულით ანთებულნი, სწორედ იმ ასაკში მყო-
 ფნი, როცა მთელი ქვეყნიერება უცნაურად უცნობი,
 მომხიბვლელად საინტერესო და წარმტაცია ყოველი
 გონებაგახსნილი ახალგაზრდისათვის. ამიტომაც
 მათზე ნათქვამი სიტყვა უნდა იყოს გამოხარი მზით,
 სიცოცხლის სიყვარულით, პოეზიითა და სიხარუ-
 ლით, რაც ასე უყვარდათ მათ.

დაუკარით; რომ ჭაბუკი ვიყოთ მარად,
 რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!

არწივების ასაფრენი ხმით ქუხდა ლადო ასათი-
 ანი, — დაბერება კი არ ლირსებია.

მოვკვდე ისე ლიმილმჩენი,
 ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად,
 რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი
 დარჩეს შენდა საღლევრძელოლ...

...მე ოცი წლის გმირი ეარ და
საუკუნე მიმაქვს მხრებით,



სამოვალი

ამბობდა მირზა გელოვანი. იგი ვაჟე მეტად უძლებელი
ბრძოლის ველზე.

გრიგოლს ფეხით ვეწეოდი,
ძირს მეხივით ვეცემოდი,
ცაზე ელვად გაჩენილი...
მწვავდნენ, მაინც არ ვიწეოდი,
მე სიკედილი არ ვიცოდი,
ვფეოქდი, ვჩქეფდი ჩანჩქერივით, —

ეს ალიოშა საჯაიამ დაიმღერა სიკედილამდე
ცოტა ხნით ადრე. და, მართლაც, ასეთები იყვნენ
და არიან ისინი: სხვანაირნი და სხვაგვარნი ხი-
ცოცხლეში, სიკედილშიც, სიკედილს შემდეგაც-
რამდენი დაუწერელი ლექსისა და წიგნის გამზადე-
ბული სიუჟეტი წარიტანეს თან საფლავში!

ყოველ მათგანზე 10-15 წლით უფროსს, მაშინ
სულაც არ მიუიქრია, რომ ამ შოგონებებს მე ღა-
წერდი. ერთად მუშაობამ, მევობრულმა ურთიერ-
თობამ, საერთო საქმის სიყვარულმა და ინტერესმა
წაშალა ასაკის ეს განსხვავება და აღარ შეიმჩნეოდა.
ვინ იყო ჩვენ შორის უფრო ხნიერი და ვინ — ახ-
ლადწვერულვაშაშლილი!

ეს საუბრები, შესვედრები და სხვადასხვა ეპიზო-
დი მათი ცხოვრებიდან ზოგი მაშინვეა ჩაწერილი
უბის წიგნაკში ან ცალკე ფურცლებზე. არა სტენო-
გრაფიულად, მაგრამ — ზუსტად, ცხელ კვალზე,

ზოგიც — შემდეგაა გახსენებული, ამხანაგებაზე
საუბრის დროს მოგონებული და შემოწმებული.

გაბრიელ ჯაბუშანურის წერილში გამოთქმულ
გულისწადილს ჩემი ნდომა-სურვილიც დამტკიცებულ
ერთად, თითქმის უქლებლად, აღვნუსხე ყველაფერი,
რაც ჩამიწერია ქაღალდის ნახევებზე სხვადასხვა
დროს, რისი გახსენებაც შევძელი და საერთო ნაც-
ნობ-მეგობრებმა გადმომცეს. მასთან მოვიშველიე
ჩემი და სხვების დღიურები, პირადი მიწერ-მოწერა,
თავი მოვუყარე კანტიკუნტად ჩანაწერი ან ნათქვამი
აზრებისა და ფრაზების ნაწყვეტებს, საღღაც მეხ-
სიერების ღრმა კუნჭულში მიმაღულ მნიშვნელოვან
და უმნიშვნელო ამბებს და ყოველიცე ამ მოგონებე-
ბში მოვაგროვე.

მოგონებათა ფურცლებმა ცოცხლად უნდა აღვი-
დგინონ მარად დაუვიწყარი მეგობრების გარდასულ
სახეთა საყვარელი ნაკვთები, თანდათან რომ ფერ-
მკრთალდებიან ჩვენს ხსოვნაში, და მეხსიერების
მარაგიდან ამოკრეფილმა თითო-ორთოლა შტრიხმა
ან ორიოდე სტრიქონმა მეტიოდ დაგვიხატონ მათი
სიცოცხლისა და მჩქეფარე, ახალგაზრდული საქმია-
ნობის კარგად ნაცნობი სურათები.

აქ ყველაზე მეტი, და სავრძნობლადაც, თქმულია
ლადო ასათიანზე. ჩვენ სულ განუყრელნი ვიყავით
თითქმის რვა წელიწადს და, სხვა ამხანაგებზე უფ-
რო ახლოს, მის ყოველდღიურ ცხოვრებასა და თავ-
გადასავალს ვიცნობდი. ამიტომაც მოგონებათა
დიდი ნაწილი მასთან ერთაისსა და თბილის-
ში გატარებულ დღეებს ეხება.



გუთაისის დღე და დამა

მე აქ დავწერ დექსი პირველი.

ლადო ასათიანი

1

ლადო ასათიანის პირველად 1935 წლის გაზი-
ფცულზე შევხვდი ქუთაისში, იქაური გაზეთის
რედაქციის აიგანზე. ერთი სახეგამხდარი ახალ-
გაზრდა თავდახრილი გადაყრდნობოდა კიბის მო-
აჭირს. ჩემს დანახვაზე წამოიწია, შორიახლოს
უკუდგა და გიორგი ჯიბლაძე იყითხა.

თვალში მეცა თითქოს ცეცხლწაკიდებული,
წითლად აბრიალებული მისი ცალი ყური. ძლიერ
უხდებოდა თეთრქოპლებიან ლურჯ ხალათზე შე-
მოქმერილი წვრილი ქამარი და გაუპრიალებლად
გაწმენდილ შავ ფეხსაცმელებზე გადაშეებული მი-
ხაკისფერი შარვალი. უქუდო იყო. იღლიაში ამო-
ეჩარა კანაფის მკედით მაგრად შეკრული ჩამდენი-
შე წიგნი.

იმ კვირაში ერთი-ორჯერ კიდევ შემოვიდა რე-
დაქციაში, სულ გიორგი ჯიბლაძეს დაეძებდა, მაგ-

რამ ის მაშინ ქუთაისში არ იმყოფებოდა. მე მისი
ნათესავი მეგონა. შემდეგ მარტო ალარ მოსულა,
მამია ასათიანს და ბონდო კეშელავას შოთუჭურა. ბონ-
დომ გაგვაცნო, ჩეენი ინსტიტუტის სტუდენტია;
ლექსები მოიტანა და გადაათვალიერეთო. აქებდა,
კარგი ახალგაზრდაა და კაი ლექსებსაც წერს.

ეს ყმაწვილი წინათაც მენახა. ერთ დღეს თბი-
ლისიდან ჩამოვიდნენ ალიო მირცხულავა, კარლო
კალაძე, ირაკლი აბაშიძე და ბორის ჩხეიძე. როცა
ბაგრატის ტაძრის დასათვალიერებლად წავედით,
მამია ასათიანსა და ვანიონ დარასელს ერთი ტან-
მაღალი ბიჭი მორიდებულად შორიახლო მოყვე-
ბოდა. შემდეგ პედინსტიტუტში ლიტერატურული
სალამო უნდა გამართულიყო. რაღაც მიზეზის გამო
არ შედგა. დაბრუნებისას კვლავ ის ახალგაზრდა
შევნიშნე, — ბონდო კეშელავას და გრიშა იმედა-
ძეს გამოყვა, ბულვარამდე გამოაცილა ისინი და
შეუმჩნევლად ჩამოშორდა. არც მაშინ გავვიცვნია.
შემდეგაც ხშირ-ხშირად ვხედავდი მას პოეტ-მწე-
რალთა ახლომახლო მყოფს, მაგრამ ლექსებს რომ
წერდა, მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა ბონდო კე-
შელავამ გვითხრა ეს ამბავი.

მაინცდამაინც თამამად ვერც ახლა იქცეოდა.
დიდრონ ხელებს წამდაუწუმ იწყობდა, შარვლის
ჯიბეებში. ლაპარაკობდა მშვიდად და ტკბილად,
ბავშვური ხმით, ოდნავი სვენებ-სვენებით და რა-
ღაც იმნაირად, თითქოს პირიდან ამოსულ სი-
ტყვებს გამოთქმისას უძნელდებოდათ ჰაერის წი-

ნაალმდევობის დაძლევა. პირველად რომ მომექაფი-
მა, ხელში მომხვდა მისი სასიამოვნოდ ჩამოსტ-
ომევი გრძელთითებიანი, თბილი, სულ თბილი ხე-
ლები. შემდეგ, წლების მანძილზე, ყოველთვის მისაბლი-
მებისას, ყოველთვის ეგრძნობდი ამ ჰშრლითონე-
ბის შეხებას და იგი მუდამ მაგონებდა ხელის პირ-
ველ ჩამორთმევას რედაქციაში.

კანაფით შეკრული წიგნები, მოხეტიალე ბუკა-
ნისტივით, კვლავ იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. ეს
იყო „მარტინ იდენი“ — ქართულად, ჰორაციუსის
სატირები, უიტმენის „ბალახის ფოთლები“, თა-
გორის „გიტანჯალი“ და, აღარ მახსოვს, — რო-
მელიღაც უცხო ავტორის „ინკვიზიციის ისტო-
რია“. ლექსები პეტრე ბახტურიძეს დაუტოვა და,
გამოუმშვიდობებლად წავიდა.

II

როგორც ჩვენი დიდებული გალაკტიონი ამ-
ბობს, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, და ძალზე
ბევრი მოსაგონარიც და გასახსენებელიც, — ეს
განსაკუთრებით ეხებათ ჩვენი თაობის ადამიანებს,
მედგარი შრომის, მძიმე ბრძოლებისა და მძაფრი
შეტაკებების მომსწრე და მონაწილე ადამიანებს...

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ჩემი ტოლები სკო-
ლის მეჩეზე ისხდნენ, ოციანი წლების დამდევს,
ქუთაისში გამოდიოდა გაზეთი „მუშა და გლეხი“. ეს
იყო საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სა-
მაზრო კომიტეტის ორგანო. შემდეგ — სხვადასხვა

დროს, მას ერქვა „წითელი ვარსკვლავი“, „ლუმინის გზით“, „მუშა და კოლმეურნე“, და რამდენიმე წელს „ინდუსტრიული ქუთაისიც“ ეწოდებოდა

გაზეთის მეოთხე გვერდზე — ახალგაზრდობის ყოველკვირეულ კომქავშირულ ფურცელს ხელ-მძღვანელობდა ჩემი სკოლის ამხანაგი, 16-17 წლის კომქავშირელი გერვასი ძიგრაშვილი. ჩვენ მაშინ ვსწავლობდით ყოფილი კლასიკური გიმნაზიის შე-ნობაში, ეგრეთწოდებულ ჰუმანიტარულ ტექნი-კუმში, რომელსაც მეთაურობდნენ გამოცდილი პედაგოგები — ნიკო ქუთათელაძე და ვარლამ იმნაძე. იმ წლებში ამ ტექნიკუმის უკანასკნელი კლასების მოსწავლეები ვიყავით, ვანის სასწავლებლიდან აქ გადმოსულნი, და, თავიდანვე ერთ მერხზე მსხდარ-ნი, ახლაც ვერ ვშორდებოდით ერთმანეთს.

გერვასი ძიგრაშვილი, ჩვენი თაობის ერთ-ერ-თი უნიჭიერესი ახალგაზრდა, მალე გაზეთ „სპარ-ტაქის“ რედაქტორად გადაიყვანეს თბილისში და, თითქმის ყრმობის ასაკიდან ახლადგამოსული, იგი გახდა პირველი რედაქტორი „ახალგაზრდა კომუ-ნისტისა“, რომლის რედაქციაში მეც დავიწყე მუ-შაობა პირველი ნომრის გამოსვლიდანვე — 1925 წლის დეკემბრიდან...

„მუშა და გლეხის“ ყოველკვირეულ ფურც-ელში ჩვენი ტექნიკუმის მოსწავლეები ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ პატარ-პატარა წერილებისა და კორესპონდენცია-შენიშვნების მოთავსებას. სა-

მიოდე შენიშვნა მეც დამიბეჭდეს და მახსოვს, რა
სიხარულითა და აღტაცებით ვუკითხავდით ერთი-
მეორეს ჩვენ-ჩვენს „ნაწარმოებებს“. ისინი, უმ-
თავრესად აღნუსხავდნენ სოფლის ჭირ-ვარამსა
და ყოველდღიურ საჭიროება-მოთხოვნილებას.
უხილობა ჩვენს სოფელ დიხაშხოში ჩამომდინარე
მუდამ გიუმაჟ სულორზე; ადგილობრივი ქოხ-
სამკითხველოს უმწეო მდგომარეობა; უურნალ-გაზე-
თების გამოუწერლობა; კომკავშირელთა შაბათო-
ბა ქვრივობლებისა და წითელარმიელთა ყანებში...
აი იმ კორესპონდენციების მთავარი თემა, — თი-
თქოს რაღაც ყველაზე დიადი და მნიშვნელოვანი
რამ, როგორც მაშინ მეჩვენებოდა და მეგონა.

ეს იყო და ეს ამ გაზეთში ჩემი „აქტიური“
მონაწილეობა! შემდეგ რვა წელიწადი „ახალგაზრ-
და კომუნისტის“ რედაქციაში ვიმუშავე, და სწო-
რედ გუშინდელივით მახსოვს 1933 წლის 17 სექ-
ტემბრის მშვენიერი შემოდგომური დილა, როცა
თბილისიდან ქუთაისში გაზეთ „მუშა და კოლმე-
ურნის“ რედაქციაში სამუშაოდ ჩავედით კომკავ-
შირული პრესის ძველი მუშაკი დათიკო ცვარია-
ნი და მე.

გაზეთის რედაქტორი ნიკოლოზ ცხაკაია და
სტამბის დირექტორი — მუდამ მოძრავი და დაუ-
ცხრომელი ვალოდია ბენიძე თბილისში დარჩე-
ნენ, — ვაგონით ახალი შრიფტი და რამდენიმე
ტონა ქაღალდი მოჰქონდათ.

კვირა-დღე იყო. ჩამოსვლისთანავე მივაშურეთ

სასტუმრო „გრანდ-ოტელს“. იქ ცხვრობდა ოე-
დაქტორის მოადგილე — პარმენ შეღეგია.

პარმენს თბილისიდან ვიცნობდა, ჩგა გრძელ
„მუშის“ რედაქციაში მუშაობდა და ზშჩრადა და-
დიოდა „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში
თანასოფლელ მეგობრებთან — რედაქციის მდი-
ვან ვარლამ მიქაელესა და მის ძმებთან — ვავენის-
თან და პლატონთან. იყო „ახალგაზრდა კომუნისტ-
შიაც“ თანამშრომლობდა და ჩვენი პრესის აქ-
ტიური მუშავი იყო. მან წარჩინებით დაამთავრა
თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფა-
კულტეტი, იყო პროფესორ-ლექტორთა ერთ-ერთი
საყვარელი, საუკეთესო სტუდენტი, შრომისმოყ-
ვარე, ყოველმხრივ განათლებული და ძალზე სა-
მეგობრო ადამიანი.

პარმენი ჩემზე რამდენიმე კვირით ადრე გადა-
ვიდა ქუთაისში სამუშაოდ. ახლა დროებით მას-
თან უნდა დამედო ბინა სასტუმროში, მაგრამ მას
უკვე გაესწრო რედაქციაში: 20 სექტემბერს
იხსნებოდა ქუთაისის წარმოების დამკვრელთა I
საქალაქო კონფერენცია. ორშაბათს ამ კონფერენ-
ციისათვის მიძღვნილ საგანგებო ნომერს უშვებ-
დნენ და ამიტომ კვირა-დღითაც მუშაობდნენ.

დათიკო ცვარიანი ნათესავებისაკენ გაემართა,
მე კი, ძელ თეატრთან — პირველსავე შემხვედრ
ახალგაზრდას რედაქციის ადგილსამყოფელი გა-
მოვითხე. ის ახალგაზრდა აღმოჩნდა პოეტი სერ-
გო თევანიძე (ფხავაძე), რომელსაც მანამდე პირა-

დად არ ვიცნობდი. სერგო და მისი ძმა — ვიშა, თურმე, „მუშა და კოლმეურნის“ რედაქციაში მუშაობდნენ, რაც შემდეგ გავიგი.

რედაქცია მოთავსებული იყო 1905 წლის გო-
ვოლუციის ქუჩაზე №32-ში, ბულვარის პლატი, კუ-
თხის სახლში. რამდენიმე ოთახი და ორი ვრცელი
დარბაზი სავსე იყო თანამშრომლებით. კარგად მა-
ხსოვს: წინა ოთახში შევედი და მაგიდასთან მიმ-
ჯდარ ერთ დაბალ-დაბალ თანამშრომელს მიემარ-
თე: შელეგიას ნახვა მინდა-მეთქი. ის პლატონ გუ-
ლუა იყო. წამოდგა და შემიძლვა.

პარმენი მასალებს ჩაჰკირკიტებდა, შემომხედა,
გამიღიმა და ერთბაშად შემომძახა:

— აგიაშვილი! აგიაშვილი! სად ხარ ამდენ
ხანს? რად დაიგვიანე? აბა, ეს შენ გელოდება, შე-
ნი ულუფაა. ჩქარა თარგმნე, თორემ სტამბა სა-
შველს არ გვაძლევსო, — ხმა აღარ ამომაღებინა
და დეპეშების მთელი გროვა მომაჩეჩა ხელში.

ეს იყო უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების ცნო-
ბები: „კვლავ ახალი საბუთები ფაშისტების მხე-
ცობათა წინააღმდეგ“; „რაიხსტაგის ცეცხლის-
წამკიდებელთა პროცესი“, „რევოლუციური მოძ-
რაობის გაღრმავება კუბაში“; „იაპონიის ავანტიუ-
რა მანქურიაში“; „პიტლერიზმის მომძლავრება
და ფაშიზმის ექსპანსია ევროპაში...“

ჩვენი საკდესი კი აცხადებდა: „ მდინარე ოკა-
ზე ნავით სეირნობისას გორკში დაიხრჩო ცნობი-
ლი გერმანელი კომუნისტი მაქს პელცი“...

გაფაციურებით მივუკეში პარმენის მაგიდის ერთ-ერთ კუნძულს და ისე შევუდევი თანაგმნას, თითქოს აგერ, ახლა, სულ რამდენტემდე, წუფყლები-წრნათ შეწყვეტილი სამუშაო განმეორებული მატერიალური ყო ჩემი მუშაობა რედაქციაში.

გაზეთის მაშინდელი პასუხისმგებელი რედაქტორი ნიკოლოზ (კოლია) მალაქიას ძე ცხაკა-ია საბჭოთა-პარტიული პრესის ქადაგის და გამოცდილი მუშაკი იყო, — საქმაოდ ინიციატივიანი და კარგი ორგანიზატორი. მისი თაოსნობით გაზეთ „მუშა და კოლმეურნის“ რედაქციის ირგვლივ 1933 წლის ივლისიდან დაირაბმა საქმის მცოდნე უურნალისტ-თანამშრომელთა და მუშკორ-გლეხ-კორთა კადრები, შესამჩნევად გაუმჯობესდა და საინტერესო გახდა გაზეთის შინაარსი, გადიდლა ფორმატი და საგრძნობლად გაიზარდა ტირაჟი. გაზეთმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ქუთაისსა და მის ახლომდებარე რაიონებში.

მაშინდელი ჩვენი რედაქცია იყო ერთი დიდი მებრძოლი და აქტიური კოლექტივი. მეც იმ კოლექტივში ვიმუშავე და გავატარე თითქმის ხუთი წელი. ვიყავი: მორიგე გამომშევები სტამბაში, ეთარგმნიდი, სტილს ვასწორებდი, ვმდივნობდი, დეპეშებსა და შემოსულ მასალებს ვარჩევდი და ვანაწილებდი... ერთ ხანს „ჩვენი დისპეტჩერიც“ კი შემარქვეს, და რედაქციის პასუხისმგებელი მდიუნი — პეტრე ბახტურიძე ისე არ ჩამივლიდა მა-

გიდასთან — პირში ჩიბუხვაჩრილი, — რომ
ჩაეღრუტუნებია:

— ნისკაკოია ბიჭი (ასე მეძახდა, ხუმრობა
ალერსით!), ჩვენი დისპეტჩერი ხარ, თუ რაცა დაგენ
იმის არ იყოს, მალე მორჩი მაგ მასალების ჩირჩ-
ვნას და, ერთი თუ კაცი ხარ, ბაგრატის ტაძრისკენ
ოუხვით, პეტრე ჭაბუქიანი ვინახულოთო...

მართლაც, მუშაობის შემდეგ, ხშირად ავუზ-
ვებოდით 192-საფეხურიან კიბეს, ზევიდან გად-
მოვხედავდით ქალაქს და თვალს გვტაცებდა მომ-
ხიბლავი სანახაობა:

ძველი ქუთაისი დღითიდლე იცვლიდა სახეს.
ისედაც ლამაზი მისი მიღამოები გამშვენდა და
შეიცვალა. სწორედ იმ დროს შენდებოდა და შვენ-
დებოდა ქალაქი, და ყველაფერი ეს ხდებოდა ჩვენს
თვალწინ და ჩვენი ამხანაგების მონაწილეობით.

რიონპესი და წყალტუბო, ახალი ფაბრიკა-ქა-
რხნები, საცხოვრებელი სახლები, კეთილმოწყობი-
ლი მაღაზიები და მოასფალტებული, გამწვანებუ-
ლი ქუჩები, ბროწეულის რკინიგზა და ახალი თეატ-
რის მშენებლობა, გუმბბრინისა და ბარიტის საბა-
დოები, ლიტაპონი და საკონსერვო ფაბრიკა, მო-
წინავე კოლმეურნეობები, წყალსადენი და კანა-
ლიზაცია, პედინსტიტუტი და სკოლები, გელათისა
და გეგუთის ძეგლები, სათაფლიას გამოქვაბული
და დინოზავრების ნაკვალევი (რომლებმაც მოელ
მსოფლიოში გაუთქვეს სახელი ჩვენს სანაქებო
ქუთაისს!), რუსთაველისა და პუშკინის სამუშა-

ლეი დღეები, თბილისისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტთა გასტროლები, ცხენოსან კოლმეურნები გადარჩენა კავკასიონის ირგვლივ... ექტრემულებების, რამდენი კარგი რამ გაძეოდა და შეიძლება ერთხურობა, რამდენი ყოველდღიური, გადაუდებელი, საჭირობოობობი საკითხი და ლირსსახსოვარი მოვლენა გააშუქა ჩვენმა გაზეთმა და დროულად და საქმიანად გამოეხმაურა ყოველ მნიშვნელოვან წამოწყებას. დაიბეჭდა ბევრი საინტერესო წერილი, ნარკვევი და ფელეტონი. ოვით რედაქტორმა, ნ. ალინისა და ნ. — ნის ფსევდონიმებით, მრავალი მამხილებელი საქმიანი წერილი და სხარტი ფელეტონი მოათავსა გაზეთის ნომრებში.

ჩვენი გაზეთის არა ერთი მებრძოლი ნომერი, თითქოსდა მართლაც ტყვეით სავსე და გატენილი ყუმბარა, ამოფრენილა დილდილაობით სტამბის მანქანებიდან და შიგ კაკალ გულში განუგმირავს ჩვენი ახალი ცხოვრების მტერი და მოშურნე, შრომის დეზერტირი და მუქთახორა, თალღითი და საქმისანი, სახალხო ქონების გამნიავებელი და წამგლევი, გაუსრესია და მოუსპია ისინი! რამდენი ნოვატორი, წარჩინებული მუშა და კოლმეურნე, მწერალი, მასწავლებელი, ექიმი, დამკერელი მშენებელი, ინჟინერი და ტექნიკოსი გამომზეურებულა გაზეთის ფურცლებზე და საქვეყნოდ ცნობილი და მისაბაძი გამხდარა მათი შემოქმედება და საქმიანობა!

გაზეთის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას

იღებდნენ ქუთაისში მცხოვრები და მღვმერთა
მწერლები, პედაგოგები, ექიმები, კულტურისა და
განათლების ფრონტის ცნობილი აქტივისტები კები და მეცნიერების მედროშენი, რუსელის სამართლებით მუდამ ამაყობდა ჩვენი ქვეყანა და რომელითაც ყოველთვის ასე უხვად ამარავებდა მთელ საქართველოს ქუთაისი... ჩვენი ქუთაისი!

ჩვენს გაზეთში ხშირ-ხშირად ბეჭდავდნენ თავიანთ ლექსებს, მოთხოვნებსა და კრიტიკულ ნარკვევებს: დია ჩიანელი, დომენტი თომაშვილი, ლადო ბზვანელი, გიორგი სამხარაძე (გიასელი), დიმიტრი კვირკველია, ვანიონ დარასელი, შაპტაუს ჩარკვიანი, სევერიან ისიანი, სერგო ფხავაძე, კონსტანტინე მეძველია, მამია ასათიანი, ბონდო ქეშელავა, რუთა ბეროძე, მიშა ალავიძე, ანდრია სინაური, ევგენი ფურცხვანიძე, პავლე ხმალაძე, არჩილ გურჯიძე, ვასო გვეტაძე, ვალიკო ლალიაშვილი, შალვა ტოვონიძე, ვლადიმერ ქვარცხავა (ხობისპირელი), დავით გვილავა (დონგანელი), ვლადიმერ გუგუშვილი, გრიგოლ იმედაძე, ვლადიმერ იამანიძე და სხვ.

თბილისიდანაც ჩამოდიოდნენ ცნობილი მწერლები და ათავსებდნენ საკუთარ და თარგმნილ ნაწარმოებებს. ეს მუშაობა უფრო გაცხოველდა მას შემდეგ, რაც ჩვენი გაზეთის პარალელურად გამოსვლა იწყო ლიტერატურულმა გაზეთმა „სიტყვა და საქმემ“, რომლის რედაქტორადაც შემდეგ იგივე ნ. ცხაკაია დაინიშნა. ეს გაზეთი ძირითადად

კეთდებოდა რედაქტიის მუშაქთა მიერ. გა
მოვიდა სულ თორმეტი ნომერი, მაგრამ
მათ ფრიად დასამახსოვრებელი სახე შეკვემდეს იმ-
დროინდელი ლიტერატურული ცხოვრების ფონზე..

მაგრამ ყველაფერი ეს ცალკე წიგნის თემაა
და უფრო დიდი და კარგი მოგონებების დაწერა
მართებთ იმ გაზეთის სახელოვანი რედაქტიის
კედლებში აღზრდილ და დავაუკაცებულ მუშაქებსა
რომლებიც დღესაც დაუღალავად იღწვიან და
შრომობენ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა
დარგში! აქ კი სხვა ამბები უნდა მოვიგონოთ.

III

ლადო ასათიანმა იმ დღიდან გაახშირა ჩვენ-
თან სიარული და დაუახლოვდა რედაქტიის მუშა-
ქებს. განსაკუთრებით დაუმეგობრდა ელიოზ ხუ-
ციშვილსა და შალვა კოხოძეს. შემდეგ გაზეთის
მორიგ ნომრებში დროგამოშვებით იბეჭდებოდა
მისი ლექსები. ეს იყო: „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“,
„ძველი და ახალი ქუთაისი“, „შენ მარადის უკვ-
დავი ხარ“, „ტკბილია, როგორც“, „პუშკინი ჩემ-
თან“, „ერთი საღამო აფხაზეთში“, „მოსაგონარი“,
„ოცდაორჯერ“ და მრავალი სხვა. ნიჭიერი ახალ-
გაზრდა პოეტი დაუშრეტელი სიხარულით უმღე-
როდა სამშობლოს წარსულს და მის წინსვლას, დაფ-
ნითა და პალმებით ამწვანებულ ახალ ქუთაისს. ამ
ლექსთაგან მეტი წილი საყოველდღიურონი იყვნენ,
გაზეთისათვის სახელდახელოდ დაწერილი — იქ-
ვა, რედაქტიაში. ლადოც იტყოდა ხოლმე: ეს კა-

ლენდარული ლექსებია, შიგ ნაკლებადაა პოეზია,
მაგრამ რას იზამ, — საჭიროა, ჩვენს ქალაქში
მარტოოდენ დაფნებსა და ცაცხვის ყვავილებს
ჩომ ვერ შეაჩერდები და შეაქებო. *უროვნებელი*

მაშინ შენდებოდა ახალი სასტუმროს „ქუთხაბი“
სი“. ბალის კიდეში მდგარი ლადო საათობით შეპ-
ყურებდა ფასადზე კოდალასავით მისკუპებულ
ჩუქურთმისმჭრელს, თუ როგორ ქარგავდა ივი
ნატიფ სახეებს ქვაზე და აეშხიანებდა შენობის
გულმკერდს. შემდეგ მშვენიერი სტრიქონები უძ-
ღვნა ამ ჩუქურთმისმჭრელს.

ქუთაისში დაიწყეს დაფნისა და პალმების დარ-
გვა. ლადომ მაშინვე მოიტანა ლექსი — „ქუჩა
პალმებში“.

თერამეტ გაზაფხულს მოვესწარი,
თერამეტერ ენახე
ტყემლების ფილქთან ენებიანი მზის
ელვარება...

ახლა ვუღიმი მეცხრამეტი
ახალ გაზაფხულს, —

წერდა ის და, მართლაც, თვრამეტი წლის იყო მა-
შინ, და გულს უხარებდა ყველაფერი ახალი.

იი, ქუთაისში გახსნეს ახალი მაღაზია. ლადო-
მაც დაწერა „სიმღერა ხორავით დატვირთულ ვი-
ტრინებზე“. ლექსი გაიგზავნა სტამბაში, მაგრამ
სიდიდის გამო არ ჩაეტია განკუთვნილ სვეტში. ჩე-
დაქტორმა მოითხოვა შემოკლება. ლადოს „გულ-
ზე შემოუხდა.“ იმ ნომრის მორიგე გამომშვებმა —

ელიოზ ხუციშვილმა — მოახერხა ლექსის შეუ-
მოკლებლად გაშვება. გახარებულმა ლადომ გრძე-
ლი მქლავები მოხვია ელიოზს და მაგრად მიიკრა
მკერდზე. შემდეგ ერთი მისებურად გაიცინა, ჩაი-
ტკარცალა და სიამოვნებისაგან წელში მოხრილმა
მაგრად შემოკრა ტაში. ის ხალისიანი სიცილი თი-
თქოს ახლაც მესმის ხანდახან და წარმომიდგება
ლადო ისეთივე, როგორიც იყო მაშინ, თვალაკიან-
თებული, ყურაპილპილებული.

IV

1936 წელს ამბოხებისაგან ცეცხლწაკიდებული
ესპანეთიდან ყოველდღიურად მოდიოდა გრანდი-
ოზულ შეტაკებათა ამბები. ლადო ბაირონის ნიჭისა
და შეძლებას ნატრობდა.

— ერთი ქართველი პოეტი არ უნდა იყოს ახლა
იქ? ვინ გამიშვებს, თორემ ახლავე გავფრინდებო-
დიო, — წამოიძახებდა ხშირ-ხშირად. — შეაგრო-
ვე ტალიკ-ტალიკი ქართველი ბიჭები, დასხი ხო-
მალდზე ძველებურად, გადაიარე შავი ზღვა, ბოს-
ფორი, დარღანელი, აფრაგაშლილი ჩაუქროლე
სტამბოლსა და საბერძნეთს, ლაჯებში გამოივლე
მთელი ხმელთაშუა ზღვა და, ასე, ზღვა-ზღვა
ცურვით მიადეჭი ვალენსიიდან. ნახეთ, როგორ შე-
ხვდებიან მაღრიდელები ლეჩხუმის გრანდს —
ლადო ასათიანს! მერე, რა ამბავია ამდენი ქართუ-
ლი სახელები: არაგონია, ალგოდორა, ასტურია,
იბერია, კასპე, ნავალპერალი, ტალავერა, ტახო,
ტომარა, ხეტაფა... ნამდვილ მეორე საქართველოში

ვიგრძნობ თავს. სადაა ახლა მაიაკოვსკი როგორ
დაიქუხებდა და დაიგრგვინებდა!

ჩვენამდე აღწევდა „ბანდერა როსაკ“ აღცხადდა
ოვანი ხმები და ზარბაზნების გრიალ-გრიალი შესასვენებელი
ტურიაში, ესტრამიდურაში, ტოლედოსა და გვა-
დალახარში. მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამია-
ნები და მწერლები გაეშურნენ ბრძოლების შუა-
ვულში. ჰემინგუეი, ჟან რიშარ ბლოკი, პაბლო
ნერუდა, იოჰანეს ბეჭერი, მათე ზალკა, ალექსეი
ტოლსტოი, ერენბურგი, კოლცოვი და მრავალი
სხვა გამოჩენილი ადამიანი კალმითა და ხიშტით
გვერდში ამოუდგნენ დოლორეს იბარურისა და
ხორე დიასს, აჯანყების დასაწყისშივე დაღუპულ
გარსია ლორკის, რაფაელ ალბერტის და ჰალარა
ანტონიო მაჩადოს.

ლადო აღფრთვენებით კითხულობდა ერენ-
ბურგის წერილებსა და კოლცოვის ფელეტონებს
„იზესტიასა“ და „პრავდაში“. ერთხელ ძლიერ გუ-
ლი დაწყდა და გაბრაზდა კიდეც, როცა კოლცოვის
ერთი „ესპანური დღიურიდან“ გაიგო, ლამანჩის
მოსახლეობა არც კი იცნობს ესპანეთის გენია-
ლურ მწერალს — სერვანტესს და მის გმირებს,
ხოლო სოფელ ტობოსოში დულსინეა ტობოსელის
სახელი არ სმენიათო.

— ჩვენ ვკობნებივართ იმ დალოცვილებს, —
ამაყად წამოიძახა მან, — აბა, საქართველოს რო-
მელ სოფელში ან რომელი ქართველის ოჯახში
არ იცნობენ რუსთაველს, ან ილიას, აკაკის, ვაესა,

ყაზბეგს, და არ წაუკითხავთ მათი გმირების თავ-
გადასავალი?

ამ დროს დაწერა მან რამდენიმე დღეში ეს-
პანეთშე და შორიდან გამოეხმაურა დღეთ
მღელვარე ამბებს.

V

ქუთაისის ძველი შუკები და ვიწრო ჩიხები
დღითიდლე იცვლებოდა ჩვენს თვალშინი. ინგრეოდა
ქოხმახები და იმერული ოდები. ასფალტმა და-
ფარა ოლროჩოლრო, ტალახიანი ქუჩები. მაგრამ
ისევ დალოლავდნენ ლორები ამ ასფალტირებულ
ქუჩებშიც და, განსაკუთრებით, გამოირჩეოდა ერ-
თი დიდი შავი დედა ლორი. ყოველ შებინდებისას
გამოვიდოდა იგი ყოფილი თბილისის ქუჩიდან,
საქმიანად ჩაიკლიდა ბულვარის გვერდით, აჩიჩ-
ქნიდა გაზონებს, გაისეირნებდა „მწვანე ბაზრის-
კენ“ და მიაშურებდა ახლო მდებარე მაღაზიებს.
არ იქნა და კერაფრით მოაცილეს იქაურობას.

ჩვენს გაზეთში მოთავსდა შემდეგი პატარა ფე-
ლეტონი — სათაურით:

„ვისია ლორი ასფალტზე?“

„ყოველ დამ,

როცა მოსახლეობა ტებილ ძილს მისცემია და ხმაური
შიშულება, რიონპესის სამმართველოს გადაღმა მდებარე
ბნელი ქეჩებიდან გამოძერება ის, დაადგება შესამე
ინტერნაციონალის ქუჩას, მოუხვევს, და ელექტროშუქით
ულვარებულ პარიზის კომუნის მოედანს ესტუმრება.

დიდხანს ეძებს რაღაცის ლრუტუნით...

ნელი და გამოწომილი ნაბიჯები იქნა. გვერდულად ჩაუვლის ნორჩი დაფნების ხევიანს, აკეირლუბა გადადა-
სკლელებს — ეკლიანი მაცოლების გასწერივ, ფართო
ყურების ბარტყუნით დინგს აურევს გაზონუმშირატჭლად...
ჩარგულ სათუთ ყვავილებს და მარჯვედ პროლეტებს კუ-
ფალტირებულ ქუჩებზე ბლომად დაყრილ ბლის კუ-
კებს, მსხლის ნათალს, ლელვის ნაფლევენებს.

შავია ღორი...

მაგრამ არაეითარი შავბნელი ზრახვები არ უდევს
გულში. საბრალო, მხოლოდ გაფაციცებით ეძებს რალაცას,
თუმცა არა დაპარაგეთა რა, და იოლად ეხამება ჭალრის
ჩრდილებსა და ბნელ-ბნელ ხვეულებს...

შავია იგი, ფართო-ფართო ყურები და ჭიშიანი ალნა-
გობა იქნა.

პირნათლად ასრულებს ნაკისრ მოვალეობას, არ აც-
დენს არც ერთ ლამეს, თუნდ იყოს ბნელი, თუნდა
ნათელი!

აი, გასცდა „ტორგსინის“ მაღაზიას, დაეშვა თავქეე და
მორიდებულად მიუახლოვდა მილიციელის საგუშავოს —
გზაჯვარედინზე.

ზორბა პავლუშა ამაოდ ეძებს ქვას. ირგვლივ ასფალ-
ტია. სოფლის ორლობე რომ იყოს, სარს მაინც მოსტესდა
და ერთს ლაზათიანად მოუდგენდა გვერდებს.

მაგრამ, იქ ხომ ცენტრალური ქუჩაა, ქალაქის მთავარი
მაგისტრალი, გამოსაჩენი სასეირნო აღგილი!

გაბრაზებული, მხოლოდ წიხლს ჩააზელს ფერდში, მაგ-
რამ ეითომუდა არაფერიაო, ლორი კუდს გაასხმარტალებს.
ზურგს მიაფხანს უოველ წელს პერმანენტულად სარე-
მონტო ძველი თეატრის შენობას, ქეჩის გაისწორებს და
მოწიწებით ადის სქელ ფილაქანზე — სანიმუშო მაღაზი-
ასთან.

ცბიერიად შეიქვერეტს ვიტრინაში, არ მოეწონება იქ
ჩამოკიდებული ლორის ვეებერთელა ნაჭრები, უსიამოდ

ჩაიქნება თავს და დარბაისლურად დაუყვება ქუჩები-
საკენ — დაგვიანებული რადიო-კონცერტის მოსამართაზ...

ყოველ ღამ,

როცა ქუჩებში კანტიკუნტად თუ გაიკავის უკრინა,

მიღი-მოღის უპატრონო შავი ლორი ქულაქის უწერები
ნაზი ლრუტუნით ეძებს რაღაცას და, სრულიად კმაყოფილი,
ისე გაუჩინარდება ცხენის ბარკალივით მოხრილ ქუჩე-
ბში.

ნეტავი, ეისია ეს ლორი, ასეთი ჰყეიანი და გონიერი?
ანდა, სანამღის ივლის იგი ასე უდარღელად? ვინ გამო-
ძებნის მისთვის კოხტა საღორეს?..“

ლადომ მოიტანა ისეთივე შავი ლორის ფოტო-
სურათი, მგონი, ბრემის წიგნიდან ამოეჭრა. რე-
დაქციის მხატვარმა — ვიქტორ ცომაიამ, გააკეთა
კარგი მონტაჟი: ტროტუარზე აბობლებული შავი
ლორი იჭვრიტებოდა ძეველი თეატრის ვესტიბულ-
ში! იმ ფელეტონის მერე ლორი აღარ გამოჩენილა.

რედაქციის თანამშრომლები ხუმრობდნენ:

— სულელი ლორი! ვერ შეიშნო პატივისცემა,
გაზეთში გამოსჭიმეს და გაგულისდაო.

VI

ლადო ძალიან მალე გახდა ჩვენი „რეიდების“
თაედადებული მონაწილე. ასე ვეძახდით კვირა-
უქმე დღეებსა და მუშაობის შემდეგ, რედაქ-
ციის ზოგიერთ თანამშრომელთან ერთად,
მოწყობილ გასვლას ქალაქის ქუჩებში და ექსკურ-
სიებს ქალაქგარეთაც.

ამ „რეიდებში“, ლადოს გარდა, ცული გარდა მონაწილეობა მიუღიათ გრიშა იმედაძეს, გიორგი ნაფეტვარიძეს, ბონდო ქეშელავას, მამრა ასკონის, მიშა ალავიძეს, სევერიან ისიანს, რუსული ბეროძეებს, ლადო სულაბერიძეს, ლეო კიქიაძეს, შალვა კოხოძეს, შოთა ქურიძეს, რაედენ გაბეჩავას, ვასო ლორთქიფანიძეს, მაგრამ ყველაზე კარგი „რეიდები“ რედაქციის მუშაკის — ელიონ ხუციშვილის ინიციატივით ტარდებოდა. ის ყოველთვის გაფაციცებით ეძებდა რაიმე კარგ მასალას განეთისათვის და ფეხით პქონდა დავლილი მთელი ქუთაისი და მისი ახლომახლო აღგილები.

ქუთაისის კინოთეატრებში გადიოდა ჩარლი ჩაპლინის „ახალი დროები“ და „დიდი ქალაქის ჩირალდნები“. ჩაპლინის სურათების ნახვის შემდეგ ლადო დაღონებული და უფრო სევდიანი რჩებოდა და ჩვეულებრივ აღარ ხუმრობდა. ყველაზე სასაცილო ამბების დანახვა სასაცილო გუნებაზე აღარ აყენებდა. ჩაპლინის ტრაგიკული ჰუმორის გამო საშინელი სევდა შემოაწევებოდა.

— ამ პატარა ადამიანის ტრაგედიაში ყველაზე უფრო ის მომწონს, რომ არც ერთი უბედურებისას იხტიბარს არ იტეხს და ვერ აშინებს ვერავითარი მარცხი. ესაა ნამდვილი სიცილის გენიოსიო, — ამბობდა, და მაინც იცინოდა, იცინოდა ადამიანური სიცილით ისე, როგორც იცინიან მილიონები ჩაპლინის ფილმების ნახვისას.

მოუთმენლად ველოდით ქუთაისში „ჩაპაევის“ ჩამოსვლას. ამ ფილმზე იმდენი ქებადიდება დაწერა ცენტრალურ პრესასა და თბილის განებში, რომ, უკველად, კარგი რაჭაშნდა ყოფილიყო. მაგრამ საშველი არ დაადგა, — ქუთაისმა ვერ მიიღო. გავიგეთ, ბათუმის კინოთეატრებში უჩვენებენ. და ერთ დღეს „გავიპარეთ“ ბათუმში ლადო, შალვა კოხოძე და მე. ეს ელიოზმა შეგვაგულიანა, მაგრამ თვითონ ველარ წამოგვყვა. სამივემ პირველად ვნახეთ მაშინ ზღვა. ბინდბუნდში, განთიადისას, მატარებლიდან დავინახეთ, ლურჯ სუფრასავით როგორ შლილა და ისევ კეცავდა დილის ნიავი ოდნავ აქოჩრილ ტალღებს. შემდეგ წამოიმართა ბურუსს შეზავებული მწვანე კონცხი და წალკოტში ჩამჯდარი კოხტა ბათუმი — მოლივლივე ლურჯი ზღვით, ამწვანებული ბორცვებითა და მაღლობებით.

„ჩაპაევი“ არ დაგვიხვდა ბათუმში, გამოეცვალათ და სხვა ფილმი მიღიოდა. მხოლოდ კარგი ის იყო, რომ პირველად დავადგით ფეხი ზღვის ნაპირს.

ლადოს ძლიერ მოეწონა ზღვა, მაგრამ თითქოს აინუნშიაც არ ჩააგდო:

— იმდენი რამ წავიქითხე ზღვაზე, იმდენჯერ ვნახე კინოსურათებში და, საერთოდ, დღემდის იმდენი რამ გავიგე მის შესახებ, რომ ახლა გული მომდის, ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, რომ ველოდი. ისე კი დიდხანს უნდა იყო ზღვას-

თან, რაიმე რომ დაწერო, ასე მოულოდნელი ჩახვით არავითარი შთაბეჭდილება არ შემექნება. კაიკია, მარა რაღაც მთლად წამიხდა სასიათიო.

1935 წლის ივნისის ერთ დღეს კინოქრონიკაში ვნახეთ — მაქსიმ გორკი და რომენ როლანი, საპირველმაისო პარადს ესწრებოდნენ წითელ მოედანზე. გორკის სომბრეროსავით ძალზე ფართო ფართლებიანი ქუდი მოეგდო გვერდზე და გრძელი ლაბადა ფრთაგაშლილად წამოესხა. მეტისმეტად გოროზად მიდიოდა მავზოლეუმის ტრიბუნისკენ. და გასაფრენად გამზადებული შევარდენივით ასევე გოროზად შემოჭდა ზემოთ — ცის ფონზე შემართული. შემდეგ, როცა კადრები უფრო მოახლოვდნენ, ერთი წამით გააელვა ჭროლა თვალები და ჩაიღიმა. თან ალექსიანად რაღაცას უამბობდა მასავით მაღალ, ბეჭებში მოხრილ და თითქოს ნაავადმყოფარ როლანს; უკანასკნელს თბილი პლედი მოეხვია მხრებზე და მოწყენით აპარალებდა თვალებს.

ეს იყო ერთი წუთით, ან სულ რამდენიმე წამს, მაგრამ ლადო მერე ხშირად იგონებდა ორივეს. მაშინ კი ალტაცებით შესძახა:

— შეხედე გორკის, ნამდვილი შევარდენია, ქარიშხალაა! როლანი კი მთლად ჩამალულა თეთრ საყელოში... ავად თუა...

შემდეგ დაიჟინა: გორკის იმ ფართო ქუდში გრძელი ფრთა ჰქონდა გარჭობილი და მართლა

გასაფრენად ემზადებოდათ. მეორე ლიტერატურული წავედით კინოში. გორქი ისევ შევაწლენს პგავდა, მაგრამ ფრთა მაინც არ იღმოაჩნდა უწყებულებებით დაღონდა: ალბათ მომეჩვენაო.

VII

ლადოს ბევრი კარგი ტოლ-ამხანაგი ჰყავდა ქუთაისში, მათ შორის გამოიჩიეოდნენ შოთა ქურიძე, ლევან კიკნაძე, მიშა ალავიძე და რაუდენ შეუბულიანი. ორი უკანასკნელი ლადოს თანამემამულენი იყვნენ, ლეჩხუმელები. ლადოს, შოთასა და მიშას ფოტოსურათი ერთად აქვთ გადაღებული.

შოთა ქურიძე თავიდანვე ლადოს განუყრელი ნეგობარი გახდა და სიკვდილამდე არ შეუწყვეტია მასთან გულითადი ურთიერთობა. თავის მეტად საქმიან და საინტერესო წერილში (1960 წლის „ლიტერატურული აჭარა“ №4) მან სიცოცხლისა და სიხარულის პოეტი უწოდა ლადო ასათიანს და საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ იგი არ ყოფილა შარტოოდენ „ძველი საქართველოს, ჩვენი სახელოვანი წინაპრების მეხოტე“, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი, არამედ „ლადო ასათიანის პოეზია თავიდან ბოლომდე გაუღენილია თანამედროვეობის სულისკვეთებით...“ და მის... „ლექსებში არ გაისმის სიქვდილის ფრთების ამაზრზენი შრიალი. პირიქით, მასში, როგორც ნიაგარის წყალვარდნილი, როგორც უზარმაზარი ჩანჩქერი,

მეუხარებს სიცოცხლე, დაუოკებელი, ნაპირგდა-
ლახული, ვაჟაცური სიცოცხლე".

შ. ქურიძე და ლ. კიკნაძე დიდად შრომის უფლებები
ლადოზე, უყვარდათ მასთან ყოფნა და ზარბაზის
ურველმხრივ ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ
შეძლებისამებრ. თბილისში გადმოსული ლადო
ხშირად ღებულობდა შოთას გულთბილ წერილებს
და ისიც არ ივიწყებდა საყვარელ მეგობარს. ლეო
კიკნაძესთან მისი კავშირი თბილისში უფრო გან-
მტკიცდა და ერთ ხანს ერთ ჭერქვეშაც კი ცხოვ-
რობდნენ.

მიშა ალავიძე ყაზბეგის ქუჩაზე ცხოვრობდა (48-ე ნომერში) დედმამასთან. 1936 წლის „ჩვენი
თაობის“ მე-5-6 ნომერში დაიბეჭდა სევერიან ისი-
ანის ლექსი „გარბენის გმირს“. იგი ეხება ქუთაის-
ში პირველი თაობის სახელოვან შოფერს — ნეს-
ტორ ალავიძეს, რომელმაც, როგორც პოეტი წერს,
20 წლის წინათ პირველად გაიყვანა ავტომანქანა
ლაჯანურის ვიწრო და ულამაზეს ხეობაში. ს. ისი-
ანმა „ჩვენი თაობის“ იმ ნომრის ერთი ცალი სა-
ჩუქრად მიუძღვნა მიხეილ ალავიძეს და ზედაც შემ-
დეგი წარწერა გაუკეთა: „სახსოვრად უახლოეს ამხა-
ნაგს, თანამოკალმეს და ჩემი გმირის შვილს —
მიშას, სევერიან ისიანი, 26 მარტი, 1937 წელი.
ქუთაისი“.

ნესტორი მიშას მამა იყო.

დოცენტმა მიხეილ ალავიძემ ქუთაისის გა-
ზეთში (№49, 101, 256, 1960 წ.) ლადო ასა-

თიანზე მოათავსა ვრცელი მოგონება და წე-
ნიშვნები, რომლებიც მეტად საინტერესო მასალას
შეიცავს. ხოლო იგივე მასალებზე შემდეგ ერთ
მთლიან ნარკვევად გამოაქვეყნა ჟურნალი „სიცონი
ში“ (№4, 1961 წ., „ლადო ასათიანი, ბიოგრაფი-
ულ-მემუარული ნარკვევი“). ამ ნარკვევში აკ-
ტორი ასახელებს ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურას
ლადო ასათიანის შემოქმედების შესახებ, ეხება
მის თარგმანებს, ნარკვევებსა და წერილებსაც.
წარმოგვიდგენს ქუთაისის ცენტრალურ არქივსა და
მმაჩის ბიუროს არქივში დაცულ დოკუმენტებს,
აღწერს ფოტოსურათებს, ვრცლად მოგვითხრობს
მისი სტუდენტობის დღეებზე, ალადგენს ლადოს-
თან საუბრებს, განმარტავს ლადოს პოეზიაში გა-
მოყენებულ ლექსუმურ სიტყვებს, განიხილავს
პოეტის ენასა და სტილს, დაწერილებით აღნუსხავს
სპეციალურად ლადო ასათიანზე დღემდე დაწე-
რილსა და გამოქვეყნებულ წერილებს, მოგონე-
ბებს, ნეკროლოგებსა და მისი ხსოვნისადმი მიძ-
ღვნილ ლექსებს.

„ლადო ასათიანმა 1934 წელს წარჩინებით დაამთავრა
დაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური, — იგონებს
მ. ალავიძე, — და ჩაერიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტი-
ტუტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, 1934 წელ-
სავე გადავიდა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე
(ქართული სექტია), რომელიც დაასრულა 1938 წელს.
ლადოს ჩაბარებული აქვს ყველა სავალდებულო საგანი,
გარდა სახელმწიფო გამოცდებისა“.

„ჩვენ ერთ ჯგუფში (№ 33) ვიყავით, — განაგრძობს

օցօ. — Եմ յցնութեան սթացլոծքնեն առևա Թէւնոյրէիշտաք քանձուարենքու: Ը. Կոյնօք, զ. Շալամինեհուու, նեղա Շոմինեց, և ՅօՇչելուու գա Շոհենալուսթ-կրուուուսու Շ. Հյուրուու, Ըա գո Սուրեմարտուրագ Սթիրեծուու և այլուունքնեն գա պարագանեան ծու ու ամենա: Օնս Տուութիւն ըալու պայլաս նույզու Միջնարդ յմելու մուհնդա:

Այլուունքնեն ցոյցուութեացլուն ընոծուու Թէւնոյրէիշտու գա պարագանեան: Այլուութուրենքնեն գացասաելուու օմ վուուեատա թու ելուուտ, հոմլենքու ամյաման օյշտ:

Թամոն հյուն ցոյցուութեացլուն — պարագանեան: զ. Ֆայլեադուանու, զ. Քոծլուու, ալ. Ցահամուու, կ. Վայուու զ. տու գուրուա, ա. Ցոյտուրունցուու; Ցրուույուուրենքու: և. Կայսերինցուու, ը. Ցոցուուրունցուու, մ. Ցոցուուրունցուու, թու. Նատաց, զ. Հոգաց, զ. Խայտասու, զ. Ցայրաց, և. Կայսերինցուու, ը. Ցոցուուրունցուու, ա. Հիեուու, յ. Ցուրունցուու, ալ. Ցուրունցուու, լուուրունցուու: թ. Տուուցուրու, լ. Կոնսուտաց, յի. Կայունուրու, զ. Խահանուու, թ. Ցոնածու: Սուուրուսո մասթացլուունքնեն: գ. Հիեուու, (գուա հունելու), ռ. Վայմծուրուու, Ռ. Քայուրուու, թ. Ածհամունցուու, ա. Ցուրուու, օնս Տուութիւն թուրուունու ուցնեն պարագանեան: ա. Վանուու, լ. Սինածու, թ. Եւուրուու, բ. Ցուրուունցուու, Ցրուույուուրուու և. Ցանելու, լուուրունցուու: Տ. Տուուրուու, Հիեուու ցոյցուութեացլուուտ մատ Տայարու թուենենքնենքնեն, ացրետու և այլուունքնեն արարենքնեն:

Լագու հյօին Ցիւրուալու գացմունուս մասունքու Տայարու թամուու. ոցու ԵՇուրագ ցամուուու լուուրուարու սալամու յմենքնեն գա պարագանեան:

Օնս Տուութիւն ցամարուու ոլու վայշացամուս սալամունց Յ. Կուրունցուու Մայունունցուու ար ճահինուա մուսու Եալասո նույն, ման Կմայուուունքնեն գա պարագանեան լուուրուու լուուրուու լուուրուու: Լագում Յ. Կուրունցուու Մայունունցուու „Տիւլունցուու ամուշուրուու „Տացուրուամունու կը արու ցրուու“: Յ. Կուրունցուու Ծակուանու Ծակուանու արարուամունու պարագանեան մուս լույցունքնեն արարուամունու առցուցուու սեցազանքու Պայունուու:

ტის სტუდენტებით და ქარი ლია იყო, მსმენელთა ნაწილი ფეხზე იღვა. კათედრამდის რჩებოდა მხოლოდ დეკტორისათვის მისასვლელი გზა... პაერში ვაჟა-ფურთი ხმი და ირჩეოდა, — ვ. კოტეტიშვილი ოქტოპირობდა, ზოგჯერ შიგადაშიგ, სიმღერასაც წამოიწყებდა და „შეწყვეტდა.

ლადოს ხიბლაელა ვ. კოტეტიშვილის სიტყვა და მისი ნაშრომები. წიგნიდან „ხალხური პოეზია“, რომელიც ვ. კოტეტიშვილმა ქუთაისში გამოსცა, ბევრი მარგალიტი ლადომ ზეპირად იცოდა. მას მოსმენილი პქონდა ვ. კოტეტიშვილის საგარიო მოხსენებებიც: „ალ. პუშკინის პოეტიკა“ და „ხალხური ველებისტყაოსნის“ გენეზისი“...

ლადოს ბევრჯერ უთქვაშ: ქართული ენა მე შემასწავლა ვარლამ თოფურიამ, ოთხი წლის განმავლობაში ვასმენდი მის ლექციებს და, თუ ჩამე სწორად დამიწერია, ამაში მე თოფურიას უნდა ვუმადლოდე, ვარლამი ყოველთვის გვანათებდა და გვანათლებდათ.

ვ. თოფურიაც თვალყურს ადენებდა ლადოს ნაწერებს და მას არ ვამოგებარებოდა უზრნალ-განეთებში დაბეჭდილი ლადოს ლექციი, რომელსაც, აუცილებლად, გულდამით წაიკითხავდა და აეტორს შენიშვნებსა და რჩევა-დარიგებას მისცემდა“.

ლადოს ტოლ-ამხანაგებიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ მიშა ალავიძემ ვამოქვეყნა მოგონება და მრავალი ძვირფასი მასალა, რითაც ძალზე ქარგი საქმე გააკეთა ლადო ასათიანის ბიოგრაფიისათვის.

რავდენ შეუბულიანი და ლადო ერთ მერხზე ისხდნენ, თანაც, მთელი წელიწადი ერთადვე ცხოვრობდნენ ნაქირავებ ოთახში — მინადორა ლორთქიფანიძესთან — ყაზბეგის ქუჩაზე (ახლა პ. ჩანჩიბაძის ქუჩის მეორე ჩიხი, №4) — ბაგრატის ტაძრის ახლოს — მიშა ალავიძის სახლს ზემოთ. თავდაპირ-

ეფლად კი ლადო სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში იმყოფებოდა.

რაედენი (ამჟამად ის დაბა ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელია) ცაგერელი იყო. ლადო ბარდნალიდან ხშირად ოდიოდა ცაგერებში და ბევრი ტებილად მოსაგონარი დღე და საათი გაუტარებიათ ორივეს იქაური საყდრის ეზოში ცაცხვების ქვეშ, ერთად უვლიათ ცაგერის ბაზრობაზე, უსეირნიათ ცხენიწყლის პირას... რაედენი III კურსიდან ჩამოშორდა ამხანაგებს და სწავლა დაუსწრებელ სექტორზე განავრძო, თან მასწავლებლობდა ცაგერის სკოლაში.

1943 წლის ზაფხულზე, როცა სიცხით გათანგული ლადო სიკვდილს ებრძოდა, განსაკუთრებით მოსურვებია შოთა ქურიძის, მიშა ალავიძისა და რაედენ შეუბულიანის ნახვა. თურმე, იგონებდა და ნატრობდა მათთან გატარებულ დაუვიწყარ ბედნიერ დღეებს და მოუხმობდა ძმობილებს, რომელთაგან ერთ-ერთი — რაედენი — უკვე 1939 წლიდან საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და ახლა სამამულო ომის ფრონტზე იყო. დროდადრო წარმოთქვამდა სტრიქონებს ლექსიდან, რაედენს რომ უძღვნა და ჩაუწერა მან დოცენტ გაბრიელ ჩანაიძის ლექციის დროს — მსოფლიო ისტორიის კონსპექტის რეეულში — 1935 წლის 3 მარტს:

როგორც პრილის იელეარება
და გაზაფხული რიერაეიანი,
ვიცი, ძმობილო, გავეხარდება,
ლექსი რომ გითხრა მაღალხმიანი.

როგორც დაჭრილი ირმის ბლავილი,
 შინდა ბლაოდეს ლექსი, რომელიც
 გულიდანაა გამოგზავნილი,
 შეგობრობის და ძმობის მდომელი. 1369-ი
 აი, ცაგერი, საღაც დგებოლნენ კიბერი გოგი
 დღენი ყრმობის და მაისობისა,
 საღაც ყოველთვის წამოედგებოდით
 გახარებული ალიონისას...
 აი, საყდარი, საღაც ცაცხია —
 ტოტებგაშლილი მაგარრტოება,
 აქ განგვიცდია ჩეენ სიხარული
 და ლირიკული განმარტოება..
 აი, ეს ლექსი მისთვის დავწერე.
 რომ აღტაცებით ევსო გულები.
 იცოცხლე, რაუდენ, ითას წელიწადს,
 და სიხარული გქონდეს ულევი!

■ ■ ■

რამდენიმე სნის წინათ რაუდენ შკუბულიანი
 ბოლნისიდან თბილისში ჩამოვიდა და „დროშის“
 რედაქციაში მინახულა. თანვე ჰქონდა ის რვეული,
 საღაც ეს ლექსია ჩაწერილი. რაუდენი უკვე საკმა-
 რდ შეწალარავებული და თითქოს ხანშიშესული
 მეჩვენა. მე კი მეგონა, ისევ ისეთი ახალგაზრდა
 და თმაქოჩირა იქნებოდა, ლადოსთან ერთად რომ
 მინახავს, ქუთაისის პედინსტიტუტისკენ მიმავალი.
 „ლადოზე რამდენიმე წლით უფროსი ვიყავიო“,
 მითხრა, და გულისტკივილით მოიგონა აღრეგარ-
 დაცვლილი მეგობარი.

ემ წლებში ქუთაისს არ გააჩნდა ხეორიანი ჰყა-
ტრი. ერთ-ერთმა რეფისორმა ახალი ამერიკების ალ-
მოჩენა მოინდომა, მაგრამ ძველიც დაიგირა, „
„მესამე ეპოქა“ ვერ შექმნა (პირველი და მეორე
ხომ მესხიშვილსა და მარგანიშვილს ეკუთვნოდათ).

კინოებში მიღიოდა წინა წლების გაცვეთილი
და ლენტებდაწყვეტილი ფილმები. ყველაზე კარგი
გასართობი იყო ცირკი, მაგრამ არც ის ჰგავდა ნამ-
დვილ ცირკს. აქაკი წერეთლის ქუჩაზე, ყოფილი
საოჯახო ბალის ადგილას, ბებერი კვიპაროსების
ქვეშ მდებარე პატარა ფართობი ძველი ბრეზენ-
ტით გადასურეს, დადგეს რამდენიმე გრძელი მერ-
ხი და, თითქმის ყოველ საღამოს — დარსა და ავ-
დარში — იმართებოდა ჭიდაობა.

მზის ჩასვლისთანავე ახლადმოასფალტებულ
ქუჩებში გამოეფინებოდა მთელი ქუთაისი, მოე-
დებოდა ბულვარის კიდეებს, კინო-თეატრებს,
წყლის კიოსკებს და საშაქარლამოებს. სეირნობდ-
ნენ უმთავრესად შუა ქუჩებში და თეთრ ხიდზე,—
ეს იყო ამ ქალაქის მთავარი პროსპექტი და სასე-
ირნო ადგილი.

ათი საათის შემდეგ კი გარეთმყოფს ვერავის
ნახავდით. მხოლოდ სახელდახელოდ მოწყობილ
ცირკში იდგა აღტაცების ქრიამული, ისმოდა მქუ-
ხარე ტაშისცემა და შეძახილები. ჭიდაობდნენ წყვი-
ლები: ზაგორუიქო — მაჩაბელი, კაკაურიძე—ბუ-
რევოი, კახეთელიძე — პოსპეშილი, ბიქოვი — ბა-

ბალიკაშვილი, სტაროშვილი — მაისურაძე და სხვები. გაცვეთილი ბრეზენტი ვერ იჭერდა ქარსა და წვიმას. მაყურებლები ქოლგებგაშლილნი, ისტენენ სველ მერხებზე და ამოწუწულნი ერთმანეთს აღარ ანებებდნენ ჭიდაობის ცქერას.

შემდეგ თანდათან გამოცოცხლდა კულტურული ფრონტი. 1935 წ. ზაფხულზე ჩამოვიდა ჭიათურის თეატრი პავლე ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით. ლადო სულ თეატრთან იდგა. ის და შალვა კოხოძე ველარ ცილდებოდნენ ალექსანდრე იმედაშვილის ოტელოს. გიორგი დარისპანაშვილი კარგი იაგო იყო, — თითქოს ძალზე პატიოსანი, ლამაზი და კეთილშობილი, მაგრამ ვერაგულად შენიღბული.

— სწორედ ასეთი იაგო თუ მოახერხებდა იმედაშვილისთანა ოტელოს მოტყუებასო, — იხუმრა ლადომ.

ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისიდან მწერლები, აწყობდნენ ლიტერატურულ სალამოებს და გამოსვლებს თეატრში, პედინსტიტუტში, სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებში. დაესწრნენ „ტრამის“ (მუშა-ახალგაზრდობის თეატრის) წარმოდგენებს. ამ თეატრს რეჟისორი შოთა მანაგაძე ხელმძღვანელობდა. რამდენიმე წარმოდგენა დიდი ტრიუმფით ჩატარდა. ეს იყო ლამაზი, ცოცხალი, მხატვრულად გამართული სპექტაკლები ახალგაზრდა მუშა მსახიობთა მონაწილეობით.

განსაკუთრებით წარმატება ხვდა „ჩვენი შვეულის ქალიშვილებს“. როცა ამ სპექტაკლის შემდეგ გამართულ ბანკეტზე მაგიდას უსხდნენ მწერლები, მსახიობები, თბილისიდან ჩამოსული სტუმრები, ადგილობრივი ინტელიგენცია და მაღალგაზრდობა, ყოველივე ახლის ენთუზიასტმა შალვა დადიანმა (რომელსაც „ტრამელებმა“ „ჭალარა კომკავშირელი“ შეარქვეს) ყანწი შემართა და პირველი სადღეგრძელო უნდა წარმოეთქვა... უცბად სინათლე ჩაქრა და რამდენიმე წუთს სიბნელე ჩამოწვა. ამ დუმილსა და სიბნელეში გაისმა შალვას დარბაისლური ხმა: — აი ასეთი წყვდიადი იყო ჩამოწოლილი ცოტახნით ქუთაისის თეატრალურ ფრონტზეო...

ამ დროს სინათლეც მოვიდა, სიტყვის ნაცადშა ოსტატმა ისარგებლა ამ მომენტით და აუღელევებლად განაგრძო: — ახლა კი... ასე ამოდის, ნათდება ახალი თეატრი — ტრამი, მუშა-ახალგაზრდობის თეატრი, ნამდვილი იდეური თეატრი... ქუთათურ ობივატელებს ძილი გაუკრთებათ!

1936 წლის მაისიდან მშევნიერი ამინდი დადგა. ძვალგამთბარი ძველი ბულვარი უფრო გამოაცოცხლა არდადეგებზე ჩამოსულმა სტუდენტობამ და საგასტროლოდ მოწვეულმა მსახიობ-შემსრულებლებმა. ამიერიდან კვირაში ათვერ მაინც იმართებოდა — დილა-სალამოს — კონცერტები და წარმოდგენები.

შენობათა კედლები და კოსკები აქტელებული იყო აფიშებით. მოდიოდნენ მსახიობები, მომღერ-

ლები და მოცეკვავენი; მოდიოდა: სატირის თეატ-
რი, მოძრავი თეატრი, ლილიპუტების თეატრი, უქ-
რაინის ცირკი, ქ. პაჭეორიას გუნდი, ქ. ფრცხვერა-
შვილის გუნდი, ს. კავსაძის გუნდი, მ. ჭელაშვილის გუნ-
დი, მოდიოდნენ წყვილ-წყვილად და კენტად, ჯგუფ-
ჯგუფად და ცალ-ცალკე; მთელი დასი და სათითა-
ოდ: გ. საღარაძე და სტ. ჯაფარიძე პ. კობახიძე და თ.
ჭავჭავაძე, ს. გომელაური და ნ. ილურიძე, ე. აფხა-
ძე და ს. უორუოლიანი, პეტრე ჭიჭინაძე, ი. ქანთა-
რია, ნ. მაჭავარიანი, თამარ წერეთელი, ქიხარევა;
შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს ქუთაისს მუსტაფა
ფერტიც კი ეწევია, კინოფილმ „ცხოვრების საგზუ-
რის“ გმირი (მსახიობი კირლა), მაგრამ მის გამოს-
ვლას კოკისპირულმა წვიმამ შეუშალა ხელი. და მა-
შინ იყო, რომ კინოფილმ „მხიარულ ახალგაზრდო-
ბას“ თან ჩამოყვა თვით ლეონიდ უტიოსოვი, თავი-
სი განთქმული ჯაზით. კინოდან გამოსული ახალ-
გაზრდობა ესტრადისაკენ გარბოდა და იქ ფილმის
ნამდვილ ცოცხალ გმირებს უკრავდა ტაშს.

ლადო და შალვა კოხოძე ყოველთვის ესწრე-
ბოდნენ ამ წარმოდგენებს და კონცერტებს და არც
ერთი ჭიდაობა არ გამოუტოვებიათ. შემდეგ (გან-
საკუთრებით კვირა-უქმე დღეებში) შეიერთებდნენ
ბონდო კეშელავას, გრიშა იმედაძეს, გიორგი
ნაფეტვარიძეს, მხატვარ ვიქტორ ცომაიას ან რო-
მელიმე სტუდენტ-ამხანაგს, ეწვეოდნენ ცისფერ
კაფეს — რიონის პირად — თეთრი ხიდის თავში,
იქ, სადაც წინათ რესტორანი „იალტა“ იყო, და შუ-
ალამედე რჩებოდნენ იქ.

ქუთაისს ეძინა ამ დროს. ნაწვიმარი ქუჩების
სარკეში ერთმანეთს ელვარებას ეჭიბრებოდნენ
ელნათურები და ვარსკვლავები. ისინი კუტუსხდნენ
პურის ორიოდე ნატეხს, ერთ ლიტრა ლფინოს // გვერდი
სურნელოვანი ჩაით სავსე ჭიქებს და ივონებდნენ
ნაცნობ-მეგობრებს, ახსენებდნენ თეატრებსა და
კინოებში ნახულ წარმოდგენებს და ფილმებს, კარგ
წიგნებს, პოეზიას, სიყვარულს და ოცნებობდნენ
თბილისზე. შემდეგ გავიდოდნენ თეთრ ხიდზე,
გადაჰყურებდნენ ამომშრალი რიონის თეთრ უბეს
და „რულავდნენ ბინდბუნდში“...

დროდადრო მყუდროებას არღვევდა რომელიმე
შეგვიანებული მგზავრის კანტიკუნტად წამლერე-
ბული: „მიდი, მოდი, თეთრო ხიდო... ოლასქურა,
საფიჩხია“... და შიგადაშიგ — უტიოსოვის „სერ-
დცე, ტებე ნე ხოჩეტსია პაკოია“, — მოდაში შე-
მოსული სიმლერა „მხიარული ახალგაზრდობიდან“.
მომლერალს, ალბათ, პირველი — დასაწყისი —
სტრიქონი ახსოვდა მხოლოდ, დანარჩენს უსიტ-
ყოდ წაულილინებდა...

IX

იანვრის ერთ პირქუშ დღეს ქუთაისში ჩამოვა-
და ი. გრიშაშვილი. ქალაქი ალტაცებით შეხვდა სა-
ხელოვან პოეტს. მშვენიერი გამოდგა მისი სალამო-
ები; განსაკუთრებით კარგი იყო მეორე სალამო.
უამინდობის მიუხედავად ძველ თეატრს დიდალი
ხალხი მოაწყდა.

ი. გრიშაშვილთან ერთად სალამოში მონაწილე-

ობა მიიღეს ქუთაისში მომუშავე მწერლებმა. მათ შორის იყო ლადო ასათიანიც. ის პირველად კითხულობდა იმ დღეს ლექსს ფართო აუდიტორიის წინაშე. მეტისმეტად უხერხულად იდგა ავანსცენაზე, ლელავდა და ხმა უწყდებოდა. ერთი-ორგერ შეეშალა კიდეც და შემდეგ დარცხვენილი გამოვიდა ფოიეში. თან ბრაზობდა და ხელებს ისე იქნევდა, თითქოს ვინმე უჩინარს ემუქრებაო.

შალვა კოხოძემ უთხრა:

— ვის ეჩემები, თუ იცი, და ასე რამ გაგაგულია? უმჯობესია, საკუთარ ჭკუასაც შეუწყრე ხანდახან. თუ მეტი აღარ შეგეძლო, ძალას ვინ გატანდაო?

ლადოს ხმა არ გაუცია. თეატრიდან გავიდა. შემდეგ ძველი კლასიკური გიმნაზიის წინ ვნახეთ, იდგა ნაძეის ძირში და პაპიროსს აბოლებდა.

იმავ ლამით, სასტიკ თავსხმაში გააცილეს სოსო სადგურამდე მწერლებმა და რედაქციის თანამშრომლებმა. ძლიერ ნასიამოვნები წავიდა და შემდეგ ჩვენი რედაქციის მუშაკებს მეტად გულთბილი წერილი გამოუგზავნა:

„მთელი ქუთაისისა და, განსაკუთრებით, თქვენი,—ლიტერატორების მადლობელი ვარ ჩემი ასეთი მიღებისათვის, — იწერებოდა იგი. — ჩემი თავი ახალგაზრდა წარმოვიდგინე, როცა ამ 25 წლის წინათ პირველად გამოვედი ქუთაისში ილიას საღამოზე დიად ვაჟასთან ერთად... სწორე გითხრა, არ მოველოდი, რომ თანამედროვე ქუთაისიც მიცნობ-

და. ეს მმატებს ძალას და, ვფიქრობ, ისეგ დაცუნა-
რუნდე პოეზიის ფრონტს, თუ ეს „მკვლევარობის“
ორლობე გავარღვიე როგორმე. საქმე ჯენტლემანი
ბაზედაცაა დამოკიდებული.

მართლა, მეორე სალამოზე რაღაც ულიმლამოდ
იყო წარმოთქმული ჩემი ლექსები. ვერ ერთი, მე-
ორედ, ე. ი. ზედიზედ გამოსვლა ორი დღის გან-
მავლობაში არ მიყვარს. მე ხომ მსახიობი არა ვარ.
მე ჩემი განცდები მაწუხებს. მეორეც — მაჩქარებ-
დნენ: იმ ღამესვე უნდა წავსულიყავით თბილისში,
შესამეც — ხალხი ვიდრე დალაგდებოდა პარტერ-
მი, მე ჩემი მემართებოდა, ერთხელ ავიბენი კიდე-
კაც. შეოთხეც — ლექსები ვერ დავაზუსტე, რომე-
ლი რომლებისთვის უნდა მიმეყოლებინა. არც არ-
ჩევანი ვარგოდა (9 იანვრის სალამოს). მაგრამ ეს
შვრილმანია. იმედია, მაპატიებთ და მეორედ რომ
ამოვალ, გამოვაწორებ, თუ კიდევ თავსხმა არ იქ-
ნება და „სამაისო ვარდებს“ გავეთამაშები“.

ამხანაგებმა დიდად გაიხარეს მოკითხვის გამო
და ისიც სასიამოვნოდ დაურჩათ, რომ ქუთაისიდან
ისეთი კარგი შთაბეჭდილებებით დაუბრუნდა თა-
ვის საყვარელ თბილისს მისი ხმატებილი ბულბუ-
ლი. ქუთაისისთვის დიდხანს მშეენიერ მოგონებად
დარჩა იანვრის ამ ავდრიან დღეებში სოსოს იქ ყოფ-
ნა და ორ სალამოს ზედიზედ გამოსვლისას სცენი-
ზან გრიშაშვილისებურად ლექსების გადმოფრქვე-
კა. მხოლოდ ის აწუხებდა ყველას, რომ უფრო მე-
ტი პატივი ვერ სცეს. დრო და ამინდი არ უწყობ-
და ხელს.

ერთხელ, რედაქციაში მუშაობის დამთავრებას შემდეგ, კინოთეატრ „დამკვრელისა“ წინ უძღვეს და აფიშას ვათვალიერებდით. 1936 წლის 20 მაისის იყო, — მზიანი და თბილი დღე. უჩვენებდნენ ფანტასტიკურ-სათავგაღასავლო ფილმს „კოსმოსურ რეისს“.

იმ დღეებში ბუკინისტთან კამილ ფლამარიონის „ასტრონომია“ შევიძინეთ. იმ კარგა მოზრდალი წიგნიდან, თუმცა მოძველებული, მაგრამ მაინც ბევრი კარგი და საინტერესო ცნობა ამოვიკითხეთ. ვკითხულობდით მას და საღამოობით ცაზე ვეძებდით ნაცნობ თანავარსკვლავედებს. და ახლა გავვეხარდა: იქნებ ამ ფილმში ასახული ამბები ფლამარიონის წიგნის ცოცხალ ილუსტრაციებად გამომდგარიყო.

— გამოგივლი და აუცილებლად ვნახოთო, — მითხრა ლადომ, — მხოლოდ ბოლო სეანსზე წავიდეთ. დღეს საღამოს კეკელიძის საინტერესო ლექცია და უნდა დავესწრო.

— ვეტყობათ ფული გაქვთ; რომ კარგ გუნებაზე ბრძანდებით, — მოგვესმა ამ დროს. თავს წამოგვადგა პოეტი ბონდო კეშელავა. იდგა იგი და გვილიმოდა მაღალი, ბრგე, ვერცხლისქოჩიანი და შავშავ-ულვაშიანი.

— კინოშიც აპირებთ შესვლას, ხომ? — განაგრძობდა იგი. — მე როცა ფული მაქვს, სპეტაკე ვარ, როგორც პირველი თოვლი და დედამიწასავით

დოკუმენტიანი. მაგრამ ახლა ჭიბუში ხელის ჩაყოფისა მეშინია. შინ მხოლოდ ათიოდე კვერცხი მაქვადა ცოტაოდენი ხალვა. ესაა მთელი ჩემი დღეგანა დელი საგზალი. თქვენ რომ წაუმატებდეთ და დღეს არც ჩვენ ვიყავით „სპერაკი“ და „დოკუმენტი“, მაგრამ ლადომ მაინც უთხრა:

— გავიაროთ ბაზარში. ნიკა ყველს იყიდის, მე — პურსა და მწვანილს, კიდევ რაიმე ვიშოვნოთ, შეს კვერცხებსა და ხალვას მიუუმატოთ, და მეტი რაღა გვინდა?

— ერთი ბოთლი ღვინოც რომ იყოს... — საწყლად ჩაიღურდულა ბონდომ.

— როცა მეტი არა გვაქვს, შენი ჭის ცივი წყალიც შუმ ღვინოსავით შეგვერგება-მეთქი, — ეუთხარი და ჩემს ოთახში შევირბინე. ერთი ბოთლი ღვინო მქონდა შემორჩენილი და ჩუმად ჩავიდე პალტოს გულჯიბეში. შემდეგ ბაზარში გავიარეთ და ბონდოს ვესტუმრეთ.

ბონდო კარგი დიასახლისიერი დატრიალდა, ტაფამწვარი გააკეთა, სუფრა გაშალა, ვეღროს ხელი დასტაცა და ჭაზე წავიდა ბუზლუნ-ბუზლუნით, წუხდა, ამ დროს ღვინო რომ არ ჰქონდა.

ამასობაში ღვინიანი ბოთლი კუთხეში მიმდგარ ბოთლებს შევურიე. ლადომ ეს შეამჩნია, თვალი ჩამიკრა და, როცა ბონდოს ჭის წყალით ჩაის ჭიჭები უნდა შეევსო, დინჯად წამოდგა და, თითქოს საღლეგრძელოს აშბობსო, სერიოზულად წამოიყო:

— დაიცადეთ. ჯერ ნურც ვჭიმთ, ნურც ქსვამთ, სუფრას კურთხევა უნდა. ხომ გახსოვთ ქრისტეს პირველი სასწაული კანას გალილიაში? მექონწია, ლექებს ღვინო რომ შემოაკლდათ და მან ქვევტებში მდგარი წყალი საუკეთესო ღვინოდ აქცია...

ბონდოს მოთმინება გაუწყდა.

— ჩქარა, მორჩი, თუ კაცი ხარ. ერბოკვერცხი გაგვიცივდა. რა დროს ქრისტეა და მისი სასწაული, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან.

ლადო კი აულელვებლად განაგრძობდა:

— განა მე ვერ გადავაქცევ წყალს ღვინოდ? აი, თუნდაც, იმ ბოთლიდან. ამას რა დიდი ამბავი უნდა! აბა, მიყურეთ! ერთი, ორი, სამი...

ეს თქვა და იმ ბოთლს ხელი დაავლო, პირჯვარი გადასახა, რაღაც სიტყვები შელოცვასავით ჩასჩურჩულა, მაგიდაზე შემოდგა და ხმამალლა შესძახა: და იქმნეს წყალი ესე ანკარა — ღვინო თავანკარა....

— ნავთია შიგ, ნაეთი, შე ოჯახქორო, — შეჰყვირა გაოგნებულმა ბონდომ. — იქით გადადგი, სუფრას გაგვიოხრებს. — ხელში უნდა ცემოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ლადომ სწრაფად ამოაძრო ბოთლიდან საცობი და, ჭიქები რომ შავი ღვინით შეავსო, — ბონდო უმალ მიხვდა ყველაფერს. ორივენი ერთმანეთზე უარესი ციგნები ხართო, გვითხრა და ტკბილად ჩაელიმა ულვაშებში.

„კოსმოსური რეისი“ აღარ გვინახავს არც იშ დღეს, არც შემდეგ. ახლაც არ ვიცი, რა სურათი

იყო იგი და რად გამოადგებოდა ფლამარიონის „ასტრონომიას“.

...სამამულო ომის დროს ბონდო კეშელავა მასწავლებლად იყო სვანეთში და იქიდან უჩვირჩეში რად აგზავნიდა წერილებს ფრონტზე. 1943 წლის 11 ზაფხულზე გულისტკივილით მოიწერა:

„უბედური ლადო ასათიანის გარდაცვალება სვანეთის მთებში გაეიგე. ცხარე ცრემლებით დავიტირე, ნიკა, ცხარე ცრემლებით ჩეენი საყვარელი ლადო. ყველას გვაყვარდა და პატივს ვცემდით, ჩემთვის და შენთვის კი სულ სხვა იყო საცოდავი ბიჭი, — ჩეენს ხელში გაიზარდა, დავაძეაცდა, წინ წადგა გაბედული ნაბიჯი და ახლა, მისი ასე უეცარი ჩაქრობა სწორედ რომ სავალალოა“.

XI

იმ წლებში ძველი თეატრის მსახიობთაგან რედაქციას ყველაზე უფრო დაუახლოვდა ჩეენი საყვარელი იუზა ზარდალიშვილი. რედაქტორი ნ. ცხაკაია და რედაქციის თანამშრომლები ღიღ პატივს სცემდნენ და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მას. ისიც ბეჭდავდა გაზეთში მოგონებებს ქუთაისის თეატრის ცხოვრებიდან, და ხშირად იყო ჩეენთან.

— ხომ არ დამაგვიანდა! — ხმამაღლა შემოიძახებდა იგი კარებში შემოსვლისას და თავისი მომხიბელელი ღიმილით შეათვალიერებდა ყველას. შემდეგ თვალებამდე ჩამოწეულ შავ ქუდს მოიხდიდა, გამოაჩენდა მაღალ, მოხდენილ ცხვირს და სათითაოდ ჩამოგვართმევდა არტისტულად ჩამოქნილ თითებიან ხელს. ცოტა ხანიც და, მგლის

ტყავის მოქლე პალტოს ღილებს შეიხსნიდა და გულჯიბიდან ამთაცოცებდა გრძელ-გრძელ კადან-დზე განიერი ხელით დაწერილ მასალას.

— კიდევ მოვიტანე რაღაც-რაჭალეები... ექნებ გამოგადგეთ, თუ არა და... — მორიდებით ჩაიდას პარაკებდა ის და ისრესდა ფართო შუბლს, სადაც წითელ სალტედ აჩნდა ქუდის ქვალი.

მოწაფეობის დროს, როცა იუზას მონაწილეობით რომელიმე წარმოდგენას ვნახავდით თეატრში (ის ძალიან ლამაზი იყო სცენაზე!), მეორე დღეს დიდხანს ვუდარაჯებდით თეატრის ახლომახლო შემდეგ ფეხაკრეფით მივყვებოდით უკან და გვენატრებოდა მისი გაცნობა. ახლა კი ასე ახლოს იყო ჩვენთან, თანატოლივით შემოგვეჩვია და თათქმის მხარში ამოგვიდგა.

ერთხელ ვანიონ დარასელთან ვიყავით. ის მა-შინ 1905 წლის რევოლუციის ქუჩაზე ცხოვრობდა, ჩვენი რედაქციის გვერდით. იუზაც იქ იყო. ძალიან გამხიარულდა, ფეხზე ამდგარმა გრძნობამორევით წაიკითხა ბარათაშვილის „მერანი“, გალაკტიონისა და გ. ლეონიძის რამდენიმე ლექსი, და იცეკვა კიდეც.

როცა იქ მყოფმა პედინსტიტუტის ლექტორმა, პოეტების დიდმა მეგობარმა — დათუნა ჩხეიძემ თავისი მშვენიერი ბარიტონით „სულიკო“ იმღერა, იუზას გული აუჩვილდა, ცრემლები მოერია და სიმღერის განმეორება მოითხოვა.

— როგორც ჰგავს, მოვხუცდი... ძალიან, ძალიან დამეხმარა თქვენი რედაქცია, ვდირი ვა მენი

поддержали, — утешка моя ჩედაქცის თხება
შრომლებს — პეტრე ბახტურიძეს, ვარმენ
შელეგიას და ელიოზ ხუციშვილს, და უფრო ვფლები
და მათ: — როცა თქვენი ჩედაქციის წილები ჭრია
დავ, люблю радоваться, и сам себя радуюсь, а
еще больше радуюсь, когда другие радуются, —
ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა ჩვენი დიდი ლა-
დო მესხიშვილი. თქვენც ხომ მხიარული და ხალი-
სიანი ადამიანები ხართ. მეც ეს მახარებს.

შემდეგ ჩაილიღინა: „უნდა გაკოცოთ, უინი მაქვს
თქვენი“, და კვლავ გადაეხეთ იქ მყოფ ამხანაგებს.

პოეტმა ალიო ადამიაშ მაშინ თქვა: საბჭოთა
ხელისუფლების პირველ დღეებში, როცა იუზა
საქართველოს თეატრების კომისარი იყო, რუსულ
თეატრს რუსთაველის სახელი მისი ინიციატივით
და შუამდგომლობით დაერქვაო.

— მაგისთვის დიდი გაწამაწია გადამხდაო, —
გვითხრა იუზამ. — ერთმა ცნობილმა კაცმა დამი-
ბარა და მისაყედურა: განა სხვა აღარავინ იყო,
რუსთაველის სახელი რამ მოგავონაო. ის ხომ ძე-
ლი ფეოდალური საქართველოს მომღერალი იყო,
მისი მტვერწაყრილი პოეზია ახლა ვის აინტერე-
სებს და ან რაში გამოადგება, მერე თეატრთან რა
საერთო აქვს, რომელი დრამატურგი, ან მსახიობი
ის იყო? შალვა დადიანი და ვალერიან გუნია
რომ არ დამხმარებოდნენ, ჩემი ინიციატივიდან არა-
ფერი გამოვიდოდა. მწერლებმაც დამიჭირეს მხარი.

მსახიობი ვარდენ ადამია შალვა კოხოძის ნათე-

საჭი თუ მოყვარე იყო. ცხოვრიბდა წითელ ზღვას
გალმა, დედასთან ერთად. შალვას ხშირად დაპყრი-
და მასთან ლადო ასათიანი, გიორგი, წალეტვარე-
ძე და ჩვენი რედაქტიის ზოგიერთი ტანატეტრეჭუ-
აქ დაუახლოვდნენ ისინი იუზას და სხვა მსახიო-
ბებს. ბევრი კარგი მონოლოგი და სცენა მოვისმი-
ნეთ მაშინ იმ პატარა ეზოში, ბებერი ბიებისა და
ალუჩის ძირში. იუზას წყაროსავით დაულეველი
ჰქონდა მოგონებები გამოჩენილ მსახიობებზე. ეს-
ენი იყვნენ: ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, ვა-
ლერიან გუნია, ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე იმედა-
შვილი, გ. არადელ-იშხნელი, ცნობილი რუსი მსა-
ხიობები — ძმები ადელქეიმები და სხვ.

იქიდან წამოსვლისას, ზედ ალაგესთან გაიმარ-
თებოდა მოკლე, მაგრამ „მრავალმნიშვნელოვანი“
დიალოგი:

— მე მაქვს ერთი შუშა! — იტყოდა ელიოზ
სუციშვილი და მალლა ასწევდა საჩვენებელ თითს.
— ჩვენც ამდენივე! — მიუგებდა ვარდენის მე-
გობარი — მხატვარი ვიქტორ ცომაია ან ფოტო-
გრაფი დათიქო მხეიძე, გამოდებდნენ მკლავში
სელს იუზას, ვარდენსა და სხვა მსახიობებს და
გასწევდნენ მარჯვნივ — ცისფერი კაფისკენ, ან
მარცხნივ — ჭაჭვის ხილის ყურში, სადაც კი კარ-
გი და ნამდვილი „ხვანეკარა“ ეგულებოდათ იმ
დღეს. მოგონებები იქაც გრძელდებოდა...

როცა კომკაცშირის ადგილობრივმა ორგანიზა-
ცრამ ყოფილი კლასიკური გიმნაზიის ვრცელ დარ-

ჰანგბში ახალგაზრდობის კარნავალი მოაწყო, უ-
ზა გამოცხადდა პამლეტის კოსტიუმით შენიდტუ-
ლი: მაღალ-მაღალი, შავქუდიანი და შავ-ლიანდუ-
ანი, ოქროსკულულებიანი. თვალებს უშავდა ნიღბაზე
უფარავდა. მაინც იცნეს.

— პრინც, პრინც! — შესძახა „ზარია კოსტო-
კას“ მაშინდელმა ქუთაისელმა კორესპონდენტმა
მიშა დავითაშვილმა, რომელიც „პრესის მუშა-
კის“ სამოსით იყო კარნაველზე (ცცვა სხვადასხვა
გაზეთის ამონაჭრებისაგან შეკერილი მთლიანი
კოსტიუმი, მხარზე გადაკიდებულ თოფს—ხიშტის
მაგივრად — კალამი პქონდა წამოგებული). —
აქეთ მობრძანდით, ხელმწიფის შვილო!

იუზამ გრძელი ლაბადის კალთები მხარზე გა-
დიგდო, ნიღაბი შეისწორა და პამლეტივით გას-
ძახა:

— არა, აქეთ, აქეთ, ჩემო მიმინო! — და ჯგუფ-
ჯგუფად მდგარ ნიღაბოსნებს შეერია.

უივილხივილით გამოუდგნენ ახალგაზრდები,
მაგრამ იგი სადღაც მიიმალა. ელიოზ ხუციშვილმა
მის საძებნელად ამაოდ დაიხმარა ლადო ასათიანი
და გიორგი ნაფეტეარიძე, მაინც ვერსად იპოვეს.

1941 წლის ივნისში, სწორედ ომის დაწყებამ-
დე რამდენიმე დღით ადრე, თბილისში საგასტრო-
ლოდ ჩამოვიდა ქუთაისის თეატრი. დადგეს „მე-
ცე ლირი“, „გუშინდელნი“ და სხვა პიესები. თბი-
ლისმა მაშინ პირველად ნახა მეფე ლირი — ალექ-
სანდრე იმედაშვილი, ხოლო ედგარი იუზა იყო...

ჩამოსვლის პირველსაცე დღეს დავინახეთ შე და
ლადომ იუზა და მსახიობი ვარლამ ჩხილვაძე რეს-
თაველზე. იუზას სულ მთლად თეთრსპეტაკი, უმ-
ტვერო ტანისამოსი ეცვა, მკლავზე გადადედრულუ
რივე კიტელი და თავშიშველს ხელში კიბორჭა
საბიჯგელა ეჭირა. ახალგაზრდულად წელში გა-
მართული და თავაწეული, ისე ადგამდა გრძელ-
გრძელ ტერფებს, თითქოს აღმართში ადისო. ხა-
ლისიახად გამოიყურებოდა და ისეთივე შნოია-
ნი და ლამაზი მეჩვენა, როგორც მოწაფეობის
დროს მინახავს სცენაზე.

მოვიგონეთ 1933-1938 წლები და მასთან გა-
რარებული დღეები ქუთაისის თეატრსა და რედაქ-
ციაში. იმ კვირაში ომიც დაიწყო და გასტროლები
ნაჩქარევად ჩატარდა...

უფრო გვიან, 1943 წლის 19 მაისს, როცა ჩვენი
ნაწილი კრასნოდარის ერთ-ერთ განაპირა უბანში
იდგა, საველე ფოსტამ, ჩეულებრივად, იმ დღის
ულუფა წერილები და უურნალ-გაზეთები მოიტანა.
ერთ-ერთ კონვერტზე პეტრე ბახტურიძის ლამაზი
ხელი ვიცანი: გულთბილი სურვილებისა და მეგობ-
რული მოკითხვის შემდეგ პეტრე იტყობინებოდა:
„აქაურები ყველანი კარგად არიან. ოღონდ იუზა
უკვე ერთი თვეა, რაც ლოგინიდან არ ამდგარა. ამ
ასაკში ფილტვების სისუსტე აღმოაჩნდა. აბასთუ-
მანში ისვენებდა და მაინც მთლად დამდნარი ჩამო-
ვიდა. შენგან სალამს და მოკითხვას ყოველთვის გა-
დავცემ ხოლმე, რაც ძალზე სიამოვნებს...“

წერილის წაკითხვის შემდეგ გაზეთი „პომუნისტი“ გადავშალე და, როგორც ყოველთვის, მეოთხე გვერდს დავხედე (იქ ხომ ჩვენი ობილისის ყოველ-დღიური ცხოვრების საინტერესო ამბები იბეჭდებოდა!)... სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასშული სურა-თიდან იუზას სახე იღიმებოდა.

XII

„რეიდების“ დროს განსაკუთრებით უყვარდათ „მწვანე ბაზარში“ ჩამოვლა. შემოდგომის ერთ ოქრო-დღეს ერთმანეთს „გარდეკიდნენ“ ლადო, ლევან კიქნაძე და შალვა კოხოძე. ბაზარში იყიდეს ყურძენი, ვაშლები, სტაფილო (ეს ლადოს სანუკ-ვარი „ხილი“ იყო!) და ბულვარში სურათი გადაიღეს.

იმ დღეს ლადომ ჩვეულებრივად სამართებლით გადაიხოტრა თავი. ახლა შემოდგომის ბუზები არ ასვენებდნენ, მწარედ კბენდნენ და ამწარებდნენ. წამდაუწუმ იტყაპუნებდა თავზე ხელს და ბრაზობდა. სურათზეც ასე გაბრაზებული გამოიყურება. შემდეგ შალიკო კოხოძე დასცინოდა: — ასეთ ქოჩორს ამ ზამთრის პირზე ჭკვათამყოფელი კაცი როგორ შეელეოდაო. ლადო ეუბნებოდა: — საზამთროდ ახალი თმა ამომივა და თოვლი ვერაფერს დამაკლებსო.

მართლაც, იმ ზამთარში ისევ თავისი ქოჩორი ჰქონდა აჩეჩილი. ქუდს ყინვასა და ქარშიც არ

იხურავდა. თოვაში ბაში-აჩუქივით თავშიშველი რომ დადიოდა, თმას ჭირხლი ედებოდა და უღროვდ გაჭალარავებულს ჰგავდა, რამდენ სისარულს გრძნობდა, როცა თოვლი თმაზე აფნებოდა, ცვარ-ცვარად ალმასებივით გაბრწყინებული რჩებოდა ხუჭუჭებში და ციმციმებდა ელექტროშუქზე.

...შემდეგ მთავარი ქუჩით დაუყვნენ ძველ გიმ-ნაზიამდე. ჩვეულებრივად დაათვალიერეს ვიტრინები, სიყვარულით ხელი გადაუსვეს ახალდარგული ტუისა და დაფნის ბუჩქებს, ერთ ხანს შეჩერდნენ დიდი ნაძვის ქვეშ — შაღრევნის ჩინურ ვაზასთან, ლადომ „ჩვენი წყარო“ რომ შეარქვა, და იქვე ჩამწკრივებულ ჭაღრებზე ამოჭრილი ინიციალები ჩაიკითხეს. ლადოს უფრო მოსწონდა ერთ ხეზე ამოკვეთილი და უკვე შეხორცებული „ლა-ნა“ თუ „ნა-ლა“, კარგად აღარ მაგონდება. ჩემი ნამოქმედარია ეგ სისულელე, მოწაფეობის დროინდელი ხელოვანებაო, გაამხილა ერთხელ.

მალე გავიღნენ ქვემოთ და რიონის პირას, წითელ ხილქვეშ, აღმოჩნდნენ.

ჯაჭვის ხილიდან წამოსული მკვირცხლად მჩქეფარე რიონი ამ ხილთან უხვევს, აქ კარგა ხნით მდორდება და მის ღურლუც მორევში თითქოს მრუმე წევარამი ილანდება. შემდეგ მდინარე ისევ უხვევს, კალაპოტიც ფარტოვდება, უფრო ფონთხელი ხდება. დიდი ჭაღრის ახლოს, ოშროს ჩარდანის ძველთაძველ ბოძებთან, ისევ აჩქერდება და

გრიალით ეშვება თავქვე — უზარმაზარ სიპ ქვეჭს
შორის, რათა თეთრ ხიდთან კელავ დამდორდეს...
აქ, რიონის პირას, ყოველთვის სხვა გუნებაზე დგე-
ბოდა ლადო. ამბობდა: „ეს მთელ ჩვენს ცხოვრე-
ბას ჰგავსო“. ახლაც ლექსად წარმოორჟვა:

მდინარე მოჰვაეს ცხოვრებას ჩემსას,
მიმდინარებს და არ იშრიტება, —

ეს გიომ აპოლინერის სიტყვებია, გამოჩენილი
ფრანგი პოეტი რომ იყოო...

მაშინ თან დაპქონდა ფრანგი ლირიკოსების
ნაწარმოებთა კრებული, მათ ლექსებს „აბოდებდა“
და ლილინებდა.

მაგრამ, იმყამად, ქალაქი ურიონოდ დარჩა. რი-
ონჭესმა მიანიჭა ქუთაისს სინათლე, ხოლო წართ-
ვა მეორე თვალისწინი — რიონი. ახლა თეთრი
ხიდის მისაღვომებთან მხოლოდ ვებერთელა
წვეტიანი ქვები იყო აჩონჩილი.

— ხედავთ, დაიშრიტა ჩვენი რიონი! — გულის
ტკივილით წამოიძახა მან. — ვინ იყო ის „ვონე-
ბამახვილი“, ქუთაისი ურიონოდ რომ დასტოვა
აქამდე ველური ტახივით დორბლმორეული, მიე-
რექებოდა შავი ზღვისაკენ ხიდებს, სახლებს, აკვ-
ნიან ბავშვებს, წელმაგარი იყო და ადეილად ატა-
რებდა და მიამთაგორებდა ქუთაისილან ფოთამდე
ზურგზემოგდებულ ოქროსფერ ტალლებს. ახლა,
წელმოწყვეტილს, დამარცხებულს, წინანდელი
გოროზობა აღარ შერჩენია და კვლავინდებურად

შორიდან ველარ უკაპუნებს თავის ეჭვებს / ტკორ
ხიდს. ამომშრალ კალაპოტში ამოჩილა მ სიც ქვეჭ-
ზე ჩამოვჭდები ხანდახან და... რას ვხედავ? ვისმა-
უი მდინარის ნაცელად აქა-იქ დაწდგო ტბილებში
გოგო-ბიჭები ჰყუმბალაობენ და მის წყალს კოლო-
ბუზები დაბზუიან, — თითქოს ცნობილი ხალ-
ხური ლექსიდან ამოღებული სტრიქონები იყო ეს
სიტყვები.

XIII

არც ქალაქგარეთ ხეტიალს ვივიწყებდით: გე-
ლათი, გეგუთი, წყალტუბო, სათაფლია, რიონბესი,
მწვანე ყვავილა, ფერმა და ჭომა, სალორიის ტყე
და რამდენი იყო კიდევ, ახლომახლო მდებარე
ადგილი და სოფელი...

ელიოზი საბჭოთა არმიის ყოფილი მეთაური
იყო. ბუნებითაც სწრაფი და ყოჩალი. გვიძნელდე-
ბოდა მივყოლოდით მის მხედრულ ნაბიჯებს. ერთხელ გელათიდან არც მთავარი გზით წამოს-
ვლის ნება მოგვდა, არც მატარებლამდე მიგვაღწე-
ვია, — სოხასტერისა და ძეელი აკადემიის ნაშთე-
ბი რომ დავათვალიერეთ და გამობრუნებას ვაპი-
რებდით, მხარი აგვაქცევინა, დაეით აღმაშენებ-
ლის დროინდელი ქვაფენილით შიგ შუაგულ ტყე-
ში შეგვიყვანა და ეკალბარდებსა და ბზის ბუჩქ-
ნარებში უგზოუკვლოდ გვარბენინა ქუთაისის-
კენ. ძლივსლა ვეწეოდით შალვა კოხოძე და მე.
ლადო კი ძალზე ჩამოგვრჩია და, ჩვენზე უფრო

ზორბას, გაუჭირდა ხშირ ძეძვნარში გამოძროშა.
მაღალი და სოლო—სიარულში ვერ იყო ფეხმარდი.

შემდეგ, როგორც იქნა, გაღმა მხრიდან მოვალე
კით მოწამეთას და წყალწითელა გამოვტოვეთ, და კი
დოს ყიქინი კი საღლაც ზემოთ, ლიჭიანებში ის-
მოდა. ძლივს ჩამობობდა ფერდობზე, ყურსები-
დან გამოსულ მატარებელს მიუსწრო და შეუხ-
ტა. ჩვენ კი ფეხით განვაგრძეთ გზა. სასტიკი რეში
წამოგვეწია და დაგვასველა. როცა ქუთაისის ბალ-
თან ჩავიარეთ, ლადო იჯდა ჭადრის ქვეშ — მერხ-
ზე, დასისხლიანებული თითებით ეკლებსა და წაბ-
ლის ბურძგლებს იღებდა წვივებიდან. წეიმისაგან
მთლად გალუმპულები რომ დაგვინახა, ნიშნი მოგ-
ვიგო და შემოგვძახა:

— ო, თქვე სულელებო, სულელებო, მასე მო-
გიხდებათ! ამიერიდან თქვენთან წამომსვლელი არა
ვარო!..

...მაგრამ სათაფლიას მაინც ერთად ვესტუმრეთ
1937 წლის სექტემბერში.

დილა იყო მშვენიერი, როცა, თეთრამიწაზე
გადავლით, სკუპ-სკუპით შევუყევით სათაფლის
გზას. მაშინ იქ მანქანები არ დადიოდა. ურმით ჭიყ-
ჭიყს ფეხით სიარული ვამჯობინეთ და ელიოზი
კვლავ მეწინავედ გაგვიხდა...

ასეთივე მშვენიერი დილა იყო 1934 წლის მაი-
სის ერთ-ერთ დაუვიწყარ დღესაც. მაშინ სათაფ-
ლიაში მოეწყო დიდი მასობრივი ექსკურსია (ეს

ჩვენი მარჯვე კოლია ცხადაის ინიციატივა იყო
რედაქციაშ საექსკურსიოდ შეჰყარა ქუთასის მო-
წინავე საზოგადოება. აქ იყვნენ: მწერლები, მსა-
ხიობები, ურნალისტები, სტამბეკის მუშების ფულ-
ტურისა და განათლების მუშაქები, პარტიული და
პროფესიონალული ორგანიზაციების წარმომადგენ-
ლები.

ერთი დიდი ურმით აზიდეს საკმაო სურსა-
სანვაგე და, გამოქვაბულის, დინოზავრების ნაკ-
ვალევთა და მთელი ნაკრძალის დათვალიერების
შემდეგ, ზედ გამოქვაბულის შესასვლელთან, მწერ-
ნე მდელოზე — ღელის პირას გაიმართა სახელდა-
ნელო ბანკეტი. ასეთი დიდი თავურილობა ჯერ
არ ენახა ძველი სათაფლის მიღამოებს.

უსაზომო იყო პეტრე ჭაბუქიანის სიხარული.
იმ დღეს საბოლოოდ იჩქმუნეს და დაუფასეს ამა-
გი, საქვეყნოდ ცნობილი გახადეს მისი ღვაწლი.
მან ხომ პირველმა აღმოაჩინა გამოქვაბული, უშიშ-
რად შევიდა შიგ, და კაცთა შორის პირველმა იხი-
ლა ეს ზღაპრული სილამაზე!

მისი მოვლილი და გადარჩენილი იყო ირგვლივ
ასეულ პექტარზე გადაშლილი იშვიათი ხეებით,
ნადირითა და ფრინველით საგსე ნორჩი რყის ნაკ-
რძალი. დაბოლოს, მას ეკუთვნოდა მნიშვნელოვა-
ნი აღმოჩენა სათაფლის პლატოზე: დინოზავრთა
საიშვიათო ნაკადლევი...

რამდენი შრომა და გარჯა შეალია ყოველივე
ამას ჩუმმა და დაუღალავმა პეტრემ. რამდენი დევ-

ნა და დამცირება განიცადა ზოგიერთი უმეცარი და
უმაღური არაკაცისაგან! ერთ დროს ცილიც კი და-
სწამეს, ეს ნაფეხურები თავის ხელით ამოხსერა და
ახლა დინოზავრების ნაკვალევად აჟაღუბსწორი მაგი
რამ შემდეგ, როცა, იმავე პეტრეს ინიციატივით,
ათასწლეულობით დაზვინული მიწა გადაფხიყეს
და გააშიშვლეს კირქვიანი შრე, კიდევ გამოჩნდა
გადაშენებული ცხოველის რამდენიმე ათეული ნა-
კვალევი და მაშინ ყველაზე მიბრჭნილმა სკეპტი-
კოსებმაც კი გაქმიდეს ხმა....

მთელი ქუთაისის რჩეული საზოგადოება. თბი-
ლისიდან ჩამოსული ამხანაგები და ახლომახლო
სოფლების კოლმეურნები თითქოს საზეიმოდ შე-
იკრიბნენ აქ, გამოქვაბულის კართან. შიგნიდან კი
ათასხმოვანი ექო გუგუნითა და ზრიალ-ზრიალით
აბრუნებდა. გარეთ მყოფ მოზეიმეთა მჭექარე
მრავალუამიერს...:

— დასაბამიდან ეს იყო პოეტების სანუკვარი
ოცნება: აქოჩრილი ტყის პირას — მწვანეო მო-
ბიბინე მინდორი, ზევით — ლურჯი ცა, გარშემო—
წითელი დროშები, წინ — ღია ბუნებისკარი, აქ-
ვე — გაშლილი სუფრა და ირგვლივ — ამოერე-
ბული საქართველოს მზეჭაბურიბი და ლამაზები!—
აღტაცებით წამოიძახა აქ დამსწრე პოეტმა კარლო
კალაძემ.

მან ყველაზე მეტი ირჩინა იმ დოგეს სათაფლი—
ის ბუჩქნარებში, ყველაზე მეტი იხუმრა და ისი-

ამოვნა და ეს მისი ხუმრობა-ზალისი ჭაღოსაფიქ
გადაედო ყველას...

და აი, სამიოდე წლის შემდეგ, ტბლაჭ შეკრულ
დით სათაფლიისქენ, ახლა პეტრე „უპატრონო“
როდი იყო: ნაკრძალს მცველები დაუნიშნეს, მიმ-
სვლელთათვის სათაფლიაში ერთი პატარა სახლი
წამოდგეს და დღის წესრიგში უკვე იდგა: მისას-
ვლელი გზის გაკეთება, სინათლის გაყვანა, ნაკვა-
ლევის დაცვა...

როცა პეტრე ჭაბუკიანმა რკინით შექვედილი კა-
რი შეალო და ჩირალდნით შიგ შეგვიძლვა, დუმილი
და წყვდიადი იდგა სათაფლიის გამოქვაბულში.
რამდენიმე საფეხური ჩაეიარეთ, ბურუსი გაითან-
ტა და ქიმერებივით გამოჩნდნენ გოლიათური,
თავჩაჩქნიანი სტალაგმიტები. კიდევ რამდენიმე ნა-
ბიჭი და... ლადომ ვეღარ გაუძლო, გამოგვექცა.

— არა, ცოცხლად დამარხვა არ მინდა! მზეზე!
მზეზე მირჩევნია, წყვდიადი და სიბნელე არ მიყ-
ვარსო. — გვერდში მდგომ გრიშა იმეტაძეს ხელი
წავლო და უთხრა: — ზევით ავიდეთ, მთაზე! ერ-
თი საქართველოს გადავხედოთო...

მერე, გარეთ რომ გამოვედით, ზემოთ დინოზავ-
რების ნაფეხურებში ჩამდგარიყო, ფეხებს აზმა-
ნებდა და ლილინებდა: — აი, ზაზიმ ვარდი...ი, აი,
ზაზიმ ვარდიი...

გაილიმა და თქვა:

— ძალიან დიდრონები კი ყოფილან, მაგრამ
არც მე მაქვს ნაკლები ფეხები! ვერ წარმოვიდგენ.

რომ ერთ დროს ეს იყო ზღვის ნაპირი. ნუთუ
ოდესმე აქ დაალაჭუნებდნენ უზარმაშარი ურჩხუ-
ლები!.. მილიონი წლების შემდეგ ნეტავი კად და და და
ნება ჩვენი ნაკვალევი?

უფრო ზევით ავედით. კლდის წვერს გადავადე-
ჭით. ძირს გადაიშალა ვაკე იმერეთი, რიონის ატე-
ხილი ჟალები, გაღმა — ისევ იმერეთი, მარჯვნივ —
წარმტაცი გურია და, სულ ზევით, შორს — აჭარა-
ახალციხის ლურჯი მთები, აქა-იქ თოვლით ოდნავ
შევერცხლილი ტაფელვანი და ლამაზგორი.

ლადომ თვალი შეავლო კავკასიონის მწვერ-
ვალებს. მზის სინათლეზე თვალს სჭრიდა მათი ელ-
ვარება და სისპეტაკე.

— აი, ქუთაისზე გადმომხობილი ხვამლი, —
შესძახა მან. — იმ შავი მთის ძირშია ჩემი ბარდნა-
ლა! ახლა დახედეთ რიონით დასალტულ იმერეთს:
აქეთ წყალტუბო, ხომული, გუმბრინი, იქით —
რიონი, ვოდოვანი, ნაგარევი, ზემოთ ელავს გელა-
თი, შუაში გაწვდილა ჩვენი ქუთაისი, პირდაპირ —
ბაკისუბანი, უკანეთი, მესხეთი და, შორს, ერთმა-
ნეთზე მიჭრილ ამწვანებულ მთებს გადაღმა... ისევ
მესხეთი, დიდებული ძეელი მესხეთი.

უცებ, სულმოუთქმელად, ლექსი წარმოთქვა,—
ილიას „იანიჩარია“.

ელიოზს ცრემლნარევი ღიმილით აუციმციმდა
პენსნეს შიგნით შებუდებული თვალები და დუ-
დუნით გაიმეორა ერთი სტრიქონი:

„შენი რაა, რომ ამ ვენებ შემს დაძლიულობა ის
მიღეთსა!“

თითქმის ჩურჩულით წარმოთქვეუმცემულია
და თხელი პერიანგის სახელოებში ეს კუთხიული ტა-
გორ აეშალო და აეძაგრა შავი ბალანი მზისგან კა-
შანთულ გაეკაცურ მკლავებზე (ასე აებურძენა
თმა იმავე მკლავებზე ერთხელაც, როცა ზეინაბა-
სა და ოთარ-ბეგის დიალოგს უკითხავდა „ღალა-
ტის“ მეორე მოქმედებიდან პარმენ შელეგიას!).

ამ მომენტის მოსაგონებლად შემდეგ ლალოშ
დასწერა ლექსი. აქ იყო სათაფლია, დინოზავრები
და ქართველთა ნაფეხურები ძველს მიწაწყალზე.
ეს ლექსი არ დაბეჭდილა და არც მისი დედანია
დარჩენილი. მხოლოდ ქვემომოყვანილი ოთხიოდე
სტრიქონი შემორჩი ხსოვნას და ისიც, ალბათ, იმი-
რომ, რომ მას ხშირ-ხშირად იმეორებდა ელიოზი,—
რატომდაც ძალიან მოეწონა:

მინდა იქ ვიყო,
იმ მოებს ვადალმა,
ცრა მთას ვადალმა.—
იქაც ხომ ჩეენი საქართველოა!

XIV

სათაფლიიდან წყალტუბოში ჩავედით. ბანოჭის
გასაყართან ერთი დიდი სატვირთო მანქანა წამო-
გვეწია და მას შემოვუსხედით. ელიოზის წინადა-
დებით ქუთაისისკენ მატარებლით ვიმგზავრეთ. მას
უნდოდა გზადაგზა გეგუთის სასახლეც გვენახა, —

სურდა გაზეთისათვის რამე დაწერა ამ ისტორიუმ
ძეგლზე, მაგრამ ქარ-წევიმა წამოვიდა და ეს საჭირ
სხვა დროსთვის გადაიდო.

ლადოს დარჩა ერთი დაუბეჭდავი უნათავროვან
ლექსი, სადაც ნახსენებია: ზეცის სიფარსოე, ჭირის
ზუზუნი, ფოთლების თამაში, მთვარისკენ გაშლი-
ლი ბილიკები, თეთრქულა ღრუბლების ქარავანი,
ლექსის სიყვარული, სიხარული და ოღმაფრენა...

ლექსს ბოლოში აწერია: „ეს სტრიქონები დარ-
ჩეს იმ დღის მოსაგონებლად, როცა ვიყავით სა-
თაფლიაში 1937 წლის შემოდგომაზე და ვიმგზავ-
რეთ წყალტუბო-ქუთაისის მატარებლით ქარსა და
წვიმაში. ვუძღვნი პეტრე ჭაბუკიანს, ელიოზ ხუ-
ციშვილს, ნიკა აგიაშვილს, გრიშა იმედაძეს, შალ-
ვა კოხოძეს, პავლე ლომიძეს, დორიოთე ეგუტიძეს
და კიდევ ბევრ ვინმეს, ვინც ჩვენს შემდეგ ნახავს
ამ საუცხოო ადგილებს“.

XV

ქუთაისის ბალში, ერთი დიდი ჭადრის ჩეროში
მიმდგარ მერხზე, უყვარდა ლადოს ჯდომა. ამ
მყუდრო ადგილას დაწერა „ჩემი ქეეყნის ოქრო-
ყანა“, „ვენანის ქება“, „საგურამოში ხე არის ერ-
თი“, „ეძახის“ და „კოლხიდის“ პირველი თავები.
ამ მერხთან მჯდარი მინახავს იგი ხშირად ძველ
ურნალისტ-მწიგნობარ-მთარგმნელთან — დავით
მესხთან ერთად, რომელიც მხცოვანმა პოეტმა დო-
მენტი თომაშვილმა გააცნო მას. მესხთა განთქმუ-

ლი გვარის ამ უკანასკნელ მოპიკანს ძლიერ შევ-
ნოდა სადა ქამრიანი კოხტა ჩოხა-ახალუხა, თეთრ-
კუშტულიანი უღალი ქუდი და იმ ქუდის ფერულ
მომცრო წვერ-ულვაში. ფრიად ბრტყელსაცამი და
დარბაისელი დავითი დაუზარებლიან „მთაუზრინაშ-
და ლადოს თავისი დიდი ოჯახის ამბებს, აცნობდა
ამ სახელოვან დაძმათა დაუცხრომელი საქმიანო-
ბის ფაქტებს... ბევრ საინტერესოს იხსენებდა თა-
ვისი მდიდარი წარსულიდან. მოგონებებით ცხოვ-
რობდა თითქმის ოთხმოც წელს მიღწეული საყვა-
რელი მოხუცი.

ლადოს უნდოდა დაეწერა დიდი წიგნი „მესხე-
ბის ოჯახი“. ქუთაისში ყოფნისას, და შემდეგ თბი-
ლისშიც, აგროვებდა მასალას, ეცნობოდა სათანა-
დო ლიტერატურას, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შე-
ასრულა. მხოლოდ მისი უბის წიგნაკში არის რამ-
დენიმე ჩანაწერი ჩვენი კულტურისა და ხელოვნე-
ბის ამ თავდადებულ მოამავე ადამიანთა ყოფა-
ცხოვრებიდან. ესაა დავით მესხთან საუბრების
კვალი.

XVI

ერთხელ, ნაშუადლევს, როცა ძლიერ წვიმდა.
ფანჯრიდან სამგლოვიარო პროცესია დავინახეთ.
რედაქცია იმ წელს მაშინდელი პარიზის კომუნის
მოედანზე იყო მოთავსებული — საქალაქო საბჭოს
შენობაში — და ფანჯრებით ლიბკნეტის მოასფალ-
ტებულ ქუჩას გადაჰყურებდა თავიდან ბოლომ-
დის:

მიასვენებდნენ ვიღაც მოხუც ქალს. ყველა გამ-
ცილებელს შავ-შავი ქოლგები გაეშალა და ამ სამ-
ტიკ თავსხმაში გასაოცრად აუჩქარებელი ნაბიჯით
მიყვებოდნენ პირახდილ კუბოს.

თითო-ოროლას გარდა, ადამიანები არ ჩან-
დნენ, რადგან ზემოდან დავუურებდით მათ. მხო-
ლოდ ერთ მთლიან მასად თუ მორგვად ქცეული
და ერთმანეთზე დაუსრულებლად და მჭიდროდ
მიყრულ-გადაბმული, წვიმისაგან გაკრიალებული
უამრავი შავი ქოლგა, ტორტმანითა და ტაატით
მიიზლაზნებოდა ჩვენს ქვემოთ, შუა ქუჩაში, ჭია-
ყელასავით წაგრძელებული. ეს იყო რაღაც უჩვე-
ულო სანახაობა.

უცებ პროცესის ერთი პლაშჩიანი მაღალი კა-
ცი გამოეყო თუ ჩამორჩა. თითქოს თვით პროცე-
სის ამ მდორე მდინარემ გამორიყა იგი ქუჩის ნა-
პირას, და მისთვის ყურადღება აღარავის მიუქცე-
ვია. ფეხის თამაშ-თამაშით ტროტუარზე ავიდა და
ხან ერთი ხის ძირს შეეფარა, ხან მეორეს. იმ დუდ-
გა ხალხში, ალბათ, მარტო ის იყო უქოლგო. სხვის
ქოლგებს შეფარებული — უფრო გაწუწულიყო,
მეტი ვეღარ გაეძლო ქოლგებიდან ჩამონადენი წვი-
მისათვის და, ეტყობოდა, ახლაც წვიმას ემალებო-
და. ბოლოს „ტორგსინის“ მაღაზიის წინ მომცრო
აივანს შეაფარა თავი, მხრები შეიფერთხა, ნაწვი-
მარი ქუდი მოიხადა და მაგრად დაბერტყა.

— არიქა, გალაკტიონია, გალაკტიონი! — შეს-
ძახა იმ დროს ჩედაქციაში მყოფმა მამია ასათიან-
ს, ნ. ავიაშეილი

მა, სწრაფად დაეშვა კიბეზე და წამსვე ქუჩაში გა-
ჩნდა.

პარიზიდან ახლადდაბრუნებული, გალავტონ
ტაბიძე, თურმე, წყალტუბოში ისევნებდა, იმდედეს
ნაცნობი ქალის დაკრძალვაზე ქუთაისს ჩამოსუ-
ლიყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ რედაქტორის კაბი-
ნეტში იჯდა იგი განიერ დივანზე, საუბრობდა,
თავისებურად ენაწყლიანობდა და რედაქციის მუ-
შაკებს მოუთხრობდა და უზიარებდა პარიზის ამ-
ბებს.

წეიმა რომ შეწყდა, ქალაქის ბაღში მასთან და
იუზა ზარდალიშვილთან ერთად რამდენიმე მწე-
რალმა და რედაქციის თანამშრომელმა ფოტოსუ-
რათი გადაიღეს.

...როცა, ორმოცდაათიანი წლების დამდეგს,
გალაკტიონმა თბილისში, ბეჭდვითი სიტყვის კომ-
ბინატის კლუბში, თავისი ცხოვრებისა და შემოქ-
ნედების ამსახველი გამოფენა მოაწყო, და სახლი-
დან მოტანილი უამრავი მასალით აავსო და მორ-
თო დარბაზი, სტენდზე გაიელვა ქუთაისის ბაღში
იმ მოწყენილ დღეს გადაღებულმა ჩევნმა სურათ-
მაც. გალაკტიონი ყოველთვის გულდასმით აგრი-
ვებდა ყოველგვარ მასალასა და საბუთს და ქალალ-
დის უმცირეს ფარატინსაც კი არ ჰყარგავდა, თუ
იგი ოდნავ რაიმეთი მაინც იყო დაკავშირებული
მის ცხოვრებასთან... ამ სურათზე, ფოტოგრაფ და-
თიკო მხეიძის მიერ, გალაკტიონთან ერთად, აღმეტ-

დილი არიან იუზა ზარდალიშვილი, გიორგი ჯიპ-ლაძე, პარმენ შელეგია, მამია ასათიანი, ბონდო ე-შელავა, იროდიონ ხანთაძე, მიშა დავითაშვილი და სხვები. გალაკტიონშა იქვე ცალკე გადაწყვეტილება იყო: დგას ხის ძირში იგი, ჩვენი თაობის ყველაზე ხმამალი მომღერალი, და თითქოს უხარია, თავი რომ დააღწია იმ სამგლოვიარო პროცესის და იქვე, მასთან ახლოს, დგანან მისი პოეზიის თაყვანის-მცემლები...

საღამოს რესტორან „აზიურში“, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან, დაილია პოეტთა მეფის შემოქმედების სადლევრძელო. ითქვა, რომ ჩვენში — ცოცხალ პოეტთა შორის — მას გადალი არ ჰყავდა.

„ეს მართალია, — აღტაცებით წარმოთქვა იმ სუფრის თამაღამ — იუზა ზარდალიშვილმა, — დილია ჩვენი გალაკტიონი!“ და თავისი სიტყვა დაამთაყრა აკაკიზე ნათქვამი გალაკტიონისავე სტრიქონებით:

იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად,
ჩვენი ფიქრების სიღიადეში
ჩვენი სიზმრების ლურჯ ნიავჭარად!

ბავშვივით აღფრთოვანებულ-აფოფინებული გალაკტიონი სვამდა სამადლობელს, თავდავიწყებით ეხვეოდა იუზას და სახემლიმარე აკანტურებდა თავს:

— ვუყვარვარ საქართველოს... ვუყვარვარ ჟვე-
ლას — ჩემს ქუთათურ ძამიკოებს! — ამბობდა ის
და თვალცრემლიანი იყურებოდა სადღაც შორის,
ჩვენ თავებს ზემოთ.

მერე, უკვე დამით, როცა პარმენ შელეგიამ
მანქანაში ჩასვა იგი და, ისევ ამოვარდნილ ქარსა
და წვიმაში, წყალტუბომდის მიაცილებდნენ, გზა-
ზე არავისთვის ხმა არ გაუცია, გარინდებული იჭ-
და საჭესთან, ჩვენი რედაქციის შოთერ გოგი ვარ-
ძიგულოვის გვერდით, და გაძყურებდა ლვართვა-
ფით წალეკილ შარას, დროდადრო რომ გაიელვებ-
და ღამეში მანქანის ფარების შუქზე.

გუდრონირებულ გზატკეცილზე მიჰქროდა
ჩვენი მკვირცხლი „გაზი“. სასტიკი ქარი ტყვიასა-
ვით უშენდა მანქანას წვიმის მსხვილ-მსხვილ წვე-
თებს, თითქოს შრაპნელით უცხრილავდა თხელ
ფერდებს და აგლეჭდა ბრეზენტის მსუბუქ სახუ-
რავს: გალაკტიონი კი ყურს უგდებდა ქარწვიმის
სტენასა და ხმაურს, ხანდახან ხელის აქნევით,
თითქოს რომელილაც უცხო ენაზე, ჩვენთვის გაუ-
გებარი სიტყვებით, წამოილილინებდა რაღაცას და
ისევ დუმდებოდა.

პარმენ შელეგიამ წაიჩურჩულა: ნახეთ, გალაკ-
ტიონი ახლა თავის სტიქიაშია შესული. ჩვენი ალა-
რაფერი ესმის. ამ წუთს მხოლოდ ეს შავად მღელ-
ვარე ბნელი ღამე, ქარი, წვიმა და მანქანის ეს თავ-
აწყვეტილი სრბოლაა მისთვის მთელი პოეზია და
ცხოვრებაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისის თეატრის
გამართულ საღამოზე გალაკტიონმა წაიკითხა „მთა-
წმინდის მთვარე“, „ჩვენ, პოეტები საქართველო-
სი“, „პოეზია, უპირველეს ყოვლისა“ და რამდენიმე
ნიმე ახალი ლექსი, რომლებმაც შემდეგ შეადგი-
ნეს, ერთი მთლიანი ციკლი „შორი გზები მოვია-
რე“. ეს იყო პარიზის მსოფლიო კონგრესზე ყოფ-
ნისას პოეტის დაქვირვებული თვალით დანახული
ამბები და იქ მიღებული შთაბეჭდილებები.

საზოგადოების თხოვნით ამ ლექსებს მიაყოლა
„წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქართ“.

ეს უკანასკნელი, თითქმის თხუთმეტიოდე წლის
წინათ დაწერილი ლექსი, ახლა თითქოს ეხმაურე-
ბოდა და იგონებდა იმ დღეს, როცა აეტორი
ჩვენს რელაქციას ეწვია და მერე წყალტუ-
ბომდის მივაცილებდით ქარსა და წვიმაში...

ლადო ასათიანს გამორჩა ეს ამბები. შეუძლოდ
იყო და იმ კვირაში სახლიდან არ გამოსულა. ასეთ
შემთხვევას კიდევ რამდენიმე წელი უნდა ველო-
დოო, — წუხდა და ნანობდა მერე.

XVII

ლადომ იცოდა წიგნების ამოჩემება. ხან სტენ-
დალის „წითელი და შავი“ ეჭირა ხელში, ხანაც
„ქართლის ცხოვრება“, ან თედო უორდანიას „ქრო-
ნიკები“. ერთ ხანს სულ მ. ჯანაშვილის „საქარ-
თველოს ისტორიის“ ქრონოლოგიურ ტაბულებსა

და რუკებს ჩაპირკიტებდა და თანმიმდევრულად
იცოდა: რამდენი ვახტანგი, რამდენი დავითი, კონ-
სტანტინე, გიორგი თუ ალექსანდრე რყო ბაგრატი-
ონთა სამეფო სახლში. ამ მხრივ მარტო გორგი
ნაფეტვარიძე თუ შეეცილებოდა, — მასაც, ლა-
დოსავით, უყვარდა ქველი საქართველოს ამბები.

ბოლო დროს ლადო უბით დაატარებდა ტიციან
ტაბიძის ლექსებს.

მე იგი მიყვაჩს, ვისაც უყვარდა
თაეისი ქვეყნის ხალხი და მიწა,
ვისაც სახელი შორს გაუვარდა,
ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა, —

შემდეგ დაწერილი ეს სტრიქონები უდროოდ და-
ლუპულ ტიციანზეა ნათქვამი.

— ადამიანს ყველაფერი უნდა, მთელი ქვეყა-
ნა, — მითხრა ერთ დღეს. — ვიწრო და ცოტა არ
ყოფნის, სულს უხუთავს. ამას — წიგნებში ამო-
კითხულ სიტყვებს გეუბნები, მაგრამ ჩემი ნათქვა-
მივით მგონია. უკეთესს მე ვერ ვიტყვი. შევიძინე
მომზენი და პიბონი, პლუტარქე და ფუკიდიდე, —
რომი და საბერძნეთი ჩემია მთელი სიგრძე-სიგა-
ნით. მშენიერია პლატონის დიალოგები, მიტაცებს
სოქრატეს უკანასკნელი ლამე, მომხიბვლელია დი-
ოგენის ახირებული ცხოვრება. „დანაშაულისა და
სასჯელის“ კითხვის შემდეგ ველარ დავიძინე. საბას
ლექსიკონს პოემასავით ვკითხულობ. ეს წიგნები
ამომათავებს და ბოლოს მომიღებს. თითქოს ჯარ-

ჯარად შემომესიერი: მეფისტოფელი — შეუნის
მნგრეველი და კაცობრიობის მტერი, ყველაფერში
ცუდს რომ ხედავს, პამლეტი — გაუბედავი და
მართლა ბრძენი სულელი; უოველთვის ხაყვარე-
ლი და საბრალო დონ კიხოტი; მაგრამ ყველას შირ-
ჩევნია... არ გაგიკვირდეს: ჩეენი ხევისბერი ვოჩი!
ისტორიული გმირებიდან — დიმიტრი თავდადე-
ბული.

ერთ ზამთარში სულ ედგარ პოს, შელისა და
ვერლენის ლექსთა წიგნებს კითხულობდა. ჭიბე-
ებში ხელჩაწყობილი, იღლიაში ამოდებული წიგ-
ნით, ყელზე კაშნეშემოხვეული და თავშიშველი,
დადიოდა ქუჩებში და ნელი ხმით, მარცვალ-მარ-
ცვალ, ღიღინებდა საყვარელ ავტორთა ლექსებს.
ამისთვის იგონებდა სხვადასხვაგვარ საკუთარ მო-
ტივს, ერთ ხანს სულ აკაკის ლექსებს იმეორებდა,
სხვა დროს — ბარათაშვილის „შევიშრობ ცრემლ-
სა“ და „დამქროლა ქარმან სასტიკმან“. ჩამდენი-
მე კვირას რუსულად, თითქმის სრულიად უმოტი-
ვოდ, ღუღუნებდა ბლოკის სტრიქონებს:

Ночь, улица, фонарь, аптека,
Бесмысленный и тусклый свет.
Живи еще хоть четверт века,
Все будет так—исхода нет!
Умрешь—начнешь опять сначала
И повторится все как встарь:
Ночь. ледяная рябь канала,
Аптека, улица, фонарь.

ლაცულია ქალალდის ფურცლები. სადაც კულტურული კონკრეტული ხელით რამდენიმეჭრაა გადაწერალი ეს ცნობილი ლექსი. „წითელი და შევრეტრუტტენ მოჩნდა ქუთაისში, ხელიდან აღარ წატაცებული რუსულადაც წამიკითხავს, მაგრამ — როცა ფრანგული არ იცი კაცმა, უმჯობესია — ქართულად წაკითხოო, — ამბობდა იგი. ამ დროს ეკუთვნის შ. ქოხოძისაგან ლადოზე ხუმრობით თქმული:

ულზე გაქვს კაშნე აქლემის ყელის,
ჭიბეს გიშეყვია ორივე ხელი,
იღლიაში კი — პოე და შელი,
ხარ შენ ეული, გიე და ხელი,
ლადიმიეა შენი სახელი!

1940 წლის 9 აპრილს ქობულეთში გადაღებულ ფოტოსურათზე მას, მართლაც, ჭიბეში უწევია ორივე ხელი და — თავშიშველს — აქლემის ყელის ბეწვისაგან მოქსოვილი კაშნე მოუხვევია კისერზე. მხოლოდ იღლიაში არა აქვს არც ერთი წიგნი.

ლექსის წერის დროს არ მინახავს სერიოზულად დაფიქრებული. ყოველთვის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. დასწერდა სტრიქონს, გადაშლიდა, კვლავ გადასწერდა, წაიკითხავდა და თუ მოეწონებოდა, თავისებურად ჩაიქირქილებდა, ან ჩაიღიღინებდა, რალაც გულჩათხრობით, ბავშვეური ტკბილი ხმით ჩაიღულუნებდა მთელ ბწყარებს, თან ცეცხლს აკვესებდა თვალებიდან. უხაროდა ლექსის წერის პროცესი.

ტოლ-მეგობრებთან ყოფნისას არასოდეს / მო
წყინდებოდა პოეზიაზე საუბარი და ამხანაგ პო-
ეტა ლექსების კითხვა. საკუთარ ლექსებს ძნე-
ლად კითხულობდა, კარგად არ გამოტანილა. თამ-
ვის თავზე დიდი წარმოდგენის არ იყო, მაგრამ
მაინც ამაყად იცოდა თქმა: „ერთ ხანს ვწერ, ვიცი,
ბევრი კარგი რამ გამომივა, თუ არადა... ზოგიერ-
თივით მწერლობას არ შევაბერდები, არ ჩავაფრინ-
დები ამ ლიტერატურას ისე, როგორც ეგნატე ნი-
ნოშვილის ივანე — ტივის ხეს პალიასტომის ტბა-
ში. ისე კი ბევრი რამ მაქვს სათქმელი, საოცნებო
და გასაკეთებელი. მინდა ერთი კარგი წიგნის ავ-
ტორი მაინც ვიყო. „ასათიანური“ უნდა დავარქვა
და შიგ ჩავწერო ყველაფერი ლექსად და პროზით“.

VXIII

ქუთაისის გაზეთის 1936 წლის 5 მაისის ნომერში
მოთავსებულია ლადო ასათიანის პატარა წერილი
„ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო!“ აქ-
ვეა დავით მხეიძის მიერ გადაღებული მისი ფო-
ტოსურათიც. ესაა ლადოს პირველი სურათი —
საერთოდ — ჩვენს პრესაში მოთავსებული.

„პირველად ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვი-
გრძენი დაბეჭდილი სტრიქონების ეშხი, — წერს იგი,—
და დღეს, როცა ბოლშევეიური პრესის ოცდამეოთხე გა-
ზაფხულთან ჩემი ცხოვრების მეცხრამეტე გაზაფხულიაც
ვწევიმობ, არ შემიძლია სიყვარულითა და ჯერ არგანცდი-

ღი აღტაცებით არ მივესალმო ბოლშევიკური პრესის წარმატებას, გავიარ თაობას. და განა სასიხარულო არა? განა უძება ერუანტელის მომგვრელი არაა, როცა შენი ლექსები და ლით შენზე უფრო აღრე გამოვლენ და მეტე საჯო? ყველა ლებით შემორკალულ ინდუსტრიულ ჰალაქშის მე უს სასიხარული განვიცადე, მე ამ სიხარულს კიდევ განვიცდი. ეს სიხარული და აღტაცება შენ მოიტანე ჩემთვის, ჩემთ გაზეთო, და ამიტომ ეს სიტყვაც შენი დღეგრძელობისა და შენი გამარჯვებისა იყოს!

მოხდენილად უთქვაშს ერთ მწერალს: აჩებობს ღრმა სიხარული და ღრმა სევდა. ასეთი სიხარული და ასეთი სევდა უტყვიაო. უკანასკნელზე რა მოვახსენოთ, ხოლო პირველს (ღრმა სიხარულს) ახლა განვიცდი, მამუნჯებს ეს სიხარული, მაგრამ მაინც ვმდერი და როგორ არ ვიმდერო, როცა.

ზევით ცა მხურავს კრიალა, ლია,
ირგვლივ მთებია მკერდდაგლეჭილი.
ჩემი სამშობლო იალალია,
ზედ საამური ხარობს ჭეჭილი;
და თუ მთაწყდა მტერი იალალს,
ვერ შეძლოს გულმა ბოლმის დატევა,
მოვიხმარ ლექსებს, როგორც იარალს,
მოვიხმარ ლექსებს, როგორც სატევარს!

შემდეგ ამ წერილისა და ლექსის ავტოგრაფი გადმომცა ჩვენი კომკავშირული პრესის ძეველმა მუშაკმა და უურნალისტმა, ლადოს მეგობარმა — რაედენ გაბეჩავამ წარწერით: „თუ ამ წერილის ავტორს თაობები შეინახავენ, შეცდომა არ იქნება, თვით წერილი სანდო არქივს ებაროს“.

ქველი უურნალისტი ელიოზ ხუცი მვილი ჩვენი რედაქციების დაუღალავი და გამოცდილი მუშაკი იყო. სად არ წავიდოდა იგი კარგი საგანგეთო მასალისათვის. მისთვის სულ ერთი რყო დაოსა და ავდარში ფეხით თუ მატარებლით, ცხენით თუ ეტლით მგზავრობა, ოღონდ რაიმე „საკბილო“ მოეგდო ხელში. ერთხელ მთელი საათობით აწკრიალებდა ტელეფონის ზარს, მაგრამ ვერაურით დაუკავშირდა წყალტუბოს, რაღაც ცნობა უნდოდა გაზეთისათვის. კოკისპირული წვიმა იყო და „ქუთათური“ ქარი მიწაზე აფენდა ხეებს. ხაზი არ მუშაობდა. ხმაამოუღებლად წამოდგა ელიოზი და... ყველას ეგონა, მეორე ოთახში გავიდაო. მაგრამ, როცა ისევ მალე შემოიჭრა — მთლად გაწუწული და თვალებგაბრწყინებული, მიხედნენ, იმ თავსხმაში წყალტუბოში გაქცეულიყო მასალის მოსატანად.

მეორეჯერ, როცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მიმდინარეობდა და ამისთვის სპეციალური ნომერი მზადდებოდა, ელიოზმა მზა მასალა რედაქციის მდივანს მაგიდაზე დაუწყო და გვითხრა:

— აბა, თქვე... გიუებო, უჩემოდ არ მოიწყინოთ. ახლავე მოვალ. აგერ საღვურისაკენ გავისეირნებ, ვნახავ, როგორაა საქმე...

მალე აწკრიალდა ტელეფონი და, ელიოზი რეკავდა... მესტიიდან ეს იყო სარეკორდო ამბავი

ჩვენს მაშინდელ რეპორტიორულ პრაქტიკაში, ის
ნომერში მესტიიდანაც მოთავსდა ელიოზის მშებ
სასწრაფოდ მოწოდებული მასალა-დოკუმენტები.
ზოგი იმავე სალამოს სტამბაში თავს დატერიფიცირებულ
გაზეთს. პირდაპირ გაჭირვების ტალკვესი იყო
ჩვენი ყოჩაღი ელიოზი!

ლადოს უბის წიგნაკში შემონახულია ერთი ჩა-
ნაწერი ამ შემთხვევის გამო:

ხომ ყოფილა ელიოზი
მენ საქმე ჰქენა ბლესტიაში...
წამს გაფრინდა მესტიაში,
ვენიოსზე გენიოსი?

XX

1936 წლის ზაფხულზე ლადო რამდენიმე ხნით
თავის საყვარელ ბარდნალაში წავიდა. ხშირ-ხში-
რად აგზავნიდა ლექსებსა და ბარათებს. ძალიან
უყვარდა წერილების ლექსად მოწერა. ერთი ასე-
თი წერილი გამოგზავნილია 1936 წლის 23 ივლისს,
სადაც მისთვის ჩვეული პუმორითაა შეზავებული
სტრიქონები:

მთაში წვიმს და გარს მარტყია დარწეული ნისლის აფრა,
მოდის ჩემთან შენი სახე, ასე ტებილად, ასე მძაფრად.
მთაში წვიმს და თხმელის შქერში შავი შაშეი მღერის წყნარი.
შენ მოდიხარ, ლხენით ხელს შლი, გხიბლავს მთა და
ცხენისწყალი.
გუშინ მთილან ნისლის ფთილა გადმოფრინდა იმერეთში,
მას სალამი დავაბარე შენთან, ჩემი მძიმე ლექსით.

თუ მოვიდა? მოვიდოდა, რა ეშმაკი დაუშლიდა
და მეგობარს, მასწავლებელს, ლხენით მელავებს გაუშლიდა.
სალამი და გამარჯობა ქუთაისის ქუჩის პალმებს,
სალამი და გამარჯობა: გოგის, პეტრეს, პლატონს, პარმენს,
და პოეტებს ქუთაისის — „ჩამაის“ და „ჩიტაუ“ რიცხვთა,
მელანდება, მაქ ერთ-ერთი დამზარა და რითმებს ითვლის.
პარმენს სთხოვე, მაპატიოს, რომ იმ მწერიცში ბოლოს მოხვდა.
ეს, ძეირფასო მეგობარო, რითმისათვის მარცხად მოხდა.
ელიოზს! კი... ვერ მოვაწყვე. სულ რითმების გაღმა რჩება,
გთხოვ, გადასცე მას ულექსოდ სალამი და გამარჯევბა
სხვა... როგორ ვარ? — არა მიშავს, ვწერ, ვკითხულობ.

ეთარგმნი პუშკინს,

ერთი ლექსიც მიუუმატე ჩემს „პოეტურ მარაგს“ გუშინ.
მითხარ, გოგიმ ჩემი ლექსი თუ გადასცა მემანქანეს?
თორემ მოვალ აგვისტოში, ძმაო ნიკა. მე მაქანე,
ბასრ სატევარს დაეიყიდებ და „მტრისაკენ“ შევაქანებ.
და ვუგზავნი გოგის „იმ“ ლექსს. წაიკითხეთ. ჩემო ნიკო,
თუ რაიმე ეკუთვნოდეს, თუ რაიმეს ლირისი იყოს...
შენ საბაეშვილ ლექსს გიგზავნი, გაუგზავნე ივი მარგოს 2,
იქნებ უურნალს გამოადგეს. დაბეჭდოს და რამე არგოს.
სხვა. რაც კაცის გულში არის, ისე მალე ვინ აჩვენოს?
კარგად იყავ და. რაც გთხოვე. შემისრულე. ნიკა ჩემო.
შალიკოსაც 3 მიესალმე. ჩვენთან ხშირად მოსალილეს,
ალბათ ახლა, უჩემობით, ზის და ცრემლით ჰმოსავს დილებს...

1 აქ მოხსენებული არიან ჩედაქციის მაშინდელი მუშა-
კები: გიორგი ჭიბლაძე, პეტრე ბახტურიძე, პლატონ გულუა,
პარმენ შელეგია და ელიოზ ხუციშვილი.

2 მარგო თომაძე — მწერალი და კომედიისტი
პრესის ძველი მუშაკი. იმეამად უურნალ „პიონერის“ ჩედაქ-
ტორი.

3 შალიკა კოხოძე.

წერილს თან ახლდა ლადოს მიერ ნათარგმნი მამინ-სიბირიაქის „ემელია მონადირე“, პუშკინის რამდენიმე ლექსი („მე და შენ“, „გამოლვიძება“, „ბოშები“) და მისივე მოთხრობები ჩატბუქერის და „საღვურის ზედამხედველი“.

ეს თარგმნილი ნაწარმოებები არსად არ დაბეჭდილა. ხუთი მათგანი ინახება ლადოს ქაღალდებში, „ქარბუქი“ კი არსად ჩანს.

XXI

ბოლო ხანებში ლადო ასათიანს ძლიერ გაუჭირდა ცხოვრება. ზოგიერთმა ვერ გამოიჩინა მისაღმი გულისხმიერი დამკიდებულება. ბევრი ამხანაგისაგან დააკლდა მას დროზე ნათქვამი ალერსიანი სიტყვა, მორალური მხარდაჭერა, მეგობრული დახმარება.

ამის წინა წლებში ვანიონ დარასელი და მამია ასათიანი იყვნენ მისი ქომაგები, — დიდად უწყობდნენ ხელს და ეხმარებოდნენ ნიჭიერ ახალგაზრდას. ლადოს ყოველი ლექსის წაკითხვის შემდეგ მამია ასათიანი მუღამ ხალისითა და ვაკაციურად აბიჯებდა ფეხს მიწაზე და ცას შეჰაროდა ალტაცებული.

მაგრამ 1935 წლის შემოდგომიდან ვანიონ დარასელი „ქართველი ჩაპაევის“ კვალის საძებრად გაემართა და გზადაგზა, გემ „საქართველოს“ ბაქნიდან, უცნაურად გრძელ-გრძელ და საქართვე-

ლოს მონატრებული ალერსით სავსე წერილებს
სწერდა ბონდო კეშელავას, პარმენ შელეგიას,
პეტრე ბახტურიძეს და სხვებს. მეტად მომსიმუში
ლელი და სახალისო იყო ვანიონის მოგზაურობის
ამბავთა კითხვა. ამ ბარათებში ერთმანეთს თან-
მიმდევრულად ცვლიდნენ ქალაქები: სოხუმი, გაგ-
რა, ტუაფსე, ნოვოროსიისკი, ფეოდოსია, სევასტო-
პოლი, ევპატორია, ოდესა, კიევი და... ბოლოს,
როსტოვი. ყველა ქალაქი რაიმეთი თავის საყ-
ვარელ ქუთაისს აგონებდა ვანიონს; იგი როსტო-
ვის პედინსტიტუტის ლიტერატურული ფაკულტე-
ტის სტუდენტი გახდა და თავდადებით აგროვებ-
და მასალას ვასილ კიქვიძეზე...

ლადომ ნაწილობრივ თავი მიანება რედაქციაში
სიარულს და უპატრონო ბავშვივით მთლად ბედის
ანაბარა გახდებოდა, მაგრამ კიდევ ჰყავდა გულ-
შემატკიცრები — სტუდენტობის ამხანაგები: შო-
თა ქურიძე, ლევან კიქნაძე, მიშა ალავიძე, გიორგი
შალამბერიძე, ნელი დუმბაძე, მარო ტრაპაძე,
ქეთო და ზინა ხონელიძეები, ბესო ზონენაშვილი,
მარო ბარჯაძე, იქვესენტი მიშველაძე; პოეტები:
ბონდო კეშელავა, გრიშა იმედაძე, გიორგი ნაფეტ-
ვარიძე; რედაქციიდანაც ხელს უწყობდნენ: რე-
დაქტორი პარმენ შელეგია, გიორგი ჭიბლაძე, პეტ-
რე ბახტურიძე. განსაკუთრებით უყვარდათ და
კარგი ამხანაგობა გაუწევიათ მისთვის შალვა

ლოლობერიძეს, შალვა კოხოძეს და გიორგი ნაცარე-
ვარიძეს. უკანასკნელი პირდაპირ აღმერთებდა მას-
ზე ორიოდე წლით უფროს მეგობარს, — ბავშვი-
ვით შეჰვითოფინებდა თვალებში. ბევრჯერ მინა-
ხავს ორივენი „ცისფერ კაფეში“, მაგიდასთან მიმ-
ჯდარნი, გულჩათხრობილად მოუბარნი პოეზიასა
და „სხვა საოცრებაზე“. როგორი ხალისით და
სიყვარულით აწოდებდნენ ერთმანეთს პურ-მა-
რილს, სთავაზობდნენ სასმელს და შეექცეოდნენ
მეგობრულად

XXII

გიორგი ნაფეტვარიძე ყოველთვის მოქრძალე-
ბული იყო უფროს ამხანაგებთან და თანატოლებ-
თან საგულიგულო საუბარი უყვარდა. მის თაფ-
ლისფერ თვალებს, როგორც საერთოდ იციან
თქმა, თითქოს დაპერავდა აუხდენელი ოცნების
იერი, კვალი თუ ნიშანწყალი. კაი დარდიმანდი
და თმაქოჩირა ბიჭი იყო და ლიმილიც შვენოდა
და დაფიქრებაც ოდნავ ნაყვავილარ სახეზე.

ვანის დაბურულ ტყეებსა და რიონის ჭალებში
თავისუფლად გაზრდილი და სკოლის მერხიდან ახ-
ლადწამოფრენილი მოვიდა იგი ქუთაისის პედინ-
სტიტუტში. იქ დაუახლოვდა ლადო ასათიანსა
და მის ამხანაგებს.

„ქუთაისში, ყვავის ბუდეში, მოპოეტო ბა-
ხალას“, — ხუმრობით სწერდა ის ლადოს თავის
„მისამართს“ 1938 წლის 28 სექტემბერს თბილის-

ში. ორივეს უყვარდათ ქუთაისი, მათი სტუდენტობის დროს იყვანი, იქ პყავდათ ბევრი მეგობარი.

როგორი მტკიცე ჩრდენით მიმართა გ. ნაფატიშვილი ვარიძემ თანაკურსელებს 1939 წელს, წერილის გვერდზე:

დარცეავს უამი, ჭალაროსნები
კვლავ შევიურებით მშობელ მიწაზე...
ჩვეულ ხალისით, ჩვეულ თცნებით
კვლავ სტუდენტობის დრო გაგეოტაცებს.

მაგრამ „მშობელ მიწას“, ე. ი. ქუთაისს, ის იღარ დაბრუნებია. თითქოს თავისთავზე თქვა წინასწარ, 1938 წელს:

ბევრი წასულან ჯარისკაცებად,
მაგრამ ცოტანი დაბრუნებულან...

ნშირად გამიგონია მისგან ღილინით თქმიული:

ძნელია მოკედეს ვაჟაცი,
უდრიოდ დაიკარგოსა,
მისი კოკობი ულვაში
მიწაში ჩაიმარხოსა...

ორივემ საყვარელ სასაუბრო ხაგნად გაიხადეს პოეზია და ლექსები, კირგი ლექსები. გ. ნაფატეარიძემ ნახა „სიტყვა და საქმეში“ დაბეჭიდილი გრიგოლ აბაშიძის „Rot Front“, და შემდეგ სულ იმეორებდა:

თავები, მარად კეთილშობილი,
სიმღერით ივლენ სისტემულის, —



ურუცნული

— აი ეს მესმის! ხომ ვაჟკაცუტოდ? [ურუცნული] ყანას დასჭირდება, ჩვენც ასე მოვიქცევით, — ა-
ბობდა ის აფრთოვანებული. ახალგაზრდა პოე-
ტებიდან მაშინ უველაზე უფრო მათ გ. აბაში-
ძე მოსწონდათ. ლადო ასათიანმა „მნათობის“
ურთ-ერთ ნომერში წაიკითხა მისი პოემა „უკანასკ-
ნელი ხატისკაცი“, .ბევრი ადგილი ზეპირად ის-
წავლა და ძლიერ უნდოდა ავტორის გაცნობა. ეს
ქუთაისში არ მოხერხდა და მნოლოდ თბილისში
გადასვლის შემდეგ შეხვდა იგი გრიგოლ აბაშიძეს.

როცა 1938 წლის ზაფხულშე მოსკოვში მყოფ
გ. აბაშიძეს კოლექტიური წერილი გაფუგზავნეთ
„ჩვენი თაობის“ რედაქციიდან (წერილს ხელს
აწერდნენ ირაკლი აბაშიძე, ალექსი გომიაშვილი,
დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი ნატროშვილი და
სხვები), კონვერტშე წასაწერად ლადო ასათიან-
მა დამიწერა შემდეგი ლექსი:

კონვერტი ესე, გამთბარი საქართველოს მხით,
ქალაქ მოსკოვში — პირდაპირი გზით, —

გრიგოლ გრიგოლის აბაშიძეს

(თეითონ წერილები ამაში ქვეს!).

თუ გარგოლეს, წაიკითხე, აბა სინჯე!

წერილს გიგზავნით სპეციალური ელჩით,
მიერთეს ჩვენს გრიშას საკუთარ ხელში!

„სპეციალური ელჩი“ იყო პოეტი გიორგი /ქავა/ ლანდაძე. იმ დღეებში მოსკოვს გაემგზავრა და წერილიც მას გავატანეთ „პირდაპირი გზით“.

რა გატაცებით და ინტერესით უგდებდნენ რასი-ნი ყურს უფროსი თაობის ამხანაგთა ნაამბობს. განსაკუთრებით მოსწონდათ „ჩვენი ყოველთვის დინჯი, მაგრამ მუდამ ჩახმახივით წკიპხე შემდგარი და ვაჟკაცურად ლამაზი პეტრე ბახტურიძე“ (ეს ბოლო ფრაზა ლადო ასათიანის უბის წიგნაკიდანაა!), და მასთან საუბარი. მისგან აროდეს თაკილობდნენ რჩევა-დარიგებას.

ტყუილუბრალოდ არავის კადრებდნენ ერთ შებრუნებულ სიტყვასაც კი, მაგრამ თუ რაიმე სასაცილოს შეამჩნევდნენ ვინმეს, დაუნდობელნი იყვნენ, მათი ქილიკი ენა ბევრს მოხვედრია შოლტივით.

ზოვი, რასაკვირველია, ვერ იჩენდა შესაფერ სულგრძელობას და არ მოსწონდა ნიჭიერი ახალგაზრდების უვნებელი ხუმრობა, თავმოყვარეობის შელახვად და ხანდახან მტრულ გამოხდომადაც მიაჩნდა ასეთი საქციელი. ამის გამო რამდენიმეჭერ უსიამოვნებაც კი მიაყენეს მათ, მაგრამ არავითარი მტრული და რომელიმე პიროვნების დამლუპეელ-შემბლალავი არ ყოფილა მათი მოქმედება.

ერთხელ ლადომ დაიჩივლა:

— თავშეუკავებელი ვარ. ხშირად დაუფიქრებლადაც წამომცდება რამე და შემდეგ, იმავ წუთს,

ვნანობ, რად მომივიდა-მეთქი, მაგრამ გდეანოდა.
 ამას წინათ ევგენი ფურცხვანიძეს ვაწყენიშე. რა
 ვერჩოდი! ერთი ალალ-მართალი და გულეკეთილი
 ადამიანია. მისი სოფლის სახელი — „შეკვერ“
 შემომიჩნდა, რაღაც ახირებულად მომეჩვენა, აღა
 მომასვენა და ცოტა გაეკენილე. არავითარი გასა
 ყოფი მასთან არ მქონია. პირიქით, პატივს მცემ
 და და ვუყვარდი კიდეც... პოდა, ბევრს საწყენად
 მიაჩნია, მაგრამ მე ალალი გულით... ან რითმისთ
 ვის, მივაყოლებ ერთმანეთს მოუფიქრებლად ენის
 წვერზე ნაუკბათევად მოსულ სიტყვებს და ხან-
 დახან კარგი ეპიგრამა გამოდის. ესაა და ეს. ამით
 არავის მტრობა არ მიფიქრია. ის კი არა და, ვინ-
 მემ რომ მაწყენინოს, მაშინაც მის წინააღმდეგ
 ხმას არ ამოვილებ, — წყნარად დუდუნებდა ის
 და სიტყვების აღმოთქმა უჭირდა, თანაც ხელების
 ფართო გაშლით თითქოს პაერს ეპოტინებოდა და
 ეშველებოდა სათქმელს.

სამაგიეროდ, როგორ უყვარდათ ყოველი მოს-
 წრებულად თქმული სიტყვა და ნაკვესი, ნიჭიერად
 შეთხზული, სხარტი ეპიგრამა. მასთან ძლიერ ეჯა-
 ვრებოდათ უწმაწური ანეგდოტები და უხამსი
 სიტყვა-თქმანი. როგორ ენიშნათ ორივეს და, მე-
 რე რა გულიანად იცინოდნენ, როცა რევისორმა
 საშა მიქელაძემ თქვა ქუთაისში ჩამოსულ ერთ-
 ერთ მწერალზე: მაგ ვაჟბატონი ჩემებურია, მამა-
 მისს კარგად ვიცნობლი, სამტრედიაში ფოტოატე-
 ლიე პქონდა, კლიენტებს წამდაუწუმ სხვადასხვა

პოზის ურჩევდა. შვილიც დღედაღიმ მამის ახლოს
ტრიალებდა და ცხოვრებასა და მწერლობრივი
პოზიორი გამოვიდაო.

ეროვნული

საბურგოს

XXIII

კარგად მახსოვს, თებერვლის ერთ საღამოს,
როცა ავტოისა და წევიმისაგან პირდაბანილივით
ცქრიალებლნენ ვარსკვლავები ქუთაისის ცაზე, წი-
თელი ხიდის მხრიდან სტამბას ლადო და გიორგი
ნაფეტვარიძე მოადგნენ. მზადდებოდა გაზეთის
მორიგი ნომერი. ლადომ სარქმელში შემოჰყო თა-
ვი და გადმომძახა:

— ვივა, აგია, როგორ მყოფობ? გამოი კარ-
ში, კარგ გუნებაზე ვართ! აღიდე ცხოვრების სი-
ხარული, რომ ყველა იყოს ბედნიერი, აღიდე ხა-
ლნის სიხარული... და ასე შემდეგ. ვისი სიტყვებია
ეს? არ იცი? არც მე ვიცი. უოლტ უიტმენის უნდა
იყოს, ხომ? ეს ვიოს (ასე ეძახდა ნაფეტვარიძეს)
უფრო ეცოდინება. მაგას უყვარს უიტმენი. ამას
წინათ უშიმერიონილან გადმოადგა თავზე ქუთაისს
და უიტმენის სიტყვებით ლალადებდა: „შენ, ჰეი,
ქალაქო, ოდესმე იქნები სახელგანთქმული და
ბედნიერი, რადგან მე შენთან ვცხოვრობდი და
ვიმღეროდი!..“ ახლა კი ეს არ მაინტერესებს, —
ჩემი ლექსი მანახე, რა ფერისაა, რა ხასიათზეა.
ცოტას შევასწორებ და, მერე კიდევ, რაღაც მომა-
გონდა...

იმ ნომერში იბეჭდებოდა ლადოს „იურა“
ლამთ აფხაზეთში“. მონაბეჭდი გამოვუტანე რა
ჩემს თთახში წავედით. ორივენი რალიკა შეკუთხებული
შებულნი იყვნენ. ლადოს ნახევრიდა შეკუთხებული.
ბოდა სახე და ცალ ყურჩეც ცეცხლი მოჰკიდებო-
და, მოძრავი და სწრაფი ნაფეტვარიძე ახლა უფ-
რით დადინარებული ჩანდა. ფერმურთალი ლოკები
შიგნიდან შეწითლებოდა და თეთრი-თეთრი კო-
ლებად ასხდა მეჩხერი ნაყვავილარი.

გზაზე შალვა კოხოძეც შემოგვიერთდა.

იმ ლექსის ანაბეჭდზე ლადომ სათაურს ზე-
მოთ ორთვერი ფანჯრით (ერთ მხარეს წაგრი წაუტ-
ყდა და აღარ წაუწვეტა!) შემდეგი წააწერა:

„იანერის უძილო და ქარიან ლამებში მე სიყვარული
და მოელიარება მომენაბრა, ჩემთ კარგო. დავიციშვილ ყო-
ველივე მქედებად და როგო აფხაზეთის შიწაზე დავადგა
ოქით. შენი ბაეშვერი სახე წარმომილგა თვალშინ. სიყვა-
რულზე გული ამიცრულედა წუთით და დევამიწა შეტორ-
ტმანთა ჩემს ფერსთით. სწორედ ამ დროს მოვითა ჩემთან
შენი სახე ისე მწყაზარი, ისე ნატიფი და მომთხოვა გა-
ზაფხულისპირის ტებილი სიმღერა. ჩემმა გრძნობებმა არ
დავათიქროს, ჩემთ კეთილო. გრძნობებვაძარცული შეე-
ქინ მე დღეს და ვდგავარ ისე, როგორც ტრამალზე
მიგარი ეტრხვი, მარტოოლენ ერთი, რტოებ და ფოთლებ-
შემოძარცული. ჩემმა გრძნობებმა არ დავათიქროს, ჩემთ
კეთილო, და ისე უბრალოდ მიიღე ეს მცირედი იმ აღა-
მიანისაგან. რომელსაც სიყვარული ენატჩება, მაგრამ არ
შეიძლია. გახატხული მუდამ აღელვებდა ჩემს გულს და
ეს სიტყვებიც ამ მღელვარების შედევრია... ლადო ისათა-
ანი, 1937 წელი, თებერვალი“.

— ეს შენთან იყოს, არავის ვუგზავნი. კურ-
ჭერობით უმისამართოა. იქნებ ოდესმე თვითონ
ნახოს, ვისაც ვწერ. ის მიხვდება. ახლა ამის მეტს
ვერაფერს ვიტუვი...

გიორგიმ წაიკითხა ლექსი, ეს წარწერაც და
ხუმრობით, თანაც სერიოზული გამომეტყვე-
ლებით, წარმოთქვა:

— ამის დამწერსა და გამომთქმელს ხელები
უნდა დაუკოცნოს კაცმა, თაყვანი სცეს და ქედი
მოიღრიყოს, დაემხოს მის ფერხთა წინაშე და
ეამბოროს ნაკვალევს მისას. მომწონს:

ომლერე მზეზე, იმლერე საძმო,
ადილე ტკბილი, მზიანი ყოფა...
ათი ათასი წელი რომ ვაკლო,
ასამლერებლად ესეც მეყოფა!..

— ეს რაა, — შეეკამათა ლადო, — შენ ის
ნახე, იმ შენი ქართლის ცხოვრების ზოგიერთ ღირ-
სახსოვარ ეპიზოდს რომ ვავლექსავ პატარ-პატა-
რა პოემებად! მაშინ ნახე, სულ ზეპირად რომ
ისწავლის ჩემს ლექსებს მთელი საქართველო. აკა-
კივით უნდა ვიყო, აკაკივით... — გაიხუმრა მა-
ნაც, მერე ბავშვური ღიმილით გაუბრწყინდა სახე
და თვალები, ერთი ჩაპეკივლა, ჩაიხითხითა, მო-
კუზა და მუშტი ისე შეათამაშა, თითქოს ბაღრო
მოიქნია და ტყორცნაო.

— ადამიანი ამაყი უნდა იყოს, მაგრამ ამპარ-
ტავანი და მედიდური კი არა, — უთხრა კოხო-
ძემ, — ზვიადობა არ უნდა ჰქონდეს. აკაის შე-
ჭიდება არ გამოგადგება. სხვა კაცი იყო.

— შენ დღეს რაღაც აღერღილ ჩასვათხე / ხა
და ჩვენი არაფერი მოვწონს, — მიუგო ლავაში,
ხელები მოხვია კაფანდარა შალვას და ერთიანების
ბლუჭა გრძელი მკლავებით. — სწორედ ატარებულები
და სხვა ბუმბერაზები უნდა იყვნენ მისაბამი და სა-
ნიმუშონი. აბა, რამდენი ბუზი და ბუზანკალი ან
ყვავი და ყვანჩალა დაფარფატებს ქვეყანაზე, მას
გავუტოლდეთ? სწორედ. აკაკი და მწვერვალები!
მწვერვალზე ასვლა სანატრელია. ერთხელ კი მო-
ვესწრო ასვლას და, მერე თუ ჩამოვგორდები, არა-
ფერია. ერთხელ ხომ გადმოვხედავ იქიდან მთელ
ქვეყნიერებას, თუნდ ერთი წუთით... მაგრამ არა,
თუ მწვერვალზე ავედი, ასე ადვილად ვეღარა-
ვინ ჩამომაბრძანებს...

კოხოძე გაუსხლტა ლადოს, ყურები თითებით
დაიცო და ფანჯრიდან დათეშიძის გორას გახედა.
წინა წელს იქ პარაშუტის კოშკი წამოლგეს და ახ-
ლა ქარის წისქვილის სილუეტივით იყო აღმართუ-
ლი საღამოს ბინდბუნდში. ელექტრონის სინათლე
ჯერ არ იყო ანთებული.

შალვამ წამოიძახა: „ნახეთ, უკვე წეიმს“, მაგ-
რამ ლადომ ყური არ ათხოვა და განაგრძო:

— პოეზიის მწვერვალი, ჩემო ძვირფასო, პოე-
ზიის მწვერვალი! თორემ იმას კი არ გეუბნები, ზო-
გი რაღაც თანამდებობის ნათხოვარ სკამზე რომ წა-
მოსკუპდება და თავი ოლიმპზე ჰგონია, ისე, რო-
გორც ბარატარიის გუბერნატორ სანჩიო პანსას. მარ-
თლა, სანჩიოს გუბერნატორისა ზოგიერთი მწერლის

ბედს მაგონებს: ათეჭულ წლობით ფიქრობს, მწერა-
ლი ვარო, წერს, იბეჭდება, წიგნებსაც ცემს, იუბი-
ლებს მოელის და შემდეგ კი ხვდება, ნამდვილი
მწერალი რომ არ ყოფილა. მასაც ატყუებდნენ და
ისიც ყველას ატყუებდა, თურმე, თანაც არც არა
დაუკარგავს რა, არც არა უპოვნია... ჰოდა, ძეირ-
ფასოებო, ისევ აკაკი და აკაკი! მისგან ვისწავლე:

ნუ დაივიწყებ სამშობლოს,
ამქვეყნად ისიც ლმერთია.

აკაკის ხსენებაზე გ. ნაფეტვარიძე ფეხზე წამოხ-
ტა და წარმოთქვა: „ჩვენი დიდი და ტკბილი აკაკი!“

შემდეგ ისიც ფანჯარას მიაღვა და ბაღში გადაიხე-
და. მართლაც უგემური ამინდი დამდგარიყო უკვე-
გარეთ წვრილად ჟინქულლავდა. ცივი ქარი სასტიკად
არხევდა და ერთმანეთში ხლართავდა უფოთლო ხე-
ების ტოტებს. ახლოვდებოდა მარტი, ყვე-
ლაზე ცუდი და ჭინჭული დრო ქუთაისში. გიორგი
ერთხანს თითქოს გაოცებით შესცემოდა ამინდის
უეცარ ცვალებადობას და მერე დუმილი დაარ-
ღვია:

— ყოველთვის გული სიხარულით მითრთის,
როცა კარგ ნაწარმოებს ვკითხულობ. რა შეედრე-
ბოდა იმ სიხარულს, პირებელად „ბაში-აჩუკი“ რომ
ავიღე ხელში თორმეტი წლის ბავშვმა, ასე დამე-
მართა შემდეგ ვალტერ სკოტის „აივენპოს“ კითხ-
ვის დროს...

— შენ „ოდისეა“ წაიკითხე და „დამართებას“
მაშინ ნახავ, — უთხრა ლადომ, — თუ მოვახერხე,

უნდა ვთარგმნო. დასაბეჭდად თუ არ გამოდგა, მეტა.
თვის მაინც მქონდეს ქართულად. იშხანაგურა წ.
ვუკითხავ. ჰმ, ბუზი და ბუზანქალი! ყვავი და ყვან
ჩალა! — კვლავ ჩაიცინა მან და შესაძლებელი მეტებრუს
ნდა.

— ჩვენი შავლაიე მართლაც ვერაა დღეს კა
გუნებაზე. ეს იმის ბრალია, რომ ამ ბოლო დროს
ალარ მონაწილეობს ჩვენს რეიდებში. რამდენი ხა-
ნია, მწვანე ბაზარში ალარ ყოფილხარ? — არ ეჭ-
ვებოდა ლადო.

XXIV

„მწვანე ბაზრის“ გახსენებამ გ. ნაფეტვარიძეს
მოაგონა ერთი სასაცილო შემთხვევა.

— ამას წინათ მწვანე ბაზარში გავყევი ჩეენს
მწერლებს, — დაიწყო მან. — უცბად იუზა ზარ-
დალიშვილი დავინახეთ, ერთ ზორბა გლეხს მამალს
ევაჭრებოდა. ბონდო კეშელავას მოეწონა ის მა-
მალი: წითელი, თვალებბრიალა, გრძელ-გრძელ-
დეზებიანი, ოქროსფერი ფრთა-ქოჩორითა და ბო-
ლოთი. იუზას შეეხვეწა: დამითმეო. დასაკლავად
მაინც არ ვარგა, ბებერია, ხომ ხედავ რამისიგრძე
დეზები აქვსო. მარტოხელა კაცი ვარ, აივანზე და-
ვაბამ, ლამლამობით დაიყიდებს და მეზობლებს
ნამდვილი მოსახლე ვეგონებით.

მამალი პატრონს გამოართვა და დეზებს უსინ-
ჯავდა. უეცრად მამალმა შეიტრონიალა, ბონდოს
ხელიდან გაუსხლტა და ერთი აურზაური და ქოთ-
ქოთით შუა ხალხში გადაეშვა. ატყდა გნიასი და

ურიამული. ყოველი მხრიდან დასცეს ყიუინა და გამოუღვნენ. მამალი ფეხშუა და ხელშუა გაუძვრა ყველას, ერთი ფარდულიდან მეორეში შეორინდა და შელეწა ყველაფერი: დოქები და გრიფები და ამსხვრია, კვერცხები ჩამტერია, ხილი და მწვანილი მიმოაბნია. შემდეგ ყველას დააღწია თავი და ბაზრის უკანა ჭიშკრის ბოძზე შეფრინდა. უსაზომოდ გახარებულმა, ფრთა ფრთას შემოკრა და ერთი-ორჯერ ისე მჟექარედ დაიყივლა, თითქოს გამარჯვებული ჯარის მებუკე იყო, ციხის ბურჯზე წამომდგარი. მერე ქუჩაში გადაფრინდა და უივილ-ხივილით გამოდევნებულმა ბავშვებმა რიონის პირას, ჯაჭვის ხიდს ქვემოთ, სწორედ იმ ეზოში მიიმწყვდიეს, იუზა რომ ცხოვრობს.

მამია ასათიანმა თქვა: ეს მამალი განგებ გაუშვეს ბონდომ და იუზამ, ძალიან უნდოდათ ამ აურზაურის ცქერით დავმტკბარიყავითო. ისინი უარყოფნენ. მამლის პარრონს არ სჭიროთ, ბრაზობდა და ჩხებს აპირებდა. იუზამ დააშოშმინა: ნუ გეშინია, მამალს დავიჭირო, თავისი ფეხით მომადგა კარზე, ალარ დამეკარგებაო.

ის მამალი მართლაც დაეჭირათ და იუზას დაეკლა კიდეც. მაგრამ მის მოხარუშვას საშეელი არ დადგომოდა, ძალზე გადაბერებულიყო, იუზა სულ წუწუნებდა, როგორ გამაბრიყებულია. მხოლოდ იმ მამლის სახსოვრად ერთი გრძელი დეზი შეჩენდა, მარცხენა ხელის ნეკზე წამოკმულს ატარებდა, ყველას უჩვენებდა და გაიძახოდა: — აბა,

შემომხედვეთ, სომ ვარ ჩინელი მანდატინი? ხამ
ვარ-მეთქი?..

გ. ნაფეტვარიძის ნამბობზე ბევრი კიცინებუ
თავიდანვე მოღუშული შალვაც გამნიარულდა
და თბილისური გაზეთები მაგიდაზე გადაგვიშალა.
ყველა პუშკინის იუბილესთვის იყო მიძღვნილი.

ქართული გაზეთების რედაქტირებმა ცოტა იქ-
მაქეს: როგორც ეტყობოდა, დაუცადეს მოსკოვის
გაზეთებს, კარგად გასინჯეს საიუბილეო ნომრები
და შემდეგ თავიანთ ფურცლებზე უფრო ზედმი-
წევნით აწონილ-დაწონილი ფაქტები და გაშალა-
შიხებული აზრები დაახვავეს. ასეც ჯობდა, ეს
დიდი შეღავათი იყო! ხოლო „ახალგაზრდა კო-
მუნისტი“ მთელი თვეების მანძილზე სისტემატუ-
რად ბეჭდავდა შალვა გვინჩიძის მიერ საინტერე-
სოდ შედგენილ პუშკინის კრცელ ბიოგრაფიას,
ახლაც მშეენიერი ნომერი მიეძღვნა დიდი პოეტის
საზეიმო დღისთვის და ლამაზი თარგმანებიც მო-
ეთავსებია. განსაკუთრებით მოსაწონი იყო ვიქ-
ტორ გაბესკირიას და გივი გაჩეჩილაძის მიერ
თარგმნილი ლექსები.

როცა გაზეთები გადავათვალიერეთ, ლადომ
ხელში აილო ქართული ლიტერატურული გაზეთი
და წარმოთქვა:

— პირადად მე პუშკინის ლექსების არც ერთი
ქართული თარგმანი არ მაქმაყოფილებს. ალბათ
ძნელია ასეთი დიდი პოეტის ნაწარმოებთა გად-
მოღება სხვა ენაზე, მაგრამ ეს კია, ყველას თარ-

გმანი არც უნდა დაიბეჭდოს ცენტრალურ პრეს-
ში. ხანდახან გავიფიქრებ კიდეც, დიდი შედევ-
რები არც კი უნდა გადმოითარებინოს-მეთქი. ფუჭ-
დება, პერი და ხალისი ეკარგება. ჭობს, დარჩებს
ისე, როგორიც იყო დედანში. და ვისაც შისი წა-
კითხვა მოესურვება, აეტორის ენა უნდა შეისწავ-
ლოს, უფრო ბეღნიერი იქნება. აბა, მითხარით,
ვინ გამოთქვამს სხვა ენაზე აკაკის ამ სტრიქო-
ნებს:

დედის ტებილი რძის ვირიმე,
ძუძუებს ენაცვალები...

ანდა, სინჯოს ვინმემ და პუშკინის „19 ოქტომბე-
რი“ გადმოგვცეს ქართულად, ისე კარგად და ისე
აელერებულად, გულში ჩამწვდომად, როგორც დე-
დანშია; ნახეთ, როგორია:

Роняет лес багряный свой убор,
Сребрит мороз увядшее поле...

კითხულობდა ის და ბ და რ ბეგერებს ისე გა-
მოთქვამდა, თითქოს ბაგეები შიგნილან პქონდა
შეშუპებული, თითქოს ისინი ერთმანეთს ეწებე-
ბოდნენ და ედებოდნენ უხერხულად და რაღაც
ხშული ბუბუნი გამოუდიოდა.

შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, და მისთვის ამო-
ჩემებულ საყვარელ სტრიქონთა შერჩევით, წაი-
კითხა პუშკინის ეს ლექსი. ბოლოს, წამოიძახა:

— ასე ვიქნებით ჩვენც ათეული წლების მერე.
ვინ სად მოვხვდებით, როგორ და რას მივწერთ

ერთმანეთს, ვის გავიხსენებო, ვინ გაგუიხსენებო? ეცლება კი რომელიმე ჩვენგანს განსუნების ფვილს? მაგრამ დავეხსნათ ამ ამბებს, — ჭერა ხომ ძალაან, ძალიან ახალგაზრდები ვართ. ჭოშის დისტაციურობა გლოთ, ვიოხუნჯოთ...

მერე ქუჩაში გავედით და ისევ სტამბისაკენ გავემართეთ. ნაფეტვარიძე, როცა დაინახავდა შესაფერის წყეილს, წამოიძახებდა: ეს — ლადოს ყვავი და ყვანჩალა! ესეც — მისი ბუზი და ბუზან-კალი!

ლადოს ყურებამდე აეწია კურტაკის საყელო, შორიშორს აღგამდა ნაბიჯს, აქა-იქ დამდგარ ტბორებში იმწლალებდა და სახურავებიდან ჩამონადენ წვიმის ცივ წვეთებს არიდებდა ქოჩორს. ჭერ წყნარად უსმინა ვიორგის ქილიკს, მაგრამ შემდეგ ისიც აყვა. თეატრის კუთხეში ვიღაც ორი მოხუცი მამაკაცი დაინახა. ქოლგებგაშლილნი დინგად მოაბიჯებდნენ და გულიანად საუბრობდნენ.

— აი, ვიო, შენი ბაში-აჩუკი, ეს მეორეც — აივენპოა! სიბერეში ერთმანეთი მოუნახავთ და დამეგობრებულან, — შესძახა ლადომ და მიათითა მოხუცებს. ისინი ერთხანს შეჩერდნენ და გაოცებული შემოგვყურებდნენ. ლადოც მიაჩერდა მათ, უცებ ხელები მუხლებზე დაიბათქუნა და მამალივით დაიყიდულა. გაოგნებული მგზავრები სწრაფად შებრუნდნენ და გზა განაგრძეს. ერთმა მათგანმა ქოლგა დაპყეცა და ხშირ-ხშირად იხედებოდა უკან.

ჭერ თითქმის ბავშვები სულ ბავშვობის მო-
ვონებებითა და წიგნებიდან ამოკითხული ამბებით
ცხოვრობდნენ და ახლადმიღებულ შთაბეჭდილება
ბებს ერთმანეთს უზიარებდნენ.

— აბა, რა უნდა დავწეროთ მე და შენ, —
უთხრა ერთხელ ლადომ ნაფეტვარიძეს. — ჭერ
არაფერი გვინახავს. გვიან დავიბადეთ. ციხე, ქა-
ტორლა, ბრძოლა, ომები, რევოლუცია, ყველაფე-
რი ეს განვლილი და მომხდარი დაგვხვდა. ჭერჭე-
რობით შემოგვრჩა ეს ბავშვობის შთაბეჭდილე-
ბები და წიგნებიდან ამოკითხული, ყველასათვის
ნაცნობი ამბები. თანამედროვეობაზე კი დავწერ,
მაგრამ ჭერ მივიხედ-მოვიხედავ, შევისწავლი, —
არაფერი გამომრჩეს. მიმბაძეელობას პირველ ხა-
ნებში გენიოსიც ვერ აცდება. ეს ძალიან ადვილია
და ხანდახან საჭიროც. ახალი გზის გამკაფეელო-
ბაც ჩვენთვის ადრეა, საამისოდ არ გვეყოფა ჭერ
არც ცოდნა, არც ძალა, არც ნიჭი...

ეს ფრაზები მართლაც წიგნებიდან ამოკითხუ-
ლი აზრები უფრო იყო. ამას თვითონაც გრძნობ-
დნენ. ის იყო ცხოვრებაში ფეხი შედგეს და ჭერ
კიდევ ვერ მოესწროთ მთელი სიგრძე-სიგანითა
და სიღრმით მისი გათელვა. ცხოვრებამ თვითონ
გასთელა ისინი ულმობლად და სასტიკად, ძალიან
ადრე და უდროოდ.

წერისოფელი ტებილია,
სიკედილი არ მომინდება, —

ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს ერთ-ერთ ძალა-
განი. მათ არ ღირსებიათ ეგემნათ წუთისოფლის სი-
ტკბოება: ჯერ... მწარეს სჭამდნენ ურიცხული

პირული განვითარება

„რიოხის პირად წამოზრდილ ბარათაშვილის
ორ ბოქვერს“ ეძახდა მათ „პოეზიის ერთი მეხრე“
გრიგოლ იმედაძე, — „პატარა ბიჭი, ყოვლი კე-
თილის დამტევი გულით“.

უკანასკნელი ფრაზა გიორგი ნაფეტვარიძის
ნათქვაშია. 1939 წლის გაზაფხულზე გიო თბილის-
ში ჩამოვიდა და „ნორჩი ლენინელის“ რედაქცია-
ში გრიშა იმედაძის წერილი ჩამოუტანა ლადოს.
მოკითხვის ბარათთან ერთად კონვერტში იღო
გრიშას ლექსები და მისივე ფოტოსურათი წარჩე-
რით: „ლადოს, ჯანსაღი ხსოვნისათვის“. იმ ხანებ-
ში ძმა გარდაეცვალა გრიშას და ახლა შავხალა-
თიანი, წვერმოშვებული, სამოციანელ რაზნოჩი-
ნეცს ჰგავდა და ძალზე მემუნვარე სახე ჰქონდა იმ
სურათში.

„ალბათ ეეფხეივით დანიეარდობ თბილისის ქრისტი
და, განსაკუთრებით კი რესთაველზე — ჭალაროსანივთ
მიაშიფებ საღამოისას, — იწერებოდა იყო. — იმ ბარათთან
გიგზავნი ჩემი „პოეზიის“ შედევრებს. იმერული მოხატვე-
ბის გარეშე, მაცნობე მათი ბედი. არაა საშველი, საღმე
უნდა მიიტანო და გამისაღო. იქნებ ელიტსოს დაბეჭდეა.
თუ რამეს უშეველი, შენ იტი, თუ არა და, დიდი არაფე-
რია. ამ წერილის გამოგზავნაში ფული არ გადამიხდია,
პირდაპირ გიგზავნი ჩეენი გიოს ხელით. მაგი ქვევრში
ჩაუტეველი და დაუდუღარი მაჭარივითაა ახლა. უფრ

უცოდველია და გულებრყვილო, როგორც უოველი დამწეული პოეტი: ბავშვერად მეამიტი და ცხოვრების ოჩი, მტრიალის არ მცოდნე. მერე კარგი ფიცხი და შემიღვინი დადგება, — მე და შენ რომ გვიყვარს — ისტორიული დროის გერი კიდევ ბევრია ჩვენში ნორჩი და ჰისტორიული ენცუზიასტი, ფუუე პათოსით გატენილ-გულიანი, გამოცარიელებულ გრძნობა-გონებიანი, ცრუპენტელა და მეტიარიანი. მათგან რა გამოვა? რაღაც კუდალა ადამიანი, წერილი ინტელიგენტი, ფუქსიავარი და ფილისტერი. გიოსიმედი მაქეს, — ჯანსაღი ბიქია!

იმ ბუმბერაზ მგოსნებში, რომელნიც თქვენს გარშემო იყრიან თავს, ჩვენც გაგვისცენეთ დროდადრო. ვეითხულობ შეს ლექსებს და ეფიქრობ, დარწმუნებული ხარ, მახარებს. როცა მაქანე ლულხანას გახსნით, მომწერეთ, რა დღეს გაიხსნება და იმ დილით უოველ მიზეზს გარეშე ჩამოვალ. აქაურობას არა უშევს, ყელს ქი გეისოლებს კაცი, თუ ჩამოხვალო”.

ამ პატარა კაცს ძალიან ფართო და დიდი გული ჰქონდა. მთელი ქვეყანა ჩაეტეოდა. ეს მის ლექსებშიაც იგრძნობა. მასთან პურმარილიანი და სტუმარომოვარე იყო. ამხანაგისთვის სულს არ დაიშურებდა. „ერთხელ ავადმყოფი ვინახულეთ ამხანაგებმა,—გვითხრა გ. ნაფეტგარიძემ,—სასტიკად იყო გაციებული, მოძრაობის თავი აღარ ჰქონდა და, ტკივილებისაგან შეწუხებული, ბავშვივით კნაოდა. მაინც ანიშნა ცოლს და კარადიდან ბოთლით ღვინო, მწინილი და პური გამოალებინა, ხაჭაპურის გამოცნობა მოთხოვა.

ეს გვიამბო ვიომ და გამოგზავნილი ლექსების კითხვას შეუდგა. განსაკუთრებით კარგი იყო „პო-

ეზია", გრიგოლ იმედაძის ერთ-ერთი საუკეთესო
ლექსი. შემდეგ იგი ლადომ „ჩვენი თაობის“ რე-
დაქციაში მოიტანა და დაიბეჭდა კიდევ: 1940 წლის
აპრილის ნომერში.

შემოგვიარებული

XXVI

კარგა ხანს იყო მოწყენილი ლადო. ბევრის-
თვის კუშტი, მიუკარებელი და გამკილავი გახდა
იგი იმ დროს. ჩვენს რედაქციას მაინც არ ჩამო-
შორებია, სულ ჩვენთან ყოფნას ცდილობდა და იმ
ხანებში არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ სადმე
არ მენახა ან არ შემხვედროდა. ხანდახან ისევ გვი-
ხმარებოდა მუშაობაში თავისებურად.

შოთა რუსთაველის საიუბილეო ნომრისთვის (1937 წლის 24 დეკემბერი) „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი შინაარსი ლადომ და მე შევადგინეთ. მთელი ღამეები ერთად ვიკითხეთ ეს პოემა.

ბოლო თავები რომ უნდა წაგვეკითხა, მოიტა-
ნა ამბაკო ჭელიძის „სპარსული ლირიკა“ და ერთი
ბოთლი ხვანჭეარა. სადლევრძელოსავით სათითაოდ
წარმოთქვამდა ომარ ხაიამის რობაიებს და ზეღ
ყლუპ-ყლუპად აყოლებდა ღვინოს, ანსენებდა დე-
დას და ახლობელ მეგობრებს. მთელ საღამოს გა-
გრძელდა ასეთი „ქეითეი“.

— როცა შინ „ვეფხისტყაოსნის“ ვეითხულობ-
დი, მის გმირებთან მეც ვტიროდი და დედაჩემი
ხშირად მიმალავდა წიგნსო, — მითხრა და მერე
ხუმრობით დაუმატა: — ამას რომ მოერჩებით,

შემდეგ რუსულად უნდა ვთარგმნო „ვეფხისტყა-
ოსანი“, ჯერჯერობით ორი სტრიქონი უკვე მზად
მაქვსო, — და იქვე მიაწერა ქალალდის ნახევს:

Царь не имел ни одного сына,
Лишь только дочку—Тинатина.

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი გაზეთში რომ
დაიბეჭდა, ჩვენს ნამუშევარზე ჩვენი სახელი და
გვარი არ მოვციშერია, — ეს ლადოს სურვილი
იყო.

XXVII

იმ ზამთარში, რა დროსაც არ უნდა ჩაგვევლო
სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ წინ, იქ ყოველთვის
იწვა ერთი ბებერი მურა ძალლი. ლადოს მუდაშ
თან პქონდა მისთვის პურის ნატეხი, ან ქალალდში
გახვეული ძვალი. ძალლი სიხარულითა და კუდის
ქიცინით შემოგვეგებებოდა, მაგრამ, ლუქმას რომ
გადავუგდებდით, შიშითა და მორიდებით უკან-
უკან იხევდა და პირს არაფერს დააკარებდა. მხო-
ლოდ, როცა მარტო დაიგულებდა თავს, აიღებდა
პურს, ქუჩის პირას დაფნის ბუჩქებში შეიმალე-
ბოდა და იქ შეექცეოდა. ძალიან ეშინოდა სხვა
ძალლების და გაურბოდა მათთან შეხვედრას.

ერთ სალამოს ლუქსემბურგის ქუჩაზე გაეტანა
ავტობუსს. ჩვენ არ დავსწრებივართ ამ ამბავს, —
შალვა კოხოძეს ენახა და მოიწერა თბილისში.

ამ ძალლზე ლადომ დაწერა ლექსი „ბებერი
ძალლი“ და მე მიძღვნა შემდეგი წარწერით:

„ჩევენ ერთნაირად გვიყვარს ძალლები. ეს იმ ბეჭერია
ძალლის მოსაგონარი იყოს, რომელიც 1937-1938 წლებში
ხშირად გვხვდებოდა იმ სასტუმროს წინ, სადაც შენ ცხო-
ვრობდი. ეს იმ ბებერი ძალლის მოსაგონარზე უყოს, წინ
კოლოზ ჩემო, რომელიც, ასე ბებერი ფრთაუძღვებული
იყო, მუდამ ახელებდა ჩევენს შთავონებას თავისი შრავლის.
მეტყველი თვალებით...“

ძალლები და ცხენები თავიდანეე მიყვარდა. ჩეხოვმა
და ჯეკ ლონდონმა კიდევ უფრო შემაყვარეს ძალლი.
„Холстомер-ი“ მივიღებს. ჯერ ასეთი არაფერი წა-
მივითხავს. როცა ის წავიკითხე, მეეტლეთა ცხენებს ალაზ
კშორდებოდი და სულ დოლებსა და მარულაზე წასელას
ვნატრობდი. როგორ მინდა, ჩემნაირი სიხარულით წაი-
კითხოს ყველამ ჩემი საყვარელი წიგნები, ნახოს ის კარგი
კინოფილმები, მე რომ მინახავს. როგორ დაეტებები ამ
დროს სხვისი სიამოვნებით. მასთან ერთად ხელმეორედ
დამივლის ურუანტელი და ჩემებურად ამიტყლება თვა-
ზარდამცემი ურკოლა და ცახცახი!“

ამ სიტყვებს შემდეგ მოყვება თვით ლექსი:

„ბებერი ძალლი“:

როცა ქალაქში ხეტიალი დაქანცაეს, დაღლის
დაუძლურდება ბედისაგან განაწეალები,
სასტუმროს კართან გაჩერდება ბებერი ძალლი
და შენ დაგეძებს უცოდველი ბავშვის თვალებით.
ნეტავ რა უნდა უილავოს, ღონემილეულს,
პურის ნატეხი, თუ ალერსი კეთილი კაცის?
იქნებ, მეგობარს ეძებს, მისებრ სუსტს და უდღეურს,
იქნებ, აწეხებს უბინაოს ზამთარი მკაცრი.
მიწევება კართან მდუმარე და ცახცახით ველის,
მოშორებით კი ღონიერი ძალლები ყეფენ,
ესმის, ღლენაკლულს, მათი ღრენა და ღრიანცელი,
ისინი მისებრ ნუგეშისმცემს არ დაეტებენ.
ჩევენ ვიგვიანებთ, ჰალაწყვიტა ისევ იართს,

ჭამობარბაცდა, შაგრაშ წელას გამოეჩინდათ უძველესი.
შემოგვეცდა მუწიდი, რომ ჩეენ, მეტყველთ, გაგვიზიაროს
მისი პირველი სიხარული და სიკეაბუა. ურისაც უარისა
სურს — გვითხრას: ერთ დროს (ახლა მერთად და ურერო)
არ იყო ძალლი, და ტოლებში იყო რჩეული.
(ძალლი კი არა, კაცი არის, კაცი უენო,
უბედობისგან მეტყველებას ვაღაჩივეული).
შეგვატყობინა, რომ წესს, როცა სიკედილი მოდის,
უკანასკნელად შემოგვეცდა საონო თვალებით.
და კვლავ ქუჩებში გაემართა ბებერი, ლოთი,
გაყვითლებული, წვირიანი და ნამოერალევი.
და მჯერა, თუკი განგებამაც ასე ინება,
მალე ჩაქრება მრავლის მთქმელი მისი თვალები,
მისი სიცოცხლე ჩეენ, მხოლოდ ჩეენ, გვეცოდინება,
ჩეენვე ვაქნებით მოწმე მისი გარდაცვალების.

1938 წ. 6 იანვარი,
ქუთაისი.

1940 წელს თბილისში პირველად გამოდიოდა
ლადოს ლექსების ქრებული, სახელგამის ერთ-
ერთმა მუშაკმა ლექსი არ გაუშვა, — ეს შენი შე-
ურაცხყოფააო, — მითხრა, — შენ ჩვენი რედაქციის
მდივანი ხარ და ბებერი ძალლობა როგორ გაყად-
რა. თუ შენი კარგი მეგობარია ის ასათიანი, ასე
როგორ ალანძლვინებ თავს და ძალლს გადარებსო.
დავარწმუნე: აქ ლაპარაკი მხოლოდ და მხოლოდ
ძალლზეა და ლექსის სიტყვები მე სულაც არ მე-
ხება-მეთქი. ბოლოს, მგონი, მიხვდა, როგორც იყო
საქმე, მაგრამ დაიუინა: მიძღვნა მაინც ამოშალეთ,
უხერხულია, შენი სახელი და გვარი ნუ იქნება
ნახსენებიო.

ლადო გაჯიურდა და არ დაეთანხმა.

სახელგამის მუშაქს უთხრეს: ახალგაზრდა პო-
ეტებს ასეთ რამეზე ნუ გადაიკიდებ, თორეშ ფუნდა-
გორიებით არ მოგასვენებენო. მან ჟირული ფუნდა-
გორია“ ვერ გაიგო, თავისებურად გაისაზრა გუნე-
ბაში და თქვა: — მე მაგათი ფუნიქულიორების არ
მეშინია. ის კი არა და, თუნდაც იალბუზები დამ-
ცენ თავზე, ამ ლექსს მაინც ვერ გავუშვებო, —
და „ბებერი ძალლი“ კრებულიდან ამოაგდო... მის
ნაცვლად კრებულში სხვა ლექსი დაიბეჭდა.

XXVIII

1938 წლის თებერვალში მოვიდა ნაგვიანევი
თოვლი და ყელამდე ამოაესო მთელი ქუთაისი.
მანამდე სულ წვიმდა და ცას თავპირი ჩამოსტი-
როდა.

ღამით დიდი მყუდროება იყო ქალაქში, —
ძლიერი და შეურყეველი. ჩვენს „გრანდ-ოტელში“
სამოცდაშვიდი ოთახი იყო. სამოცდამეშვიდეში მე
ვცხოვრობდი და ეს სამოცდამეშვიდე რატომლაც
შუა ადგილას, ცენტრივით იყო მოთავსებული.
მთელი სასტუმროს ყოველგვარი მოვლენა და თავ-
გადასავალი ადვილად აღწევდა აქ.

იმ პატარა ოთახს პოეტმა კარლო კალაძემ
ერთი „ძველი დრამატურგის პიესა“ შეარქვა და
დაუმატა: როგორც მოქმედნი პირები იმ ივტო-
რის პიესებში, ამ ოთახშიც ისე წარამარა, პატრო-

ნის დაუკითხავად და უსაქმოდ შედი-გამოდის ხალხით. ეს განსაკუთრებით ითქმებოდა იმ თვეებში, როცა გაზეთი „სიტყვა და საქმე“ გამოდიოდა. კარლი ამ გაზეთის ყველაზე აჭრიული მუშაქი იყო. მაშინ თითქმის ყოველ კვარს ჩამოდიოდნენ თბილისელი მწერლები და თავს იყრიდნენ სასტუმროში. რამდენიმე ხნით ადრე პოეტი ალიო ადამია შეუჩინდა სასტუმროს დირექტორს — პეტრე ჭანტურიძეს, და ბილიარდის ორი კომპლექტი დაადგმევინა ზემო და ქვემო ვესტიბულში. მას შემდეგ დღე და ღამ არახუნებდნენ ბურთებს სხვა მომსვლელი სტუმრები.

ამასთან, იმ ხანებში დიდად გავრცელდა პატეფონები (როგორც ახლა ტელევიზორი!). ეს იყო მაშინდელი კეთილდღეობის ერთ-ერთი ნიშანი. ვისაც არ უნდა სტუმრებოდი, დიდი ამბით ჩართავდა პატეფონს, მაგრამ არც თვითონ მოისმენდა და არც სტუმარს მოასმენინებდა, — ისე, მოდისათვის, უკრავდა, თორემ მასაც თავი ჰქონდა უკვე მობეზრებული. ჩემს გვერდით ოთახში ვიღაც მდგმურმა მოიტანა პატეფონი და ნაშუალამევამდე უმოწყალოდ აჩხავლებდა.

ხშირად, იქვე ახლოს, თავს შეიყრიდნენ მოქეიფენი და დილამდის ტვინს ხვრეტდა „ტურფავ, მოდი“ და „მრავალუამიერი“.

ბევრჯელ ყოფილა ლადო ამ დროს ჩემთან და ისე შევეჩვიეთ ირგვლივ გამეფებულ აურზაურს, თუ არ გვინდოდა, არაფერიც არ გვესმოდა. ვუს-

ხედით პატარა მაგილას, ის წერდა ჩაშეს, ამ კი თხულობდა რომელიმე თავის საყვარელ წიგნს, ვსაუბრობდით და კედლებიდან ვვიცქეტოდნენ ლიდებული აღამიანები. ელექტრონის მკრზალ უარ ნათლებზე სილუეტებს ჰგვანდნენ ფოტოსურათებზე აღბეჭდილ მწერალთა სახეები და არც ერთი მათვანი არ ჩანდა მკაფიოდ. მათ პირდაპირ კი — დიდ სარკეში — ისე ჩვეულებრივად და ნათლად გამოიყურებოდნენ, როგორც დლისით. ბალიდან ისმოდა ქარ-ყინვისაგან შეჭირხლული ხეების ჭრიალი. ჩვენ კი ყურს ვუგდებდით ნავთქურაზე შემომდგარი ჩაიდანის შიშინს, რაკრაკსა და თუხთუხს, ყოველთვის მზად იყო ცხელი ჩაი და მისი ორთქლი აქვარელივით ედებოდა ფანჯრის მინებს.

ფანჯრიდან ჩანდა დათეშიძის გორა. ზედ აღმართული პარაშუტის კოშკის ჩირალდანი ცდომილი ვარსკვლავივით ბუუტავდა ნისლში და გაყინული პაერის ბული შხეფ-შხეფად ედებოდა ვარშემო. ხანდახან გვეგონა, თითქოს ზეცა ძირს ჩამოიწია და ეს, გაღმა ვორაზე, რომელიმე პლანეტა აღიმართაო.

იმ ზამთარს, იმ პატარა ოთახში, ბევრი კარგი წიგნი წავიკითხეთ ერთად. რიგრიგობით ვკითხულობდით საბინინის „საქართველოს სამოთხეს“, ვასუშტის „საქართველოს ისტორიას“, დავით კლდიაშვილის მოთხრობებს, ვაჟას პოემებს, სენ-სიმონის მემუარებს, სკარონის ბიოგრაფიას, ვერლენისა და ბოდლერის ლექსებს. ლადო მთელი კვირეები ფურ-

ცლავდა ლამარტინის „უირონდისტების ისტორიას“, კარლეილის „საფრანგეთის რევოლუციას“.

XXIX

1938 წლის 18 თებერვალი დღის

ერთ საღამოს (1938 წლის 18 თებერვალი დღის) ერთ როცა თოვლი უსაშველოდ ბარდიდა და აბნელებდა ძიდამოს, ოთახში ლადომ და შალვა კოხოძემ შემოდგეს ფეხი. ლადოს ძლიერ შესცივნოდა და ტუჩები უცახცახებდა. ვევბერთელა ხელები ძლივს ჩატეოდა შარვლის ვიწრო ჭიბეებში და კურტაკის მოკლე სახელოებიდან გალურჯებული მაჯები მოუჩანდა. მაგრამ თვალებში ისეთი ანცი და გიუმა-ური ნაპერწელები უციმციმებდა, სახემღიმარი და „უმჭმუნვარო“ (ეს სიტყვა ძლიერ უყვარდა!) ისე იყო მომართული, თითქოს ვიღაცას უნდა შეეტოვოს, ვიღაც უნდა გაპენწლოსო. შემოვიდა და შემოიძახა:

— ვიპიომ ვმესტე ჩაი, ნიკა, იზ ბალშოვო ჩაინიკა! გამოიხედე გარეთ, რა მოგივიდა, შე კაცო? რას შებუდებულხარ ამ საკანში? ელექტროშუქით განათებული თოვლის ფანტელები თავის ჩრდილებთან ერთად შრიალ-შრიალით ეცემა ასფალტზე. ო, რა ფანტასტიკური სურათია! ახლა კარგია ხეტიალი. სწორედ პოეზიაა ამ ქუჩებში ჩამორება!

გვერდით ოთახში პატეფონზე აქვსენტი მეგრელიძის „სულიკოს“ უკრავდნენ. ლადომ დათოვლილი ქოჩორი გაიბერტყა, სველი კურტაკი ლუმელთან მიაფინა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ყური მიუგდო. შალიკო წიგნების ქექვას შეუდგა.

— რა კარგია „სულიერი“, — წარმოთქვა და
დომ. — თუმცა ამბობენ, ეს ქართველი პანგი
არააო, მაგრამ ისე შეიჭრა ჩვენს სულხანის გული.
ში, რომ ამას აღარავინ უყურებს. ჟენტლემინის კუნძულში კარამდის ყოველ ქართველს თანა სდევს აკაკის დი-
დებული ლანდი. „იავნანა“ და „ნათელას სიმღე-
რა“, „ციცინათელა“ და ეს „სულიერი“, შემდეგ
„ბაში-აჩუკი“, „ხანჯალი“ და „თორნიკე ერისთა-
ვი“, ესაა მთელი ჩვენი ბავშვობა, სიჭაბუკე და
ხანდაზმულობა. ბოლოს მისი „თავო ჩემო“ მი-
გვაცილებს იმ ქვეყანას... ნეტავი ცოცხალი მენა-
ხა აკაკი, როგორი პატრიარქი იყო ალბათ! აკაკი
კი არა და, ვაჟა კი მოაღწევდა დღემდის. რატომ
ჩვენს დროში არ მოუხდათ ცხოვრებაო, იციან
თქმა. ძალიან კარგ დროსაც ცხოვრობდნენ, სწო-
რედ მაშინ იყვნენ საჭირონი და ამიტომაც ბევრი
რამ გააკეთეს. ჩვენი დროც წარმოშობს კარგებს.
„სულიერს“ „სისატურა“ მოყვა და, ბოლოს,
„საბოდიშო“ რომ წამოიწყეს, ლადო აბორგდა,
ერთ ადგილას ვერ დადგა და ისევ აუცახცახდა
ტუჩები, თითქოს ახლაც ცივოდა.

— ერთხელ პარმენ შელეგიასას ვიყავი. პატე-
ფონზე „საბოდიშო“ დავუკარით. აღარ მახსოვს,
ზედიზედ რამდენჯერ გავამეორებინე. ნემსები გა-
ცვდა. მაგრამ მაინც არ მოვეშვი. მასპინძელიც
ჩემზე უარესი ყოფილა. „ასეთი სიმღერის შემქ-
მნელი ხალხი უკვდავიაო“, მითხრა და, მგონი —
მეათედ მომართა პატეფონი...

ქოხოძე საუბარში არ ერეოდა. გრიგოლ ხან-
ძთელის ცხოვრებას ჩაპეირკი იტებდა. ინსტიტუტში
ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან თე-
მა პქონდა დასამუშავებელი, და მასალას ეძებდა:

— იმ მწერლებს შემდეგ, რომელთაც შე ვუყა-
ვარდი (აუცილებლად ვუყვარდი!) და მე მიყვარ-
დნენ, უკანასკნელ დროს ყველაზე საყვარელი ხდე-
ბა ჩემთვის ვაჟა, — განაგრძობდა ლადო. — განა-
ვინ არის რუსთაველის შემდეგ ასეთი ტიტანი ჩვენ-
ში? და მაინც ჯერ კიდევ უცხოსავით დგას ჩვენ-
გან და თითქოს საყვედურით გვეუბნება, კლდის
თავს წამომდგარი, სევდიან სიტყვებს, — გახსოვთ?

გამოღმით მე ვარ, ვაღმით შენ,
შუაზე მოღის მღინარე,
ხიდი არ გვიძე წყალზედა,
ფიქრი მელავს მოუთმინარე,
მინდა გაეოცო, მაკოცო,
შენს სახეს ვხედავ მღიმარეს,
მაგრამ ვერსაით გამოვედ
ამ სატიალო მღინარეს...

შემდეგ... შემდეგ ზეპირად აღარ ვიცი...

წიგნებიდან ვაჟას „რჩეული“ გაღმოილო, ის
ლექსი—„სიმღერა“ მონახა და ბოლომდე ჩაიკითხა.
თრთოლვითა და მღელვარებით წარმოთქვა უკა-
ნასკნელი სტრიქონები:

არა, ის მინდა, ვხედავდე,
ნუგეშსა ვპოებ ცქერაში...

ცრემლმორეული წამოდგა, ფანჯარას შიათგვი და
გაღმა გორას გახედა. აღარ თოვდა. ნისლიც გამ-
ქრალიყო. ახლა კი მართლა შუქურ-ვარსკვლავე-
ვით კიაფობდა ჩირალდანი კოშკზე.

— აი, შეხედეთ, — სიხარულით წამოიძახა
მან, — ვაუაც ასე იკაშკაშებს ჩვენს მოწმენდილ
ცაზე, ნისლი და ქარბუქი ვერას დააკლებს იმას,
ვინც ომახიანად შესძახა:

დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი
მოუღალავი მეღავითა,
რაც უნდა ჰირი მომქერძო,
ბილწო არ შევეკვრი ზავითა;
ცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!..

სოლომონ ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველა“ რომა-
ნივით წავიკითხე. თურმე, რა ყოფილა ჩვენი ვა-
ჟა! აი, გუშინ, შაპრუს ჩარკვიანი მეუბნებოდა,
ჩვენს ვაჟას ერედიას ტექნიკა არა აქვსო. მაგრამ
სამყარო ვისია-მეთქი, მისი საკუთარი ხომ? რად
უნდა გენიოს ვაჟას ერედიას გალაქულ-გაპრიალე-
ბული ტექნიკა? ო, როგორ მინდა ასეთ დროს ზო-
გიერთს მივახალო მაიაკოვსკის სიტყვები. მომწონს,
ზეპირად ვიცი და სულ ვიმეორებ.

ბორძიკ-ბორძიკით და ბუბუნით წარმოთქვა მა-
იაკოვსკის გრძელ-გრძელი სტრიქონები:

Вашу мысль

Как выжиревший лакей на засаленной кушетке,

Буду дразнить об окровавленный сердца лоскут,
Досыта изъиздеваюсь нахальный и едкий...

да́лкоаб га́шти́рда ბო́лომდე ჩათа́ვები ხელი
ჩао́бноа და ჩаола́ձარაკა:

— ვაი, რომ ეს წასაჭრელი ენა ვერა მაქვს კარ-
გად წვერწამახული, თორემ როგორ ვიტუოდი...

— კი, მაგრამ ლექსებს ხომ აღვილად წერ?
ლექსად დაწერე, — გაეხმიანა შალიკო და ისევ
წიგნს დაუბრუნდა.

— მე მინდა კარგი ორატორი ვიყო. ვინც კარ-
გი ლაპარაკი იცის, ქვეყანას დაიპყრობს. ასე იყო
ყოველთვის, დემოსთენობა და ციცერონობა არა-
სოდეს კარგავს მნიშვნელობას.

— კალამი უფრო ძლიერია, ნაწერი საუკუნეებს
უძლებს. ზეპირად ნათქვამი ჰაერში იკარგება, —
განაგრძობდა კოხოძე.

— შენ ნუ ბრძენობ ახლა! კარგად ნათქვამი
სიტყვა და ორატორის აზრები ისევე დაიწერება,
როგორც ლექსი და პოემა. ისე კი... ლექსი მირ-
ჩევნია. თანაც მენატრება ერთი კარგი სხვისი ლექ-
სის წაკითხვა, მაგრამ არსად ჩანს.

კედელზე გაკრულ ფოტოსურათებს ჩააჩერდა,
სათითაოდ თითი შეახო და განაგრძო:

— ამ ბაირონივით მომხიბვლელი უნდა იყო და
ვაჟასავით მქუხარედ უნდა იმღეროდე. ნახე, რა
ღვთისდარია აკაკი, ან როგორი ვეებერთელა და
რიხიანი შეიაკოჭსკი, როგორ გოროზად აუზიდავს

ცალი წარბით ლმერთმა არც ერთის ნიჭი მომცა,
არც კალამი და არც სილამაზე! „მთელი ხმით“ სა-
უკუნეების შემდეგაც მოხვდება გულწევაშოთმავა-
ლობას. ყოველი პოეტი ასე ვაჟკაცურა უნდა იყოს.
იაიებისა და ბეღურების პოეზია, ბულიონი და
ტკბილ-ტკბილი ვარდის წყლის ლიმონათი ვის ჩა-
ში გამოადგება! ლექსს რომ დაწერ, მართლა ცამ
ქუხილი უნდა დაიწყოს!

მოულოდნელად სინათლე ჩაგვიქრა. ასე იცო-
და ხანდახან ჯერ გამოუცდელმა რიონჰესმა. მაგ-
რამ მზად გვქონდა ძველი ლამპა. ერთხელ სასტუმ-
როში მთელი კვირა არ იყო შუქი. კარტოფილის
სანთელზე ყოფნა გაგვიჭირდა. ლადომ სადღაც
იშოვნა ერთი დაუანგული სპილენძის ლამპა. გავ-
წმინდეთ, გავმართეთ; ის იყო ავანთეთ, და... შუ-
ქიც მოვიდა. მაშინ ამაო შრომა დაგირჩია, მაგრამ
შემდეგ ბევრჯერ დაგვეხმარა ის ლამპა.

ახლაც ავანთეთ და მაგიდაზე შემოვდგით. ლა-
დომ შესძახა: „გაბრწყინდი, ჩემო კანდელო, მინა-
თე ბნელი ლამისა!“

უფრო ფანტასტიკური გახდა ოთახი. ფანჯრი-
დან შემოიჭრა შორეული ელნათურების ციცი შუ-
ქი და შეებრძოლა მბეუტავ ლამპას. ოთახს შიგ-
ნით არიალდნენ ბაღში ამართულ უფოთლო ხეთა
ჩრდილები, უზარმაზარი გველის ტანივით მრუმედ
ჩანდა კედელს ატორლიალებული რქინის მრგვალი
ღუმელი. თითქმის ვეღარ ვხედავდით ერთმანეთს.

მწერალთა სახეები ახლა სარკეშიც კი აღარ ილან-
დებოდნენ.

შალიკო კოხოძე ლამპას მიუჩინჩდა, მერჩულე
გადაშალა და თქვა:

— ჩვენი ლადიმიე ასეთია, როგორც აქ წერია.
აი წაგიეითხავთ, — სტრიქონებს თითი გააყოლა
და განაგრძო: — „ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორ-
ცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ,
სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“.
ხედავ, შე ლელენდარო, რა წერია შენზე?

— კიდევ რაღა მაკლია? — ჩაეკითხა ლადო. —
კაი პოეტი რომ ვარ, ამას რაღა ჩიჩინი უნდა! ეს
კი მაგ წიგნში არ ეწერება. ახლა კი მაგას თავი და-
ანებე და ცოტა თუთუნი მიწყალობე, თავშენახული
კაცი ხარ, ჩემო შალივერ კოხოია.

ასე შეხუმრებულ და სალალობოდ შერქმეულ
სახელებს უწოდებდნენ ერთმანეთს ლადო და მი-
სი უახლოესი მეგობრები. „დაუვიწყარო მექიჩ“, —
ეძახდა მას ძმადნაფიცივით შეთვისებული შოთა
ქურიძე და პირად წერილებშიც ყოველთვის ამ-
გვარად მიმართავდა; „ზრახვათა ჩემთა თანაზიარს,
შილიფს, ჩემი მოკრძალებული სალამი“, ასე იწყე-
ბა ლადოს ერთი წერილი შოთა ქურიძესთან; „ჩემი
შოთიის ნაჩუქარია“ წაუწერია მას შოთა ქურიძი-
საგან მიძღვნილ ერთ-ერთ წიგნის ყდაზე. „ჩემო ვა-
ლიდა“, ეს ლადოსთან გაგზავნილი გოგი შალამბე-
რიძის წერილიდანაა. ლევანიე გადაუგიმლაუ—ლე-
ვან კიკნაძე იყო, შესიონი—ბესარიონ ზონენაშვილი.

იყვნენ კიდევ მიხაյო მორცხვაძე, სევდისარი, იმანია დამცინებული და სხვანი და სხვანი.

...თუთუნი ხელისგულზე დაიყარა, მაგრამ ქალდი არც ერთს არ აღმოაჩინდა. ქაშინ ჭაფურმა ვაეპ-ფშაველას რჩეულ ლექსთა კრებული გადაშალა და ვაესა და მისი მეულლის სურათზე აფარებული სიფრიფანა ქალალდი ამოხია. ეს ისე სწრაფად მოხდა, სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი. ჩემი წყენა არ შეიმჩნია. ქალალდი ოთხად გახია, ნახევარი კოხოძეს მიაწოდა და ერთ ნაგლეჯში თუთუნი ჩაჰყარა. ახვევდა და თან, საქციელწამხდარივით ცალ ლოყააწითლებული, თითქოს თავისთვის ბუტბუტებდა.

— ნიკოლაუს აგიუს, ნუ გეწყინება. არაფერია. ჩემს ვაეს კიდეც გაეხარდება. ქალალდი გამოხედვას უშლიდა. ახლა თვალი გაახილა. ნუ გამიბრაზდები. თუ გინდა, ასეთ ქალალდს ხვალვე გიშოვნი და ჩავაწებოთ. მაგრამ რა საჭიროა. ვაეს პირბადე რად უნდა? აქ არც კი აჩნია, რალაც ქალალდი რომიყო...

იმ ღამეს აღარ დარჩა. ხვალ დილით ადრე სადგურზე ერთ ვინმეს უნდა შევხვდე და დამაგვიანდებაო.

გარეთ რომ გამოვედით, უკვე გვიან იყო. ცას თანდათან მოეწმინდა. აქა-იქ გაბნეულ ვარსკელავებს კაშკაში და ელვარება მომატებოდათ. ქალაქი მყუდროებასა და დუმილში იყო ჩაძირული. ნისლი კი ისევ ბურაფდა რიონის გაღმა-გამოლმა მხარეს და

კვლავ ბჟუტავდა ჩირალდანი პარაშუტის კოშკები. მაღაზიების წინ, დანქლრეულ ვედროებში გაჩა-
ლებულ ცეცხლთან, მიყუფულიყვნენ დარაჯები და
ხშირ-ხშირად ითბობდნენ გათოშილ ხელებში. დრო-
დადრო ჩაპბერავდნენ და ჩაპბერავდნენ სასტე-
ნებს. შორიდან სხვები გაეხმაურებოდნენ და ისევ
მიწყნარღებოდა ყველაფერი.

იდგა ლადო ბარაქიანი თოვლით დაბამბული
და ელექტროლამპიონებით გაქათქათებული ქუთა-
ისის ამ თეთრ ღამეში, შეჰყურებდა ვარსკვლავებით
მოჭიქვიყებულ ცას და ისმენდა სასტენების გაბ-
მულ ურიალ-ურიალს.

— ხვალ კარგი საკურდლლე ამინდი იქნებაო,—
ჩაიცინა და ჭერ გაუკვალავი თოვლით დაფენილ
ქუჩებში მიიმალა.

იგრძნობოდა მოახლოებული ალიონი. ვარსკვლა-
ვები გაცისფერდნენ. გაღმა მზრიდან მოდენილი ცი-
ვი ნიავი არხევდა თოვლისგან დაყურსულ ტელე-
ფონის მავთულებს. ყოფილი გიმნაზიის ძელ
შენობასთან ჩამწკრივებულ ჭადართა შტოებიდან
ცვიოდა თოვლის მშრალი ხრილი.

— მალე გათენდება მზიანი, ჩახჩახა დილა,
მშვენიერი დღე. ერთი ჩინებული ახალგაზრდა პო-
ეტი კი მიაპობს ახლა მუხლამდე თოვლს ამ ნაშეა-
ლამევს, მიდის თავის ცივ ოთახში მარტოხელა,
უდედმამოდ, უთვისტომოსავით და ისევ ფიქრობს
ლექსებზე, კარგ ლექსებზე, — ნაღვლიანად ჩაი-
ლაპარაკა, კიბესთან მდგარმა შალვა კოხოძემ. —

ქაი შარვეე ბიჭი უნდა იმ აღმართში ასკლად სულ
ამინდში... მე ვერ გავბედავდი ამას!

ეროვნული

იმ დროს ლადო ქუთაისის სადგურთხი ციხე-
რობდა — ძერეინსკის ქუჩაზე, 35-ე ნომერში, ერთ
პატარა ღარიბულ „კოლოფში“. კუთხეში მიდგმუ-
ლი საწოლი, მაგიდაზე დაწყობილი წიგნები და უუ-
რნალ-გაზეთები, უბრალო მოწაფური საწერ-
კალამი და ძაბრიანი სამელნე, კედელზე გაქრული
ვაჟასა და ბაირონის ფოტოსურათები, იქვე—ცალ-
ფა ლურსმანზე — წითელარშიებიანი ტილოს პირ-
სახოცი, ლურჯი კეპი და უღალი კურტაკი,—ეს იყო
მთელი მისი ავლადიდება.

XXX

მეორე დილას რედაქციაში დამწვდა. გაღიმე-
ბულმა ხელში რაღაც ქალალდი ჩამიდო: ნიკაია.
წუხელ აი ეს დავწერე, შენ გქონდესო, თქვა და
აუჩქარებლად დაუყვა კიბეს.

ეს იყო ნახევრად სალალობო ლექსი, მისი წინა-
ღამინდელი უხიაკი საქციელის სახსოვარი. სათაუ-
რიც რაღაც ახირებული პქონდა: „მე, ფშაველა და
აგიაშვილი“. მთელი ტექსტი კი მთლიანად ასე-
თია:

პოეტის სურათს თხელი ქალალდი
ეფარა მერთალი იღუმალებით,
მესმოფა ქაბუქს ნელი ღალადი
რაზიკაშვილის მწველი თვალების.

ულრუბლო ცაჲე არ ჩანდა მთვარე,
 ბორგიედა მთებზე გრიგალი ჩეარი,
 იყო ზამთარი და ბაღში გარეთ
 ალაზას ხმაზე ტიროდა ქარი. 
 მე მომენატრა თამბაქოს ბოლო, ~~კუსკუსის გარეთ~~
 თამბაქო მქონდა, ქაღალდი — არა,
 ეყრ მოვითმინე, მიველ და, ბოლოს,
 სურათს ქაღალდი აეაძერე წყნარად.
 — ჩემი სურეილი გაიგი გვიან,
 მეც მინდა ვნახო თოვლი მთაველად, —
 მითხრა და ძმურად გადამეხვია
 გახარებული ვაჟა-ფშაველა.
 ავიაშვილმა — როდესაც ნახა,
 ეწყინა ჩემი ასეთი ქცევა.
 — რაებს ჩადიხარ? რა ვიყო ახლა?
 ჩემს სამყოფელში შენ ხარ, თუ მე ვარ?
 მავრამ, რა ნახა ზეიადი კაცი,
 ჩემს გვერდით მდგარი, შავჩოხიანი, —
 კვლავ ვაიღიმა, არ იყო მეაცრი,
 და ვაჟას შეხვდა თავიაზიანი.
 მან ჩამოართეა ხელი და წყნარად
 უთხრა: — გულს მიელავს, ძმაო, თოვაო,
 როდის ჩამოვა ირემი ბარად,
 ან ვაზაფხული როდის მოვაო?
 შემოგვახვია ორთავეს წამით
 მხრები, თვალს ცრემლის დაადგა რთვილა...
 და ასე დიდხანს ვიღექით სამნი:
 მე, უშაველა და ვეიაშვილი.

შ. კოხოძემ წაიკითხა ეს ლექსი და ლადოს
 გულდაწყვეტით უსაყვედურა: — რად ვამომტოვე?
 მეც ხომ იქ ვიყავი, თქვენთან? იმ ლექსში მოწმედ
 მაინც რად არ დამასახელეო?



შალვა კოხოძის ოცნება იყო დფრდეტუნის
რობდა, ოდესმე ახლოს დაენახა დაგეგცნი დრდა
პოეტები. მაგრამ პარიზიდან ახლადდაბრუნებული
გალაკტიონი ქუთაისს რომ ესტუმრა და ჩვენი რე-
დაქციაც მოინახულა, კოხოძემ დაირცხვინა და
სადღაც გაიპარა.

ცხოვრობდა მამასთან და ძმებთან მაღლაკის
გზაზე — ზდანოვიჩის ქუჩის 49-ე ნომერში, თავისი
მეგობრის — შალვა ლოლობერიძის მეზობლად.
სტუმართმოყვარე მშობლები ჰყავდა და სახლს
უკან პატარა ვენახი ჰქონდათ გაშენებული. ბევრი
კარგი დრო გაუტარებიათ რედაქციის თანამშრომ-
ლებს და ახალგაზრდა პოეტებს ამ ვენახის განა-
პირას.

შალვა აღებული ხელფასიდან ყოველთვის მო-
მაბარებდა განსაზღვრულ თანხას, ერთბაშად არ
შემომეხარჯოს და აუცილებელი საჭიროების დროს
სალაროში მიბარებულივით მექნებაო. შემდეგ ნა-
წილ-ნაწილ მოითხოვდა და, თან, წერილობით. აი,
მისი ერთი ასეთი მოკლე, მაგრამ „მძაფრშინაარ-
სიანი“ ბარათი:

„ამისანაგო ჩემო საესავო,
უაშშა უკიდურესი. გაჭირებისასა მრავალგზის მომიმარ-
თავს შენთვის დახმარების აღმოსაჩენად, და შენც მრავალ-
გზისვე აღმოგიჩენია დახმარება ჩემთვის — ჯიბის შესა-
ფერ.“

და, როგორც ხშირად, ახლაც, წინაშე შენსა დგას

სტუდენტი ხელმოკლე და ელის შეწევნას შესასა: თანხა
სცირდება — რაოდენობით — მანეთი და ექვეთი შატრი,
ანუ ასოციაციი კაპიკი. ველი ამ თხოვნით აღძრული ხა-
კითხის დადგებითად გადაჭრას".

სტუდენტი

პირველი გვ. 1

შეორე წერილში იწერება: „მივდივარ ერთ
ადგილას, ფეხსაცმელი უნდა გავიწმინდო, წვერი
გავიპაროს, პაპიროსი უნდა ვიყიდო“ (ეს იყო მისი
„უკიდურესი გაჭირვება!“) და ითხოვს 5 მანეთს. ამ
თხოვნას ყოველთვის დააყოლებდა: „ჩემი ფონდი-
დან მომეციონ“.

შალვა პედინსტიტუტში სწავლობდა და რედაქ-
ციაშიც მუშაობდა. მე მასთან ერთად თავიდან ბო-
ლომდე დავიარე ბავშვობიდანვე ნაცნობი და მო-
წაფეობისას შეყვარებული ქუთაისი—მისი ლამაზი
მიდამოებიანად.

„როცა ქუთაისში ჩამოხვალო ჩემი მეგობრები, აუკი-
ლებლად ინახულეთ ის ადგილები, საღაც ჩვენ ეხეტია-
ლობდით, — ომამდე ადრე სწერდა იგი ლაღოს თბილის-
ში. — მე, შეიძლება, იღარ ვიყო და ვეღარ დაგხედეთ მა-
შინ იქ. მაგრამ — სულ ერთია, სულით და გულით მაინც
თქმითან ვიწნები. ქუთაისი და თბილისი ახლოს არიან
ერთმანეთთან. მეტი სიგრძე-სიგანე აღარა იქნეს ჩა-
ტარა შეეყანას. თავიდან რომ დაუყუცეთ, ყველა ერთმანე-
თის ნათესავ-მოყვრები აღმოეჩნდებით ქართველები საქარ-
თველოში..."

მირაეცით ნუ გაგიქრებათ ქუთაისში გატარებული დღე-
ების სიტყბო-სიმწარე. ნუ დაივიწყებთ აქაურობას. აირ-
ბინეთ 192 სალეხურიანი კიბე, გაღმოხელეო უქმდერიონი-
დან ჩალაქს და დატებით მისი ცქერით. წინათ თვეას მოვ-
ტაცებდათ რიონი და მისი სიჩაუქე. ახლა შეხედეთ რიონ-

ექსი, ზარმაცი მეხრის კაშეჩივით რომ ჩატოლიდა ტორნის გარდიგარდომ და თითო ამოცანაზე თასათბით ცხენის ძალას ისერის ხახალაფრენილი პირიდან, არტანებრი მომ წყალეული რომნი, თავდასაღწევი აღვიწურებ ძებნისას, შეკან-ნე-ყვავილას კლდეში შემდერალა, გულმრავალი შეტერა ფის სალორიის ტყეში და ყვირილასა და წყალწითელას სთხოეს ძმობას, აქამდე მათი უფროსი ძმა...

ინახულეთ დაღრევით მდგარი და მდუმარე ბაგრატის ტაძარი. მაყად დაპყურებს იგი ქეთაის, თვალს აყოლებს ძირს — რიონის დენის, შორს, — „დაბინდულ სილურ-ჯეებად“ გაღაშლილ ვაკე იმერეთს, ზევით — ვეშაპივით ლაშდალებულ კავკასიონის მთაგრეხილებს. ბევრი რამ უნახავს და გაპყეირებია, მაგრამ ყველაზე საოცარი მის-თვის ისაა, რომ გეერდში რამდენიმე ათასსანთლიანი პრო-ცექტორი დაუდგეს და ახლა ეს დაპყურებს ამწვანებული სუროთი დაფარული ტაძრის დაგლეჭილ სხეულს.

ნურასოდეს დაივიწყებთ ჩეენს რელაქციას... როგორ გინხაროდა იქ შესვლა და ხალისიანი მუშაობა რა სამერი სანახავი იყო მთელი ქრებული: დღენიალავ მაგილასთან მა-მჯდარი პარმენ შელევია, მუდამ ხელნაწერებისა და გაზე-თში გასაშეები მასალების კითხვა-სწორებით გართული გიორგი ჭიბლაძე, თავაზიანად ტკბილმოუბარი პეტრე ბახ-ტურიძე, დაულალავი ელიოზ ნუციშვილი, მარჯვე უურნა-ლისტები და მგზნებარე ენთუზიასტები — ლევან გაბრი-აძე და სერგო ფხავაძე, პლატონ გულუა და კოლია კოვ-ზირიძე, ვლადიმერ შევეულიძე და შალვა ლოლობერიძე, დაეით ცეკარიანი და რაედენ გაბეჩივა, რუთა და ოთარ ბერიძეები, ლეო ნუროდე და პავლე ლომიძე... და მრავა-ლი სხეა, სახემლიმარენი და თვალებგაბრწყინებულნი, სი-ყვარულით რომ ჩაპერეკიტებდნენ გაზირის გეერდებს და, მხიარული კონვეიირეიით მოძრავნი. ახალგაზრდული თავ-დაეიწყებით იბრძოლნენ და შრომობდნენ, რათა ცხოვე-ბას ხავსი და ობი აზ მოქვიდებოდა... ყველას და ყველა-ფერს კი, დიდი ოჯახის კარგ პატრიონ-მამასავით თავს და-

ტრიალებლა კოლია ცხავადა. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე მზიანი დღეები, რაც ჩემთვის აღარ განმეორებული დამჩრინ მხოლოდ თბილი და ძლიერ ტკბილი მოგონებები და ხსოვნა გულებოთილი მეგობრებისა... ური 136 ულე

ჰოდა, ძეირფასო ლადიმ ასატინ! ძლიერ გთხოვ, ნებ დამიკიწყებ, ხანდახან წერილი მომწერე. იშედი მაქვს, არ გადიდეაც დები და, მაქ რომ გეწვევი, ჩემთან ერთად ჩაიკლი თბილისის ქუჩებში, ისე როგორც ქუთაისში გვიყვარდა... ჩამიუვან სარდაფში, დამპატიუებ თრიოდე ჭიქა ლუზზე და დამალევინებ ნიკო ფიროსმანის სადლევრელოს...

გაეიგე, ფიროსმანზე გიმლერია და ისე ტკბილად, რომ იმ ლექსის ქება აქ მოვიდა. ძლიერ კარგი ლექსი ყოფილა.

როცა ახლობელ მეგობარს, თუნდ უბრალო წერილს ვწერ, ვემზადები რამდენიმე დღით აღრე. მინდა ძლიერ ბევრი და კარგი ამბები მივწერო, მაგრამ კალამს რომ აიღოდებ ხელში, წინანდელი ჩანაფიქრი სადლაც გამიქრება. ახლაც ასე დამეტართა. ამიტომ არა ყრია რა ჩემს წერილში ისეთი, რომელიც ერთ ფრანგულ სუდ მაინც ლირდეს (ამ კვირაში ბალზაკის კითხვეს გადაეყევი და ახლა ყოველ ნაბიჯზე მელანდება სუ და ფრანკები, რაც ძლიერ მაკლია!). ისე კი, მართლა მოქლებული ვარ ბევრ რამეს, რაც ესოდენ ახარებს აღამიანს და შმატებს ხალისს, მხნეობასა და სიცოცხლის სიყვარულს. ახლო მეგობრები იღარავინ დარჩით ამ ქუთაისში და, ეს აღბათ, იმის ბრალია!

ჩემი მომავალი ცხოვრების გზა პირველ სექტემბერს გაირკვევა, როცა ოფშევითის საშუალო სკოლაში გამოვცხადდები „უჩიიტლად“ ქართული ენისა და ლიტერატურისა...“

¶

ახლა ბევრი მათგანი აღარ დადის ამ ქვეყანაზე: კველაზე აღრე პარმენ შელეგია დაგვშორდა სამუდოდ; ელიოზ ხუციშვილმა და შალვა კოხოძემ სამამულო ომის დროს ფაშისტთა ტყვეობაში დალიეს სული; სევერიან ისიანი და ოცდაერთი წლის

გიორგი ნაფეტვარიძეც იმ ომში დაიღუპნენ, ბრძოლის ველიდან არც ლეო ხუროხე და პავლე ლომიძე დაბრუნებულან; დათიკო ცვარიანი ბრძოშემზე თხვევამ იმსხვერპლა; ვანიონ დაზაჲველი კი დურუსეულად გვერდით უწევს საქართველოს რჩეულებს დიდუბის პანთეონში, ხოლო გრიშა იმედაქეს კარგა ხანია ბაგების ღორლიან მიწაში ძინავს— ლადოსთან ახლოს...

XXXI

1938 წლის ზაფხულშე საცხოვრებლად და სამუშაოდ ლადო თბილისში გადავიდა. მის ქალალდებში ინახება შ. კოხოძის ხელით გადაწერილი ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომლის დამწერი ჩემთვის უცნობია. მეგობრის განშორებით გულდაწყვეტილი ავტორი სინანულსა და მწუხარებას გამოთქვამს:

ერთი პოეტით იწონებდა თავს ქუთაისი,
ისიც წავიდა — მეოცნებე და ნალვლიანი...
ცნობილი ლექსით და ქართული სიდარბაისლით,
წავიდა ჩეენგან ჩეენი ლადო ასათიანი!..

იქვეა ერთი წერილიც, შემდეგი სტრიქონებით:

„დაფრთიანებული არწივი უსაზღვრო სივრცეებისა—
გან მიისწრაფის, აღარ აქმაყოფილებს ჭიუხებში მიღვმული
ბუღე. სუვე — პოეტიც, სივრცისა და დროის უსაზღვროებას ეტანება. ბოლოს კი (დაფნის გვირგვინით
მოსილი) ბერი არწივივით ისევ ძველ ნაბუღარს უბრუნდება. და, ვიმარელი ლომივით, მშეიდად ლევს სულს.

კფიქრობ, ახალგაზრდობის საოცნებო დღეები და ბაჟშვილის მოგონება ვეფხეს კვლავ თავის ბუნაეს მოანატრებს; უველაუერი ეს იმისთვისაა თქმული, რომ შენ გაიხსენო ვაბუკური ენებანი, შეყრილი ქუთაისისა შინაგანი მუნიციპალიტეტი

შემდეგი განვითარების მიზანისათვის

სწერდა ორიოდე წლის შემდეგ თიბილისში მყოფ ლადოს გიორგი ნაფეტვარიძე, — ქუთაისს ნუ დაივიწყებ, იქაური ბიჭები გახსოვდესო.

ლადო ასათიანის არ დავიწყებია ქუთაისი და იქ გატარებული დღეები. არც ტოლმეგობრებთან შეუწყვეტია ურთიერთობა. ისევ ბეჭდავდა საკუთარ ლექსებს . და საყვარელ პოეტთა თარგმანებს, ქუთაისის გაზეთში კვლავ იგონებდა „ცისფერ კაფეს“, ჩაესმოდა მის ყურს „რიონის შრიალი შორი“, და წერდა:

რიონის პირად შფოთავს ქალაქი ათას ჭირსა და ლხინში
ნაქები,
ყოველ ახალ წელს საგულდაგულოდ განთებული
ჩიჩილაქებით.
მის განთიადებს ნუ დაივიწყებ და არასოდეს არ დაბერდები...

მაგრამ დაბერება და ძველ ნაბუღარში დაბრუნება აღარ დასცალდა: ხუთიოდე წელიწადში დამთავრდა „ერთი მართალი კაცის ცხოვრება!“



დღესაც გაიხის მათი სიმღერა!

რა გატაცებით ეიდოდით ერთად
და მერე როგორ დაეითანტენით!
გიორგი კალანდაძე

I

1938 წლის მარტის მიწურულს ბევრი რამ ახალი იყო თბილისში: რეინიგზის ახლადგადაკეთებული სადგური, სადაც ახალ ელექტრომავლებს ჩამოყავდა ზღვა ხალხი; ჩელუსკინელთა ახლადდამთავრებული ხიდიდან რუსთაველის პროსპექტზე გავლით ტრამვას ახალი ფართოლიანდაგიანი ხაზი; შენს სურვილსა და გემოვნებაზე იყო, რას აირჩევდი: ტროლეიბუსს, ახალ ტაქსსა თუ ახალ ავტობუსს. სადგურიდან ყოფილ თავისუფლების მოედნამდე და, ყველგან და ყოველი მხრით, იგრძნობოდა სიახლე. ყოველი ფეხის ნაბიჯზე — ახალი და სულ ახალი: ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ახალი ქუჩა და ახალი შენობა, გრანდიოზული ცირკი და სტადიონი, პირველი თერთმეტ-სართულიანი სახლი თბილისში, ლამაზხეივნებიანი

შშვენიერი სანაპირო, ახალი პარკი მთაწმინდის პლატოზე... ახალი რომანები და რეკლამები, ახალი კინოფილმები და ახალი დაღვეული ჟურნალებში... ეს სიახლე ისე იტაცებდა უდამიანს, რომ გაიფიქრებდი; ნეტავი ამ დაუცხრომელი ზრდა-განვითარების, ყოველდღიურად შესამჩნევი ცვალებადობისა და ამ მჩქეფარე საქმიანობის მარადიული თანამცხოვრები ვიყო.

ყველაფერი თითქოს ახალი და უცნობი იყო. მაგრამ უფრო ახლებურად მომეჩენა უურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქცია და მისი ახალგაზრდა მწერალ-პოეტები.

რედაქცია, სადაც იმავე წლის აპრილიდან დავიწყე მუშაობა, მწერალთა კავშირის ერთ პატარა ოთახში იყო შეყუეული. შემდეგ იქ პატორგანიზაცია მოთავსდა. ოთახში ძლივს ეტეოდა ორი მომცრო მაგიდა. ერთს რიგრიგობით მიუსხდებოდნენ: რედაქტორი — ირაკლი აბაშიძე, ერთადერთი განყოფილების გამგე — ერემია ქარელიშვილი, გამომშვებ-კორექტორი — პოეტი იოსებ მჭედლიშვილი და რედაქტორის მდიგანი. მეორესთან (ის კიდევ უფრო პატარა იყო) განუწყვეტლივ მუშაობა საქმეთა მმართველი ეთერ ხაჭაპურიძე, და გარშემო გვეხვია ახალგაზრდა მწერალთა ლაშქარი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოდნავ „გაცფართოვდით“ და ჩავედით პირველ სართულზე, სადაც ახლა მწერალთა კავშირის ბულალტერია. არც იქ

იყო დიდი ხალვათობა, მაგრამ სამი მრგვაც
მაინც იდგმებოდა. ვიწრო და მოკლე კიბეს რომ
აათავებდით, ოთახში შესვლამდე იყო რაღაც ვესტი-
ბულის მსგავსი, პატარა „მოსაცდელი“, სადაც
ყოველთვის შეყოვნდებოდნენ სხვებზე უფრო
მორიდებული და თავმდაბალი ახალგაზრდები,
რომელთაც ჯერ კიდევ რცხვენოდათ და ერიდებო-
დათ რედაქციაში ჯიქურ, თამამად შემოსველა.

ბოლოს ისევ ზევით ამოვედით, გვერდითს დიდ
ოთახში, საღაც ამჟამად სექციების განყოფილე-
ბაა, და ნამდვილ რედაქციას დავემსგავსეთ. ჩვენს
გვერდით, ყოფილ „სპარსულ ოთახში“, იყო „მნა-
თობის“ რედაქცია. განის მომცრო კარით ხშირი
მიმოსვლა გვქონდა ერთმანეთთან და მჭიდრო
კონტაქტს ვამყარებდით ჩვენს „უფროს ძმასთან“...

II

ჯერ გამოვიდა უურნალი „ახალგაზრდა მწერა-
ლი“.

საკავშირო ქპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის
1932 წლის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ
განსაკუთრებული უურადლება მიექცა მწერლობა-
ში ახალგაზრდა კადრების დაწინაურებას და მათ-
თან მუშაობის გაძლიერებას. ამ მიზნით ახალგა-
ზრდა დამწყებ მწერალთათვის გამოვიდა ცალკე
უურნალი. მართალია, მანამდე ახალგაზრდათა ნა-
წარმოებებს საკმაო ადგილი ეთმობოდა მაშინ-
დელ უურნალ-გაზეთებში, მაგრამ უკვე დიდი

ხანი იყო გასული, რაც სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ორგანო აღარ გააჩნდათ.

უურნალ „ახალგაზრდა მწერლის“ რედაკოლეგი-აში შედიოდნენ მალაქია ტოროშელიძე (3/ მგ. რე-დაქტორი), ლეო ქიაჩელი, კალე ბობონიძე (3. მგ. მდივანი), ზაქრო დოლიაშვილი, დემნა შენგელაია, ელიზბარ ზედგინიძე და სხვ.

უურნალი მიზნად ისახავდა მოწინავე ახალგაზ-რდობის რიგებიდან მწერალთა ახალი კადრების გამოყვანას, მათგვის ყოველგვარი დახმარების ალ-მოჩენას, ხელს უწყობდა მწერლობაში უკვე გამომეულავნებულ ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალთა აღზრდასა და საბჭოთა მწერლობის მოწინავე გვარ-დის შექმნას. ახალგაზრდა მწერალთა კადრები სოციალისტური მშენებლობისა და ყოფის აქტიუ-რი მშენებლები უნდა გამხდარიყვნენ.

1935 წლის ივლისიდან „ახალგაზრდა მწერა-ლი“ რეორგანიზებულ იქნა და გამოვიდა „ჩვენი თაობის“ სახელწოდებით. „ჩვენი თაობის“ რედა-ქციის თავდადებული მუშაობით ჩვენს საბ-ჭოთა მწერლების. რიგებს შეემატა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი. ისინი ამ რე-დაქციაში ეუფლებოდნენ ლიტერატურული ოსტა-ტობის რთულ ტექნიკას, იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ ნომრიდან ნომერში და აპი-რებდნენ უფრო „ხნიერ“ ახალგაზრდებთან გა-ტოლებას. უურნალის ირგვლივ დარაზმული ახალ-გაზრდობა ახალი მხატვრული ძლიერებითა და და-

მაკერუბლობით - ცდილობდა სოციალისტური ხა-
ნამდგილის ასახვას. უურნალი ხელს უწყობდა
სოციალისტური ლირიკის, ეპოსის, დრამატურგი-
ისა და კრიტიკის განვითარებას, რის საშუალების
თაც მწერლობას, თანამედროვე ამოცანების სიმა-
ლლეზე აყვანით, უნდა აესახა ჩვენს ქვეყანაში მო-
მომხდარი გრანდიოზული ამბები (ეს აზრები ხას-
გასმითა აღნიშნული და გამოთქმული უურნალის
პირველი ნომრების მოწინავე წერილებში).

ოციანი წლების დამდეგს ახალგაზრდობის პირ-
ველი გაწვევა მწერლობის ფრონტზე გაზეთ
„სპარტაკიდან“ და უურნალ „მომავლიდან“ დაიწ-
ყო. შემდეგ ქუთაისელი ახალგაზრდა „დინამიტე-
ლები“ შეუერთდნენ თბილისის „პროლემაფელი“
ახალგაზრდობის ძლიერ რაზმს და შექმნეს პრო-
ლეტარული და რევოლუციური ახალგაზრდა მწერ-
ლების ერთიანი მებრძოლი ფრონტი.

1926 წლიდან გაზეთ „ახალგაზრდა კომუნის-
ტის“ ნომერში სისტემატურად მოთავსებულმა
კომკავშირელ მწერალთა ფურცლებმაც დიდი რო-
ლი შეასრულეს ახალგაზრდა მწერალთა თვალსა-
ჩინო, ნიჭიერი ძალების გამოვლენაში.

შემდეგ „ახალგაზრდა მწერლისა“ და „ჩვენი
თაობის“ რედაქციაში მოვიდა ჩვენს მწერლობაში
უკვე სახელმოხვეჭილი და თითქმის ახალგაზრდო-
ბის ასაკიდან გამოსული მათი საუკეთესო ნაწილი,
რომელიც ახალგაზრდა დამწყებ მწერლებთან ერ-

თად უურნალის ფურცლებზე ბეჭდავდა თავის
ლექსებსა და მოთხრობებს. იღსანიშნავია ისრუ,
რომ ამ უურნალთა ნომრებში მოთავსდა უფროსი
თაობის ისეთი ცნობილი წარმომატებენლების
ნაწარმოებები, როგორნიც იყვნენ ვასილ პარნაურ,
გალაკტიონი, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამ-
სახურდია, ლეო ქიაჩელი, გიორგი ქუჩიშვილი,
ალექსანდრე აბაშელი, ი. გრიშაშვილი, კონსტან-
ტინე ჭიჭინაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ
ნადირაძე, იოსებ მჭედლიშვილი, ილო მოსაშვი-
ლი, სანდრო ეული, ხარიტონ ვარდოშვილი, რაე-
დენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, გრიგოლ ცეცხლაძე
და სხვები.

III

1938 წლის აპრილის პირველი რიცხვებია.
ვამზადებთ მე-4 ნომერს.

ჯგუფ-ჯგუფად შემოდიან ახალგაზრდები და
ერთბაშად ავსებენ ვიწრო ოთახს. აქ არიან: რე-
ზო მარგიანი, ალექო შენგელია, ანდრო თევზაძე,
გიორგი კალანდაძე, ქმები უბილავები — ლადო
და ელიზბარ, იოსებ ნონეშვილი, გაბრიელ ჯაბუ-
შანური, შალვა ამისულაშვილი, ვასო ლომიძე—გამ-
ხდარი, შავგვრემანი ახალგაზრდა. ის ძალიან ად-
რე გამოაკლდა ჩვენთაობელთა რიგებს და ყველა-
ზე ადრე გარდაიცვალა. დაბეჭდა მხოლოდ რამდე-
ნიმე ლექსი და ერთი პოემა „გადარჩენა“.

ერთად შემოვიდნენ ვოლდებარ (ლადო) ავალი.
ანი და ოლექსანდრე სახით. შავ-შავ პალტოებში
კოხტად გამოწენწილნი, ძალზე ლამაზებად მომექ-
ვენა ორივე. მოკრძალებით შემოაყო კარი მურჩა
გელოვანმა. თავშიშველი იყო. ეცვა ჭავშნის მსგავ-
სი ეანგისფერი ჭუბა თუ პალტოსნაირი რაღაც სა-
მოსი. მოკრძალებით მოგვესალმა და ზურგი ფან-
ჯრის მაღალ რაფას მიაყრდნო.

მან მომაძებნინა თავისი პოემა „აონი“. წი-
ნანდელ მდივანს უარი ეთქვა დაბეჭდვაზე, ძევ-
ლი ადათჩვევების აპოლოგიაა და შიგ ახალი მთა
არა ჩანსო. ეტყობოდა, მირზა თავიდანვე გაბრაზე-
ბული შემოვიდა რედაქციაში, მაგრამ არ იმჩნევ-
და, მშვიდად ყოფნას ცდილობდა. ხანდახან ისე
გამოაკესებდა თვალთაგან რაღაცნაირ მომწევანო
ელვარებას, რომ შეიმჩნეოდა: ვერ იყო კარგ გუ-
ნებაზე.

როცა პოემა უჯრიდან ამოვილე და ჩუმად კით-
ხვა დავიწყე, რამდენიმეჯერ მომთხოვა: თუ შეი-
ძლება, დამიბრუნეო. არ ვარგა და, იყოს ჩემთან.
ძალიან მიყვარს, ჭერებობით უკეთესს ვერ დავ-
წერ. და, თუ არ მოგწონთ, რა ვუყოთ, მე ეგ არ
მწყინსო.

„აონი“ კარგი ნაწარმოები აღმოჩნდა. რედაქ-
ტორმა ირაკლი აბაშიძემ წააწერა: „დაიბეჭდოს
მე-6 ნომერშიო“, და მირზას ძლიერ ახარებდა ეს
ამბავი. იმ დღეებში სულ თბილი ლიმილი დასთამა-
შებდა ახლადშეღინდლულ სახეზე.

მირზას ის ის იყო ჭაბუკობაში შეედგა ფეხი.

თითქოს მუდამ მზით პქონდა გაბრწყინვებული იქროს სქელი ქოჩორი და გრძელწმწამებიან მომწვანო-ცისფერ თვალებს ლაპარაკის დროს არ აფახულებდა და ისე იყურებოდა აქეთ-იქით, თითქო ქოს ყურს უგდებდა თავისსავე ნათქვაში, თან წყუჩა რადლებით იმასაც აქვირდებოდა, რა შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე ჩემი ნათქვამიო.


სიცილის დროს სახე რაღაც მწუხარე და ოდნავ კაშნიანი გაუხდებოდა, წარბებს შეიჭმუხნიდა, მაინც მხიარული იყო, მაგრამ, შეიძლება ითქვას, — პირქუშად მხიარული.

მირზა გელოვანმა მთელი სამამულო ომი ტანკში მჯდომარემ გაატარა, მაგრამ სათუთი გული ჰქონდა, როგორც ჭეშმარიტ პოეტს და ფიცი და პირდაპირი იყო, როგორც ნამდვილი მთიელი. წარმოშობით ის ხომ სვანეთის მთების შეილი იყო და თიანეთის ლამაზ მთაგორებში დაბადებული და აღზრდილი, მჩქეფარე ივრის ამწვანებულ ნაპირას...

ფრონტიდან გამოგზავნილ მირზას ერთ წერილში არის ასეთი სიტყვები:

„თუ გიყვარდე, უკავილს ფეხს ნუ დააბიჯებ, ნუ გასრეს, ნუ გასთელავ. თუ გიყვარდე, ნურავის შეპხედავ თვალგაუმართავი და ძალური ლაქუცით. კაცურ კაცს არ შეფერის მასაეთ მეორე კაცის კაცი იყოს და ფინიასავით მიელაქუცოს მას გამორჩომის მიზნით.“

ხშირად იმეორებდა სტრიქონებს მეგობარი პოეტის — გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსიდან, ვაჟა-ფშაველას და ყაბბეგს რომ მიმართავს:

ჩევნ იმ გზებს მივდევთ, სად ნამუხლარა
 თქენი ატყვია მაღალ ქარაფებს,
 მაგრამ ჩევნ ხმა გვაქვს თქვენგან უშარი.
 და სხვა ტკივილი გვადაბარებს. 
პირველი გვ. 1

— ზღვა მელნად და რკინა კალმად უნდა გვქონ-
 დეს, საქართველოს სიყვარულზე ლექსები რომ
 ვწეროთ, — უთხრა მან ერთხელ ლადო ასა-
 თიანს და დასძინა: — ძალიან მიყვარს კონსტან-
 ტინე ლორთქიფანიძის ერთი ლექსის სიტყვების
 გამეორება:

ჩემი ლექსი სიცოცხლის სიყვარულით მოვრალია,
 სიყვარულით დარჩება მომდერალი ცხოვრების!

და ასეთივე იყო იგი მუდამ.

ერთ დღეს ზოოპარკში იყვნენ ლადო ასათია-
 ნი და ოლიოშა საჭაია, მიეხალისნენ ირმებს, მიუ-
 ალერსეს თუთიყუშებსა და ფარშავანგებს, დააფრ-
 თხეს დღის სინათლით გამოლენჩებული ზარნაშო.
 მირჩას არ მოეწონა მაიმუნების მანჭვა-გრეხა და
 ზიზღით გაშორდა მათ.

ერთი დღი პავიანი თვლემდა ჩეროში, სპლინ-
 მორეული.

— აი, ეს კი ცოცხალი კლასიკოსია, უკვე სა-
 ხელმოხვეჭილი და ნაიუბილარი, — წამოიძახა მი-
 რჩამ. შემდეგ დიდხანს იდგა ლომ-ეეფხვთა გალი-
 ებთან.

— ახლა ეს ლომები და ვეფხვები ნახეთ! რა

სიძულვილი და უსაზომო სევდა გამოკრთის მითი
ნაღვლიანი თვალებიდან,—განაგრძობდა ივი—ერ-
თხელ უნდა მოხვიდე და აუშვა ყველა ესენი. პო,
რა ორომტრიალი დადგება და რა თვალისების
ვნახავთ! მერე იმდენი ძალა და გავლენა უნდა გქო-
ნდეს, რაიმე ლექსი წარმოიქვა ან იმღერო ივთან-
დილურად და, ერთი თვალის გადაბრიალებით,
შენს ფერხთით განერთხოს ყველა. მაშინ იქნები
ნამდვილი პოეტი და მომღერალი ამჟეყანაზე!

როცა სამამულო ომი გაჩაღდა და მოელ ქვე-
ყანას მოედო მისი საზარელი ხანძარი, მირზა
ბრძოლებში იყო — უკვე კაპიტანი. ივი აღარ და-
ბრუნებულა. დაილუპა სწორედ ომის დამთავრე-
ბის წინა თვეებში.

ბევრი მათგანი პირველად ვნახე იმ დღეს. და
შემდეგ თანდათან გავიცანი ყველანი.

რევაზ მარგიანს უკვე კარგა ხნის დაწერილი
ჰქონდა თავისი „მირანგულა“, და პოეტებმა ზე-
პირად იცოდნენ ამ ბალადის სევდიანი სტრიქონე-
ბი. რეზო ერთხელ თბილისში ჩამოსვლისას გამა-
ცნო გრიშა აბაშიძემ მწერალთა კავშირში. შემდეგ
ივი რუსთაველის გამზირზე შემხვდა და გზადა-
გზა საუბრის დროს გადმომცა თავისი მეორე ბა-
ლადა „ყასბულათი“ „სიტყვა და საქმეში“ მო-
სათავსებლად, მაგრამ ეს გაზეთი მალე დაიხურა
და ლექსი აღარ დაბეჭდილა იქ.

ალექს შენგელის ოცდაათიანი წლების დამ-
დეგიდან ვიცნობდი „ახალგაზრდა კომუნისტის“

რედაქციაში მუშაობის დროს, ხოლო ანდრო ზექ-
ზაძეს ხშირად ვხვდებოდი ქუთაისში ყოფნისას.

მუშაობაშ და საერთო საქმემ მაღე დაგვააბ-
ლოვა ყველანი და თითქმის ხუთი წელი გავარა-
რეთ ერთად იმ პატარა რედაქციაში: რამდენი წე-
ლიწადი გავიდა მას შემდეგ და, აი, ბევრი რამ
კვლავ ცოცხლად წარმომიდგება. და, მეც

მოვიგონებ წარსულს გულით.

IV

იმ წლებში ვცხოვრობდი მსროლელთა ქუჩის
(ახლა სულუხიას ქ.) მე-13 ნომერში. როცა 1938
წლის გაზაფხულზე ქუთაისიდან ჩამოვიდა ლადო
ასათიანი და დროებით ნაძალადევში იყო შეკედ-
ლებული თავის მამიდასთან — ლელაშვილის ქუ-
ჩაზე, თითქმის ყოველ დილით გამომივლიდა და
ერთად წავიდოდით მწერალთა კავშირისკენ — მა-
ჩაბლის ქუჩის მე-13 ნომერში..

ასე — ცამეტი ნომრიდან ცამეტ ნომრამდე —
საბჭოს ქუჩით დავადგებოდით კორესის (ახლან-
დელი მარჯანიშვილის) ქუჩას, რომელიც თითქოს
დანით ზედ შუაზე სჭრის მთელ თბილისს, ავივ-
ლიდით ელბაქიძის აღმართს და ტაატით გავუყვე-
ბოდით რუსთაველს. იქ აუცილებლად დაგვემგზავ-
რებოდა რომელიმე ნაცნობი და საუბარ-მუსაიტით
მივიწევდით წინ და წინ. ჩამოვივლიდით წიგნის
მაღაზიებში, გადავფურცლავდით რამდენიმე ახალ
წიგნს, რომლებსაც ჯერ ისევ ასდიოდა სტამბის

საღებავის დამბნედი სუნი. გათვალიერებდით კონ-თეატრებისა და სხვა სანახაობათა ანალიზალ აფიშებს, რამდენიმე წუთს შევჩერდეჭიჭყიც უკუნდებისა და ჭაღრების ძირში და განვითარებით საუბრით განვაგრძობდით გზას.

ბევრი კარგი მოგონება შემორჩია ხსოვნას თითქმის მთელი ქალაქის სიგრძეზე ასეთი ხშირი და ხანგრძლივი „მოგზაურობის“ დროს. დაუვიწყარია ეს საუბრები თავისებური შეჭაჭყანებით, შექილიკებით და ათასი დავიდარაბით.

თბილისში საბოლოოდ ჩამოსვლამდე კი, ეტყობოდა, ლადო ასათიანს ძალიან გაუჭირდა ქუთაისში ყოფნა.

გაუგებრობის ნიადაგზე ინსტიტუტიდან გარიცხული ლადო ოღლენილ იქნა ლიტერატურული ფაკულტეტის მეოთხე კურსზე მესამე კურსის სავალდებულო საგნების ჩაბარებით პირველ მაისამდე და „მნათობისა“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციებს მოუვიდათ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებისაგან გამოგზავნილი მომართვა, დაებეჭდათ ლადოს ლექსები, მაგრამ ლადო საბოლოოდ იქიდან წამოსვლას ჯერ ვერ ახერხებდა და ისევ უნუგეშოდ გრძნობდა თავს.

„ასათიანს არა თუ ლამე, დღეც კი ესიზმრები, — იწერებოდა შალვა კოხოძე. — რეიდებს უშენოდ ვეღარ ვაწყობთ და ელიოზ ხუციშვილიც აღარაა მექამად ქუთაისში, ისიც თბილისისენ აპირებს გამოფრენას“...

თბილისში ჩამოსვლამდე ორიოდე თვით აუზე
კი (1938 წლის მარტში) ლადო გულისტკივილით
იწერებოდა:

„ქალაქში ახლა ისევ თოვს. გუშინ ძაღლების ჩერებს
ეუზურე და ჩერენი ბებერი ძაღლი მომავონდა. შენ რაც
წაცვედი, მას შემდეგ მარტო ვარ. არც ქალაქში გავსულ-
ვარ ერთხელს მეტად. „გრანდ-ოტელისკენ“ ხომ სულაც
არ გამიხედია, — წარმოდგენები მახრიობენ. დღეს ვა-
შოვე სამი მანეთი და ჩერენს საყვარელ კაფეში მინდა დავ-
ჭდე, ჩერენს მავიღასთან. მინდა ვიფიქრო შენსე, სხეებზე,
ყვილაზე, მთელ მევყანაზე, ცოტა ჩემზეც... კაცი არა
მყავს, რომ ვუთხრა სიტყვა, გამიგოს, შეება მაგრძნობი-
ნოს.

ისე ჩემი საქმე, მკონი, კარგად მიღის. ცნობას მწე-
რალთა კაცირიდან დამიტრი კვირკველია და შავრეს ჩარ-
კვიანი¹ აგზავნიან „მნათობისა“ და „ჩერენი თაობის“
რედაქტორების ან მდივნების სახელზე. აბა, შენ იყო,
ახლა მაინც დამიბეჭდეთ ჩემი ობოლი ლექსები. ჯერ აჩ-
ვენე და წააკითხე ისინი ილიოს, ალექსისა და გორგი
ნატროშვილს.² ამ დღეებში მაქეთ ვაპირებთ გამოსეირ-
ნებას შალიყო კოხოვეთ და მე. ესტუმრებით ჩენ საყვა-
რელ თბილის და დაგვხედით მაქ, თუ ბიჭები ხართ“.

აპრილის შუა რიცხვებში მართლაც ჩამოვიდ-
ნენ თბილისში ის და შ. კოხოძე. ორი დღე დაპ-

1 დ. კვირ კველია იმეომად იყო მწერალთა კაცი-
რის ქუთაისის განყოფილების მდივანი, შავრეს ჩარ-
კვიანი კი — საქმეთა შპართველი.

2 ილიო მირცხულავა მაშინ „მნათობის“ რე-
დაქტორი იყო; ალექსი გომიაშვილი და გ. ნატროშვილი —
ამავე უცრალის რედაქტორის განყოფილების გამგეები.

ყვეს, გული იფერეს სხვადასხვა სანახობით, მაგ
ლი ამხანაგების გაცნობით ხოლო რამდენიმე წეს
შემდეგ ლადო სულ გადმოსახლდა დედაქალაქში

უკრაინული

V

პირული გადასახლება

ახალგაზრდა მწერლები თითქმის ყოველდღე
ხვდებოდნენ ერთმანეთს. უმთავრესად — რუს-
თაველის გამზირზე.

იშვიათია, თბილის შეყვარებულმა კაცმა
დღეში ერთხელ მაინც არ ჩაიაროს რუსთაველზე.
ახლა ვეღარ შეხვდებით ასე მოსეირნე მწერლებს.

ცაცხებითა და ჭადრებით დაბურული რუსთა-
ველის პროსპექტი თითქოს ჩვენი ცხოვრების ერ-
თი დიდი, ლამაზი, ფართო გზაა, და ზედ — მარ-
ჯვნივ და მარცხნივ — ნანატრ სადგურებივით მი-
უყვებიან ერთმანეთს ყველასათვის საყვარელი ად-
გილები: ოპერის, რუსთაველისა და გრიბოედო-
ვის თეატრები, კინოები, კლუბები, წიგნის მა-
ღაზიები, რედაქციები, სასტუმროები — საუცხოო
რესტორნებით, სასახლეები, სამინისტროები, რუს-
თაველის, ილიას, აკაკისა და ეგნატეს ძეგლები,
მარჯანიშვილის, სარაჯიშვილისა და ფალიაშვილის
ძვირფასი საფლავები, სამხატვრო გალერეა, სა-
ხელმწიფო მუზეუმი, ქაშვეთი, ძეგლი გიმნაზია,
პიონერთა სასახლე და თელების განთქმული ხეი-
ვანი, კომუნარების ბაღი, ბორჯომისა და მინერა-
ლური წყლების მაღაზიები; იქვე, ზევით და ქვე-

ვით — დგანან: კონსერვატორია, საჭარო ბიბლიო-
თეკა, ლიტერატურული მუზეუმი და სამხატ-
ვრო აკადემია. აქვეა გაძოჩენილ ადამიანთა სახე-
ლობის ქუჩები, რომლებიც მოწიწებოთ ვარს ან
ვევიან დიდებულ შოთას პროსპექტს და ქედს იხ-
რიან მისი შარავანდედის წინაშე — პუშკინი, ალე-
ქსანდრე ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გრიბოედოვი.
ფურცელაძე, კეცხოველი, წულუკიძე, ჭიჭინაძე,
ჭორვიაშვილი, ბორის ძელაძე, ნატო ვაჩიაძე, ვა-
ნო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ლუნაჩარსკი,
ჭორვაძე, ჩიტაძე, გერცენი, შევჩენკო, ლესია უკ-
რაინკა... აი ჩა სახელები იწერია მათ.

და შურთ რესთველის პროსპექტის ბედი
ჩახრუხაძის და შევთელის ქუჩებს...

აქ იყრის თავს საქართველოსა და თბილისზე,
პოეზიასა და ხელოვნებაზე შეყვარებული ახალ-
გაზრდობა; პროსპექტს ავსებენ ეს ტანკენარი, პირ-
მწყაზარი ვარდლიმილა გოგონები, შავტრუხა და
ოქროს-ქოჩიანი, — ფაფარაშლილი ჭაბუკები.
ჩვენი იმედი და მომავალი. აქ ისვენებენ სწავლისა
და შრომის შემდეგ, ხედებიან ნაცნობებს, ნახუ-
ლობენ ერთმანეთს და კამათობენ.

VI

საღამოობით რომელიმე ახალგაზრდა მწერა-
ლი დაასწრებდა ყველას და გამოვიდოდა პროს-
პექტზე. და, თითქმის ყოველთვის, ეს ლადო ასა-

თიანი იყო. იქვე მუშაობდა „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში (რუსთაველის პროსპექტის ახლოს — დელ 28-ე ნომერში). ამ რედაქციის მდგრანელი კომკავშირის ძეგლი მუშაკი და უურნალისტები წერილი ზეთ „სტალინელის“ ყოფილი თანამშრომელი შალვა ლოლობერიძე, ლადოს მეგობარი და დიდი მოამაგე. ახლადჩამოსულ ლადოს პირველი ლექსი „ნორჩი ლენინელის“ 1938 წლის 30 მაისის ნომერში („ჯამბული და ბავშვები“) გულისხმიერმა შალვამ დაუბეჭდა და იმავე წლის ივნისიდან იქვე მოაწყო სამუშაოდ. „ნორჩი ლენინელის“ თანამშრომელი იყო რეზო მარგიანიც და იმ რედაქციაში მუშაობისას განმტკიცდა ლადო ასათიანისა და მისი შემდგომი მეგობრობა.

ლადო ასათიანი დადგებოდა ოლექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის თავში, ნორჩი ჭადრის ძირას, რომელსაც „ლადოს ხე“ შეერქვა (ის ჭადარი ახლა უზარმაზარი და ტოტებგაშლილი ხეა და უკვე ფარავს შრომის სასახლის სამსართულიან შენობას). ცოტა ხნის შემდეგ დაიძრებოდნენ ყოველი მხრიდან — რუსთაველის პროსპექტის ზემოთ და ქვემოთ მდებარე ქუჩებიდან, ვერიდან, მტკვარგაღმიდან ალიოშა საჭაია გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა — ბიძასთან; რეზო მარგიანი, ლადო ავალიანი, ალექს შენგელია და ხევსურები — „მთაწმინდელები“ იყვნენ; მირზა გელოვანი ვახტანგ ბერუკელთან ერთად ყოფილი წყნეთის ვიწრო ქუჩაზე იყო შეზუდებული — ერთ პატარა დარაბაში, ზედ ტრამ-

ვაის წაზთან და გარშემო წვრილ-წერილი სავაჭროები, ქართული პურის საცხობი, სახაშე და სახელოსნოები ერტყა. ახლა იქ სასტუმრო „ქართველოა“ და ძნელი წარმოსადგენია, საღ და რა ადგილას მდებარეობდა ის პატარა ოთახი-დარბაზა. შემდეგ, ომში წასვლამდე, მირზა ორჯონიკიძის ქუჩაზე დაბინავდა; ლადო ასათიანმა ნაძალადევიდან ჯერ კლარა ცეტკინის ქუჩაზე გადმოინაცვლა და ცხოვრობდა ლევან კიქნაძესა და ვასო ლორთქიფანიძესთან. ბინა ეკუთვნოდა ნადია ოთხმეზურს, რომლის ვაჟს კიყიტას ეძახდნენ.

ალიოშა საჯაიაშ და ლეო კიკნაძემ ერთხელ იხუმრეს: თურმე, ლადო რომ ბინაზე მივა, მასსა და დიასახლისს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

ლადო ეტყვის:

ზღრასტი, ნადია ოთხმეზური,
გლე კიყიტა, ვაში სინ?

ნადია მიუგებს:

ზღრასტი, ლადო, მოი მდგმერი,
ა კიყიტა ნეტუ შინ!

ერთ დროს ლადო ასათიანი ვახუშტის ქუჩაზე ათევდა ლამეებს რაღაც საერთო საცხოვრებლის მსგავს ფარდულში, საღაც თავს იყრიდნენ ხელოსნები, მეეტლეები და სოფლიდან ჩამოსული კოლმეურნეები. დიასახლისი ერთი უბირი მოხუცი დე-

დაქაცი იყო, მაგრამ ძალიან ყვარებოდა ლექსი
გი. ერთხელ ლადოს ლექსის წერაზე შეუსწორ-
და მანამდე არ მოეშვა, სანამ ხმამაღლა არ წააკით-
ხა. ამით მდგმურებიც დაინტერესდნენ და, შეუსწორ-
დეგ დიდ პატივს სცემდნენ ახალგაზრდა პოეტს,
რომელიც ერთადერთი ნახუავლი და განათლებუ-
ლი კაცი იყო მათ შორის.

დიღხანს არ დაჩიენილა ლადო იმ საცხოვრე-
ბელში. სამრეცხაოს შესახვევში ალექო შენგელი-
ას შეუსახლდა და ისიც „მთაწმინდელობას“ ჩემობ-
და. ლადოს გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის
შემდეგ ალექომ მეტად გულობილი სტრიქონებით
დახატა იმ პატარა ოთახში ერთობლივი ცხოვ-
რების სურათი.

მერე კიდევ ლადო ორ თვეს სასტუმრო „ორი-
ანტში“ (ახლა „ინტურისტი“) ცხოვრობდა. აქ ხში-
რად კითხულობდა სტენდალის „პარმის სავანეს“
და „ეგოტისტის წერილებს“. მესამეჯერ თუ მეოთ-
ხეჯერ დაუბრუნდა „წითელსა და შავს“. ამბობდა:

— ახლა კი მჯერა ტოლსტოის ნათქვამი ამ რო-
მანზე: არ ვიცი, სადაა პოეზიასა და პროზას შორის
განსხვავებაო.

უკანასკნელად, უკვე ცოლშვილიანს, ძერეინს-
კის ქუჩის მესამე ნომერში, ერთი პატარა უფანჯ-
რებო ოთახი ჰქონდა და იქვე დაამთავრა თავისი
სანმოკლე სიცოცხლე... ქუთაისშიც ხომ ძერეინს-
კის ქუჩაზე ცხოვრობდა ბოლო ხანებში.

იმ ჭალტის ძირში მაღე სხვებიც მოიყრადნენ
თაგს და ამაზეა ნათქეამი ლადოს მიერ:

ერმი 36 უკავი

კალმართის და გამოლმართის კურუკი უკავი
ზემოთის და ქვემოთის,
პოეტები შეგროვეილან,
სიმონიკაც ქვე მოდის.

ეს არის ლიტერატორი და პედაგოგი სიმონ
სხირტლაძე, ახალგაზრდა პოეტების მეგობარი, მა-
თი ხშირი თანამგზავრი და დავა-კამათის მონაწი-
ლე.

იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და საუბრობდნენ, კა-
მათობდნენ და დავობდნენ. აქ იყო საინტერესო
საკითხები: ლიტერატურა, ისტორია, მარადმწვა-
ნე პოეზიის ხე, საერთაშორისო ამბები... უკვე იგრ-
ძნობოდა მოახლოებული მსოფლიო ომის ფეხის
ხმა. ერთიერთმანეთს მოყვნენ: ხასანი, ხალხინ-გო-
ლი, ფინეთი... იმ დროის ამბებს ეკუთვნის ალ.
საჭაიას სტრიქონები:

კაპიტან, ხასანი ჩეენია,
ჩეენია სიცოცხლე, კაპიტან...

ამ საუბრების დროს ხშირად ისმოდა შეძახი-
ლები: გენიალურია! შესანიშნავია! სისულელეა!
აბსურდია! ბითურობაა! გასაგიუებელია! რა აბლ-
ლობაა! საოცრებაა! (სამი უკანასკნელი სიტყვა
ყოველთვის აუცილებლად ალიოშა საჭაიას ეკუ-
თვნოდა!). რამდენი გენიოსი დაუნარცხებიათ

პროსპექტის ქვაფენილზე, რამდენი არარა აღმუ
ტყოჩინიათ პარნასის მშვერვალზე!

— სულელი! — წამოიძახებდნენ იმაზე, ვისიც
რაიმე არ მოეწონებოდათ. და, ვინ იცის „გვენება“
იმ „სულელსაც“ სულელებად მიაჩნდა ისინი კუკი
„ვინ იცის, მართლა ვინ არის სულელი ან ჭკვი-
ანი, — წერდა ერთი ჩვენი ქუთაისელი მეგობარი
კერძო წერილში, — ამის განსვა ჩვენ არ შეგვიძ-
ლია. ჩვენც კაცნი ვართ, სხვა მსაჯული კი ქვეყ-
ნად არ არსებობს და ეს საკითხი ასე გადაუწყვე-
ტელი ყოფილა დღემდე და იქნება, ალბათ, —
ბოლომდე, თუ არსებობს, საერთოდ, ეს ბოლო“.

VII

ამ კამათისა და საუბრების ღროს ითხზებოდა
ეპიგრამა-„ფუნაგორიებიც“. საერთო საუბარში
რომელიმე მათგანი მოულოდნელად გადმოისრო-
და რაღაც უმნიშვნელო სიტყვას, მეორე კრიალო-
სნის მარცვალივით ჩაუგდებდა სადაც რითმას,
სხვებიც თავისას წაუმატებდნენ და მზად იყო ეპი-
გრამა. ხანდახან, რითმის გულისთვის, ისეთი კა-
ცის სახელი ჩაეარდებოდა „ფუნაგორისტის“
ხახაში, რომელიც არაფერ შუაში იყო, პირიქით,
ახალგაზრდა მწერლების დიდ ხელშემწყობად და
მოკეთედ მიაჩნდა თავი.

ბევრს სწყინდა ეს „ფუნაგორია“ და უფრო
ისეთებს, ვინც თვითონ იყო არანაკლებ გესლია-
ნი ეპიგრამების მთხველი. ზოგს ეშინოდა კიდეც
მწვაცე და სხარტი გამათრახებისა.

„ჩვენი თაობის“ რედაქციამ ერთ ჭრიტიკას

ვერაფრით ვერ დააწერინა წერილი ახალგაზოვა
მწერლებზე. ასე განაცხადა: სიმართლე რომ უოქვა,
„ფუნაგორიებით“ გამაბითურებენო.

ამაზე ალიოშა საჭაიამ თქვა: — კრა-იბრლუბაჭა
ჩვენი კლასიკოსები ციხე-ციმბირსა და უანდარ-
მერიას არ ეპუებოდნენ, ამ საწყალს, „ფუნაგო-
რიის“ გაგონებაზე სული ძვრებაო.

ალიოშამ წარმოთქვა ერთი სიტყვა „მასტიტი“,
ლადომ მიურითმა „სასტიკი“, ვიღაცამ მიაყოლა
„მასტიკით“ და გამოვიდა ეპიგრამა პლავიატო-
რზე:

პოეტი არი მასტიტი,
გამქაცველია სასტიკი,
ნეხეით სავსე იქვს მას ტიკი,
გაპრიალებულს მასტიკით,
უნდა მიაჭრა მას თითი.

ხშირად ეგიბრებოდნენ ერთმანეთს უბრალო
რითმების შეთხვეა-გამოგონებაში.

რითმები:

სულ მოკლე — სულმოკლე;
ცანა გარდობს — დანივარდობს;
ქეჩებს გვიან — ცოცხით ქვეიან. —

ალიოშა საჭაიასი იყო;

ლუკა ქეიფობს
უკაპეიკოდ. —

რეზო მარგიანს ეკუთვნის;

ალიონიდან
დაეღით მინდა. —

მირზა გელოვანმა თქვა;

ო, მეგობარო, ო, ფილიმონა,
ბედნიერი ხარ, ყოფილი მონა;
სამკერვალოდან ისმოდა;
ეს მოდა მინდა, ის მოდა;
ბილიკ-ბილიკ, ხევდახევ,
რასაც დაწერ, ხევ და ხევ. —

ლალო ასათიანისაა.

VIII

სხვებთან შედარებით ალიოშა საჯაია უფრო
უშებდი და თავდაჭერილი ჩანდა, მაგრამ ყოველთ-
ვის შზად ჰქონდა ცეცხლი დასაკვესად. ეს, ერთი
შეხედვით, არ შეიმჩნეოდა, იმდენად თავაზიანი
და გულისხმიერი იყო იგი. ამაში ხელს უწყობდა
საქმაო კულტურა და აღზრდა. იცოდა რაღაც ლუ-
ლუნ-ღულუნით და მოკრძალებით მუსაიფი.

როცა ესაუბრებოდა თავის განუყრელ მეგობ-
რებს — ვახტანგ ჰელიძეს, ლალო ავალიანს და გი-
ორგი კალანდაძეს, სიტყვები თითქოს იქვე იქმ-
ნებოდნენ მის ლამაზ ტუჩებთან და ალმასიერით
კრიალა კბილებთან. ყველა მის ამხანაგს ახსოეს
იგი ყოველთვის კოხტად ჩაცმული, შავი კოსტიუ-
მით, ღილგახსნილი თეთრი პერანგით, თავშიშ-
ველი, ხუჭუჭოთმიანი; ცოტაოდნად მიბნედილი თვა-
ლები უფრო რიყრაეს მიუგავდა, სისხამ დილით
ოდნავ მონისლულს.



„თვალებში ლურჯი რიერაეის კრონიშ და
შთაგონების უშრეტი ცეცხლი“, — გაისსენა ამ
წლის შემდეგ გიორგი კალანდაძემ ჩრდილო
ლადო ასათიანმა გაპენწლა: შესავარაუ

რაბი-რაბო თვალები გაქვს,
ტანკენარო, თერქბილება,
კაი-კაი ლექსებს გვაწერ,
მაგრამ, რა ვქნათ, გვეტყბილება.

ალიოშასაგან გავიგონე სალალობოდ თარგმნი-
ლი: კაკალ გულში — в орех сердца, самоварнича-
ли — гибискусом, сливочное масло ქლიავის
ზეთი, разбил палатку — фасолью из гороха, и
კიდევ სხვა მრავალი.

ალეკო შენგელია განუწყვეტლივ აბოლებდა
თამბაქოს და მუდამ ანთებული პაპიროსი ჰქონდა
გაჩრილი პირში.

— მაგი სულგანათლებულიათ, — იხუმრა ერ-
თხელ ალიოშამ. — ხედავთ? პირიდან სულ სალვ-
თო ცეცხლს აფრქვევსო.

თავაზიან და ზრდილ ალიოშას თუ რაიმე არ
ეჭაშნიკებოდა, მაშინვე დიპლომატიურად, მაგრამ
მკაფიოდ დ გასაგებად გაუტრიზავებდა ახლობელ
ამხანაგს.

ლადო ასათიანს აქვს ლექსი „ივანე ჯავახიშვი-
ლისადმი“. ხელნაწერში იყო ასეთი სტრიქონები:
„....რომ საქართველო ყველა ერზე უძველესია“. ალიოშა ჩაცივდა ლადოს: რატომ გინდა მაინც
დაშანიც ტყუილი თქვაო. განა ჩვენზე უძველესი.

ერთ სხვაგან არსად არისო? ლადო ჯიუტორია
გულით ძალიან მინდა ასე იყოსო, — მაგრამ ეს
აღგილი ალიოშამ ამოაღებინა. ხოლო ვერიკო ან-
ჯაფარიძისადმი მიძღვნილ ლექსში სიტუაცია „თუ
რემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამალ-
ლა რომ ეთქვათ მარაბდა“, ვერაფრით ვერ დაათ-
მობინა.

— ეს ლამაზი სიტუაცია, ლექსში კი მარტო-
ოდენ ლამაზ სიტუას რა ფასი აქვს, თუ უაზრო-
ბა გამოდისო. მარაბდა და კრწანისი ჩვენი სას-
ტიკი დამარცხების ადგილებია. მტერს მათი გაგო-
ნება პირიქით გაამნენებსო, — ეუბნებოდა ალიოშა.

ლადო თავისებური დაქინებით გაიძახოდა:

— არ შემისწოროთ, თორემ მოვკლავ ვიღაცას.
ეს ძალიან კაია. ასე მინდა, ასე იყოსო.

მართლაც არ შეასწორა და ისე დარჩა. თუმ-
ცა კი იცოდა, უადგილოდ რომ იყო ნახმარი, მაგ-
რამ იხტიბარი არ გაიტეხა და ერთხელ თქმული
და ჩაწერილი არ ამოშალა. კარგი მეგობრობაც
ჰქონდათ. ალიოშამ მშევნიერი ლექსი „თბილი-
სის ღამე“ ლადო ასათიანს მიუძღვნა.

ერთ დღეს ლადომ თქვა:

— ჩემი ოცნებაა გორკივით ვიხეტიალო მთელი:
ქვეყანაზე. ერთი ორი ჩემისთანა ვინმე რომ მა-
პოვნინა, შეეუამხანავდებოდი, დავკრავდი ფეხს,
მთელს საქართველოს დავივლიდი და ვნახავდი
ყველაფერსო.

ალიოშამ სიცილით უთხრა:

— კაი შესახედავი კი იქნებოდი შენი ორმოცდა ექვსნომრიანი ფეხსაცმელით საქართველოსუ შემ გორებზე აღმა-დაღმა მიმომავალზე კურისა და კურისა

ლადო მართლაც 46-ნომრიან ფეხსაცმელს იცვამდა და სირბილსა და სიარულში მაინცდამაინც კერავის გაეჭიბრებოდა. ალიოშამ „ბებერი ცხენი“ შეარქვა მას. ეს სახელი ლადომ თრგერ ფსევდონიმად გამოიყენა.

ლადოს ლექსს „სალალობოს“ ალიოშამ „ასათიანური“ უწოდა. აქ სალალობო და თავშესაქცევი არაფერიაო, თქვა მან. მაგრამ მაინც, რატომ-ლაც, ის პირვანდელი შეუფერებელი სახელწოდება შერჩა.

მირზა გელოვანი მათზე უფრო ჯანმაგარი იყო, ლადო კი — ორივეზე დიდი და მაღალი.

მართალია, ბოლო წლებში ძლიერ დაჯაბნა და გაამწარა სენმა, მაგრამ ცხოვრება მაინც ვერ შეაზრა მაშინაც კი, როცა შავფრთიანი სიკედილის ცელი ყელს ეხვეოდა საშინელ ბირდაბირად და უკვე გამართული ჰქონდა მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. უკანასკნელად ავსიტყვა გახდა და ზოგიერთისთვის თითქოს აუტანელიც. ბევრს ერთობ გულდახურული, აბეზარი და ჯიური ეგონა, მაგრამ ლადო ისევ გულეკილი დარჩა და ახლო მეგობრებმა იცოდნენ მისი გულისტკივილი, გრძნობდნენ, რომ მისი დღეები დათვ-

ლიალი იყო და ბევრ რამეს ამატიებდნენ ხიკოდა
შეგობარს.

სიკვდილის შიშჩე არც ერთს არ უყვარდა წუ-
წუნი, ყერა და საუბარი. „ქაშუკი ვიყავ, ქარზუმი
ვიყავ“, — ლადოს ეს სიტუები იმ ავადმყოფო-
ბის დროსაა დაწერილი.

ასე დადიოდნენ ისინი თბილისის ქუჩებში,
თეატრებსა და კინოებში, კრებებსა და მოხსენებებ-
ზე, მთაწმინდის პლატოზე, ოქროყანაში, ბოტა-
ნიკურ ბაღში და ერთად იღებდნენ ფოტოსურათებს.
სულ გარეთ და გაშლილ ჰაერზე უნდოდათ ყოფ-
ნა. ზოგიერთი მათგანი თითქოს გრძნობდა, რომ
მალე დახუჭავდა თვალებს და ვეღარ იხილავდა
თბილისის ზეცას.

ასე მგონია, რუსთაველის პროსპექტს ახლაც
აჩნია მათი ნაფეხურები!

IX

ძლიერ უყვარდათ უფროსი თაობის მწერალ-
თა საუბრების მოსმენა და ბევრ მათგანს პატივის-
ცემით ეპყრობოდნენ. მოკრძალებით ადგნენ თავ-
ზე მწერალთა სახლის ბაღში მერხზე ჩამომჯდარ,
ტკბილქართულით მოსაუბრე გერონტი ქიქოძესა
და ლეო ქიაჩელს. მხარდამხარ გაყვებოდნენ მუ-
შაობის შემდეგ ღამით პროსპექტზე ცალფად მო-
არულ კონსტანტინე გამსახურდიას, რომლის „დი-
დონისტატის მარჯვენა“ მაშინ იბეჭდებოდა „მნათო-
ბში“.

მინახავს, როგორ სულგანაბულნი უსმენდნენ
დავით გაჩეჩილაძეს, როცა იგი გულჩათხოობითა
და თრთოლვით წარმოთქვაძლა კვირიას გასაო-
ცარ სიზმარს ვაჟა-ფშაველას „ზაზტორიზნიდან“,
ახლა რა მოძხიბვლელი იყო მისგან მონათხრობი
ქართული ზღაპარი „გლეხი ხარბედი და სიკვდი-
ლი ჯანაბა“, სადაც გლეხი ამარცხებს სიკვდილს,
მაგრამ საბოლოოდ თავს ვეღარ ალწევს მის ბრჭყა-
ლებს...

— ეს ზღაპარი, მგონი, თავად დათიკომ გამო-
იგონაო, — თქვა ერთხელ ალიოშა საჯაიამ. — თო-
რემ მაგის მსგავსი ჯერ არსად შემხვედრიაო.

მას ხომ გადაქექილი ჰქონდა ჩვენი ფოლკ-
ლორის უმდიდრესი საგანძური და თვითონაც
იშვიათი გემოვნებით დაწერილი რამდენიმე ზღა-
პარი დაგვიტოვა! ალიოშას დიდი მეგობრობა აკავ-
შირებდა პოეტ კონსტანტინე ჭიჭინაძესთან და
მისი მითითებით საუცხოოდ თარგმნა ინგლისური
პოეზიის რამდენიმე შედევრი...

X

ზაფხულობით ესტრადა უფრო იზიდავდა ყვე-
ლას. მახსოვეს, ერთ სალამოზე მერი შილდელმა იმ-
დერა ილიას „ხმა გულისა“ და კოწია ერისთავის
დაუკიტყარი რომანსი „ერთხელ ვიხილე ბალში
ყვავილი“.

— ახლა კი აქედან წავიდეთო, — გვითხრა ალ-

ოშა საჯაიამ, — სხვა სიმღერებით ნუ შეებლალავთ
ასეთ სიამოვნებასო.

მაშინ არ იყო დაწერილი რევაზ ლალიძის, არ-
ჩილ კერესელიძისა და სანდრო მირიანაშვილის კრი-
მანსები, რომლებსაც ასე მომხიბელელად ტრამის კრი-
ლად მღერიან დღეს. როცა ხანდახან რაღიოტალ-
ლები მსმენელთა ყურამდე მოაგდებენ დები ჩაფი-
ჩაძეების მიერ შესრულებულ უნაზეს მილოდიას—
„ჯერ არ იქნება გვიან“, „რატომ ეწამე ასე, თუ
განშორებას ფიქრობო ბოლოს“, ამხანაგიბი იხსე-
ნებენ ჩვენს ხუჭუჭოთმიან და თვალუუჩუნა კოკი-
ალიოშა საჯაიას. გული შეიდგათ. რომ იგი გერუ-
მენს ამ მშვენიერ სიმღერას. ის ხომ ალიოშას
„ცისარტყელადანაა“ შეთხზული!

...გვიანობამდე ვერ სკილოებოთნენ ირთმანითს.
ხშირად მათ ჯგუფს შემოუერთდებოდნენ უფროსი
ასაკის მწერლებიც და კვლავ გრძელდებოდა ცხარე
სჯა-ბაასი. ასე კამათ-კამათითა და საუბრით მიაკი-
ლებდნენ მერე პროსპექტის თავსა და ბოლოში —
ცალკ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად — ალექსანდრე ქუ-
თათელს, სერგო კლდიაშვილს, ირაკლი და
გრიგოლ აბაშიძეებს, კოლაუ ნადირაძეს, ლე-
ვან ასათიანს, შალვა აფხაიძეს, დემნა შენ-
გელაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, კარ-
ლო კალაძეს, ვიქტორ გაბესკირიას, ავაკი
გაწერელიას, გიორგი ნადირაძეს, დიმიტრი ბენაშ-
ვილს, მიშა ჯაფარიძეს, გიორგი ნატროშვილს, ალიო

ადამიას, ალექსი გომიაშვილს, ბორის ჩხეიძეს, ერთ-
მია ქარელიშვილს, დათიკო და გივი გაჩეჩილაძე-
ებს, რუსთაველის ძეგლთან დაემშვირობის ბოლონენ
ლილუბეში მცხოვრებ შალვა ლემეტრიძეს, სამუშა
ლილან ჩამოსულ გიორგი შატბერაშვილს, რომე-
ლიც მაშინ იქ მასწავლებლობდა და დანატრებული
იყო თბილისის ცხოვრებას; გრიბოედოვის ქუჩა-
ზე კარიბჭემო მიყვებოდნენ ალიოშა საჯაიას დო-
ბილსა და ნამდვილ სულიერ მეგობარს — ეთერი
სვანიძეს, რომელსაც ლადო ასათიანმა მიუძღვნა
ლექსი „ყაყაჩო“.

შემდეგ ნელ-ნელა დაიშლებოდნენ და თავიანთ
სახლებს მიაშურებდნენ.

ერთმანეთს შერჩებოდნენ ალექო, ლადო ასათი-
ანი, მირზა, გაბრიელი და ვახტანგ ბეჭუქელი. ბო-
ლოს პროსპექტზე მარტო დარჩებოდა ლარო, რო-
მელიც, ალბათ, მაშინ იყო, რომ დუდუნებდა:

რუსთელის პროსპექტზე ხეტიალი
ნე მომიშალოს ლმერიმათ,

და „ფიქრობდა ლექსებზე, კარგ ლექსებზე“.

ბეჭუქერ დამგზავრებია იგი ამ დროს მწერალ-
თა სახლილან, ან სხვა რომელიმე ადგილიდან რუს-
თაველზე ნაგვიანებად მარტო გამოსოო სიმონ ჩი-
ქოვანს და ლენინის გრძელი ქუჩით ჩაჰყოლია
გმირთა მოედნამდე — პოეზიაზე ალტაცებული
საუბრით.

ერთი სანდომიანი გოგონა ხშირად გვხვდებოდა რუსთაველზე. ოქროსფერი ხოხობივით ყფილ უსახელი და თვალები სულ უღიმოდა. ლადო ასატრანმა, გრიფის კალიმილა შეარქვა. ისე ეძახდა, თურმე, ერთ ამხანაგ სტუდენტ ქალს. ახლა ეს გოგონა იმ ამხანაგს აგონებდა.

— ჩვენი ვარდლიმილა მოდისო, — წამოიძახებდა ლადო, როცა შორიდან თვალს მოჰკრავდა რუსთაველის ძეგლის მხრიდან პროსპექტზე მომავალ ქალს და გზას უთმობდა. არ გვიცნობდა, არც ვიცნობდით. ისე უცნობ ნაცნობად დარჩა დღემდის.

— ეჭ, რამდენი მზეჭაბუკი მზეთვალა და ვარდლიმილა მოვა ჩვენს შემდეგ, — ნალვლიანად ჩაილაპარაკა ერთხელ ლადომ. მაშინ უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. — ვინც კარგი რამ დატოვა, არ დაივიწყებს და სიყვარულით მოიგონებს. ბევრს კი ქვა და გუნდას მიაყრის და დავიწყების მტევრშა ამოგანგლავს. რა კარგი სიტყვაა. „ამოგანგვლა!“ — უცბად სხვა აზრზე გადახტა, — მოგვანგვალობს.. ეს სიტყვა კიდევ უკეთესია. კოლაუ ნადირაძეს უყვარს ამის თქმა... „გოგო მოდის, მოგვანგვალობს“, აბა, როგორ გამოხატავ ამას სხვა სიტყვებით?

ის ჩვენი ვარდლიმილა ახლაც ისე ხშირად გვხვდება იმავე რუსთაველზე. შეჭირარავებულია როცა ნაცნობებს ესაღმება, კიდევ უფრო უხდება ლიმილი. სხვა ფერის კაბით დადის. აღარც ოქროს

ხოხობს პგავს. თან ერთი ვარდლიმილა დაყუები. იმ ძველი ვარდლიმილას სწილადა და სწორედ მას პგავს.

ყოველთვის გზას კუთმობ მოწიწეშილ, საიდან ადრე ლადოს უახლოესი მეგობარი მენაჭის. — მას კვერცხ უფერს ამჩნევს. არც კი იცის ეს ამბავი!

დ ღ ი შ რ ი დ ა ნ

„1938 წელი, ოქტომბერი.

დღეს სტამბაში „ჩეენი თაობის“ ანაბეჭდებს ვფურცლავ. სტამბა მტკვრის პირასაა — ხიდის თავზი, და ფანჯრიდან იშლება საუცხოო სანახაობა: ფიქრის გორა, კიროვის სახელობის ახალი პარკი, ლურჯი მონასტერი, ბოლქვისებრ-გუმბათიანი რუსული ეკლესიის სილუეტი და ახალი სანაპირო. ერთიერთმანეთზე მიყრილად მოჩანს. მტკვარს გაღმა მდგარი ძველი შენობები და მათ შორის თითქოს აღარც ერთი ქუჩა აღარაა გაყვანილი. ზევით კი — განხე წახრილა მამადავითის ზურგი და დაბლა ჩამოწეული ზელა აქედან ისე დამხობია პლატოს, თითქოს იქ ახლადდარგული კვიპაროსების კენწეროებს ედებოდეს. ცოტაც და... ხელს შეუპოტინებ.

გამოდის საიუბილეო ნომერი — კომკავშირის 20 წლისთავისათვის. ახალი ყდით, ახალი გაფორმებით, ოდნავ გადიდებული ფორმატით. მხატვრობა და გაფორმება ლადო ავალიანისაა. მან რამდენიმე კარგი ნოველა უკვე დაბეჭდა „ჩეენს თაობაში“ და თანაც მშეენიერი გრაფიკისაა. მოთხოვთ-

ბებს თითქოს კი არ სწერს, არამედ ხატავს მუქ-
ნაზი სალებავებით და მათი წაკითხვისას ყველა გაი-
ფიქრებს, კალმის მაგივრად სწორედ ფუნგი უპყ-
რია ხელთ და ფერმწერალიაო, — იმდენი სახეობი
აქვს და ისეა მოქარგულ-მოხატული ყველაფერი.

ლადო ავალიანს საათობით უყვარს გატაცებუ-
ლი საუბარი ხელოვნებაზე. მხატვრობა და ლიტე-
რატურაა მისი ოცნების საგანი.

ერთხელ, მწერალთა კავშირში, ალიოშა საჭაიას
და ლადო ასათიანს მთელ ლექციას უკითხავდა
რემბრანდტზე. განსაკუთრებით აქებდა „უძლები
შეილის დაბრუნებას“, ნაზად და თრთოლვით უთა-
თუნებდა ხელს დაბეგვილ ფეხის გულებზე იმ უძ-
ლებ შეილს.

ლადო ასათიანი დიდი გულისხმიერებით უს-
მენდა და დაკვირვებით ათვალიერებდა გენიალური
მხატვრის ქმნილებათა რეპროდუქციებს.

— მაინც რაფაელი მირჩევნია, ის უფრო ნათე-
ლიაო, — წამოიძახა მან. — იმას უბირი გლეხიც
გაიგებს და მოიწონებს. ეს კი რჩეულებისთვისაა:
ხელოვანთათვის, ალბათ „უძლები შეილი“ ჯობია.
მე „სიქსტეს მადონა“ უფრო მომწონს. ორიგინალ-
ში არც ერთი არ მინახავს, მაგრამ რამდენადაც
ვიცნობ...

ლადო ავალიანს სახე მოელრუბლა და საყვე-
დურით შეაწყვეტინა:

— რატომ იცი ყველაფრის გაბითურება? აბა,
შეხედე ავტოპორტრეტს სასქიასთან ერთად. ეს

ზომ ხალისიანი ცხოვრების პოლოვიაა. შენ მაინც
უნდა გიყვარდეს და მოგწონდეს ასეთი რამ. რა-
ფაელს თავისი სამყარო აქვს. რემბრანტის სული-
სხვაა. მერე როგორი ოსტატი და ხელოვანია. კურ-
ლადო ასათიანს არაფერი უთქვამს, კვლავ თ-
ვალიერებდა სურათებს.

ახლა 12 საათი და 15 წუთია. ნახევარი საათით
შესვენებაა. სტამბა დუმს. ლინოტიპის მანქანები
აღარ ჩახჩახებენ, მაგრამ გარეთ ზოზონებს შიმოდ-
გომური ქარი და სასტიკად აყრის ჩვენს ფანჯრებს
მტკერს, ხიდან ჩამოცვენილ — უკი შეაკროლე-
ბულ ფოთლებს, აფრიკებს ცემენტის ბულსა
და ხრეშს, რაც ასე ბლომად ჰყრია ეზოში. აქ ახლა
წიგნის სასახლეს აგებენ. ჯერჯერობით საძირკველი
ამომჟყავთ.

ერთი კვირის წინათ კახეთიდან დაბრუნდა ლათო
ასათიანი. „ნორჩი ლენინელის“ რედაქციამ გურ-
განის პიონერულ ორგანიზაციებში საჯაზეთო მა-
სალის შესაქრებად გაგზავნა. ნასიამოვნები ჩამო-
ვიდა დ პირდაპირ ჩემთან გამოიარა.

— პირველად ენახე ბარაქიანი კახეთი, ვიყავ
სოფლებში, ვიქეიოთი და ვილხინე კახელებთან, —
აღტაცებით მეუბნებოდა იგი და მთლად კახური
ლვინით პქონდა შელებილი თეთრი პიკეს ხალათი,
ფართო ხელისგულები და მსხვილ-მსხვილი მაჭები.

როცა საქმე მოილია და წამოსიოდას პირებდა,
მატარებლის გამოსვლამდე გურგანის ბაზარში შე-
იარა. ერთ ადგილს ვაშლს წაეტანა, მეორეგან ყურ-

ჭენი, გუდის ყველი და კახური შოთები იყიდა, შემდეგ ღვინის რიგში გავიდა და გამყიდველებს აუარ-ჩაუარა.

თვალში მოუვიდა ერთი განმარტოებული კოლექტურნე. იდგა იგი წყნარად, სხვებივით არ ჟავანებდა და მოღუშული ელოდა მუშტარს. მაგრამ, რატომდაც, გვერდს უვლიდნენ და სხვებს უფრო ეტანებოდნენ ღვინის მსურველნი.

ლადომ ჭიქა შეავსებინა საფერავით და ზედი-ზედ ოჩვერ გადაერა. მერე მესამე სასმისი გააპიპინა, იმ კოლმეურნეს გვერდში ამოუდგა და სირაჭხნის კაი გამოცდილი მაძახურივით გასძახა:

— აბა, აქეთ, ოჯახიშვილებო, აქეთ, აქეთ მობრძანდით. ო-პო-პო, რა კაი ღვინოა, რა მშენიერია. აქეთ, აქეთ!

ამას რომ მიამბობდა, სიცილისაგან იჭაჭებოდა: — წარმოიდგინე, მე და ღვინის ვაჭარი! ნეტავი გენახე, რა დღეში ვიყავიო...

მალე დაიცალა კარგა მოზრდილი ტიქტორა და ერთი ზორბა კასრიც ზედ მიაყოლეს. თითქოს ლადოს გამოჩენას უცდიდნენ მყიდველები!

კახელ კოლმეურნეს წარბი გაეხსნა, გამხიარულდა. „რა კაცი ყოფილხარ, საიდან გამომიჩნდიო, — ეუბნებოდა ლადოს. — ჩემთან წავიდეთ, ჩვენი სოფელი ნახე, პურ-მარილი იგემე, მეზობლებს გაგაცნობ, ერთმანეთი დავლოცოთო“.

ურემზე დასვა, ცხენი მათრახით შეახალისა და გზას გაუდგნენ. ლადოს არც გვარი უკითხავს, არც

სოფლის სახელი. შემდეგ გაიგო, უკინძევი რამ
იყო და იმ კოლმეურნესაც მიხა ერქვა. გვარი ახ-
ლაც არ ახსოვს. ლადოს გარდა მასპინძლის სახლში,
იყო ორი გზის ტექნიკოსი — მეგრელი და ქვემუ-
რი. მთავარ მაგისტრალს დასტრიალებდნენ თავს
მთელი დღეობით. ბინა ამ კოლმეურნესთან დაე-
დოთ. არც მათი გვარები იცის. ლადო მეუბნებოდა.

— აბა, რად მინდოდა, ანკეტას ხომ არ შევუდ-
გენდი იმ პატიოსან ადამიანებს.. პიონერები რომ
ყოფილიყვნენ, მაშინ კი ჩავიწერდი. მეორედ რომ
ჩავალ კახეთში, აუცილებლად ვინახულებ ვეჭინელ
მასპინძელსო.

სჭამეს და სვეს. კახურად მოილხინეს. მასპინ-
ძელს მეზობლებიც შემოუერთდნენ და გუგუნით
აამაღლეს მრავალუამიერი.

ლადო ძალიან სურათოვნად მომითხრობდა და
მიხატავდა კახელებთან ლხინის ამბავს.

— აღარაფერი დაეტოვეთ სახლში. რაც ჭურჭე-
ლი ებადა დიასახლისს, ყველაფერი სასმისად გა-
მოვიყენეთ. მაინც კიდევ გვინდოდა გვესვა და გვი-
სვა. ეს ღვინო კი არ იყო, რაღაც ისეთი საღვთო სა-
სმელი, სახელს რომ ვერ დაარქმევ. შემდეგ, რომ
გაგვიჭირდა და აღარაფერი დაგვრჩა, პეშვით და-
ვიწყეთ სმა და ეს უფრო ბუნებრივად მოგვეჩენა. მასპინძლის ქალიშვილი გაგვიერდა პეშვს შედე-
დებული ხარის სისხლივით სქელი საფერავით,
ჩვენც ერთი მონთქმით შევხვრებდით და ნარ-
ჩენს თავპირზე ჩამოვისხამდით. ასე გავგრილდა-

ბოდით, გამოვფხიზლდებოდით და კიდევ ეს ფი-
ლევ გვივსებდნენ პეშვებს.

მასპინძელი და ერთი მისი მეზობელი, სასტუკა
მსმელები აღმოჩნდნენ, მაგრამ ის სეჭაურების
ნიკოსი ვერაფრით ვერ დაჯიბნეს. პილებდა მუჭით,
მარილს, ჩაიყრიდა პირში, აივსებდა ქოთნის ოდე-
ნა პეშვს ღვინით, მერე შესვაშდა, შეხვრებდა და
დანარჩენს ქოთქოთითა და ყიუინით გადაისხამდა
თავზე. მე და ის მეგრელი ერთ ხანს მივყევით და,
რაც შეგვეძლო, მხარი ავუბით ლრეობას. შემდეგ
შუალამე წამოგვეწია და აღარ მანსონს, რით და-
ვამთავრეთ...

გათენებამდე, ძლიერ ადრე გამოშელვიძა. ჩემ-
თვის აივანზე გაეშალათ ლოგინი. მასპინძლის სახ-
ლი ერთ მაღალ ბორცვზე იყო წამოდგმული და მა-
ღლიდან გადავყურებდი ალაზნის ველს. ელექტრო-
შუქით გაქათქათებული სოფლები ცეცხლის
მდინარესავით მიუყვებოდა ქვემოთ ალაზნის გაღ-
მა-გამოღმა ნაპირებს და მოკრიალებული ციდან,
აიგნის რიკულებთან მიდგმულ ტახტზე მწოლია-
რეს, მიჰერეტდნენ განთიადის მოახლოებით და
ელექტროშუქით ფერმიხდილი ვარსკვლავები. ბო-
ლოს, როცა შორეული დაღესტნის ქედებს მოეძა-
ლა რიერაჟი და ალიონზე იმ ვარსკვლავებმა ჯარ-
ჯარად და პანტაპუნტით იწყეს ცვენა სადღაც,
შორს — ალაზნის უბეში, მომეჩენა: ჩემს ლო-
გინზედაც ცვიოდნენ ისინი და მიძერებოდნენ სა-
ბანში, იქრებოდნენ ბალიშქვეშ, მიღიტინებდნენ

ილლიებში და უჩინარდებოდნენ ეზოში მდგრად
აკაციებისა და ცაცხვების ჩრდილში. მერე თანდა-
თან წამომეპარა ბურანი და ღილის ტებილ ძილში
ჩაძირულს ბუნდად მესმოდა უამრავი მაშტაბის გამ-
მული გადაყივლება ალაზნის ველზე...

ლადომ გუშინ მომიტანა ერთი ლექსი და მით-
ხრა:

— დასაბეჭდად კი არ მინდა. შენ შემინახე-
ეს კახეთში ჩემი ჩასვლის მოსაგონარია. ესეც შენ-
თან იყოსო.

და წამიკითხა რაღაც სქელი ქაღალდის ორ ნავ-
ლეჯზე მსხვილი ასოებითა და მოწაფური ხელით
ნაწერი სტრიქონები.

ლექსის სათაურია:

ლ ხ ი ნ ი კ ა ხ ე თ შ ი დ ა ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ თ ე ბ ი

და მთლიანად ასეთია:

ახალი მწვადი — ცარიანი, გადაწელილი, სულგუნი,
ხელადა საესე კახურით და მასპინძელის სულ-გული.
სუფრაა ბარაქიანი, გინდოლეს — ერ მოშორდები,
ნივრის წყალში დევს ქათამი, აფუებულან შოთები.
სუფრაზე ჩიტის რძეც არის, ახლადშემწვარი შიგანი,
სტუმრების პატივსაცემად გამზადებული ხინკალი,
კახური ბრავალუამიერ და ძარღვიანი შაირი,
სასმელი ათასნაირი, საჭმელი ათასნაირი.

ეზიერთ ერთად: ბრგვ ხევსური, მეგრელი და ვეჯინელი, *
მე, პოეტი ლეჩხუმელი, სიტყვის თქმაში ვეჯიბრები.

* სოფელი არის კახეთში, მაღლობა ჩემგან, მაღლობა
უყვართ გულდია სტუმარი, პატივისცემა, დათრობა.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, თქმულებაა ძველთა მდგრადი.
თქვით, მზად არის ჩვენი ყური—თქვენი სიტყვის შემთხვევა.

ვიწყებ ასე:

ეროვნული
პირული

—ჩემო ტურფა საქართველო, სანატრელო, სანუკეარო,
ყველაფერი ულევად გვაქვს: პური ვარო, ღვინო ვარო,
კადელ-ყურე მოხატული და ხორავით სავსე ხარო,
კაცმა უნდა იშეიმოს, კაცმა უნდა გაიხაროს.

თქვა მეგრელმა
სიტყვა გრძელმა:

— ღვინოს დავლევთ, დავითვრებით, გაგავონებთ ხმას
წყრიალს.

ჩემი თავი შემოგევლოს, შენ გიმღერით, სხვას კი არა!
ღვინოს დავლევთ, დავითვრებით, ღვინოს დავლევთ
კარდანახულს,

ჩეენს სამშობლოს გაუმარჯოს, ქებას ერტყეით არდანახულს—
და გოგონამ, შავთვალწარბამ, ოდის კარი გააღო რა,
თვალი ჰქიდა მეგრელმა და მეგრულადაც დააყოლა:
—სქანი ჭირუმა, ისო მიორქ, ჩემი დუდიშა მისხუნუქი. *

მერე უმალ დახემსულმა —
თქვა ხევსურმა:

—ხანჯალო, ჩემო ხანჯალო, ბრძოლებში დასახარჯავთ,
სამშობლოს მტერი მომუსრე, ვაეს სირცხვილი არ მაქამო.
რაფიელს უთქვამს, ერისთავს — სამშობლოს დანახვახედა:
„სამშობლო, დედის ძეძუი, არ ვაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ქმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა“,—
მეც აგრე გეტყვით, ვაეკებო, ჩემი კლდეების ხმაზედა.

* შენი ჭირიმე, ასე მიყვარხარ, ჩემს თავს მირჩევნიხარ.

კერი დადგა,
კახელმაც თქვა:

— სავსე გვაძვს ბელელ-მარანი, შტერი ვართ ცარიცხულის
საქართველო სამშობლო ავთანდილ-ტარიელისა.
გული მიღეთქვავს ხალისით, შემყურე ჩენი ლინისა...

დასრულდა:

— საღამო იყო, გალობდა ბაღში ბულბულთა კრებული,
მზე მონადირე მეგონა, სახუნდარს მოფერებული.
დასრულდა ჩენი ამბავი, ლვინის სმა, ლხინი ფიცხელი,
დავუალეთ ერტცხლის ყანწები, მკვიდრ ძმებად შევიფაცენით,
ვმღეროდით ერთხმად ყველანი: სტუმარი და მასპინძელი,
ისმოდა ჩენი სიმღერა გულიდან გამონატანი:
— ყველდეს ჩენი სამშობლო, თვალმარგალიტის სადარი,
ამრიგად აყვაეცხული მხარე შეორე სად არი?

წაიკითხა ისე, როგორც იცის კითხვა გრძელ-
გრძელი მკლავების ჩაქნევით და გრძელივე თითე-
ბის გატკაცუნებით, თითქოს ტკრტციალით ედებოდა
ცეცხლი მთელ მის სახესა და ზორბა ტანს.

ხელები და მაჯები ახლაც საფერავით აქვს შე-
ლებილი. ვერაფრით ვერ მოუშორებია, და თვალის
უპეებიც იმ კახური ლვინისფრად ამოლილავებია.

— რამდენიმე წლის წინათ დავწერე რაღაც პო-
ემის შესავლის მსგავსი — „ჩემი ქვეყნის ოქროყა-
ნავ“, — დაუმატა ლადომ. — ეს ლექსებიც იმ შესა-
ვალს ჰგავს, მაგრამ იმაზე უარესია, არ მომწონს,
მეორედ წავალ კახეთში, ჩემს ნაცნობ კოლმეურნე-
ებს ვეწვევი და უფრო კარგ რამეს დავწერ. ეს კი
კარგიშობად ჩამეთვალოს...



მაგრამ მერე არც კახეთი უნახუასკუ დაუსლორც
ეს ამბები გაუხსენებია. ოცი წლის შემდეგ ჩატაჭა
ინანიშვილმა მშვენიერი მოთხრობა დასწერა კა-
ხეთში ლადო ასათიანის ყოფნაზე და იმ მოთხრო-
ბას დაარქვა „ლხინი კახელებთან“. ხოლო „ჩვენი
თაობის“ 1939 წლის იანვრის ნომერში დაბეჭდი-
ლი პატარა ლექსი — „კოლმეურნეებთან ლხინში
თქმული“, სხვა შემთხვევის გამოა შეთხული და
კახეთის ამბავს სულაც არ ეხება. ლექსის დედანი
აწერია ვრცელი სათაური: „იმ ლხინის მოსაგონა-
რად, ნიკა აგიაშვილის ოჯახში რომ შემეფეთა
1938 წლის 12 ნოემბერს“.

იმ დღეს ჩვენთან შეიკრიბნენ ნათესავები და
მეზობლები. უმთავრესად — ახალგაზრდობა. იმე-
რულმა პურ-მარილმა, ტქბილმა სიმღერებმა და
გულთბილმა ურთიერთობამ ძალზე მოხიბლა და
აღაფრთოვანა არითანას შემოსწრებული ლადო.
ნასიამოვნებმა, რამდენიმე ხნის შემდეგ, ის ლექსი
გამოთქვა. დაბეჭდვისას კი ორჯერ გამოუცვალა სა-
თაური და ახლა ეწოდება „ლხინი კახელებთან“.

ფიროსმანის მიმღები

მე ფიროსმანის ქუჩაზე ეცხოვდობ,
და უოველ დილით უხვდები ნიკალას...

ლალო ასათიანი

I

ეინც ოციან წლებში თბილისის სადგურის ახლომახლო ცხოვრობდა, ანდა ამ უბნიდან ხშირად დადიოდა — ფიროსმანისა და საბჭოს ქუჩის გავლით — ყოფილი ავტალის მოედნამდე, მას შეუმნეველი როდი დარჩებოდა ერთი მაღალ-მაღალი, ნაყვავილარი ბრძა მოხუცი.

ზამთარ-ზაფხულ ძველთაძეელი ფარავა ეცვა, მუდამ თავშიშველი და უყავარჩნო იყო. ხანდახან ეზო-ეზო დადიოდა და ძველ ქალაქურ სიმღერებს მღეროდა. ერთ ხანს დიდი უღალი ნაგაზი ჰყავდა თოვით გამობმული, მაგრამ ეერ მიხვდებოდით, ვინ ვის მიუძღვებოდა: ცალ-ცალკე დადიოდნენ, დაუბრებულებივით.

იმ ბრძას გულზე თხელი ფიცარი ეკიდა, წარწერიანი: „შეეწიეთ 75 წლის მოხუცს“. ეზოში შე-

სკლამდის, ალაყაფთან, ყოველთვის შეჩერდებოდა, თავის ფარავისფრად გაუღალებულ თბისა და წევრ-ულვაშს გულდასმით დაივარცხნიდა, ფიცარს შეისწორებდა და ისე შედგამდა ფეხს ქარებში უ—
ს

უფრო ხშირად კი იდგა წელში გამართული (დამჯდარი არ მინახავს) ამოჩემებულ აღგილებზე: ხან სადგურთან — კახეთის გზისკენ გამავალ კიბის თავში, ან ვაგზლის ქუჩაზე — რესტორან „სვეტის“ წინ, ანდა სასტუმრო „არარატის“ პირდაპირ, ახლანდელი საბჭოსა და ფიროსმანიშვილის ქუჩების შესაყართან. იდგა მდუმარედ და არავის აწუხებდა. მხოლოდ ის წარწერიანი ფიცარი მრავალმნიშვნელოვნად ეჭირა ორივე ხელში. და ისიც მინახავს: ფეხზე მდგომარეს ეძინა. ბრმათვალები გახელილი ჰქონდა და ხერინავდა.

გადასასვლელებზე ყოველთვის თამამად გადადიოდა. ხანდახან გამვლელებიც წაეშველებოდნენ. ერთ დღეს პოეტ ტერენტი გრანელს ჩაევლო ხელი და ნაძალადევის ხიდიდან სადგურის მოედნისკენ ჩამოჰყავდა... მერე რომ ეკითხე, ტერენტის თუ იცნობდი-მეთქი, არაო, მითხრა, ბევრს წაეუყენივარ, ასეთი ვინმე არ მახსოვსო.

ერთხელაც, დიდი წვიმა იყო. ის კი ისე თავშიშველი და უყავარებო მიაბიჯებდა წვიმასა და ტალახში საბჭოს ქუჩაზე, ნაძალადევიდან მოეარდნილ ნიაღვარში მუხლამდე შეტოპა და მოედანზე ჩამომდგარ ტრამვაის მე-3 ნომერში თვალხილულიფით ავიდა. მაშინ აქ, ყოველი მცირეოდენი წვი-

მის დროსაც კი, კარგა მოზრდილ მდინარეს უკინ
მოქმედი ღვართქაფს ყველაფერი და ჭერ კადევ
არ იყო ამ ქუჩის ქვეშ გაყვანილი წყალტუმის კოლექტორი.

II

მახსოვს, ერთ დილას ჩეენს ეზოში შემოვიდა,
მსროლელთა ქუჩაზე. ჩითისკაბიანი ფეხშიშველა
გოგონა შემოუძლვა. მოხუცი ძველი რეინიგზელის—
ილიქო ნემსაძის ახლადდარგულ თუთასთან დადგა.
მობაიათე სპარსელივით მარჯვენა ლოყასა და ყურ-
ზე ფართო ხელისგული ისე ჩამოიფარა, თითქოს
რაღაც შორეულ ამბავს უსმენდა, და ბებრული გაბ-
ზარული ხმით დაიწყო:

გემი ზღვაში არ რჩება,
სული ტანში არ რჩება,
სიცოცხლეს ვიღა ჩივის?
საყვარელი სხვას რჩება...

კისერმოლრეცილს თავი მაღლა პქონდა აწეული,
ამომშრალი, თეთრად გამოცივებული თვალები
ცისკენ მიეპყრო. ახალგაზრდულად ხუჭუჭა თმა
და წვერულვაში არ შეჰქეროდა ავი სენისაგან და-
ჩენჩილ და მძიმე ჭაფით მოლლილ მის ჩაშავებულ
სახეს.

ჩვენი ეზოს უხუცესი ბინადარი კოლა უხურგუ-
ნაშვილი კარგა ხანს ჩაციებით უცქერდ მომ-

დერალ მოხუცს, შემდეგ დინჯად ჩავდგინდეთ მომზე.
პეშვეში ხურდა ფული ჩაუყარა და უთნაა:

— შენ ის ვანუა არა ხარ, აქ, მეღდანზე, უკავე
ლებს რომ ყიდდა?

მოხუცი უფრო გასწორდა წელში და გარკვევით
თქვა:

— თუნდ მასეც იყოს! მაგრამ მე ვანუა იღარა
ვარ... მეყვავილე ვანუა კარგა წანია მოკვდა და და-
სამარდა. ახლა მომღერალი ვარ.

. აღარ უმღერია. ეზო დასტოვა.

ასე დადიოდა იგი ათეული წლის მანძილზე. ბე-
ვრი რამ შეიცვალა თბილისში. მოხუცი კი უცვ-
ლელი დარჩა: იგივე ფარავა, იგივე ფიცარი და ზე-
დაც ის წარწერა უცვლელად: „შეეწიეთ 75 წლის
მოხუცს...“ თუმცა ახლა, ალბათ, ოთხმოცდაათ
წელსაც კი იქნებოდა მიღწეული. იგი ომის წინა
წლებშიც ცოცხალი იყო და ისევ ისეთი იყო. მხო-
ლოდ ხუჭუჭი თმა წამოზრდოდა და წვერ-
ულეაშიც ახლა თითქმის ფარავდა იმ ფიცარს...

III

1938 წლის 10 ივლისს დილით, მირზა გელოვა-
ნი და გაბრიელ ჯაბუშანური ლადო ასათიანთან
მიეიდნენ ლელაშვილის ქუჩაზე. წინა საღამოს მირ-
ზას თიანეთიდან უმცროსი ძმა — თემური ჩამოუ-
ეიდა სოფლური სანოვაგით. ახლა პატარა საძმავა-
ცო არიფანას აპირებდა თავის ბინაში — მელიქი-

შვილის ქუჩაზე. ლადო წამოიყვანეს, კოფიცი
მალაკნების ბაზარში შეიარეს და ხილითა და მწვე
ნილით დატვირთული ტრამვაის უცდიდნენ.

ის ბრძა მოხუცი ტრამვაის ხაზზე გადასართველი
მაგრამ ისეთი მოძრაობა იყო, ძლიერ უკირდა გადა
მოხვდა. მირზა გაექანა, ხელი ჩაპეიდა და ფრთხი-
ლად გადმოიყვანა ჩვენსკენ. მოხუცმა მაგრად ჩა-
ივლო ხელი და უთხრა:

— ღმერთი დაგიმადლებს. გეტუობა, კარგი ჯე-
ლი ხარ? ვინ ხარ? რას აკეთებ? რა მოხელე ხარ?
რა გქვია?

მირზა იღიმებოდა. აღარ იცოდა, რა პასუხი გა-
ეცა ამდენ შეკითხვაზე. ლადო წამოშეელა.

— ძია კაცო, ეს პოეტია. ლექსებს წერს. სა-
ხელად მირზა პქვია. ჩვენც პოეტები ვართ, მისი
ამხანაგები...

მოხუცმა კიდევ უფრო ჩასჭიდა ხელი მირზას
და სადღაც შორს მიაშტერა დაშრეტილ თვალთა
თეთრი გუგები.

— მირზა... — თქვა მან. — კარგი სახელია... ალ-
ბათ კარგ ლექსებს წერს. ლექსები ნიკოს უყვარდა,
ჩვენს საწყალ ნიკალაის. ერთ დროს მეც მიყვარ-
და ლექსები. ნიკალაი ვინ იყო? თქვენ არ იცით?
იმ ქუჩაზე ცხოვრობდა, იმ სასტუმროში ხატავ-
და...

და შეუცდომლად მიათითა ფიროსმანის ქუჩას
და ყოფილ სასტუმრო „არარატს“ (ახლა ის საც-
ხოვრებელი სახლია, ქვემოთ კი მაღაზიებია მო-

თავსებული, ფიროსმანიშვილის ქუჩაზე, მე-14/წე-
მერში).

— ქუჩას მისი სახელი პქვია. აქ ცხოვრობდა აუ-
კედან დაიკარგა მისი გზა-კვალი... განაგრძობდა
და მოხუცი.

— როგორ, თქვენ იცნობდით ნიკო ფიროსმა-
ნიშვილს? — ერთხმად წამოიძახეს მირზამ და ლა-
ლომ.

— ჩემი დოსტი და ძმაკაცი იყო ცხონებული, —
გვითხრა მან და შემდეგ თავისთვის ჩაილაპარა-
კა: — ტრამვაი მოდის. ხმაზე ვატყობ, მე-14 ნომე-
რია, სადგურში უნდა წავიდე.

მეტი ჩვენთვის ხმა აღარ გაუცია მაშინ და უკ-
ვი ჩამომდგარ ტრამვაის ვაგონში აბობდა.

— რამდენჯერ მინახავს ეს მოხუცი, სადღაც
ჩვენსკენ ცხოვრობს. ხშირად ყუბანის ქუჩიდან გა-
მოდის, — თქვა ლადომ. — მაგრამ ყურადღება არ
მიმიქუვია. ნახე, ვინ ყოფილა? ფიროსმანის ნაც-
ნობი! უსათუოდ უნდა მოვნახო და ვამბობინო,
რაც იცის...

IV

იმ მოხუცის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნაამბობს ორივე-
ნი ვიწერდით. ძალზე უთავბოლოდ მოგვითხრობ-
და, ხშირად ივიწყდებოდა და ერთი მთლიანი გაბ-
მული ძაფი აღარ იყო მისი მოგონება. ეს ჩანაწე-
რი შემდეგ შევაერთე და ეს გამოვიდა:

— ახლა რომ მხედავთ, იქნებ არ დაიჯეროთ,

მაგრამ ერთ დროს ბევრი შეჭირულ მჯობდა, — მაგრამ ბობდა ის ჯაფარიძის სკვერში მეტანი, მაგრაც „შევისწარით“ ლადო ასათიანმა და მე იმ პირზე ელი შეხვედრიდან სწორედ ერთი კვირტკებულ ცეკვაში იქცა იქ და ელალ ნაგაზს პურის ნატეხურულ ცეკვაში სუსტია.

ბევრი ხვეწნით, როგორც იყო, დავითანხმეთ ეამბნა რაიმე ნიკო ფიროსმანზე. დიდად იუარა, ალარაფერი მახსოვსო, მალე ასი წლისა ვიქნებიო, თუმცა იმ ფიცარზე კვლავ პქონდა ის უცვლელი წარწერა. ძლივსღა კი აჩნდა, მაგრამ ამოკითხვა მაინც შეიძლებოდა. თანაც, როგორც გამოირკვა, ბევრი რამ ახსოვდა და იცოდა კიდეც.

— ჩემი სახლ-კარი ალარ მახსოვს, რაფერი იყო და როგორი. აქედანაც შორსაა, დიდი ხანია ალარ მინახავს, — დაიწყო მან. სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, თან ჯიბიდან პურის ნატეხებს იღებდა, ძალს აჭმევდა და თავზე ხელს უთათუნებდა:

— ამას „სამპრიშოლა“ პქვია. ასე შეარქვეს ჩემმა ძმაკაცებმა. რადგან თვითონ მოვიდა ჩემთან და მომექედლა. ჩემი სახელი და გვარი კი არ მინდა მოვიგონო. რად გინდათ? თუ ძალიან გსურთ, უშანგი სვანი დამიძახეთ. ახლა სულ ერთია. ჩემი ხორცი საჭმელად არავის გამოადგება და ძვლები ეის რაში უნდა! მე უშანგი სვანი გარ...

V

ასე ეძახდნენ, თურმე პატარაობისას, როცა ერთი ლორთქიფანიძის ოჯახში მიუყვანია სვანეთის მთებიდან საჩინოში ჩამოსულ მამამისს. მამას კვი-

რია პეტროვიაო, ამბობდა მოხუცი, და, ვინ მოთვლის, რამდენი საუკენი წისქვილის არხი გაუსხრიათ, რა-
მდენი ქცევა მიწა გადაუბრუნებით ზამთრის დღე-
ებში! მთელი იქაური ვენახები მე დარჩეულავთან
გების ბარ-ნიჩბებით გადაბრუნებულ შეწყვეტილ ჭრა-
რგულიო, იგონებდა იგი. მერე, ერთ ზამთრის პი-
რას, საშოვარზე ჩამოსული კვირია სვანი ფილტვე-
ბის ანთებით გარდაიცვალა. გაზაფხულამდე დამარ-
ხული იყო სამების სასაფლაოზე, შემდეგ ნაწილ-
ნაწილ დასჭრეს, ყუთებით ცხენს აჰკიდეს და მშობ-
ლიურ მთებში წაასცენეს. მეორე ზამთარში უშან-
გი მარტო ჩავიდა იმერეთში და სულ დარჩა იქ.
უდედმამოს გული აღარ შიუწევდა სვანეთში.

იმ ლორთქიფანიძეს ჰყავდა უშანგის ქბილა
ძმისშვილი, შალვა. ის ქუთაისში სწავლობდა, მაგ-
რამ მდიდარი ოჯახის იმედით სწავლას თავი მია-
ნება და ხელი მიჰყო ქეიფსა და დროს ტარებას.
ძალიან დაუმევობრდა „უშანგია-სვანს“ და ერთ
შუთსაც აღარ შორდებოდნენ ერთმანეთს. ერ-
თხელ, როცა შალვა და მისი ამფსონები აკამეთის
ტყეში ბაღდათისქენ მიმავალ ფოსტას დახვდნენ
და ერთი ყუთი ფული გაიტაცეს, უშანგიც თან
ახლდა თანშეზრდილ ლორთქიფანიძეს. კაი ხელ-
ტორიანი ბიჭი იყო და უმისოდ ძლიერ გაუჭირდე-
ბოდათ საფოსტო ეტლის მცველებთან შებრძოლე-
ბა. მაგრამ შეხლა-შემოხლაში შალვას ცალი კალო-
ში დაეკარგა და ადვილად მიაგნეს მძარცველთა
კვალს: იმ კალოშში შალვას სახელისა და გვარის-

თითბრის ბრჭყვიალა ინიციალები იყო ჩასმული,
გატლენიანი ნათესავების დახმარებით შალვა ქრ-
თაისის ციხეში დატოვეს, უშანგი სვანი კი ასტრა-
ნის გუბერნიაში გადაასახლეს.

გერმანიული
გერმანიული

VI

— რაც მერე გადამხდა, ჯოჯოხეთს არ იქნე-
ბაო, — განაგრძობდა იგი. — მტანჯეს და მაწამეს.
ველარ გავუძელი და გავიპარე. ერთ ხანს ტყე-ტყე
ვიმალებოდი, სოკოსა და ხის ქერქს უჭამდი, მხეცს
დავემსგავსე. მერე ზღვის პირას მივაღწიე. ერთმა
მეთევზემ მომიხერხა და ნავით ასტარაში გამი-
ყვანა. ათი წელი სპარსეთში ვიცხოვრე. ღონიერი
ვიყავი და მუშაობა შემეძლო. სულ მოჯამავირედ
ვუდექი მდიდარ ბეგებს. მაგრამ ჩემიანს ვერსად
ვხედავდი, გული მიკვდებოდა. ქართული მავიწყ-
დებოდა, იქ ველარ დავრჩი და ჭულფაში ჩამოვე-
დი. ორ წელიწადს იმ ქალაქში ბაზარ-ბაზარ წყალს
ვყიდდი და ისე ვირჩენდი თავს. შემდეგ ჰავი-ქა-
ბულში რკინიგზის დარაჯად დავდექი. ბედად სად-
გურის უფროსი იმ საჩინოელი ლორთქიფანიძის
ნათესავი თუ მოყვარე აღმოჩნდა. მან შემიცნო,
დიდად მეხმარებოდა. როცა ის განჯაში გადმოიყვა-
ნეს, მეც გამოეყევი და მეისრედ დამნიშნა სადგურ-
ზე. მიხაროდა, საქართველოს რომ ვუახლოვდებო-
დი, მაგრამ შიშიც დიდი მქონდა, ვაითუ ისევ და-
მიჭირონ-შეთქი.

იმ ჩეძს კეთილისმყოფელ კაცს გრი დაუკავშიროს, არ აჩერებდნენ, ხან სად უკრავდნენ თავს და ხან სად. განჯიღან ფოილოში გადმოიყვანეს, შემდეგ სკრაში, გრაკალში და ბოლოს, კამპში დაცუნავდით. მე არ მიშორებდა. იქ რკინგზის დარაჭიც მე ვიყავი, მეისრეც და მატარებლების გადამბმელიც, სადგურთან ხეხილის პატარა ბალი გავაშენე, ბევრი ხილი გვჭონდა, მგზავრებს მივყიდდი და არხეინად ვიყავი...

რატომღაც სადგურის უფროსი დაუქვეითებიათ და სატვირთო მატარებლის გამყოლად დაუნიშნავთ. ერთ დღეს მან უშანგი სვანი მატარებელზე დაისვა და თბილისში თავის ნათესავ — კომერსანტ ნიკო ლორთქიფანიძესთან მიიყვანა. ამ ნიკომ გახსნა თბილისში პირეელი ლუდის ქარხანა დიდი მთავრის (ახლა კამოს) ქუჩაზე და გერმანელ მრეწველ ვეტცელთან ერთად ააგო სასტუმრო „ვეტცელი“ (შემდეგ „ევროპა“ და „ნოე“ — ახლანდელი „რუსთავი“). მასთან სულ ფულის საშოერად წამოსული ხელმოკლე იმერელი აზნაურობა მუშაობდა: ოფიციანტებად, დახლიდარებად, მეფურგუნებად. უშანგი ერთ ხანს ბოთლებს რეცხდა ქარხანაში და თვეში 6 მანეთი და 1 აბაზი ეძლეოდა. მაგრამ ბოთლები არ იყო მისი საქმე. ხელონიერი და მკლავმაგარი უშანგი, რეცხვის ნაცვლად, უამრავ ბოთლს ამტვრევდა. ბოლოს თვალში მოუვიდა მდიდარ პატრონს და საკუთარ მცენელად დანიშნა. დღისით ეტლის კოფოზე ეჭ-

და შეიძლებული, საღამოს კი „ვიშიბალობა“
დავალა თავის „როტონდაში“. იმ „როტონდის“ ადგილას ახლა „დინამის“
სტადიონია.

ამრევებსა და შფოთისთავებს განვითარებს აღა ადლევდა. ყველას ეშინოდა და ერიდებოდა ვილაც „პირზავი ლექის“, როგორც შეარქეეს მას. კარგი სანახავი იყო ლექურად ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და თავითფეხამდე იარაღში ჩამჭდარი, ლამაზ წვერულვაშიანი ბრგე ვაჟკაცი... ნიკო ლორთქიფანიძე ასე ცენობდა ყველას: ეს ჩემი ლეკია.

— სვანი ვიყავი და გავიმერელდი. მერე გარუსებას გადავურჩი, მაგრამ სპარსეთში კინაღაშ გავთათრდი... ახლა, ჩვენს თბილისში, ლეკობა მარგუნა ღმერთმა და მთლად დავიკარგეო, — ჩაიდუდუნა ბრმამ. — დიდ პატივში ვიყავი. გაესუქდი, გადაესხვაფერდი. სახელი გამოვიცვალევანოს მეძახდნენ. წინანდელი უშანგი მეც იღარ მახსოვდა. პატრიონს ამ ჩემს „სამპრიშოლასავით“ ერთგულად ეემსახურებოდი და კცლავ არხეინად ვგრძნობდი თავს, მაგრამ... ეჭ, ბრიყვის საგზალი მოკლეა, — განაგრძობდა იგი და ძაღლს საყელურს უსწორებდა.

— ერთ საღამოს მოქეიფეებმა უჩვეულო ღრიანცელი და აყალმაყალი ასტეხეს. მალე დავაშოშმინე ისინი და ერთი მათგანი უშნოდ გავაპანლურე. ცოტა ზედმეტი მომიჯიდა. ის კი ვი-

ღაც დიდებაცის შვილი აღმოჩნდა. მამამისმა ხა-
ზეინთან იჩივლა და ახლა მე არ ამცდა გვან-
ლურება. მაგრამ მთლად არ მომიძულებს დაფულრ
გონზე დამსევეს. რაღას ვიზამდი, მეტრ ჩარაფერ
იყო. ყოველ დილასა და საღამოს ლუდითა და სას-
მელებით სავსე ბოთლებს ჩამოვურიგებდი რეს-
ტორნებს, სამიკიტნოებს, სარდაფებსა და ფარდუ-
ლებს. გრიალ-გრიალით დავაქროლებდი ჩემს
ოთხცხენიან ფურგონს დიდუბიდან შუაბაზრამდი,
სულ ჩემი იყო კუკია და მტკვრის გამოღმა ნაპი-
რი. მთელი დღის ნამუშევარ ფულს საღამოო-
ბით ძმაკაცებთან ეხარჯავდი. გავიცანი მილეთის
ხალხი. ჩემი ამფსონები გახდნენ: მიკიტნები, სი-
რაჭები, ყასბები, მოჭიდავეები და მოკრივენი.

VII

— ნიკო ფიროსმანიშვილი გოლა ჭიჭინაძის დუ-
ქანში ენახე პირველად. შემდეგ ძალიან დავმე-
გობრდით და ხშირად ეიყავით ერთად. გოლას
სასტუმრო „არარატის“ ქვეშ რესტორანი ჰქონდა.
ის „არარატიც“ მისი იყო და დიდ ფულს ატრი-
ალებდა. ძალიან კარგი კაცი იყო. მეც იმ „არარატ-
ში“ დავიდე ბინა და ნიკალაც იმ სამიკიტნოში იჭ-
და დღენიადაგ. სულ კედლებს და აბრებს ხატავ-
და და ალამაზებდა. სხვა რამეებსაც ხატავდა. გო-
ლას ძალიან უყვარდა ჩენი ნიკო. ხატვის დროს
დაადგებოდა თავზე და შავ-შავ ულვაშებს იგრეხ-

ლა. მერე თვალს ჩაუკრავდა მზარეულ თედუას
და ისიც პირდაპირ ქურიდან ცხლად გადმოღებუ-
ლი მათლაფით ბულლამას ან ერთ თეფშე ფაურტელი
გამოურბენინებდა. თან პურსა და არაეს „შემწეულებულები“
გამდა სამფეხა მაგიდაზე. ნიკალა ცოტას წატეხდა
პურს, ერთ კოვზზ კერძს შეხერეპდა და ზედიზედ
გადაკრავდა არაყს. ახლა კიდევ სხვა რა-
მეს ხატავდა. გოლა კი ადგა თავზე და
კვლავ ულვაშს იგრეხდა. „ნიკოს არ მო-
მიშივდეს, არაუი არ მოაკლდეს, თორემ ვეღარ
დახატავსო“, — ეტყოდა ხშირ-ხშირად თედუას
და ისიც დაუზარებელი იყო.

თედუა მზარეულის გვარი ბრმამ ვეღარ მოი-
გონა. ხოლო ახსოვდა, ისიც ვანის რაიონიდან რომ
იყო, იმ ლორთქიფანიძეების კარის მეზობელი.
შალვასა და უშანგი სვანის ამბები დაწვრილებით
ცოდნოდა, მაგრამ მეფურგუნე ვანუა უშანგი სვა-
ნად ვერ იცნო. ის კი უამბო: შალვას ქუთაისის
ციხეში ტიფი შეყროდა და მალე გარდაცვლილი-
ყო. ნიკო ფიროსმანიშვილმა იმ თედუას სურათი
დახატა: უღალ ჩოხა-ახალუხხზე წითელი ჭუბა
ჰქონდა მოგდებული, თეთრკუშტულიანი შავი მა-
ლალი ბოხოხი ეხურა და პირმრგვალ სახეს კოკო-
ბი ულვაში უმშვენებდა. თედუა ერთ გაზაფხულ-
ზე იმერეთში წავიდა. ის სურათი წაიღო. მერე
ალარ დაბრუნებულა.

— ნიკალამ ჩემი სურათიც დაპხატა. ეოთი
დიდი „ქლიონების სტოლსაფარზე“, კინ შესახებავა
ვაჟკაცი ვიყავი. თორმეტი კაცის ღონებ შეოზღა,
გაქანებულ ეტლს ვაჩერებდი. მუშტი-კრივში გას-
ვლა ამიკრძალეს, შენი მუშტი კამეჩის სულს გააგ-
დებინებსო. ნაცნობი ექიმი მყავდა, ჯიხაიშელი
სამსონ დიდიძე. ერთხელ კოტოშებით ერთი კო-
ჭობი სისხლი გამართვა, ოთხი კაცის ღონე და ძა-
ლა დამაკლო. კრივში ისე გავედი, მაგრამ ძაინტ
ვერავინ დამჯაბნა. ეს წვერი ასე გრძელი და ამ-
ფერი როდი მქონდა. გოგიტაშვილის სადალაქო-
ში ერთი ჩემი დოსტი ავეტიქა დალაქი იყო. ხშირ-
ხშირად შემიკვარჭნიდა მოკლედ და შემილამაზებ-
და. ხელები უკანკალებდა. მუშტარი სულ შემოე-
კალა. მაგრამ ორიოდე თლაშოის რომ გადაპკრია-
და, კანკალი დაუცხრებოდა და სამართებელს ისე
სწრაფად დაუსობდა კაცს სახეზე, თითქოს საქა-
ლამნე ტყავს ფხეკავსო. რაც უნდა დიდი ხნის გა-
უპარსავი წვერი ყოფილიყო, ერთი ორი ჩამოსმით
გაააცლიდა მუშტარს. ეჩქარებოდა, არაყს ძალა არ
გამონელებოდა და კვლავ არ ასტეხოდა ხელების
კანკალი. ნიკო მასთან არ დადიოდა. თავს არიდებ-
და: მეშინია, ჩემამზემ, ერთხელაც იქნება, ყელს
ვამომღადრავსო.

ის ჩემი სურათი „არარეტში“ ეკიდა. ვიღაც
ჩოლფოტმა ფრანცუზმა წაიღო. ერთი ლოთა-
ფორთვი ვინმე იყო. ბევრი ფული ჰქონდა. ხანდახან,

სალამოობით, მიუკდებოდა მაგიდას, ვრც ჩატანა
იტირებდა, იზლუქუნებდა, შემდეგ დასტა-დასტა
ასიგნაციებს ჩაის ჭიქაში ჩასტენიდა, ზევითან
ლვინოს დაასხამდა და ალბობდა. შემდეგ მაგრაფის
ქვეშ ჰყრიდა და ფეხით სრესდა. მერე შე და თე-
ღუა ავკრეფდით იმ ფულს, გავაშრობდით, გავა-
უთოებდით და კარგა ძალი თანხა დაგვიგროვდა.
აი, იმ შტერმა იყიდა ჩემი სურათი. ძალიან მოე-
წონა, მართლაც კარგი დახატული ვიყავი: იმ სუ-
რათზე ოთხცხენშებმული ფურგონი კი არ მოდი-
ოდა, მოფრინავდა. ძლივს ვუმაგრებდი თავს გა-
გიუებულ ცხენებს და მეც ძლივს ვიმაგრებდი თავს
კოფოზე. ჩემი დიმიკიტონის ახალუხის კალთები
ქარში მიფრიალებდა. დაფეთებული ხალხი აქეთ-
იქით მიმოფანტულიყო და თვალდაპრაწული
გოროდოვოი, რაც ძალი და ღონე პქონდა, სას-
ტვენს უბერავდა... იმ ფრანცუზმა დიდძალი ფუ-
ლი ჩაუთვალა ხელში გოლა ჭიჭინაძეს. გოლამ
ნიკალას შეაძლია ის ფული: ჩაიცვი, დაიხურე, რა-
მე იყიდეო. ნიკალამ ხელიც არ დააკარა, ფუ-
ლისთვის არ ვხატავო. გოლამ ძალით ჩაუტენა
გულჯიბეში წითელთუმნიანები. ნიკალა გაბრაზ-
და, რამდენიმე დღეს არ გამოჩენილა, აღარ ხატავ-
და, მშიერი დადიოდა. ბევრი კარგი დრო გამიტა-
რებია მასთან.

— ერთხელ მე და ნიკალა მტკვარგაღმა გავე-
დით. შუაბაზრის ერთ სარდაფში ვინტოვებთან; ქი-
ქეიფეთ არღანზე. ბევრი ფული ჭრილდა, მეტყე სა-
სულელი ფრანცუზივით, დვინოში ბლომად ვალ-
ბობდი და მაგიდის ქვეშ ფეხით ვსრესდი. ნიკა-
შიშლიდა, უარეს ვშვრებოდი. ერთი უზარმაზარი
თათარი ამიხირდა: ან ეს ფულის დალბობა შეწ-
ყვიტე, ან აქედან აიბარგეო. შე ნალეკარო, ეს შე-
ნი გრაფიც თან წაიყვანეო. „გრაფს“ ნიკოს ეძახ-
დნენ რატომლაც დაცინვით. გულზე ცეცხლი მო-
მედო, თვალებში ლვინო შევასხი, და შემდეგ თავ-
შიც აზარფეშა დავთხლიშე. მოჭრილ ხესავით გა-
იშხლართა. იმას ოთხი თათარი წამოეშველა, ბე-
ბუთები იშიშვლეს და მომვარდნენ. ეს ცერი მაშინ
წამაცალეს მარჯვენა ხელზე. მაგრამ, გამწარებულ-
მა, ვისაც ეს ცაცია მივადე ხელუკულმა სიფათში,
ფეხზე აღარ დამდგარა. ოთხს კიდევ იმავე მოე-
მატა და დუქნის უკან ერთ საკუჭნაოში შემიმწ-
ყვდიეს. ერთ ახმახს ისეთი ამოვკარ გულის კოზ-
ში, მგონი, სული გააფრთხო. ბებუთი გამოვტა-
ცი და ყველა უნდა გამომეშიგნა. ნიკალამ შეპ-
ყირა: კაცი არ მოკლა, კაცი არ მოკლა, სული არ
წაიწყმიდო, ამ თათრების სისხლი რად გინდაო,
და ხელში ერთი ტოლჩა ნაეთი მომაჩეჩა.

ახლა თქვენ არ დამიჭერებთ და, ის ნავთი სულ
ერთიანად გადავკარი. თითო ასანთის გაკვრაზე

პირიდან ცეცხლის შადრევას ვანთხევდი და მუ-
თი საშინელება ვიყავი — ხელში სისხლიანი ტე-
ბუთით, ცეცხლის მფრქვეველი და თვალებანთებუ-
ლი, რომ „ბაყბაყ-დევის ბიძაშვილს პვალიო“, მე-
უბნებოდა მერე ნიკალა. ახლოს ვიღარავინ მო-
მეკარა, ნიკო წინ გამოვიგდე, კიბეს ვეცი და, ჰაი-
და! არავინ გამომყოლია, თორემ როდი დავინდობ-
დი...

მეორეჯერ ქოსების პადვალში ვსვით. ჩემი
არითი ძმაკაცები სულ იქ იყვნენ. ნიკალაც გვყავ-
და. შემდეგ ვორონცოვის მეიღნიდან მიხაილოვ-
ზე რომ დავუყევით, მუშტაიდამდე ქეიფ-ქეიფით
ჩავედით. ფოსტასთან კონკას ცხენები გამოვუხსე-
ნით, ზედ ბაგრატა და მისი მედულუები შეეს-
ვით და წინ გავიძლოლეთ. ბაგრატასთანა რასტისა
და შიქასტის დამკვრელი დუნიაზე არ იყო. ის ქუ-
ჩა ჩვენ დაგვრჩა. ხმა არავის გაუცია. მთელი ლა-
მე მუშტაიდში ვიყავით. რიყრაჟზე კინტოებს
თავზე თაბახები დავადგმევინეთ და ანთებული სან-
ნოლები ხელში დავაჭრინეთ. ახლა იმ თაბახებზე
შევაყენეთ ბაგრატა და მისი დასტა, ერთმა ახ-
მახმაც ნიკალა იტვირთა, დასტამ საარი დაუკრა და
ერთი ორომტრიალით მივადექით ლორთქიფანი-
ძის როტონდას. გოროდოვოი არ გვიშვებდა, მაგ-
რამ თვითონ ხაზეინს გამოეგზავნა კაცი და კარები
გაგვიღეს.

— ცერა თითი წაჭრილი მქონდა, „გიშ-ვანუა“ შემარქებეს და ნამდვილი სახელი იშტერა თითი-ვით დავკარგე. თითქოს აღარც მახსოვე. ამც სუვერ-მა იციან. ჩემი სურათიც ისე დაიკარგა, როგორც საწყალი ნიკალა, იქნებ ნიკოც ვინმე გარეწარმა ფრანცუზმა იყიდა და თან წაიყვანა, ვინ იცის... ის საბრალო ჩემზე მაღალი ტანისა იყო, მაგრამ სუსტი და ტარანივით ხმელი. აბა, რა დაემართებოდა, სულ არაფერს არ ჭამდა. სულ სვამდა და ხშირად ცივდებოდა. ტანზედაც თხლად ეცვა. ის რომ ხველებას ასტეხდა, მისი საცოდაობით ჯიგარი მეწვოდა და გვერდები ამტკივდებოდა. ჩვენში უფროსი ვინ იყო, არ მახსოვე. მე ახლა ასი წლისა ვიქნები... კი, უნდა ვიყოო... — დაბეჭითებით ჩაილაპარაკა მან, საუბარი შეანელა და გულზე ჩამოკიდებული ფიცარი შეისწორა.

— ამბობენ, ნიკალა ერთ დროს მდიდარი იყო და მერე გაკოტრდაო. მე მისი სიმდიდრე არ მინახავს. უერის თავდალმართზე რომ სარძეო დუქანი პქონდა, ის ვითომ რა დუქანი იყო. მთელი დღე ფეხზე იდგა და ისე ვაჭრობდა ფარდულის წინ, ღია ცის ქვეშ. ხანდახან ნახშირითაც ხატავდა, ჯიბეში ნახშირი ეყარა. ერთხელ ვიღაცამ მოუტანა ზეთი, მუმია, შიფირვეზი და სხვა საღებავები. ის კაცი, მგონი, მხატვარი იყო. ვახარებულმა ნიკალამ საღებავები მათლაფაზე ქალების გუნდა-ლა-

ხუსტაკივით გალესა და ბევრი კარგი რამ დაჭხატუ.
მერე ცხენის ქურდ-ავაზაკი რომ დაჭხატა, ის ცე-
ნი ჩემი ყარაჩაა. ყველა ცხენზე უფრო მიყვარდა
ამბობენ, ნიკოზე კარგი წიგნი გამოუციათო, ის
ჩემი შავი ცხენი შიგ ყოფილა დახატული. მე წიგნს
ვინ მალირსებდა. მაინც ვერ შევხედავ. ნეტავი
ერთხელ მაჩვენა, ნეტავი ერთი წუთით თვალში
სინათლე ჩამდგომოდა და ის სურათებიანი წიგნი
მენახა. საცოდავი ნიკალა, ვეღარაფერს მოესწრო.
მერედა და რა საწყალი გულისა იყო და რა მიამიტი.
თავისი ნახატების ყადრი არ იცოდა და სულ აქეთ-
იქით არიგებდა, ფანტავდა და აბნევდა. ჩამო-
ლლეტილი დადიოდა და სულ ერთსა და იმავეს
ლილინებდა:

ჩემ ჯორა ნატერის თვალია,
არეის არ მიეცამ ფულზედა...

ბავშვები დასცინდნენ და ამწარებდნენ. როცა
მასთან ვიყავ, ვერაფერს უბედავდნენ.

ერთ კვირას სულ დაიკარგა, ალარსად ჩანდა
მთელი ჩვენი უბანი შევაწრიალე, მის კვალს ვე-
ღარსით მივაგენ.

კაი ძმაკაცები მყავდა. მოჭიდავეები — ლადო
ხეჩინაშვილი და ვანუა აბულაძე ანუ ქიზიყელი კამ-
ბეჩოა. ხელტორიანი ბიჭები იყვნენ. ჩემსავით.
ერთიც — შავუა ყასაბი. შავი იყო და შახიანი და
შავუას ვეძახდით, თორემ ისე ფირანა ერქვა. დი-
დი მსმელი იყო და ლოთობდა. მისი ვერცხლის ქამ-

რის ბალთაში ერთი კვარტი ლვინო ჩაეტეოდა.
ქამარი მუცელზე არ წვდებოდა და ჯაჭვით ჰქონდა,
ჩაგდებული. ის შავუაც კარგი ვინმე იყო, ნიკო
სულ ეხვეწებოდა, ერთი ჩემი კარტინქა ფათ-
რეთი დამიხატეო. ფულს ბლობად აძლევდა.
არაყს სთავაზობდა. ნიკომ რატომდაც ამოიჩემა, არ
უყვარდა. ლოთებს არ ვხატავო, შენ ნამდვილი
მოქეიფე არა ხარო. მისგან არც ფული მიიღო, არც
არაყს წაეკარა. — ჰე, შენაო, ეგეთი უგულო ნუ
ხარო, შვილოსან, თორებ ერთხელაც იქნება — შე-
მოგდება ძალლის მწერი მაგ ხრიკიან თავზედაო, —
ლიმილით ეტყოდა შავუა. ნიკომ მაინც არ აუს-
რულა წადილი. მგონი, ერიდებოდა: შავუა ერთი
კოთხუჭი ვინმე იყო და თავიც პოსლიკა ჰქონდა.

ჰოდა იმ შავუამ მითხრა: ეგ შენი ნიკო უბაშ-
ფორთოდ დაწანწალებდა და სადღაც დაიჭირდნე-
ნო. მერე ხეჩინაშვილმა მოიტანა მართლაც ამბავი:
გუშილამ დესეტნიკებს ქუჩაში დაუკავებიათ და
ახლა გალმა უბანში ჰყავთო.

ელამ ნიკასთან თითო კვარტი გადავკარით. ისი-
ნი ფურგონზე დავსხი და გრიალ-გრიალით მივა-
დექით შუა ბაზარში უჩისტკის პრისტავს. შავუამ
ის კერცხლის ქამარი მოიძრო და პრისტავს მიუგ-
დო. ას მანეთზე მეტი ლირდა. ქამარი გირაოდ
მივეცით და ნიკალა თავდებში გამოვართვით. კო-
ფოზე შემოვისვი, ცხენებს მათრახი გადავუჭირე.
მიწას დავიკალი, მეტების ხიდზე ოთხამოლებით
ვავაქროლე ჩემი ფურგონი. მთელი კუკია გადაუი-

კირითეთ და გორგიჭანოვის ბალში, მტკვრის პერს
საქენ ჩავუხვიეთ.. შემდეგ ოჯულზე ვიქეიფეთ. ნი-
კალამ მაინც არ დახატა შავუა...

ეროვნული
გერბის გერბი

XI

— შავუა აღრე მიიცვალა, კუკიაზე დავმარ-
ხეთ. საფლავს, ზედ კუბოს თავთან, ერთი რკინის
მილი დავატანეთ, და ყოველ აღდგომის მეორე
დღეს მივდიოდით, ცხვარს დავკლავდით, წვადებს
ავაგებდით. მწვანილი, მოთალი, შოთი პურები
ბლომად იყო. თითო კანწს ღვინით შევივსებდით
და იმ მილში შავუას ჩავძახებდით:

— წამოდექ, ბიჭო შავუა, შენი ღოსტები მოვ-
სულვართ, ტიკჭორით ღვინო მოგვიტანია, ნიკალაც
მოგვიყვანია, შენი სურათი უნდა დახატოს...
თან ყანწით ღვინოს მილში ჩავუსხამდით და კვლავ
ჩავძახებდით: — შენც შესვი, გაამოს, იმ ქვეყ-
ნად მწყურვალი არ დარჩე, ნუ იდარდებ, ჩვენც
მალე გაწვევით, ვნახოთ რა მასპინძლობას გაგვი-
წევ-თქო.

მილის ბოლო ზედ შავუას პირთან იყო დასუ-
ლი და გვიხაროდა, ისიც რომ ცლიდა ყანწებს...

ნიკო იცრემლებოდა, მკერდში მჭიდს იბაგუნებ-
და და გაიძახოდა:

„პა, ბეჩავო ჩემო თავო, რა ვიცოდი თუ ასე
მალე მოკვდებოდაო“. მერე ერთი დიდი სურათი
დაჭხატა, მეიდანზე რომ თბიმანაშვილის დუქანი

იყო, იქ ეკიდა. ეს კარგად მახსოვეს: შავუძეს საფლავის ლოდს მოქეთენი უსხედან. ლოდზე შავუ, ზის, ხელში ყანწი უჭირავს და თვალდაჭყეტილი გაოცებული იყურება: მკვდარი, ვარ, საქერთდან დავბრუნდი, თუ ეს რა ამბავია ჩემს თავსაო. განზე ყოჩების ჭიდაობაა გამართული და ერთი კუდბუთქა ნაგაზი შავუასავით თვალდაჭყეტილი და გაოცებული მისჩერებია მათ; იქვე ბაგრატას დასტა სეფილს უკრავს... შავუა ცოცხალივით იყო, პოსლიქა, დიდ ჩუმპეიანი, ლოდზე ძლივს ეტეოდა.... თვალს ვერ მოაშორებდი.

კვირაცხოვლობას ჭირიანთხევში — მახათასთან — კრივი იმართებოდა. იქ ძალიან დავბეჭვე ერთი ცნობილი მოქრივე, გვარი აღარ მახსოვე ამბობენ, მთაწმინდელ მეჩექმეს — ცხრაფეხაანთ სტეპუას სცემაო. იმ სტეპუას მომრევი კი ბევრი არ იყო ჩეენს ქალაქში. ერთ ხანს მაგრად ვაგუნდავე. ფეხზე ვეღარ დგებოდა და სულ აქეთიქით ქანაობდა, მაგრამ მაინც მიძალიანდებოდა. მერე გამეტებით გავკარი ქისტი... ნიკალამ ესეც დაპირატა. დიდ კარტონზე იყო. ძალიან მგავდა. საყვავილე ფარდული რომ გავხსენი, იქ მქონდა დაკიდებული, ჩემი ავადმყოფობის შემდეგ ვეღარ ვიპოვე...

ნიკალას „ვეფხისტყაოსნის“, კითხვა უყვარდა. უფრო ის უყვარდა, როცა სხვის კითხვას უსმეოდა. ბევრჯერ მინახავს, გოლას მზარეული თედუა კითხულობდა და ნიკო უსმენდა. ბევრი ლექსი ზე-

პირად იცოდა და თავისთვის ღილინებდა. რამდენიმე
მე სტრიქონი მეც დავიმახსოვრე. ყველაზე უძინ-
ოდ იმეორებდა სიტყვებს:

ეროვნული

მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დაწიწყლული იყო
ივი ფიცი, ჩემვან სრული, მან ალარა გამისრულა...."

ამას რომ წარმოთქვამდა, თვალები ცრემლით აუც-
სებოდა და დიდხანს იყო გარინდებული.

ცხრაას თოთხმეტში გერმანიასთან რომ ომი
დაიწყო, იმ ომში ცხენებიც წაიყვანეს. ჩემი ყარა-
ჩაც წამართვეს და სხვებიც ზედ მიაყოლეს. მეყ-
ვავილეობა დავიწყე. ჭერ კალათით დამქონდა ქუ-
ჩებში და ეზო-ეზო, შემდეგ, ოზმანაშვილის დუქ-
ნის პირდაპირ, პატარა ფარდული გავხსენი. ჩემის-
თანა გეორგინები და ყაყაჩო მთელს თბილისში არ
მოიძებნებოდა. იმ ექიმმა დიდიძემ, ჩემი თხოვ-
ნით, ჯიხაიშიდან ნიკო ნიკოლაძის ბალის შვეიცა-
რული ვარდის ნერგები ჩამომიტანა. აჯამეთის ქუ-
ჩაზე ერთ ქვრივ-ქალს ვიცნობდი, მის ეზოში დავ-
რგე, გავახარე, ვკრეფდი და სანახევროდ ვყიდდი.
დიდი მუშტარი მყავდა და კვლავ ჩემი ბედის მაღ-
ლიერი ვიყავი. ნიკალაც სულ ჩემთან იყო.

ხანდახან სათევზაოდ დავდიოდით: დიდუბეში
ორთაჭალაში. ნიკო სპილენძის პირფართო თუნგს
წამოიღებდა და ბაღიდან ახლადამოყვანილ ცოცხალ
თევზებს ვყრიდით შიგ. ნიკო ხელს ჩაყოფდა თუნგ-
ში, თევზები ხვანცალს დაიწყებდნენ, ის კი ბავ-
შვივით იღიმებოდა, თვალს ხუჭავდა და იყო ასე
გარინდებული.

როცა თავის აქტრისა მარგარიტას ყვავილებს უზიდავდა, ჩემი ფარდული მთლად დავაცალერედა, მგონი, მთელი თბილისის ყვავილები მოვაწრანე. ჩვიდმეტში, ნიკოლოზის ტახტი ჰქონდა, გახარებული შემოვარდა ჩემთან და გიუივით ყვიროდა: „ძირს ნიკალაი, ჩემი სეხნა ჩამოაგდეს! ძირს ნიკალაი!“ გულზე წითელი ლენტი მიეკრა და ზედ რუსულად ეწერა: „სვაბოდა“. ბოლოს ისევ გაიპარა სადღაც. ვედრო და ფუნგი ჩემს დუქანში გაუშვა, გარე-გარე დადიოდა და არავის ეკარებოდა.

XII

— მერე ის იყო, ყვავილ-ბატონები შემეყარა. მე ხომ სულ ყვავილებს ვუვლიდი და ველოლიავებოდი. ახლა ყვავილმა სამაგიერო სიკეთე გადამიხადა, მომიარა, დამჯაბნა და ამ დღეში ჩამაგდო. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი საავადმყოფოში, მაგრამ რომ გამომიყენეს, რაც მანამდის ვიყავი, ის ალარ ვიყავი. მას შემდეგ თვალში ვედარ ვიხედები. ბნელა. მზეს მაშინ ვხვდები, როცა მაგრად მაცხუნებს ბეჭებში, აედარს მაშინ უგრძნობ, ლვართვაფი რომ დამდის თავზე. ჩემთვის ერთია, ბინდის თუ დილა...

ჩემი ნიკალა სადღაც მთლად დაკარგულიყო. ალარც ძმაკაცები ჩანდნენ. ჩემთვის ალარ ეცალათ. ბრმა და უსინათლო ვის რაში ვეპრიანებოდი! ზოგიერთი იმ ომიდანაც ალარ მოსულა კოცხალი. მე-

რე გავიგე, საბრალო ნიკო მომკვდარიყო, და ცად-
ლაც, მგონი, — კუკიაზე დაემარხათ. ვისაც უცხარ-
ხარ, ის გიტირებს... ვტიროდი, უსინათლო თვალებს
ცრემლი წვავდა და თუთქავდა. გული ჩამწყდა და
ჯიგარი დამეხრავა. თვალში სინათლე რომ შეონდეს,
მე ვიცი, სადაც უნდა მოვნახო მისი საფლავი .აქ
ჭინათ ერთი ჩემი არითის კაი ნაცნობი იყო. იმან
მითხრა, მე ვიცი, სადაც მარხია ნიკო ფიროსმა-
ნიშვილი, კუკიაზეა, გაჩვენებო. ნაავადშეოფარს მა-
შინ სიარული არ შემეძლო. ვერ წავყევი. მერე ის
კაცი აღარ გამოჩენილა. სახელი და გვარი არ ვი-
ცი. შინ რომ დავბრუნდი, ის ფუნჯი და ვედრო
აღარ დამხვედრია და ნიკოს სახსოვარი აღარაფე-
რი დამრჩა. რამდენიმე წელიწადს ის ნაცნობი
ქვრივი ქალი მივლიდა და მარჩენდა. მერე ისიც
ვაყვა თავის გზას. სულ მარტო დავრჩი, თითქოს
აბრუ არ გავიტეხე და ყველაფერს ეს ხელობა ვამ-
ჯობინე.

XIII

— წუთისოფელი ქანაობსო, — მითხრა ერთ-
ხელ ნიკალამ. — თუნდ მასეც იყოს-მეთქი! — მი-
ვუგე. — რა მენაღვლება, რამდენიც სურს, იქანა-
ოს-მეთქი. თურმე, მართლაც რომ ქანაობს! მეც
ბევრი მაქანავა და მაგუნდავა. შემდეგ კარგ მოკრი-
ვესავით გამეტებით ამომკრა ქისტი, და, აი, დავრ-
ჩი ასე... უფოთლო ხესავით, უსაძირკვლო სახ-
ლივით. ცხოვრება დავხარჯე, სიკვდილს კი გამოვრ-
ჩი. ვიღაცამ დამწყევლა თუ დამლოცა, არ ვიცი.

ეს კია, რომ: არ ვკვდები, ვარ და ვარ! ხოლო ას
მაწუხებს: ვინ დამიხუჭავს ამ დაბრმიუებულ აუ-
ლებს?

ხელოონე კიდევ მერჩის. მუხლებშიც კი მისუს-
ტეს. თანაც ამ ქუჩებს ვეღარ ვცნობ. წინათ ყურელ-
გან ჩემი გზა და ჩემი ბილიკი მქონდა. მიხევულ-
მოხვეულებში არ ვიბნეოდი. ახლა ბევრი ოლრო-
ჩოლრო ადგილი მიასწორ-მოასწორეს, ეს მანქანე-
ბიც გამრავლდა და სიარული მიჭირს. ხანდახან კის-
რის ძარლვები დამეჭიმება, თვალებში რაღაც დამ-
ცეცხლავს, თითქოს განათლება და ვხედავ ქუჩებს,
ხალხს... მაგრამ ისევ ბნელა, სულ ბნელა. განა სა-
მარეში იქნება ამაზე უარესი წყვდიადი?

ეს გვიამბო მოხუცმა და დიდხანს დუმდა. იდაყ-
ვით მერხის საზურგეზე იყო დაყრდნობილი, კი-
სერი ჩევეულებრივ განზე მოეღრიგა და ჩამქრა-
ლი თვალები ზეცისკენ აღეპყრო. და ეს უსიცოცხ-
ლო, გატანჯული სახე, ეს ყლალი ხუჭუჭი თმითა
და წვერულვაშით მოსილი მთელი მისი თავი ჰე-
ვდა ლაოქოონის თავის თაბაშირის იმ დამტერია-
ნებულ ასლს, როგორებიც მინახავს ძველი გიმნა-
ზიების სამასწავლებლო ოთახებში კარადის თავ-
ზე, გლობუსთან ერთად, მოძულებულივით შეგდე-
ბული.

XIV

ბოლოს ესეც დაუმატა:

— ბაბუაჩემი, სვინჩი, ძლიერ მანებივრებდა.
მთელს ოჯახს ჩემს მეტი ვაჟი მემკვიდრე არ გააჩნ-

და. დანარჩენი სულ ქალები იყენებნ. ერთხელ ხელი მომკიდა, ჩვენს სოფელზე ერთი დიდი კლდეა, პირქუში წამომხობილი, ის დამანახა და ჩურჩულით მითხრა:

შესული გვ. 1

— ეს მარტო შენ უნდა იცოდე. მამაშენსაც ნუ ეტყვი. მე რომ აღარ ვიქნები, მაშინაც ნურავის გაუმხელ. იმ კლდის გულში არიან ჩვენი დიდი მეფე თამარი და შოთა რუსთაველი. აქაა მათი საფლავები, მაგრამ გათხრა და ნახვა არ შეიძლება. მათ ადამიანის ხელი და თვალი ვერ შეეხებაო. მზე-თამარმა ასე ინება, სიკვდილს შემდეგ შოთასთან წამოსვლა. შოთა აქ იყო დაკრძალული. ამ ანდერძის შესრულებას ზოგიერთები არ აპირებდნენ. მაშინ სვანებმა მოიპარეს მისი ცხედარი და აქ დაასვენეს. „ვეფხისტყაოსანიც“ იქაა, თამარის უბეში, ეს მარტო შენ უნდა იცოდე. მეც ბაბუაჩემმა მიამბოო. მხოლოდ შენს შვილიშვილს გადაეციო.

ნიკალას ეს რომ ვუთხარი, აღელდა და აცმუკდა: ახლავე წავიდეთ და მოვნახოთ ის საფლავებიო. დავაშოშმინე, ფული ვიშოვნოთ და მერე-მეთქი. თვალები რომ მქონდეს, თქვენ წაგიყვანდით და განახებდით, მხოლოდ მიწის მოთხრას არ დაგანებებდითო, — გვითხრა მოხუცმა და სულ გაჩუმდა.

XV

გავიდა კიდევ ერთი ქვირა. ჩედაქციაში ლადო ასათიანი შემოვიდა, მაგიდაზე ოთხადგაკეცილი

ქაღალდი დაღო, ჩამოჯდა და ამხანაგებაზნ სურდა
გააძა. ეს იყო ლადოს ლამაზი ხელით ნაწერი ლექსი
და ზედაც მიძღვნისა და წინასიტყვაობის მსგავსი
წარწერა პქონდა, როგორც ჩვეულებრივი კოდე-
მან. ეტყობოდა, ღრმად ჩაწვდომოდა გულში ის
ბრძა მოხუცის უკანასკნელი სიტყვები და ამის შე-
დეგი იყო ქვემოთმოხსენებული სტრიქონები:

სვანეთში წადით, მგოსნებო!

სვანეთში წადით, მგოსნებო, გაიღეთ მსხვერპლი, ზეარი,
იქ ეგულება ოცნების თამარის ციხე-ქალაქი.
სვანეთი არის სავანე და საგანძურების ალაგი,
სვანეთში წადით, მგოსნებო, დატოვეთ თბილის-ქალაქი.
მჯერა, სვანეთში მარხია თამარის — განძი სამარე,
მჯერა, სვანეთში მარხია რუსთაველი და თამარი.
სვანეთში წადით, წაგიყვანი შოთას შაირი ფრთამალი.
მზე ეკრ ჩერდება მიწაში, მაღლა იძირებს იმოსვლას,
სვანეთში წადით, უშველეთ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“.
გათხარეთ მიწა ძვირფასი, იყითხეთ, ძებნეთ, იარეთ,
ნახეთ დაფლული მნითობი, საქვეყნოდ ააფრიალეთ!
მხოლოდ ერთი რამ გასსოდეთ, ჩამოიტანეთ ზარად ის,
ბოეზიას და სიყვარულს აქ ურჩევნია მარადის!

თავში კი ლექსს პქონდა შემდეგი წარწერა:

„ნიკოლოზ დიმიტრის ძევ!

ამ დილით ექვსი საათიდან რაღაც შემიჯდა. სულ მო-
გიარე ავლაბარი, ორთაქალა და დილუბე. ვიჯექი მან-
ქანაში და თვალდახუჭული გფიქრობდი დიდ შოთანე,
ფიროსმანზე, იმ მოხუცზე, ჩვენ რომ გვესაუბრა. მარა

სახლში მოვედი და ეს ლექსი დაეჭირე. ჩოგორიც კოდები
თვის, გადაეწყეობე შენოვის მომერანი. შენ ხომ ჩიტე
პირეელი მკითხველი ხარ, პირეელი და უკანასკნელი.
შენ იცი, რომ მე რამდენიმე კაცისოვის ვწერ, და ვუძი
სებობ. ასეა, ეწყვებ ამ წინათქმას, რაღაც ჰიტებზე კა
დაბრმავებული მოხუცი დგას და მლერის:

წუთისოფელი ტკბილია,
და მეგობრობაც ტკბილია...
წუხელ შენს ახლოს მეძინა
თრთოლით და გულის ფართხალით...
თუ სიყვარული ტყვილია,
და ეს ცხოვრებაც ტყვილია.
ნეტავი გამაგებინა,
მაშინ რაღაა მართალი?..

მეც არ ვიცი, რაღაა მართალი! ამაზე უკეთესი წინასიტყ-
ვაობა მე არ შემეძლო

ლადო ასათიანი

1938 წ. 26 ივლისი.

„შენს არქივს ებაროს და მიემატოსო“, წაა-
წერა იმ ხელნაწერ ქაღალდს და მითხრა:

— ფიროსმანზე კი კარგი რამე უნდა დაეწერო.
იმ მოხუცს კიდევ გამოვტყუებ ამბებს. იქნებ მარ-
თლაც იცის ეინმემ, საღაა დაკრძალული ფიროს-
მანი და არ შეიძლება ამ ბრმას არ იცნობდესო.

მაგრამ მოხუცი ისე ხშირ-ხშირად აღარ დადი-
ოდა ქუჩებში და აღარც ლადოს დაუწყია მისი

ქებნა. სხვა საქმეები გაუჩნდა. ფიროსმანზე კი
მართლაც დაწერა სამი ლექსი და მისი ნხენება
სიკვდილამდის არ მოუშლია.

ეროვნული
პირადობის

XVI

მეტების მუზეუმში ფიროსმანის გამოფენას
რომ ათვალიერებდა, დარბაზის დატოვება აღარ
უნდოდა. დიდხანს იჯდა სკამზე მშვიდად, მდუმა-
რედ შეჰყურებდა კედლებზე ჩამწკრიებულ სუ-
რათებს და მხოლოდ ფართოდ გაღებულ თვალებ-
ში უკრთოდა გაოცება და სიხარული.

აქ იყო: „კალოობა და ქეიფი რთველის დროს,
ნადირობა და თევზაობა, ძველი მექორწილეები —
ლიტანიებით, მაყრიონით, ჭიდაობით, დაირებიანი
და მტრედებიანი ქალებით, მოცეკვავეთა წყვილე-
ბით, მოქეიფე თავადებით, მუშამბებზე ასახული
ალაზნის ველის ბარაქა, რიონის ატეხილი ჭალები,
ირმები, დათვები, ხუჭუჭომიანი პატარა კრავი,
შუშაკიტრი და ქორფა მწვანილი, ფრთიანი ორა-
გულები, ჭრელი კალმახი, წითლად ალმოდებუ-
ლი ატაში და ბოლოკი, კახური ლეინით საკსე ტიქ-
ჭორა, ფრთააპრეხილი შოთი ბურები, („პური და
ღვინო, ქეიფი და სიხარული“, როგორც უწერია
ტიტიან ტაბიძეს!), გადაჭრილი ხის როკიდან წა-
მომდგარი შეელი, ბავშვებიანი გლეხი ქალი, მი-
ლიონერი უშვილო და ღარიბი შვილებით, გოგო-
ნა პატარავი ყაჩალი, რესთა-

ველი და თამარი. შამილი და სააკაძე...“ და კიდევ
რამდენი ფერისა და რა „გუნების“ სურათი თუ
ნახატი!..

ეროვნული

პე, რამდენი რამ დაგიხატია, პირულებულების
გამდიდრებულხარ ფერთა დოკუმენტი...

რომელ ერთზე უნდა შეეჩერებია მზერა. მაგრამ
საშველი არ მისცა მუზეუმის ერთმა შავკაბიანმა
თანამშრომელმა ქალმა. წამდაუწუმ უხსნიდა: ეს
ესააო, ის მუშამბაზეა დახატული კირითა და მჭეარ-
ტლითო. ეს უბრალო მუყაოაო. აგერ, რუსული
წარწერები თვითონ ფიროსმანს ეკუთვნის და შეც-
დომებითაა სავსეო. აქტრისა მარგარიტა თავად უყ-
ვარდაო და... ეტყობოდა, აღარ ამთავრებდა.

ლადოს ცეცხლი წაეკიდა სახეზე და მიახალა.

— რას გადამეკიდე, შე ქალო, რა მოგივიდა?
მომათქმევინე სული.

— კი, ბატონო, მარა... — შეეკამათა ქალი.

— მზერა მინდა, ადამიანო მზერა! — შეაწყვე-
ტინა გაცეცხლებულმა ლადომ. — სხვებთან მი-
დი, — შესძახა მან, წამოდგა, ახლოს მივიდა
„მეზოვესთან“ და დიდხანს შეპყურებდა ფიროს-
მანის ამ შედევრს.

გაბრაზებული იყო და იმ მეეზოვესავით მწყრა-
ლად და კუშტად აღვრიალებდა თვალებს...



პროცესის ყაყაჩობი

ეს სისხლი არის, თუ მართლა
ყაყაჩობის ფეხლია?

ლადო ასათიანი

I

„ალუჩინბის დრო იყო, მწვანე ხილეულობის უამი. ყველაზე ძალიან ეს დრო მომწონს. ახალი გაზაფხული კი არა, გაზაფხულის მეორე ხანი, თითქოს დამლევი“, — უბის წიგნაკში აქვს ჩაწერილი ლადო ასათიანის დიდებული ვასილ ბარნოვის ეს სიტყვები და, სწორედ ასეთი დრო და უამი იყო 1939 წლის მაისის ერთ მზიან დღეს, როცა ქუთაისიდან ჩამოვიდა ვით ნაფეტვარიძე.

ქუთაისური რეიდები გავიხსენეთ და კოლმეურნის მოედანზე გავედით. ბაზარში ხილი უნდა გვეყიდა და შემდეგ ბოტანიკურ ბაღში ვაპირებდით წასვლას.

იმ ხანებში ახალი მოედნის ირგვლივ მდებარე ვიწრო და ჭუჭუიანი ქუჩები გააფართოვეს, ძეელი დუქნები და სირაჭხანები დაანგრიეს და გადააკეთეს. მაგრამ, ყოფილი „სალდათის ბაზრის“ შე-

სავალთან კიდევ იყო შემორჩენილი ერთი ძველი
ბური „პერსიონული სახარჩოვნიქო“. გიორგიმ ას-
ჩემა, აუცილებლად შემიყვანეთ და მაჩვენეთო.

ზედ შესავალთან — კიდელზე — ბატიშვილის
რით მიჯღაბნილი იყო:

„თაზა ფითა ვორ
და ფლოვი
ავაფსანდალი
ცხვრის თაფ-ფუხი
ჰასქაბაბი
ჩანახი
და ბულლამაცა ვოქს
კიდენ გვესტუმრე
გენაცვა
ავაშენოს...“

„სახარჩოვნიქო“ მხოლოდ ფირნიშზე იყო
„პერსიონული“, თორემ ახლა დახლში ერთი ჩასუ-
ქებული ახალდაბელი ვეფხვაძე ტრიალებდა, „ფი-
თისა“ და „ფლოვის“ გარდა აქ იმერულ კერძებ-
საც ამზადებდნენ და ატენურიც უხვად პქონდათ.

როგორ გავოცდით და გავიხარეთ, როცა კუთ-
ხეში მიდგმულ მაგიდასთან მიმჯდარი მირზა გე-
ლოვანი და მასთან ვაჟიკა ფხოველი დავინახეთ.

ახალგაზრდა დამწყები პოეტი ვაჟიკა ფხოვე-
ლი, — მიტო ცალხელიშვილი — საყდრიონებელი
იყო, თიანეთის რაიონიდან. მან ორიოდე ლექსი და-
ბეჭდა „ჩვენს თაობაში“. მალე საბჭოთა არმიის
რიგებში გაიწვიეს და სამამულო ომის შემდეგ
ალარ დაბრუნებულა. მთელი ომი ბრძოლებში გა-

ატარა, ჩეენს გამარჯვებულ ჭარებთან გერმანიაში შევიდა და... ფრანქფურტთან დაკრძალეს.

პატარა ბიჭუკელა იყო და, კოხტადაც ვეტილ ულვაშებიანს, ზედგამოჭრილიერი უხდებოდა, ცნე-ვდონიმი — ვაჟიკა ფხოველი. თეთო ტილოს ხალათზე მუდამ შალის ქლალი „ტუშურკა“ პქონდა მოცმული და კოზიროვიანი შავი რუსული ქუდი ეხურა. გაბრიელ ჭაბუშანურს, მირზა გელოვანს და სხვა უფროს ამხანაგებს ისე დაპყვებოდა, თითქოს მთებიდან პატარა ძმა ჩამოსვლიათო. ეტყობოდა, თბილისის ქუჩებში უჭირდა აღმართ-დაღმართებს შეჩვეული ნაბიჯებით სიარული და როგორდაც ზერელ-ზერელ დადიოდა თუ „მიცვანცვალობდა“, როგორც იტყვიან იმერეთში.

— ჩემი სტუმრები ყოფილხართო, — გვითხრა გახარებულმა მირზამ, როცა გიო გავაცანით და კაცის სულზე თითო კოჭობი ის „თაზა ფითი“ მოატანინა. ესაა ცალ-ცალკე კოჭობებში ცხერის ხორცითა და მუხუდოთი ცხლადშემზადებული წვნიანი, ძალიან გემრიელი და სანუკვარი კერძი. — დღეს „შავნაბადას“ პონორარი ივიღე, ბაზარში ხილის საყიდლად წამოვედით, შემდეგ ბორანიკურ ბაღში მივალთო. ახლა კი მე გიმასპინძლებთო.

უფრო გაიხარა, ჩეენც რომ ბაღში მივდიოდით და ამბობდა: იქ ალექს შენგელია, გაბრიელ ჭაბუშანური და სხვა ამხანაგები დაგვხვდებიანო, მაგრამ ჩვენი ნაცნობი არავინ გვინახავს და არც

შემდეგ მოსულა ვინმე. არ ვიცი, შეეჭალათ, თუ
როგორ იყო საქმე... იმ დღეს მთაწმინდაშე ახუ-
ლიყვნენ და იქ ეძებდნენ, თურმე, მირზა¹³⁶⁹ და

II

შეკურთხული

მირზამ და ლადომ ბაზარში საადრიო ბალი და
ალუჩია იყიდეს და შავთელისა და ჩახრუხაძის ქუ-
ჩებით გავუარეთ ანჩისხატსა და სიონს, ავედით
აბანოების თავზე და მივადექით ბოტანიკური ბა-
ლის შესასვლელს. ვაჟიკა მეტეხის ძველ ხიდთან
დაგვემშვიდობა. რამდენიმე დღით სოფელში მი-
დიოდა.

შევედით შიგნით და შევყევით სულ ზევით და
ზევით, მაღლა, სიმწვანის მხარეში. ცადაწვდილი
ფიჭვები მხრებში შედგომოდნენ ბებერი ნარიყა-
ლას ხაესიან კედლებს და გაბარჯლული ტოტებით
ფარაედნენ ნაციხარის ჩამონგრეულ ქონგურებს.
ჩვენს მეტი ახლომახლო არავინ ჩანდა (სამუშაო
დღე იყო) და გათამამებული ჩიტები ჭახჭახითა და
ურიამულით მოდებოდნენ ხეივნებში ნაკათივით
გაწვდილ გზებსა და ბილიკებს. ლადოსა და გიოს
ძლიერ გაუქვირდათ: არ გვეგონა, თუ თბილისთან
ახლოს ასეთი დაბურულხეივნიანი ტყე და აყვავე-
ბული ბალი იქნებოდაო, — ამბობდნენ ისინი, პირ-
ველად იყვნენ იმ დღეს ბოტანიკურ ბალში!

ბილიკებით მივიწევდით სულ ზევით. და აქ მირ-
ზა და ლადო თითქოს ერთმანეთს გაეჯიბრნენ გა-
ლაქტიონისა და ტიციანის ლექსთა კითხვაში. არც

მანამდე და აღარც შემდეგ არ მინახავს ასე ლექტორ
ბით ამღერებული და მგალობელი ჩიტებივით აკიკ-
ჭიკებული ისინი.

ერთობენ ასე

გიორგი ნაფეტვარიძე ხმას არ იჭებდა, და მაგა
კრძალებული სიყვარულით შეჰყურებდა ორივეს.
ზანდახან გაიღიმებდა, შემომხედავდა თვალებ-
აციმციმებული, შეისწორებდა ურჩ ქოჩორს და
შეერეოდა ბუჩქებს.

მერე ერთი შინდის ძირას მერხზე ჩამოვჭექით
და ახლა საკუთარ ლექსებს მიყვეს ხელი. ლადომ
წაიკითხა თავი პოემა „კოლხიდიდან“, რომელსაც
დიდი გულმოდგინებით წერდა — რამდენიმე ვა-
რიანტად (დაცულია ამ პოემის ათობით გადაჭრე-
ლებული ფურცელი, ქალალდის ნაკურები, სი-
ტყვათა ამონაწერები).

პოემა იმ დღეებში დაამთავრა და საბოლოოდ
გადაათეთრა, დასაბეჭდად გამზადებული.

მირზა კითხულობდა თავის ლექსს — „გალაკ-
ტიონ ტაბიძეს“.

ცოდა... ყველა გაფრენილ ისარს
ნაცემათვე სიკვდილი ახლდა.
ახლა გახედე, მთაწმინდას, ისანს,
ან მაღაოვი იცანი ახლა!

რატომდაც კუშტი გამომეტყველებით ამბობდა იგი
და ისე ჩაციებით მისჩერებოდა ჩვენს წინ აღმარ-
თულ უზარმაზარ ბერმუხას, თითქოს გალაკტიონის
ნაცელად, იმ მუხას მიმართავდა და ეუბნებოდა
ლექსის სიტყვებს.

ფართო გზამ გაგვიყვანა ლელვთახევის ფოთ-
ლოსთან გადაწვდილ-გადახნექილ და შედარებული
შევილდისარივით მოზიდულ თეთრ ნიშტერ ერთ
ხანს ვიდექით იქ და გადავყურებდით, თუ როგორი
ხრიალ-ხრიალით და ვაი-უშველებელით ეშვებოდა
ძირს, ჩვენს ქვემოთ, გაგიუებული ჩანჩქერი...

და კარგად მახსოვს, სწორედ იმ ხიდზე დგომი-
სას, ამოილო ლადომ ქალალდის პატარა ფარატინი.

— აი, რა მაჩუქა ამას წინათ რეზო მარგიანმა,—
მის მიერ თარგმნილი პაინეს ლექსი. აბა, მომისმი-
ნეთ, როგორიაო, — თქვა მან და წაიკითხა:

პ ა ი ნ ე დ ა ნ

უშვენიერეს მაისის თვეში,
როცა კვირტები გახსნიან თვალებს,
მაშინ ჩემს გულში სხეანაირ ეშნით
სხვა სიყვარული შეაღებს კარებს.
უშვენიერეს მაისის თვეში,
როცა ჩიტების ვისმენ გალობას,
მე მათთანა ეარ და ისევ მესმის
მათი გალობის იღუმალობა.

— და ზედაც ასე წააწერა, — განაგრძობდა ლა-
დო კითხვას: — „პოეზიის მსხვერპლსა და ზვა-
რაქს — ლადო ასათიანს, ძღვნად ესე თარგმანი,
1939 წელი, 1 მარტი. თბილისი“.

— მსხვერპლსა და ზვარაქს... — დინჯად ჩაილა-
პარაქა მირზამ. — პოეზიას კი შეენის მსხვერპლად
და ზვარაქად შეეწიროს აღამიანი... ახლა მეც მო-
მისმინეთ.

ეს თქვა და ჭიბიდან მანაც ერთი პატარა ჭარალა
და ამოიღო, გაშალა და, ნელ-ნელა, თითქოს ყოველი
ასოს ჩათვლითა და დამარცვლეთს შეუძლებელი
შემდეგი:

ნატვრა

სარეველა ბალაზი მქნა, ხათიბებუში გარეული;
შენ მონადირედ გაქცია, მე ჭიხეი მქნა გარეული;
წმინდა წყაროს წინწელები მქნა, შენგან ეიყო დალეული.
ხელში მომცა სალამური, სიმღერაში გალეული;
მე მწყემსის გოვოდ მაქცია, ცხვარი გყვანდეს არეული;
ფანდურად ხომ ივარგებდა ჩემი ტანი მოვარეული!
— ეს ხალხურია, ხომ? — შეეკითხა გიორგი, —
ეტყობა, ამ სიტყვებს ქალი ამბობს...

— ჩემი დისაა, რუსუდანის, — მიუგო მირჩამ
და სახეზე სიამე და სიხარული გადაეფინა, ხიდის
თავში პატარა წყაროსთან მივიდა და პეშვით შესვა
ცივი წყალი.

— ასე უფრო გემრიელი ეჩვენება ადამიანს.
სხვა ჩვევებთან ერთად ეს შემოგვრჩა პირველყო-
ფილი მდგომარეობიდან. უდიდეს სიამოვნებას
ვგრძნობ პეშვით დალევის დროს. დანა-ჩანგალს
ხომ კარგად ვხმარობთ, მაგრამ ხელით ჭამისას უფ-
რო უშუალოდ ვართ საჭმელთან. დანა-ჩანგალი ძა-
ლიან გათაქიზებული და აზიზი კაცის საქმე უნდა
იყოს. „პირსა და ხელს შუა მოციქულ რაით გინ-
დებისო“, მითხრა სოფელში ერთმა ხევსურმა. ეს
ჩვენ გამოვიგონეთ, ადამიანებმა, ამდენი ნივთი, ამ-
დენი სახელი, კიდევ რამდენს გამოვიგონებთ და გა-
ვზრდით ლექსიქონებს...

— ესაა პროგრესი! — ჩაურთო ლადომ.

— უამისობა არ იქნება, — უცბად დაეთვინება
კირზა და სიტყვა თითქოს ბანზე აუგდო: — მაგრამ
შეხედე, როგორი გაზაფხული იცის თბილისში?
ცაზე ღრუბლის ნასახიც არ არის, არც ცაა საღმე,
შხოლოდ გაზაფხულია და ხის ტოტებში ჰქიდია
შზე. კაცს უხარია ეს მზე, ეს მიწა, ეს ჩანჩქერი, და-
ბურული ხეივნები... და ყველაფერი ისე კარგია და
ლამაზი ჩვენს ქვეყანაში, რომ მეც მიხარია სიცო-
ცხლე და მინდა ვიმღერო, აი ასე...

ხიდის მოაჭირს ხელი ჩაჰკიდა, ტრიბუნაზე ასუ-
ლი ორატორივით გადადგა და მგზნებარებით წარ-
მოთქვა რამდენიმე სტრიქონი. ეს იყო ფიცი „შავ-
ნაბადას“ ბოლო თავიდან:

ქართლის მიწავ, უტებილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ,
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ ღროშას ეფიცავ!
ამ მწვანე ხეს, ძვლებზე გაზრდილს,
ამ ლოდების ხავსს და ნაეურს,
ქავეასიონს ცამდე აწვდილს,
შავნაბადას გულდაეანგულს,
ამ ბუჩქებს და იმ ქერა ნისლს,
დილაობით შენ რომ იცვამ.
დაცემულთა დაქცეულ სისხლს,
დალუბულთა ხსოვნის ვფიცავ,
ქარსა ვფიცავ, ხეს რომ არხევს,
სანამ ნისლებს შემოახევევს,
სააჯაძის ხმალის ნატეხს,



შეკვეთით ნათილისმარს,
ნარიყალს წარსულ სახეს,
აწ დარჩენილ ლიბოს ვფიცავ
ვფიცავ სვანის ნათქვაზ ლილეს,
ვფიცავ ჩემი ლექსის ნინებს:
თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგეცილოს...
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოფანოდ შეგეწირო.
მოვკვდე ისე ღიმილმჩენი,
ეით კვდებოდნენ გმირნი ძველად,
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი,
დარჩეს შენდა საღლეგრძელოდ!

ერთ ხანს ხმადაბლა და თვალდახუჭული კითხულობდა და არაფერსაც არ უყურებდა. თავის გაქნევისას სახეზე დასთამაშებდა ქერა წამწამებისა და წარბების ჩრდილი და, როცა თანდათან გაფიცხდა და ხმას აუმალლა, მხოლოდ მაშინ გახსნა იმ ცისფერ-მომწვანო თვალთა უპეები, ადამიანის სულში ჩამწედომად რომ იცოდნენ გამოხედვა...


იყო რაღაც ტკბილი და თბილი მის კითხვაში, თითქოს კი არ კითხულობდა, არამედ გულჩათხრობით მოგვითხრობდა რაღაც სასიამოვნო ამბავს, რომელიც ვითომ მაინც და მაინც მარტო მან იცოდა და ახლა ჩვენთვის უნდა გაეზიარებინა.

ლადო და გიო იდგნენ აღტაცებული და გალი-მებით შეჰყურებდნენ ხილზე გადამდგარ მირზას.

მაისის დამდეგი იყო, უმშვენიერესი დრო თბილისში. ყველაფერს სითბო და საამო სურნელება

გასჯდომოდა ძვალ-რბილში. მართლაც, „რა უარი
იყო, რა გაზაფხული!“

IV


ლექსთა თქმით რომ გული მოიოხეს და დამტკიცებული
ხევის ღელეს შევყევით და საცალფეხო ხიდით გაღმა
ფათენში გავედით. სულ ფერად-ფერადი ყვავი-
ლებით იყო მოფენილი და გადაპენტილ-მიბირ-
დლილებული ლელვთახევის გაღმა-გამოლმა ნაპირი
და მთელი მიდამო ელავდა სიყმაწვილესავით. წინა
დღეების ნაწვიმარი იყო და პატარა ღელე ოდნავ
აქოჩრილი მოჩხრიალებდა სიპ ქვებზე, აქა-იქ, მო-
სახვევებში, გუბდებოდა და მომცრო მორევებს
აჩენდა. უამრავი ფუტკარი, პეპელა და ნაირ-ნაირი
მწერი მოდებოდა ყვავილებს, დასკდომაზე დაბე-
როდათ კვირტები ზემოდან გადმომდგარ ცაცხვებს,
საცაა მალე გაშლიდნენ, მართლაც გაახელდნენ
ისინიც თვალებს, და ახლა იქ შეესეოდა ეს ური-
ცვი ფუტკარი და მწერი.

ლადოს გული აუფანცქალდა, კანკალმა აიტანა
და იძახოდა:

— სად იყო ამდენი ყვავილები? რატომ აქამდე
არ წამოვედითო?

უცნობ ყვავილებსა და ზალახებს თვითონ უგო-
ნებდა და არქმევდა სახელებს: ზოგს ცისთვალა შე-
არქვა, ზოგს — კაბაჭრელა, სავარცხელა და თავ-
ქოჩორა. ნაცნობებს კი, თითქოს მოფერებით და
მისალმებით ეძახდა: — ეს ძროხის ენაა, ის ჯორის
ძუა, ჩვენში სხვა სახელიც ჰქვია, მაგრამ არც ით-

ქმება და არც დაიწერება; ეს ინჩხლა ბალახია, მის
ფესვებს მუწუკის გამოსარწყავად ხმარობენ, ის
კი, კარგად აღარ მახსოვეს, მგონი, დედოფლია, სა-
ხეზე ისვამენ ქალები—ფერიმჭამლებს, სტრიქის ად-
რძია-რძია, ქურჩუმელა ანუ ხარისძირა, ამის ფე-
სვიც წამალია; აგერ ღვინაღვინა — ამით ბავშვები
წარბებს ვიღებავდით; ნახე, ოშოშუა, სად ამოსუ-
ლა! ამ ენდროს ძირი წითელი საღებავია, სააღდ-
გომო კვერცხებს ლებავდნენ წინათ. შემდეგ ქალ-
შავა, ჭინჭრის დედუა, ჭინძილოჭა, — ამათ ჰკრე-
ფენ და მხალს ხარშავენ. აი იქ თავყვითელა და ტუხ-
ტი... ეს კი ჩემი საყვარელი ბაბუაწვერაა, — წამო-
იძახა მან, სული შეუბერა ყვავილის ბუმბლებს,
მიმოფანტა, და ისინიც მომცრო პარაშუტებიერით
დაეკიდნენ ჰაერში...

მირზაც გვერდში მიყვებოდა ლადოს, გულდინ-
გად ურევდა ხელს ყვავილებში და ამბობდა:

— ნამდვილი ცისთვალი აი ესაა. ამას უცუნა
ჰქვია, მის გვერდით ფურისულაა, ის ცულისპირაა,
ეს ლილილო და უძრანელი. ამ უკანასკნელს ყოველ-
თვის ნამდვილ ულრან ტყეში ნახავთ, აქ ხომ ხე-
ლოვნურადაა გაშენებული ტყე, საიდან გაჩნდა? —
კითხულობდა ის. — ნახე, ზიზილა და არჯაკელა,
სათიელა და მატყაცუნა — როგორ ერთად უდგანან
ერთმანეთს. ამ ნატვრისთვალისა და გარეული ზა-
ფრანის ჭიშს კარგი ადგილი მოუნახავთ. ამათი მნა-
ხელი ადამიანი თავკერძა და გულდახურული ვე-
ღარ დარჩება. როგორ დაუხრავს რაღაცას ამ ყოჩი-

ვარდას ბოლქვები, ამას კიდევ ხომ ქორჩიოტასიც
ეძახიან...

— ჩვენში კვარაკუნჩხაც ჰქვია, — უფხრუვფული
რგი ნაფეტვარიძემ. — საპნის მაგივრად წემზრობენის კუ
რეცხვის დროს.

— აგერ ყაყაჩოც! — აღტაცებით შესძახა ლა-
დომ. გაღმა კლდეზე ერთი დიდი, ძალიან დიდი ყა-
ყაჩო იყო ამაყად გადმომდგარი, ლამპარივით ანთე-
ბული და აღაელავებული.

— ის ყველაფერს ჯობია, — ამბობდა ლადო—
მეზარება ფანჯარაზე შემოდგმული, ქოთნებში
ჩამწყვდეული ყვავილი. პატიმარს ჰგავს. ეს ყაყაჩო
კი... აბა, რა ლალია და თავისუფალი, თითქოს ცეც-
ხლი ეკიდება და ნაკვერჩხლებს ჰყრის.

V

ხეების ქვეშ ახლადგათიბული ნამიანი ალერდი
იყო დაზვინული. ლადომ მკლავები მოხვია, რამდე-
ნიმე ხორომი ბალახი მოზიდა, ლელის პირას დაპ-
ყარა და ზედ გაიშვართა.

„ფიროსმანი ვარ, ფიროსმანი“, — გახარებული
იძახოდა იგი და ბავშვივით გორავდა ბალახში.

გიომ ფეხსაცმელები გაიხადა, შარვალი დაიკო-
ტავა და ლელეში ჩადგა.

ლელის პირას ერთი ბუხუა კუნძი ეგდო, ალბათ,
ადიდებული წყლის მოტანილი. მირზა იმ კუნძზე
ჩიმოჭდა, პეშვით წერილ-წვრილ კენჭებსა და ხვინ-
ჭებს იღებდა, პაერში ერთად ზე აისროდა და
წყალში ჰყრიდა. ზოგი დიდი და მძიმე, ზოგიც პა-

ტარა და მჩატე, ის კენჭები სხვადასხვა დორს რა-
ლაცნაირი ყლუპ-ყლუპით ცვივოდნენ წყალში და
განსაკუთრებულ ქლერად ხმას გამოსცემდნენ. შირ-
ზა კიდევ და კიდევ იმეორებდა ამშს, უკურს უგდებ-
და კენჭების „სიმფონიას“, იცინოდა, უხაროდა
და ამბობდა:

— იორში ვიცოდი ასე. იქ უფრო ღრმა იყო
წყალი და მუსიკასავით ჟღერდნენ კენჭები. იქ კი
ფონთხელია და არაკეთილხმოვანი გამოდის...

ლადომ გული იჯერა ალერდზე წოლით, წამო-
გდა და ლილინებდა:

შინაბერა ქალი გახტდი,
ჩემო დედილო,
ნეტავ ჩოდის გამათხოვებ,
ჩემო დედილოო?..

— ეს ლეჩხუმური ფოლელორია, — გვითხრა
და თან ფეხსაცმელების გახდას შეუდგა.

უცბად, იმ ბალახებიდან ელვასავით გამოსრი-
ალდა ერთი მოზრდილი ქისონი, გულწითელა გვე-
ლი, ლადოს ფეხებშუა გამოუძერა და კუდის
სხმარტალით ლელისკენ დაეშვა. ლადო გაშეშდა და
ცალ ხელში ფეხსაცმელი შეაცივდა.

დაუმიზნებლად, მაგრამ მარჯვედ ნასროლი ქვა
შუაწელში მოხვდა გველს. იგი ერთ ადგილზე და-
კვინწიალდა, აქეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდა, მაინც
წელი ვეღარ წამოილო. მიწას უხათქუნებდა თავს
და ორბოძალა ენას ასანსალებდა...

ერთ-ერთმა ჩვენგანმა ცოცხალ-მკვდარ გველს

კულტი სტაცია ხელი და მათრახივით მიმოიქმნია
პაერში, ლადო წამოხტა, ერთი შეიკივლა, პირდაპირ
ლელეში გადაეშვა და წყალ-წყალ ზემოაფენ ჩმო—
ჰკურცხლა. გზადაგზა ის ცალი ფეხსაცმელი ეჭაღავა
ბარდებში ისროლა, მერე პიჯაკიც მოიგლიჭა, ზედ
მიაყოლა, თან სირბილს უმატა.

მირზა. არ განძრეულა. გიორგი ლადოს გამოუდ-
გა და ფეხსაცმელი და პიჯაკი აკრიბა.


ლადო მოშორებით ნაპირზე ამოვიდა. ტილოს
შარვლის სველი ჩაგრძელებული ტოტები ტალახ-
ში ამოქვარქნოდა, ცალი ფეხსაცმელი წყლით გა-
ვსებოდა და ფახაფუხი გაუდიოდა.

როცა გიორგი პიჯაკი და ფეხსაცმელი მიაწოდა,
გაოცებით იკითხა:

— ეს ვისია? როდის გავიხადე? არ მახსოვს და
არც გამიგიაო, — დააყოლა მან, — რამდენი გველი
მომიკლავს სოფელში, არ შემშინებია, ახლა არ ვი-
ცი, რა მომიგიდაო.

— ალბათ, ჩემს „შავნაბადაში“ ხვითოსმსრო-
ლელ გველს რომ ვახსენებ, ის წვრილწელიანი გვე-
ლი გეგონა და იმიტომ შეგეშინდა, — გაეხუმრა
მირზა.

— ისეთი — ცაში ხვითოსმსროლელი გველი
რომ ყოფილიყო, შევებრძოლებოდი, მაგრამ ეს რა-
ღაც სხვანაირი იყო და ისე მოულოდნელად გამო-
სრიალდა, გულზე მდუღარე გადამესხაო, — ეუბ-
ნებოდა ლადო.



იქ აღარ დავდექით. ლელის გაღმა, ფერფუმები, ავბობლდით, და გზა განვაგრძეთ. ლაფოსი და დუჭურ მაინც დამაინც რაღაც ფლახვი ფეხსაცმელი ეცვა, ახლა რომ წყალში დაუსველდა, სიარულს უშლიდა და, აღმართზე ასვლისას, წამდაუწუმ უსხლტებოდა ფეხი.

— დაგვნავსა იმ წყეულმა გველმა და გუნებაც გაგიიფუჭაო, — სიცილით ამბობდა ის და ეპოტი-ნებოდა ბუჩქებსა და გვიმრის ძირებს.

გავიარეთ „აღმოსავლეთ საქართველოს ტუ“, შემდეგ — „ფიჭვნარი“ და იმ შეილდისარა ხიდთან შევკარით წრე. მერე გზაწვრილებითა და მიხეულ-მოხეული ბილიკებით დავეშვით თავშვი — ეკალ-ბარდებში. მალე ხიდქვეშ აღმოვჩნდით. მაჭარივით მლვრიე და დუქმორეული ჩანჩქერი ზათქითა და ლრიალით ახლა თითქოს თავზე გადმოვგესხა, ხი-დი კი ირმის ნახტომივით იყო გადაფრენილი ერთი ქარაფიდან მეორეზე და რკალად მოევლო კამარა ჩვენს ზემოთ — სივრცეში.

ცოტა შესვენების შემდეგ გვერდი ავუარეთ მა-შინ გაუქმებული და ამოკეტილი გვირაბის შესა-სვლელს, მუსულმანთა გორხანა გადავჭერით და თაბორიდან კრწანისისაკენ „ავილეთ გეზი“.

მთელი კრწანისი ყაყაჩოებით იყო გადაპილბი-ლებული და ელვარე ხანძარი მოდებოდა არემარქს,

ლადომ გადახედა ყაყაჩოების მობიბინე ზღვებს / გვითხრა:

— შეხედეთ ამ ბებერ კრწანისს, როგორ, გვითხრა
თქებულა და ბრდლვიალებს, ცეცხლი წარდგებრეფერ
იწეის. ზეცა გადმოპირქვავებულა და წვრილ-წვრი-
ლი ეარსკვლავები დაუყრია ამ ველზე. დღეს სულ
ყაყაჩოები გვხვდება. ყაყაჩო სიხარულია და ბედ-
ნიერების მომასწავებელი. — მერე ხელი მომხვია
და მომმართა: — გახსოვს, ამბაკო ჭელიძის „სპარ-
სულ ლირიკას“ რომ ვკითხულობდით ქუთაისში?
იმ წიგნში ერთი პოეტი ამბობს — ახლა მისი გვარი
აღარ მაგონდება:

იმ ადგილს წითლად ჰყვავის ყაყაჩო,
მებრძოლთა სისხლი რომ დაიღვარა...

მართლაც რამდენი სისხლი დალვრილა აქ. უნდა
დაიჩიქო და ეამბორო აქ დალუპულ ვაჟკაცთა ნა-
კვალევს, უმღერო მათ დაკარგულ საფლავებს!

მირზა ყაყაჩოებით აბიბინებულ ერთ ფერდობ-
ზე შეიჭრა, ხელს უსობდა ნაკვერჩხალივით აპრი-
ალებულ ყაყაჩოებს, ეალერსებოდა და თითქოს
მუდარით გვეუბნებოდა:

— თუ მა იყოთ, ხელი არ ეახლოთ, არ მოვწყვი-
ტოთ, არ გავთელოთ, ისე დავბრუნდეთ უკან...

კელავ თაბორზე ამოვედით. ჩვენს უვალობაზინ გადაიშალა ულამაზესი სანახუაში და უშენებდა მთელი თბილისი. პირველი გვერდი გვისაც პოეტის სახელი ჰქვია, აქ უნდა ამოვიდეს ხშირ-ხშირად, — თქვა ლადომ, — ამ მაღლობიდან გადახედოს მეტებს, ნარიყალას, ძველსა და ახალ თბილისს, თვალი შეავლოს მთაწმინდას, პტკვრის ხეობას და იმაღლდება სიცოცხლესავით ჩვენო თბილისო, — შესძახა მან — მე შენს ხმაურში სიცოცხლეს ვხედავ, და სიჩუმეშიც გუგუნი მესმის!

— ყოველ დროს, ყოველ დროს, — უთხრა მირზამ, — ყოველთვის უნდა იარო და ერთი ადგილი არ უნდა ტკეპნო, მოიარო მთელი თბილისი — ზამთარ-ზაფხულ. აბა, როგორი იქნება ეს დიდი ბალი ზამთარში — თოვლით დაბურული, ან შემოდგმაზე ძირსდაცვენილი ფერად-ფერადი ფოთლებით აშრიალებული..

სანამ ცოცხლები იყვნენ, ასე დადიოდნენ ყოველთვის და ყოველ დროს თბილისის ქუჩებში და გარს უვლიდნენ „პოეზიის უწმიდესი აღვილის დედას“. მათი ფიქრი და ოცნება ის იყო, რაც კარგად გამოთქვა ოციოდე წლის მეტე ირაკლი აბაშიძემ:

ეერ შეველიე თბილისის კარებს,
თბილ შემოდგომის ქარვისჭერ დარებს,

კრწანისში ძევლთა ტაბილ გახსენებას,
ვერაზე ახალ ბაღთა შენებას, —
და, როცა ზეცას მზე პეტავდა ისრებს,
მივდევდი ქარებს ისევ და ისევ!.. ერთობლიური

VIII

შემომარისებული

იმავე წლის შემოდგომაზე პედაგოგ ქალთა
გადასამზადებელი კურსების მსმენელებს ექსკურ-
სიაზე გავყევით გორში ლადო და მე. იმ კურსებს
ხელმძღვანელობდა ჩვენი ახლო მეგობარი, კომ-
კავშირის ძევლი მუშაკი, რუსთაველის თეატრის
ყოფილი მსახიობი (შემდეგ სამამულო ომში და-
ლუპული) გუგული დავითაშვილი, — მან წაგვი-
ყვანა. დავათვალიერეთ მთელი ქალაქი, ავედით
გორის ციხეზე.

— აქ დიდი სწით უნდა წამოვიდე და ლექსები
დავწერო ძევლ და ახალ გორზეო, — ამბობდა ლადო.

სტუდენტებითა და ექსკურსანტებით დახუნ-
ძლული გორის მატარებელი ტაატით მიჰყვებოდა
მთელი ქართლის გზას და ხშირ-ხშირად ჩერდებოდა
სადგურებსა და ბაქნებზე. რეინიგზის ლიანდაგის
გაყოლებით, მარჯვნივ და მარცხნივ სისხლის მდი-
ნარესავით მიედინებოდა ყაყაჩოებისა და ნაირ-
ფეროვანი უვავილების ნიაღვარი და ჩვენც ისე
შევდიოდით ყვავილების ამ მეწამულ ზღვაში, თი-
თქოს ეს იყო სამოთხისაკენ მიმავალი ვარდყვავი-
ლებით დაფენილი გზა. უფლისციხესთან რომ
შევჩერდით, ამოდენა ქალ-ვაჟები, სულ პანტაპუნ-
ტით გადაცვიდნენ ვაგონებიდან და მოედვენ

ყაყაჩოს. ლადოც ჩახტა, დაპკრიფა და გახარებილი
ამოიჭრა ჩვენთან, გულში ჩახურებული ყაყაჩო
ებითა და ლორთქო ბალანით. გასაოცარი უფლუ ჭრა
დენი ყაყაჩო ოქტომბერში!

შესული იყო

უკან დაბრუნებისას ლადო ვაგონის ერთ მყუ-
დრო კუნძულში მოიკუნტა, არავის ყურადღებას არ
აქცევდა და თავის ლურჯ უბის წიგნაკში წერდა
ლექსს ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ჩქარობდა, რად-
გან ის ლექსი მეორე დღეს გაზეთ „მუშაში“ იბე-
ჭდებოდა და ნომრისთვის უნდა მოესწრო. ყაყა-
ჩოები აღარ განსენებია.

ხოლო ერთი წლის შემდეგ, როცა სამი მშვე-
ნიერი ლექსი დაბეჭდა ყაყაჩოებზე, სწორედ ის
ყაყაჩოები მოიხსენია და აქ იყო ყველაფერი, რაც
იმ დღეს ჩვენთან ერთად ბოტანიკურ ბაღსა და
კრწანისში ნახა და მერე გორის მატარებლიდან
განიცადა: კლდეზე პირიმზესავით მარტოდ-მარტოდ
გადმომდგარი, ალუჩიტყემლის შემოსვლის, გაზა-
ფხულის, ბედნიერებისა და სიხარულის მაუწყე-
ბელ-მახარობელი და სიკეთის დამბედებელი ყაყა-
ჩო; ბრძოლებში გაუმაძლარი სამასი არაგველის
სისხლით მოჩრიყული კრწანისის ველზე ლამაზი
ქალის შუქით თვალგაბრწყინებული ყაყაჩო...

ჰეი, ძმობილო, შეხედვ —
რამდენი ყაყაჩო გაშლილა!..

სასიხარულო ზარის ხმასავით რეკენ ეს სიტყვე-
ბი მყითხველის გულში!

ლ. ჩახუნაშვილი და წერილი აღ. საპაიასთან

I

იმ წელს (1939) ძალიან ადრე დაიწყო ზაფხულის ცხელი დღეები, საშინელი სიცხეების გამო თბილისი ჩვეულებრივ დაცარიელდა. ქუჩაში ნაცნობებს ვეღარ ნახავდით. ვინც ქალაქში დარჩა, ისინიც სახლებში იყვნენ შებუდებული, მთაწმინდა და ბაღები ვეღარავის შველოდა. მტკვარი მთლად დაპატარავდა.

მწერალთა უმრავლესობა გაიხიზნა: ქვიშხეთს, საგურამოს, გაგრასა და იალტას შეაფარეს თავი და იქ „ქმნიან დიდებულ თხზულებებსო“, იწერებოდა სოფელში მყოფი ალიოშა საჭაია.

ვემალებოდით სიცხეს ხან — მწერალთა სასახლის ბაღში, ხან — ბიბლიოთეკაში. ბაღში იყო ცივი წყალი, სასახლეში — გრილი ოთახები, საუცხოო წიგნები, რედაქციები, სასაუზმე-ბუფეტი და კიდევ დარჩნენ კარგი ანეგდოტების მთქმელნი და „ფუნავორისტები“.

ერთ დღეს, როცა ოდნავ ქროდა ნიავი და ხე-
ცხეს ცოტა ძვალი შორიყდა, — „ჩვენი თაობის“
რედაქციაში იყვნენ ჩეზო მარგიანი, ალექს შენგა-
ლია და ლადო ასათიანი. შემოვიდა დინჯი და მა-
ლალი ლეო კიკნაძე. ასეთი დინჯი და მალალი შა-
ხსოვდა ის ყოველთვის... ლაპარაკის დროს შუბლი
უწიოთლდებოდა და სიტყვებს ისე გამოთქვამდა,
თითქოს რაიმე ახლადწარმოქმნილ ფორმულას
აკანონებდა. გარეგნულად სულ აულელვებელი იყო,
მაგრამ — „ფეხბურთის გიუი“, და როცა საუბარი
შეგიბრებებსა და ბურთის თამაშებ ჩამოვარდებო-
და, ცეცხლი წაეკიდებოდა იმ მშვიდ სახეზე.

ახლაც ფეხბურთზე დაიწყო ლაპარაკი. იმ კვი-
რაში მოსკოვის „ტორპედოსა“ და ჩვენი „დინამოს“
შეხვედრა ტარდებოდა. ჩვენ გავიმარჯვებთო, დაუი-
ნებით ამბობდა ლეო და დაწვრილებით ლაპარა-
კობდა და გვიხსნიდა ბორის პაიჭაძის დრიბლინგის
საიდუმლოებას.

ლადომ თავის ფეხებს დაპირედა და ჩაილაპარაკა:

— განა მე არ გამოვდგები ფეხბურთელად?
მერე ნახეთ, როგორი ვიქნები ჩემი 46-ნომრიანი
ბუცებით. რა „საკრუშიტელნი უდარები“ მექნება!

შემდეგ განის კარიდან „მნათობში“ შეიხედეს.
„მნათობში“ ისხდნენ სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელია-
შვილი, კარლო კალაძე, ერემია ქარელიშვილი, ლა-
დო ზამზანიძე და სხვები. კამათობდნენ და იგონებ-
დნენ ერეკლე მეორის დროს, ამილახვრებისა და
ქსნის ერისთავთა ამბებს, ბესიქსა და ანა ბატონი-

შეიღს, ანტონ კათალიკოსისა და სარდალ დავით თბილ
ბელიანს. აკაკი ბელიაშვილს უკვე დაგროვილი
ჰქონდა მასალა და ფიქრობდა ბესიეს თავგადასაჭა-
ლის დაწერას. ეს მათი საუბარიც იმ დაწერების გადა-
მანის ირგვლივ ტრიალებდა.

— დიდი მოწყვენილობაა, — წარმოთქვა რეზო
მარგიანმა. — ამ სიცხეში ფეხბურთი და ანტონ
კათალიკოსი რას გვიშველის? რაღაც მოვიგონოთ...
ამასობაში უფრო აგრილდება.

— ცოტა დაიცადეთ და ყველაფერი იქნება, —
მიუგო ლადომ, პატარა უბის წიგნაკიდან რამდენიმე
ფურცელი ამოხია, მაგიდას მიუჯდა და, ლეო კიკ-
ნაძის წინადადებით, რეზომ და მან სახელდახე-
ლოდ დასწერეს შემდეგი ლექსი:

მდ. მ ტ კ ვ ა რ ი

მიარღვევს მტკვარი ნისლისფერ ბურანს,
ისმის ტალღების ზათქი და ზარი,
ეხმაურება თავისებურად
მტკვარს თვით რითნი და ალაზანი,

აი, სიცოცხლე, ბროლთაფიქალი,
ფოთლის ეშნით და ფოთლის სურნელით,
ჩემი ცხოვერება მხოლოდ იქ არის
და სიყვარული განუკურნელი.

თბილისის ფაზე ელვარებს მთვარე,
მთვარე იმერულ წალდისმაგვარი,
მტკვარი შეხედავს პოეტის თვალებს
და თვალის გვარად იელვებს მტკვარი...

აქეთ ღამეში თბილისის თაღებს
ჩაურბენს ხმლისებრ ელვარე მტკვარი,
ცისა და მიწის კარიბჭეს აღეს,
დადგება წუთი სხვადასხვაგვარი... 

ლექსის თავში წააწერეს „ლ. ჩახუნაშვილი“, და
ლეო კიკნაძეს გადასცეს.

— აი, ეს ვითომ შენი ლექსია, — უთხრა მას
ლადომ, — შენ ახლა ლეო კიკნაძე კი აღარა ხარ,
არამედ დამწყები პოეტი ლევან ჩახუნაშვილი.
შეუტანე კარლო კალაძეს. ის ვერ გიცნობს. მართ-
ლაც შენი ლექსი ეგონება და სთხოვე, იქნებ „მნა-
თობში“ დაგიბეჭდოს...

ლეომ აულელვებლად წარუდგინა კარლოს ის
ლექსი და თავიც „დამწყებ პოეტ ლევან ჩახუნა-
შვილად“ გააცნო.

კარლომ ახედ-დახედა „დამწყებ პოეტს“, ლექსი
გადაავლო თვალი, ავტორს უკანვე დაუბრუნა და
უთხრა: ლექსი კარგია, არა უშავს: ცოტ-ცოტ:
სხვების გავლენა კი გაქვს, მაგრამ ეს ახალგაზრდო-
ბის ბრალი და სენია. დამწყებმა ჯერ „ჩენის თაობა-
ში“ უნდა დაბეჭდოს და მერე ჩვენთან მოვიდესო.

ლეო ისე დინგად. იდგა და უსმენდა,
შუბლიც არ გაწითლებია. აქეთ ოთახში კი
სიცილს ძლიეს იყავებდნენ ლექსის კოლექტიურად
შემთხვეველი, შემდეგ ბაღში გავიდნენ, ლეოც თან
გაიყვანეს და ხარხარი ასტეხეს.

მეორე დღეს ლადომ სოფელში მყოფ ალიოშა

საჯაიას ლექსიად დაწერილი ბარათი გაუგზავნა /
სხვა ამბებს გარდა, „მნათობში“ ლეო კიკნაძეს/
„ჩახუნაშეილობაც“ მისწერა.

ეროვნული

პირულობის

II

მერე ეს წერილი ალიოშამ მე გადმომცა და
ახლა აქვე ვათავსებ ოდნავი შემოქლებით:

ალიოშა საჯაიას

„ახლა კარგია ლაქადა,
მთა-ევლის აბიბინება“.

ა. ს.

შენ წახუედი, რეზოც მიდის, მე საწყალი ერჩები მარტო,
ალექსანდრე საჯაია, ღმერთმა ხელი მოვიმართოს.
გამჩენმა ნე მოვიშალოს გაქანება ლაქადური,
და ლექსებში ისე სჩერდე, ეით კისეასა ნაკადული.
ალექსანდრე საჯაია, ერთ საყვედურს გეტყვი მართალს:
სხვას წერილს სწერ, მე კი არა, აგი როგორ დაგვმართა?
როგორ მოხდა, რომ ერთხელაც არ გახსენი ჩემთვის ბაგე?
ან იქედან როგორ წადი, როგორ ჩუმად აიბარგე?
ეს, რაც მოხდა, აღარ ვჩივი, რა ექნა, რომ არ გაგახსენდი.
ალბათ ჩემთვის არ გეცალა, პაწაწინა ლექსებს წერდი,
ლექსებს წერდი, ლექსებს თხზავდი, ცეცხლი გწვავდა იქაური,
სადაც ხშირად გიმღერია პიმნი უტუმიქავერი!
ეს... რაც მოხდა, გეერდზე იყოს, ამბავ მეითხე თბილისური.
გუშინ შენი სადლეგრძელო ბევრჯერ შევსვით თბილი სურით.
გივი¹ ისევ დაგვიბრუნდა ცილინდრით და ინგლისურით,
ისე დაეალ რუსთაველზე, გეგონები დიდი სული...
პოეზია? პოეზია იფურჩქნება, პყვავის, ხარობს:

¹ გივი გაჩეჩილაძე. იმ დღეებში მოსკოვიდან ჩამო-
ვიდა. — ნ. ა.

„ერთიანობის“ გუბნება: ჩემზე დადი როგორ ხარო...
 მე, რეზომ და ვოლფემარმა ვადავწყვიტეთ ერთი რადეც.
 და შენც უნდა მოგახსენოთ, ვით მეგობარს, ქმას, და ადამი
 რომ მწერლობა შეირყვნება, შეიირყვნება უავსე კულტურა-გულა
 შეიირყვნება სილამაზე, ნამდვილი და არტისტები;
 დაეცემა პოეზია — ვაჟკალური, უნაზესი,
 თუ უველა არ ვეზიარეთ საქართველოს დიად შეზი
 საქართველოს წარსულისკენ უნდა გაეხსნათ ერთი კარი,
 აღვადგინოთ პოეზია გმირული და უშიშარი...
 ორბელიანს, ვაეჭიავძეს, ბარათაშვილს ჩეენ ვერ დაეთმობთ,
 დიდ რუსთაველს, დიდ აკაის — პოეზის უკედავ მნათობთ,
 ჩეენ გაეყვებით. ჩეენს გაყოლის ღმერთმა ხელი გაუმართოს,
 გაუმარჯოს, საქართველოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..
 ჩეენ გაეყვებით წმიდა გზა-კედლს და იმ კუალზე შეექმნით
ახლოს!

ქართველობა გაიხარებს, როცა ამას დაინახავს...
 სხვა რა გითხრა, ეს მაწუხებს, ეს აწუხებს ნიკას, თურშე,
 ამისათვის გეამათრახებს, ამისათვის გვამითურებს,
 რომ არაფერს არ ვაეკეთებთ შშობლიური მამულისთვის,
 რომ ჩეენი ხმა, როგორც მათი, ისე მაგრაც დღეს არ ისმის
 (ნეტავ, ლექსი არ მეწერა, მიმებაძა სლესარისთვის!).
 ახლა, ჩემთ ალიოშა, უნდა მოვრჩე წუხილს ამას,
 მე, რეზომ და ნიკალაი არ ვსდევთ მარტო სმას და ვამას:
 ვუშინ ფეხბურთს დავესწარით, დაგვეხმარა ღმერთი—სწორი:
 ჩეენმა გუნდმა გაიმარჯვა, ანგარიშით ხუთით ორი.!
 გუშინ კიდევ სასახლეში, საქმე ვქენით სახარხარო.
 მარგიანი მოვიგონა, საჯაიც, სადა ხარო?
 ლ. კიქნაძეს მე და რეზომ დავუწერეთ ლექსი ერთი,
 სადაც უველას პოეზია იყო თითქმის განაერთი,
 ლეო ადგა, კარლ კალაძეს მიუტანა ლექსი ისა,
 ჩეენ გარედან ვუყურებდით, უამი იყო სიცილისა.

1 თამაშობდა „ტორპედო“ (შენიშვნა ლ. ასათიანისა).

კარლომ მისცა დარიგება პოეტს მაღალს, ცხრაპირიანს:
— არა უშევს, ახლა შენოვის პოეზიის პპრილია...
ისე, სხვების გაელენები ქე გაქვს ცოტა, ახალგაზრდავ,
გაგრამ, როცა გაიზრდები, ალბათ, დიდხანს აღარ გასტარი
წადი ახლა და ეს ლექსი მიუტანე „ჩევენს თაობას“
ჯერ იქინე დეიბეჭდე და მერე კი ჩევენთან მოხვალ
ლეომ დინჯად მოისმინა დარიგება ჰქვიანური
და მერე ჩევენ მოგვაშურა მისებური სიარულით...
უცემ ადგა, ამქუხარდა აქ ხარხარი მხიარული,
როგორც ერთი პროლეტმგოსნის ლექსი ინდუსტრიალური
ვიცინოდით, იცინოდნენ და სიცილი ყველას სურდა...
სიმონმა თქვა: „ამ დალუპულს ჩემი ლექსი გაუქმურდავს!“
სხვა რა გითხრა, მალე მოდი, ნუ დამტოვებ, ბიჭო, მარტო,
ალექსანდრე საჯაიანე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!..
ვახტანგს მეითხავ, ხშირად ერთად დავდიოდით, იყო კარგად.
ახლა, ალბათ, სოფელშია, არ ვიცი, საღ დაიკარგა!..

შენი ლალო ასათიანი.

1939 წ. 4 აგვისტო.

თბილისი

ალიოშამ იმ თვეშივე მოსწერა ლადოს საპასუხო
წერილი. ძალიან მოსწონებოდა ლექსად შეთხზული
ბარათი. „ბევრი ვიცინე თქვენს ოინებზე და მთელი
დღე სულ გაღიმებული დავდიოდიო“, იწერებოდა
იგი.



რომორც პახური მრავალშამიერ!

ახალგაზრდები ვიქწებით მეღმ,
ჩეენ არასოდეს არ მოვხუცდებით.
ი. საჭაბა

I

— რომელი პოეტის ლექსიც არ უნდა აიღო, ყველა ერთნაირი როდია. მაგრამ ის, რაც ბევრს დაუწერია, შეუთხზავს და მას ახალი სიტყვა ჰგანია, მანამდე ვინმეს უკვე უთქვამს ასეთი თუ არა, ამის მსგავსი მაინც. ამ შემთხვევაში დიდი და პატარა ნიჭი ერთია. როცა ჩემთვის უცნობი და უცხო პოეტის წიგნს გადავშლი, ვეძებ რაიმე ახალს, ჯერ ართქმულს, მაგრამ აქამდის ვერ ვიპოვე ისეთი რამ, რაც სხვასთან ასე თუ ისე არ წამეკითხა. აი ეს კი აუცილებლად მინდა იყოს ქართულად. არც ერთ ჩემგან წაკითხულ ლექსს არა ჰგავს...

ასე ელაპარაკებოდა ლადო ასათიანი ალიოშა საჭაბას „ჩეენი თაობის“ რედაქციაში და გადაეშალა უურნალ „ინტერნაციონალნაია ლიტერატურის“ ნომერი, სადაც დაბეჭდილი იყო ბაირონის

თანამედროვე პოეტის რობერტ სოუთის (1774-
1843) ლექსი „ლოდორის ჩანჩქერი“.

— ასეთი რამ რატომ არ უნდა გაქონდოს
ქართულად? შენ ხომ კარგად იცი ინგლისური წერილი
გადმოთარგმნე, რა იქნება! ჩემთვის თარგმნე, —
თითქმის ხვეწნით ეუბნებოდა ლადო.

ალიოშამ წაიკითხა ლექსი და უთხრა:

— მართლაც კარგია და ორიგინალურადაა და-
წერილი. რადგან ასე მოგწონს, თვითონვე თარგმნე
აი ამ რუსული ტექსტიდან. მარტო ინგლისურის
ცოდნაზე ხომ არაა აქ საჭმე, — მერე ეურნალიდან
ის ფურცელი ამოხია, მოკეცა და ფანქრით წააწერა:

მოდი, აბა, თარგმნე, ლადო,
ეით ერთვიან წყლები ლადორს,
თუ გინდა, რომ სახინკლეში
ჰას-ქაბაბი გიშილადონ!

II

იმ ლექსს ლადო დიდხანს აწვალებდა და თვი-
თონაც წუხდა: — ვერაფერი მოვუხერხე, შესა-
ტყვისების ძებნამ გამიჭირვა საჭმე, ამდენი „მქუ-
ხარე“ და „ჩხრიალი“ სად გამოვნახოთ.

დიდი ჯახირის შემდეგ სოუთის ლექსმა ქართუ-
ლად ასეთი სახე მიიღო:

ლოდორის ჩანჩქერი

ეით ერთვიან წყლები ლოდორს?
ჩხრიალით,
გრიალით,



మిక్కేషార్హేడ,
 మల్లెల్లోసార్హేడ,
 తెలుగునిట,
 లుదునిట,
 జీశబిలంట,
 ఆశలంటం,
 త్వేరొంగాలిట,
 త్రంబాలిట,
 క్షామానిట,
 డ్రోషానిట,
 ప్రేమార్థాడ, లోంబాలిట,
 ప్రొప్పొండ, రొంలింట,
 రింబింట దా మ్యూఖార్హేడ,
 బెంగురొంట, మ్యూజార్హేడ
 లభుంలిట, కొట్టొఫింట, రుషార్థుంట,
 నెట్చున్ఱొంట దా క్రుణ్ణెర్చుంట, డ్రుష్టుంట,
 బుర్దుంగొంగొ దా కొంక్రెంటింట, క్షామింట,
 ఎల్పోర్సింట, రింబింట దా గ్రాంగానింట,
 అంత్రున్ఱొంట దా కొస్కాసింట, డ్రుఫున్ఱొంట,
 బెంత్రుపుర్చింట, కొమ్పామింట, డ్రుష్టుంగునిట,
 మ్యూగుర్చుల్లాడ దా ప్రేరొంగాలిట, నెట్చుమా దా క్షేర్హెంట,
 గ్రేరుంట్రైలింట, క్రాంల్యుబింట, శ్రీమాగాడ దా డ్రుహ్రేబింట,
 త్రంబార్మింట, గ్రుషుంట, శ్రాంక్షింట దా డ్రుఅండ్రుంగాలింట,
 నెట్చుక్కుంట, తామాశింట, మింక్రుంగ్యొంట దా త్వేరొంక్రొంట,
 గ్రంతుంట, నెప్పింలింట, కొమ్పాశింట, క్రుధార్థునిట,
 జ్యేణింట దా శ్రాంగాలింట, లాంచానింట, చ్చుంత్రునిట,
 క్రాంగాలింట, చ్చుంగాలింట, ల్యాంగ్యులింట, శ్రాంగాలింట,
 శ్రేంద్రమింట, శ్రేష్ఠుర్మునిట, శ్రుంబిండ దా నెంబింలింట,
 శ్రుంటింట దా గ్రుంబింట, క్రుమింట దా గ్రుంబింట,
 శ్రుంట్రులింట దా క్రాంక్రాలింట, రుషుంత్రుపుంట, క్రుంల్యుబింట,
 శ్రుం చ్చింసిరుంలింట దా స్థురుంగమించార్హెబింట
 శ్రుంగిం గ్రుంబెంట, లాండాడ శ్రుంగాంబెంట,
 శ్రుం గ్రుంత్రుగొం మిక్కేషార్హే శ్యుల్యెబి
 శ్రుంగిం క్రుమింట్రె ష్ట్రుంబిండ ల్యాంగ్యులింట

— რუსულ თარგმანში ოცდაშვიდი სტრიქონი,
შენ ოცდაჩვიდმეტი გამოგსვლია. ათა ზედმეტი
სტრიქონი სად გამონახეო, — ხუმრობით უთხრ
ალიოშიმ, როცა ეს თარგმანი წაიკითხეს მარტინში
ხარ გაუმაძლარი და ხარბი ყველაფერში გადასაცილებელი.

— ღროზე შევიკავე თავი, თორემ ბარე ორმო-
ცამდე ავიყვანდიო, — სიცილით ეუბნებოდა ლა-
დო. — განა რა შეიცვლებოდა! უფრო აღიდდებო-
და ის შენი ლოდორია თუ ლადორა, — სადაა, არც
კი ვიცი. მგონი, ისეთი პატარა მდინარე იყოს, ამდე-
ნი ვაი-უშველებელი, და გრიალ-გრიალი არც კი ჩა-
ეტიოს შიგ. მაგრამ ლექსი ძალიან კარგია. ისე, ჩემ-
თვის ეთარგმნე. ნამდვილი სიმფონიაა. ისეთი ლექ-
სის ავტორს გრიგოლ აბაშიძესავით შეუძლია თქვას:
„ისე ვმაღლდები ყოველ სტრიქონში, როგორც კა-
ხური მრავალუამიერ“.

ალიოშამ ხელახლა გადაიკითხა ლექსი. ხელნა-
წერი მოკეცა და ზედ წააწერა: „თარგმანი ესე ასა-
თიანური შესანახად ჩაბარდეს ჩვენს მდივანიკას.
წამკითხეველო, ერთსა გთხოვ მხოლოდ: ვინაიდან
ირ სიამოვნებს ყურსა ჩვენსა, ნურც შენ ითნიებ
რითმებს — „მქუხარედ — მჭექარედ“ და ისე შემდეგ“.

III

ამ თარგმანის კითხვის დროს შემოვიდა მირზა
გალოვანი, საუბარში ჩაერია და თქვა:

— ეტუობა, ლექსი ძალზე თავისებურადაა და-

წერილი. თარგმანზე თავს ვიკავებ, რადგან მასთა-
სური არ ვიცი და დედანს არ ვიცნობ. ახლ მო-
ითხოვენ იდეალურ თარგმანს. არც ერთი თარგმანი
იდეალური არ იქნება, თუ წინათ არ წყო მს-რეტ-
ნიდან თარგმნილი რამდენიმეჯერ. ყველა ქართველი
მთარგმნელს წინაპრები ყავდა. ახლა, ვინც რესერ-
ში რამდენიმე წელი დაპყო და საყველპურო რე-
სული იცის, ან უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავ-
რა, ყველა მთარგმნელობს. ამან ფული იცის და
შემნახველი სალაროს წიგნაკის გასქელება. მაჩაბე-
ლი, ავალიშვილი, ყიფშიძე, მაჭავარიანები და სხვა
ჩეენი სახელოვანი მთარგმნელები ფულისთვის კი
არ თარგმნიდნენ, ირამედ ქართული ენის გამდიღ-
რებისთვის. წინათ ამბობდნენ: პროზის მთარგმნე-
ლი ავტორის მონაა, ხოლო ლექსისა — ტყვეაო.
ახლანდელი მთარგმნელები ყაჩალები არიან. ავ-
ტორს კეტს დასცხებენ თავპირში და კბილებს ჩა-
ამტვრევენ.

— ალბათ, მეც კეტი დავცხე თავში იმ სოუთის,
არა? — გაეცინა ლადოს. — მისეული კონსტრუქ-
ცია ხომ დავიცავი და, თუ კარგი არ გამოვიდა, და-
საბეჭდად ხომ არ მინდა?

— არ ვიცი, მაგრამ თარგმანებზე აი რა წარ-
მოდგენისა ვარ, — ღიმილით წარმოთქვა მირზამ
და ქალალდის ნაგლეჯზე მიაწერა:

თარგმანის გამართლება პერვოდჩიკის მიერ
ჩემთვის ლექსის თარგმანები
ისე არის მკრთალი,

ქალი.

მე ქალწულის შერთვის ფიქრი

არ მაქვს — ახალს არ ვქმნი...

მე ქვრივს ვეძებ, — ესე იგი: პირული გთარგმნი!



ეროვნული

სამეცნიერო ბიბლიოთეკი

— ეს რას ნიშნავს? როგორ უნდა გავიგოთ? —
ჩაეკითხა ალიოშა საჭაია.

— როგორც გინდოდეს, — მიუგო მირზამ. —
მთავარია, იცოდე ავტორისა და შენი მშობლიური
ენა, კარგად წაიკითხო დედანი. ამ თარგმანში ზოგი-
ერთი სიტყვა ყურს ეჩოთირება და მოინახება
ტლანქი რითმებიც.

— მაგას ჯერჯერობით დიდ ყურადღებას უერ
ვაქცევ, — ჩაილაპარაკა ლადომ. — მე მინდა აზრი
გამოვთქვა, ფორმა კი მიძნელდება. „კოლხიდაში“
მაქვს ყველაზე გაცვეთილი რითმები, რაც კი ოდეს-
შე დაწერილა: „საწერ-კალამი — წრფელი სალამი“,
მაგრამ მაინც თავის ადგილის ზის და არც ისე სა-
ჩოთიროა. ხელს არაფერს უშლის. ეს ლექსი თავის
გასართობად ვთარგმნე. თუმცა წერა თავის გასარ-
თობად როდი მინდა. მემღერება და ვიმღერიო,
რომ ამბობს ზოგიერთი, მარტო ამღერების სურვი-
ლი არ კმარა. მწერლობა და პოეტობა ადვილი მე-
გონა 16-17 წლის ბავშვს. ვატყობ, რთული საქმეა.
მარტო კარგი ხმა და სამოძახილო კრიმანჭული არ
მეყოფა. „კოლხიდაში“ ვივარჯიშე მხოლოდ. პოემა
არ გამოვიდა. აქა-იქ ლექსს არა უშავდა რა. იმ

ეტაპზე, რაც შემეძლო, არაფერი დამიკულია. მიგრა-
დაც გამაკრიტიკეს, თუმცა ის კრიტიკა ჩახაფურ-
ბული კაცის ქირქილი და გამოხდომაში ჭრია
სავან ქებაც არ მიამებოდა. ვინც გრუვარს იშა-
ლანძლვაც კარგია. თუ მელირსა და თავს მოვეს-
წარი, იქნებ მოვახერხო დაოსტატება...

IV

ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „სარწყული“, ლეჩხუ-
მური ციკლი, „სასაფლაო“, „ნაღირობის შემდეგ“
უკვე ნამდვილი ოსტატის დაწერილი ლექსებია.
„გულბაათ ჭავჭავაძეში“ ყოველი სტრიქონი გა-
მოცდილი მხატვრის ფუნჯით დახატული სურათია.
რომ არ გამომრჩეს, აქვე დავძენ: ამ მშვენიერ
ლექსში არის ასეთი სტრიქონები:

მაშინ გულბაათ ჭავჭავაძე გადაირია,
გადაირია როგორც ერთხელ შედან ჭილაძე,
და იერიში მიიტანა წერილ ჭილაძე...

ბევრისთვის გაუგებარია, თუ რას ნიშნავს ეს
სიტყვები და ან ვინ იყო შედან ჭილაძე.

არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა-
ში“ მოხსენებულია:

„ერთი დიდებული, რომელიც ისე გამოჩენილი იყო
სმაში, რომ მისი სახელი მთელს ირანშიც გავრცელდა.
მისი ქება თეთო ირანის ხელმწიფის შაპ-ხეფის ყურაბ-
დის მიეიღა. ამ ხელმწიფებ კაცი გამოუგზავნა დადიანს

და შემოუთვეალა, რომ გავიგე შენს სამთავროში აქთა
გამოჩენილი მსმელი გყოლია და გთხოვ გამომატებიდა-
ნო. დადიანმა დაუყოვნებლივ გაატანა იყო სპარსეთში
შეპის ახალგაზრდა საცოლეს, რომელიც მყო ათაბაგის
სახლის შეილი და ის იყო მიემგზაერებოდა იჩანქრა „შე-
პი ერთიორად მოხარული იყო, რადგან შეუკიდა ახალ-
გაზრდა ცოლი და შესანიშნავი მსმელიც ქორწილის გამო
მრავალი წვეულება იყო, სადაც მუდამ ჰატიერობლნენ შე-
დან ჭილაძეს. ეს იყო მსმელის სახელი და გვარი. იმან
იქაც ისახელა თავი და ყველას სჯობნილა სმაში... ამის
გამო ჭილდოს იღებდა: ხან ნაქედი ოქროთი მოწყობილ
უნაგირს, ხან მდიდრულ კაბას სიასამურის ტყავის სარ-
ჩულით, ხან ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკულ
თოფს და ხან მრავალ საჩუქარს, რომელსაც უხევი შაპი
აძლევდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით შაპმა მოინდო-
მა გასთან სმაში შებმა და იქამდე სვა, ვიდრე არ დასწე-
ულდა და სული არ განუტევა. ჭილაძე კი საჩუქრებით
გამდიდრებული სამშობლოში დაბრუნდა”.

ლადომ გამოიყენა წიგნიდან ამოკითხული ამ-
ბავი და გულბაათ ჭავჭავაძე შეადარა ძეელი სამეგ-
რელოს განთქმულ მსმელს — შედან ჭილაძეს.

საერთოდ, როგორც ყველა ახალგაზრდა მწე-
რალს ჩვევია, და ეს აუცილებელიცაა პირველ ხა-
ნებში, ლადოზეც ძლიერ გავლენას ახდენდა წიგნე-
ბის, უმთავრესად ისტორიულის, კითხვისას მიღე-
ბული შთაბეჭდილებები და, ხანდახან, პირდაპირ
შექმნდა ნაწარმოებში უშუალოდ შწიგნობრული
ხასიათის ესა თუ ის ნაცნობი ეპიზოდი, გამოთქმა
ან მთელი სახე. მაგალითად, როცა, 1939 წელს,
ჯარში გაიწვიეს, გზაზე საკითხავად სხვა წიგნებს

შორის, წაიღო ვასილ ბარნოვის „ხაზართა სტა-
დლოც“. ამ რომანის გავლენითაა ნათქვამი სტრა-
ქონები ოსტროგოვსკიდან ანიკო ვაჩინაძისადმი გა-
მოგზავნილ „ანდერძში“:

იყავი მუდამ შეუშიშარი,
აწმყოსთან ერთად გწიმდეს წარსული,
და მოკვდი ისე, როგორც შუშანა,
მოწამე იჩნიოლ მეფის ასული.

კამპანიი და პორაციო სანაპიროზე

I

მარჯანიშვილის თეატრში ვნახეთ ვიქტორ გაბესკირიას „მათი ამბავი“. მართლაც რომ დიდი ამბავი შეიქნა: მაყურებელს ძლიერ მოეწონა პიესა და მსახიობთა თამაში, იყო გაუთავებელი ტაში, აღტაცების ყიფინა, სიხარული და შეძახილები. ავტორი დიდხანს არ გაუშეიათ.

მერე, როცა ხალხი დაიშალა, პოლიკარპე ქავაბაძე, დიმიტრი ბენაშვილი, ერემია ქარელიშვილი და რევაზ მარგიანი ტროლებუს გაყვნენ. ლადო, ასათიანმა ფეხით წასვლა ამჯობინა. ხიდამდე მივაცილე და გამობრუნებას ვაპირებდი. ამ დროს სანაპიროს ბნელი ქუჩიდან (ის ქუჩა ახლა უშანვი ჩხეიძის სახელობისაა!) ორი შაოსანი ლანდი გამოვიდა და ნელ-ნელა დაადგა მთვარით განათებულ ვერის ხიდს. ხიდი მაშინ ძალიან ვიწრო იყო და არც ეს ახლანდელი ელექტროლამპიონები იდგა ზედ.

როგორც კი მათ სახეებს სინათლე დაეცა, მა-

შინვე ეიცანით: ერთი უშანგი იყო და მეორე მას
ბიძაშვილი და მეგობარი დავით ჩხეიძე.

ისეთი მთვარიანი ღამე იყო, პოეტები წოლას
რომ ასხამენ, როგორიც იცის ობილისის „შამოიანი“
ხმელმა: ქვეყანას რომ შეაყვარებს აღამიანს და
სიცოცხლის გახანგრძლივებას მოანატრებს დიდსა
და მცირეს. მართლაც ვერცხლის უხილავი ძაფე-
ბივით ედებოდა მთვარის შუქი ელექტრომავთუ-
ლებსა და ნორჩი ჭადრების ტოტებს.

ხიდი გადაიარეს და მარჯვნივ ნაბორნალისკენ
ჩაუხვიეს. შეუმჩნევლად, ფეხაკრეფით აველევნეთ
შორიახლოს.

II

ლადოს სულ ენატრებოდა, ერთხელ მაინც მო-
ეკრა თვალი ან სცენაზე ენახა უშანგი ჩხეიძე.

მხოლოდ 1937 წლის შემოდგომაზე ენახეთ იგი
ქუთაისში. ერთ დღეს სასტუმრო „გრანდ-ოტე-
ლის“ სადალაქოში იჯდა სარქის წინ და გრძელ-
გრძელ თითებში ანთებული პაპიროსი ეჭირა. ყვე-
ლაზე უწინ ალიო აღამიამ მოჰკრა მას თვალი და
ბონდო კეშელავას დაანახა. როცა კარებში ბონდო
გამოჩნდა, უშანგიმ სარქიდან თვალი ჩაუკრა მას,
გაუღიმა და ვალიკო დალაქმა გაპარსვა რომ მო-
თვა და თეთრი ზეწარი მოაძრო, მთელი ტანით წა-
შოიმართა, ბონდოს მიეხალისა, მხარზე ხელი მოუ-
თუნა და უთხრა:

— წუხელ ჩადიოთი მოვისმინე შენი ლექსები, მიამა. გახსოვს ქუთაისი კოტეს დროს? ხომ არ დაუ-
ბერდით ჯერ? ამაღამ თეატრში მოდი. ერთ ძო-
თხრობას ვკითხულობ.

ცის 136 გვ.


იმ საღამოს, სხვა მსახიობებთან ერთად მართვული
ლაც გამოვიდა სცენაზე და მის ნახვას მოწყურე-
ბულ ქუთათურ საზოგადოებას წაუკითხა უიარა-
ლოს „მამელუკის“ ჩამდენიმე ნაწყვეტი.

პარტერში ვისხედით და ვუცემეროდით მისი
ლამაზი ოვალების ციმციმსა და ფოფინს. მათ არ
მოკლებოდათ წინანდებური ელვარება. საყელოგა-
ხსნილი თეთრი პერანგი ნაცრისფერ შარვალში
ჰქონდა ჩატანებული. ცალ ხელში წიგნი ეჭირა და
ხანდახან მეორე ხელს გადაისვამდა წაკაპიწებულ
მკლავზე. გვესმოდა მისი მჭექარე და ტკბილი
ხმა — კვლავინდებურად რომ რეკდა ზარივით:

„სხვა რაღა უნდა მიქოს ნილოსმა? პაპას ეერ მიქებს
დიდებულს და პაპის პაპას ჩინებულს! მე არც კი ვიცი, ვინა
ვარ, საღაური ვარ, მხოლოდ ვიცი, რომ მამელუკი ვარ!
ხმალი ჩემი — დედ-მამაა ჩემი, მკლავი ჩემი — სიმტკიცეა
ჩემი თქვენთან, მებო, შეურცეველი კაცმირი, გამარჯვებაა
ჩემი!“

კითხულობდა ის მგზნებარედ და ომახიანად.

— პამლეტისა და ურიელის როლებში კი მინ-
დოდა მენახა, — ჩაგვჩურჩულა ლადომ. — ნეტავი
თქვენ, ყველაფერი გინახავთ, რაც მას უთამაშნია.
პირადად იცნობთ და ვისაუბრიათ მასთან...



და ახლა, ამ მთვარიანში, მოულოდნელი უშანგის გამოჩენა. სეირნობდა ის რაზ-ნორნემუს, რების ძირას და მხარდამხარ მოყვებოდა გრძელ-პალტომოხურული დავით ჩხეიძე. ჩვენ ყურს შორიდან წვდებოდა მათი ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი, ყრუ ბუტბუტი და სიცილი. თვითონაც აჩრდილებივით ხის ჩრდილებში მიმომავალნი, როგორ ჰგავდნენ იმ ღამეს ორივენი აჩრდილის კვალის მძებნელ ჰამლეტსა და ჰორაციოსს! რამდენჯერ ყოფილან ასე, ორივენი, მუდამ განუყრელნი სცენაზე, ელსინორის ციხე-დარბაზის ახლომახლო. ასე გვეგონა, საცაა გაისმებოდა ჰამლეტის შეძახილი. „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის!“

ერთ ხანს ისეირნეს და, როცა დაბრუნდნენ, კვლავ უკან გავყევით. გაკაშკაშებული ხიდიდან სანაპიროს ქუჩაზე მოუხვიეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

— ახლა შინ დაბრუნდიო, — მითხრა ლადომ, — მარტო მინდა ვიარო და ვიფიქრო ამ შეხვედრაზე, ფეხით წავალო, — მეტი აღარაფერი უთქვაშს, შებრუნდა და წავიდა. კარგა ხანს ჩანდა მისი გრძელი ლანდი. იგი ხან გაიელვებდა განათებულ ტროტუარზე, ხან მიიმალებოდა ბნელში და შემდეგ სულ გაქრა ელბაქიძის დაღმართის ასახვევში.

ოცდაათიან წლებში წამოზრდილ ახალგაზრდობას აღარ უნახავს უშანვი ჩხეიძე არც სცენაზე, არც ცხოვრებაში. ხანდაზმულობის დაღმართან მდგარი მისი თაობის აღამიანებიც კი იშვიათად ხედავდნენ და ხვდებოდნენ მას. იცოდნენ მხოლოდ, რომ ის ცხოვრობდა აქვე, მათ გვერდით — თბილისში, ტრიალებდა მეგობარ-ნაცნობთა ძლიერ ვიწრო წრეში, წერდა ისტორიულ დრამას, მოგონებებს, წერილებსა და ლექსებს, და ხანდახან სევდანარევი სიამოვნებით უსმენდნენ რადიოთი მის ვაჟა-ცურ ტკბილქართულს... ზოგიერთ უსულგულოს სულაც მიავიწყდა იგი და აღარ აინტერესებდა მისი ბედი.

— რა იქნება, ერთ დღეს გავტედოთ, ივდევთ და მივიდეთ მასთან, — იტყოდნენ ხანდახან ლადო და ალიოშა, — გავიცნოთ, ვესაუბროთ, ვთხოვოთ, ერთხელ მაინც გვანახოს თავი სცენაზე — სულ ერთია: პამლეტი, ურიელი, იაგო, ყვარყვარე თუ რაც იქნება, ოღონდ კი ვნახოთ და გავიხაროთ. ნუთუ ეწყინება და არ გაუხარდება ახალგაზრდობის ნახვა?

მაგრამ თქმა ერთი იყო და ამის გამბედაობა არც ერთს არ გააჩნდა. ერიდებოდათ, თანაც მეტი-წრიობადაც კი თვლიდნენ ასეთ სურვეილს.

ჩვენთაობელთა წრიდან მხოლოდ ანდრო თევზაძე და ლადო ავალიანი დაუახლოვდნენ მას.

ტეანსკენელ წლებში ლადო ავალიანი ხშირად მოისუს
ძრებოდა ბინაზე უშანგის, და ბევრი კარგი მძაფი
დარჩა მას მოსაგონარად. ხოლო ინტერესული ჟურ
უდიდესი სიყვარულით იმუშავა ამ ტეანსკენელის
მსახიობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღსა-
წერად. კარგი ბიოგრაფიაც შეადგინა და ორჯერ
გამოსცა. მანვე შეკრიბა და ცალკე წიგნად დაბე-
ჭდა უშანგის გამოქვეყნებული და გამოუქვეყნე-
ბელი მოგონებები და წერილები. მრავალი მოსი-
ყვარულე მკითხველი ჰყავს ამ წიგნებს და დაწვრი-
ლებით ეცნობა ჩვენი თეატრის გამოჩენილი მო-
ღვაწის ცხოვრებასა და თვალსაჩინო მემკვიდრე-
ობას.

V

დეკემბრის ერთ მზიან და მეტად თბილ დღეს
კი, რუსთაველის პროსპექტის გავლით, დიდუბი-
საკენ დაიძრა უზარმაზარი პროცესია. მთელი ქუჩის
სიგრძე-სიგანეზე გაზაფხულის ნიაღვარივით მოდე-
ბული ახალგაზრდობა აზვირთებული მიიგრაგნე-
ბოდა სულ წინ და წინ, და მიაცილებდა უშანგის
ცხედარის. ახლა ყველამ დაინახა იგი: იწვა პირა-
ხდილ გრძელ კუბოში ახოვანი, შავად მოსილი და...
მეტყველი სახით. ძირდაცვენილ უამრავ შემო-
დგომურ ფოთლებს შრიალ-შრიალით ზემოდან
ეცემოდა სიტყვები:

რად არ მეშლება ეგ სხეული ესრეთ მაგარი,
რად არ გაღნება და ცის ნამად რად არ იქცევა...
ესეცა ვნახეთ... ის მკედარია...

კუბოში მდებარე ჰამლეტ-უშანგის გულიდის
ელერდნენ, რეკვდნენ და მოჩურჩულებდნენ კა-
სიტყვები ყველას გასაგონად და შემდეგ მათ იმე-
ორებდნენ, ერთმანეთს გადასცემდნენ და კვლავ
აგრძელებდნენ — ხელოვანთა სახლიდან უკანა-
სკნელ სავანემდის — სახლის თავებიდან და ჭადრე-
ბიდან გადმომდგარი და თავგადმოყოფილი რადიო-
რეპროდუქტორები.

ბევრი პირველად ხედავდა იმ დღეს უშანგის,
თურმე, იქვე, მის გვერდში მცხოვრებსა და მო-
ქმედს... ზოგიერთს, ალბათ, მაშინ გაახსენდა, რომ
მართლაც ცხოვრობდა ასეთი კაცი...

ახალგაზრდა მსახიობთა საიმედო მხრებსა და
მკლავებზე დასკვნებულ-დაყრდნობილი უშანგი კი,
საყვარელ თეატრთა კარიბჭეებთან გამოსათხოვრად
სცენებ-სცენებით, მიუყვებოდა უკანასკნელ გზას...

იმ ძნელსა და უცნობ მხარეს,
სადიოთ არც ერთი მგზავრი უკან
აღარ ბრუნდება.

და უამრავი ხალხის ნაბიჯით აშრიალებულ ფო-
თოლთა ჩურჩულში რადიოდან კვლავ გაისმოდა,
თუ როგორ მორიდებით ეკამათებოდა ურიელი
თავის მოძღვარს დე სილვას—შალვა ღამბაშიძეს
და, უნაზესი გრძნობებით აღძრული, მიმართავდა
სულზე უტებეს ივლითს — ვერიკოს. ანდა როგო-
რი შიშით, ჭაფით, კვნესით და ეჭვით შლიდა და
აფენდა ჰამლეტი თბილისის ქუჩებში ყოფნა-არ-

ყოფნის საკითხავ და ამომხსნელ გადობისა
სიტყვებს, რომ

...მიძინებით გათავდება ის გულის ძიხეთ,
და ათასი სხვა ბუნებრივი უკულმართობა,
რაც ხორცშესხმულ იდამიანს წილად ხედომია!

თითქოს ეს იყო უკანასკნელი სანახავი ელსი-
ნორის დიდ დარბაზში, როცა, ფორტინბრასის ბრძა-
ნებით, იქიდან გაპქონდათ ელვარე შუბებით ზე-
აწვდილ ლაქვარდოვან ფარზე მდებარე ჰამლეტის
უსულო გვამი, როგორც გვინახავს მარჯანიშვილის
დადგმით რუსთაველის თეატრში. და, როგორც
მაშინ — ახლაც ძვირფასი მეგობრის კუბოს თავ-
ჩაქინდრული მიყვებოდა მისი ერთგული ჰორა-
ცით — დავით ჩხეიძე. ალბათ, ახლაც ისე იმეორე-
ბდა გულდათუთქული:

ჩაქრა ლამბარი დიდებული
შევიდობით, პრინცო!

იმ თათრ საყდართან

III

წინათ, ზამთრის პირას ან ბოლოს, თბილისში გა-
ცურვებულად ჰქონდა ციფი ქარი. გამგელებული
დათარებობდა იგი — განსაკუთრებით — განაპირა
უბნებსა და ქუჩებში, და გამვლელებს, მეტადრე ხი-
დებზე, უძნელდებოდათ გავლა ქარიანობის გამო.

მაშინ არ იყო ასფალტიანი ქუჩები და არც ახ-
ლა მოდაში ასე შემოსული ფერად-ფერადი სათვა-
ლეები. ოლროჩოლრო ქუჩათა უბეში დაგროვილ
მტვერსა და ხვინჯს ხვეტავდა გაკაპასებული ქარი,
დააყენებდა საშინელ ბულსა და კორიანტელს, ჭი-
ქურ დაეტაკებოდა ზურგში იმ მტვრისაგან დაბრმა-
ვებულ ადამიანებს და ისინიც, ქარგი ცერტულის მო-
ცეკვავეებივით, თითის წვერებზე შემდგარნი მი-
ფირფილებდნენ ხიდის ერთი თავიდან მეორეში. ახ-
ლა ქარს ძალა დაეკარგა თბილისში. უხემა გამწვა-
ნებამ და უამრავმა ნარგავმა უშველა ქალაქს...

ყოველთვის, როცა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე თეთრ საყდართან გავივლი, მომზაგონდება, გვიანი შემოდგომის, თითქმის ზამთრის პირის ერთი სალამო:

ცივა, ქარი ქრის.

იმ საყდრის უკან, პატარა საეამნესთან, ქარყინვაში — ხის ძირას მხართეძოზე არხეინად წამოწოლილა პოეტი ტერენტი გრანელი. თავშიშველს უკან გადავარცხნილი თმა ქალიერით გაუშლია. აცვია წელშეშობილი გრძელი ნაცრისფერი ხალათი, კოკებს ზემოთ დამოკლებული ვიწრო ტოტებიანი შარვალი, შავაღშელებილი ტილოს ფეხსაცმელები... საერთოდ, რაღაც ჩინური ფორმის მსგავსი სამოსი. პაპიროსს აბოლებს, ცალი ხელი თავქვეშ ამოუდეია.

დამინახა, წამოიწია და ხელი დამიქნია:

— ეპერ, ლორთქიფანიძე, ჩამოდი აქ, თუ კაცი ხარ!

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყოველთვის ამ გვარით მომმართავდა. კარგად არ მიცნობდა. ისე კი იცოდა, სად ემუშაობდი. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი დაპყვებოდა ხანდახან ახალგაზრდა პოეტებს. რამდენიმეჭერ მოვიდა გენო ქელბაჭინთან, რომელიც მაშინ იმ რედაქციის მუშავი იყო და დიდ დახმარებას უწევდა ტერენტის.

— ჩამოდი აქ, — მექახოდა ის, — ჩემთან, ამ

მწვანეზე წამოწექ და ვისაუბროთ. ჩემსავით იქნა-
ბი და იოცნებებ მუდამ. ოცნებას რა ჭობია. ვუყვ-
როთ ამ ცას, პირალმა წამოწოლილი...

რაღაც მოვიმიზებეზე და წასვლა დაუბილე. შე-
მოდგა, კვლავ ხელი დამიქნია და გაღმოშვახა?
— მოიცადე, სად მიდიხარ?

საყდრის ლაფაროში ჩაყრილი ხმელ-ხმელი ფო-
თლები ამოკრიფა, პეშვი აივსო, რკინის მესერს მო-
ადგა და გამომიწოდა. თან სადღაც, ჩემს იქით იყუ-
რებოდა ანთებული თვალებით და ნაღვლიანად ლა-
პარაკობდა:

— აი, ეს ყვითელ-ყვითელი ფოთლები ვიყავი
მე. ტიფით ავად გავხდი და ამ ბჟოლის ფოთლებს
დაეგმისგავსე. ასე გავყვითლდი, და ძირს დამყარა
ქარიშხალმა. ახლა აქა ვარ. მოდი, მწვანეზე წა-
მოწექ!

„მწვანე“ კი არსად ჩანდა. მარტოოდენ ქვები
იყო ამოჩრილი და მათ გარშემო შრიალ-შრიალით
ატრიალებდა ქარი ხმელ-ხმელ და ჩაყვითლებულ
ფოთლებს.

— არ გცივა? — შევეკითხე და მისი თხელი ხა-
ლათი შევათვალიერე. ცხვირი და ტუჩები სიცივის-
გან გალიგვებოდა.

— შევეჩივე, — მითხრა და კვლავ მომმართა:—
წამოწექ ამ მწვანე მდელოზე; ჩემსავით, იქნები მე-
ოცნებე ყვითელი ფოთოლი.

შემდეგ ჩაიცინა, ფოთლები მიმოაბნია და ქარს
გაატანა. ხის ტოტიდან საღვარეში რომელიდაც

ჩიტი ჩახტა და გაგოგმანდა. ჩიტს ხელი აუქნია და „აქშაო“ შეუძახა. ფართოდ ჩამოხეული ცალი სახელო იდაყვამდე ჩამოეშვა, ქარმა კურთმავივით აუფრიალა იგი და ლურჯი ნარმის პერანგი გაძოუჩინა.

ხელი ჩამოვართვი. არ გამიშვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა:

— რა მიგეჩქარება! მე აქ უნდა დავესახლო. კარგი ადგილია. მარტო ვიქნები და ხელს არავინ შემიშლის ოცნებაშიო. მალე თოვლი მოვა, მშრალი თოვლი. თოვლის ფანტელებს უნდა გავყვე. როგორ მიყვარს თოვლის ფართო-ფართო ფანტელები. — უცბად გაახსენდა: — გინდა, ლექსი გაჩუქებ. ბევრი ლექსი მაქვს.

III

საყდრის კართან აიტუზა, ჯვარზე გაკრულ ქრისტესავით გაშალა ხელები, თავი მაღლა ასწია და მზეს მიაშტერა ქუთუთოამოწითლებული მოწკურული თვალები. ცოტა ხნით იდგა ასე და რაღაც სიტყვებს ჩურჩულებდა. შემდეგ გულჯიბიდან ფანქრის ნატეხი ამოიღო, დანერწყვა და „ტემპის“ კოლოფზე წაწერა ლექსი:

ჩ ი ტ ი

მზე ისევ გაჩნდა,
დღე ასე მიღის,
და უცებ დაჭდა
მიშანე ჩიტი.



გავგურებ ქუჩებს,
დღე ასე შიდის.
დაჯდა და უციპ
აფრინდა ჩიტი.

წერის დროს შევნიშნე: ძალზე ნაზი ხელები
ჰქონდა და შესამჩნევად წამოზრდილი სუფთა
ფრჩხილები.

— წაილე, თუ კაცი ხარ, ნუ დაკარგავ, — მი-
თხრა. — თუ გინდა ასეთებს აუარებელს დავწერ.
ახლა კი მშვიდობით... მშვიდობით იარე. კარგად
გეეჩახოს ერთმანეთიო, უთხრა ერთმა ბრმამ მეო-
რეს, — თქვა ეს და ჩაიღიმა.

მერე პირალმა გაწვა ხის ძირას ქვებზე და ჩემ-
ოვის ყურადღება აღარ მოუქცევია. მუხლი მუხლ-
ზე შემოიდო და კვლავ პაპიროსი გააბოლა. .

ეს იყო ოციანი წლების ბოლოს.

IV

1939 წლის თებერვლის ერთ საღამოს, საყდარ-
თან რომ გაეიარეთ, იმ შეხვედრის ამბავი მოუყევი
ლადო ასათიანსა და მირზა გელოვანს. ახლაც ისე-
თივე ქარი ქროდა და ბარაქიანად თოვდა. ფართო-
ფართო ფანტელები აცვივოდა ადგილს, ტერენტი
რომ იყო პირალმა წამოწოლილი ათი-თორმეტი
წლის წინათ და ნატრობდა, გაყოლოდა იმ ფანტე-
ლებს. იგი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ახ-
ლა ეს ფანტელები მის სამარეს ფარავდა პეტრე-
პავლეს სასაფლაოზე...

იმ კვირაში ლადო კვლავ ამოვიდა ჩემთან. და
ლონებული იყო: საყდართან გამოვიარე და ტერქნ-
ტი გამახსენდაო, ვერ მოვისვენე და გზაგზავნავის; ეს
ლექსი გამოვთქვიო.

ჯერ ზეპირად წარმოთქვა და მერე იქვე ჩამო-
წერა რვეულში:

1930 წლის ზამთარი

თოვს და ანათებს საღლაც კანდელი,
დიდი სასახლის ბრწყინვეს კარები.
შენ კი, ვით თოვლის თეთრი ფანტელი,
დაღუპვისაკენ მიექანები.
აგიტანს შიში და ურუანტელი,
გავიფითრდება თვალთა უპენი,
ნეთუ, ვით თოვლის თეთრი ფანტელი,
შენც ისე მშეიდად დაიღუპები?
თოვს, და თოვაში აქ დგეხაჩ მარტო
და ძალლის ხმაზე გაბმულად სტირი.
ეს შენ იცოდი, ზამთრის ღამეში
რა აწუხებდა მშობლიურ თბილის:
ეს შენ იცოდი, მაგრამ მეც ვიცი,
რადგან მე შენი ვარ ნათესავი,
მეც მიმილია პოეტის ფიცი,
მეც მაწყალებდა ლექსი შენსავით...
თოვს და თოვაში გიგონებ, ძმაო,
ჩანს დათოვლილი საყდარი შენი...
თეთრი ხალათით დგახაჩ ამაოდ,
გათოვს, გათოვს... და არავინ გშეველის:
თოვს, და თოვაში გიგონებ, ძმაო,
ვინ გაგიყუჩებს წუხილს და ვარამს?
მჟენარი ფოთოლი დახვალ ამაოდ,



აქეშდის არვინ არ შეგიყვარა.
ათოვს თბილისს და თბილისის ღამეს,
გათეთრებულა საყდარი ჭავრით,
— აქ უცხოვრია ტერენტი გრანელს! სამოცხვაული
იტყვის და მშეიძად ჩაივლის მგზავრი კიბურევისა

[დაწერილია 1939 წლის ზამთარში. თბილისი].

— ასეთი ლექსი ჭერ არ დამიწერია, — თითქოს
ბოლიშობდა ლადო. — მეტისმეტად ნაღვლიანია,
მაგრამ ეს ხომ ტერენტი გრანელზეა ნათქვამი. ძა-
ლიან შემეცოდა, სხვაგვარად დაწერა კი არ შემეძ-
ლოო.

ვარსებვლაპირსაცვალ გზაზე

მე თქვენ გიგონებთ კომალეით და ოიდით,
თქვენს ბშვენიერ ხმას, ქართულის მაღლობს...

მირ ზა გელოვანი

I

„...მსხმოიარე ვაშლის ქვეშ მშეიღად ლევს სულ
ასი წლის ბერი პაპა. გულხელი დაუკრეფია, ხანდახან მდა-
მე-მძიმედ გაახელს მილულულ თვალს და ხედივს: გარშემი
მშეიღადუე დგას მთელი მისი მრავალრიცხოვანი შთა-
მომავლობა — ლოყებდაელაქა, მკლავლონიერი და მუხლ-
მაგარი, ბრავ ვაკაცები; იქვე, ბალახებში, დაცქრიალე-
ბენ ცეროლენა ბიჭუნები, კაშკაშებს და ელავს მცხუნ-
ვარე მხე, დახუნძლულ ხეხილთა ტოტებიდან წყდება და
ძირს მოცეივა მწიფე ნაყოფი, ხოლო თვალმისაწიერამდე
შრიალ-შრიალით ღელავს და ტალღა-ტალღად ბიბინებს
მხეკაბანდაკრული ჯეკილის ლურჯი, სულ ლურჯი ზღვა...

„...მცუდრო ძირს მისცემია სოფელი. საყვარელ გო-
გონასთან პარმანიდან დაბრუნებული ტანკენარი და შავ-
ტუხა ვასილი თავდავიწყებით ცეკვავს მარტოდმარტო
უკაცრიელ თემშარაზე, ცეკვავს კაჯაჩია მთვარით განა-
თებულ მინდორზე, ხეებქეშ, ღობის ძირებში. ცეკვავს,
ხარობს და ზეიმობს სიყვარულს, ახალ ცხოვრებას. ხეალ,
მისი მეთაურობით, სოფლის გლეხკაცობაც ჩაეგმება ამ

ახალი ცხოვრების ფერხულში... და სწორედ შაშინ მიწა
და შეხანათი მტრის ტყეია და ჩაუქრო მჩქელარე სა-
ცოცხლეა.

„...ღინჯი მღელვარებით, ზეიადი ნაბიჯებით მიემარ-
თება სოფლის გზაზე პროცესია. მეგობრებს, მაღლა-
აუწევიათ კუბო. ხეთა ტოტები ფრთხილად ეჭამუნე-
ბიან კუბოში მღებარე ვასილის სახეს, ნიავი ალერსით
უვარცხნის ქოჩორს. ისმის დიდებული მკექარე სიმღე-
რა, და, თითქოს ამ ამაღლებული სახეიმო პიმნის ხმებს
სულ მაღლა და მაღლა აუტყორცნიათ ცხელარი, — მაღლ-
დება იგი ადამიანთა თავებს ზემოთ, უსწორდება ულრან
ტყესაეით მიმდგარ მზესუმზირების ტექრს. გუგუნებს,
გუგუნებს სიმღერა და ახმიანებს ყეითელი თავთავებით
დაყურსული ყანების თვალუწვდენ სიერცეს. მოკლულის
სახეს დასთამაშებს ბელნიერების ლიმილი, ცეკვის დროს
მოულოდნელი სიეკლილით რომ შეეყინა ბაგეზე. უეც-
რად იცექებს, წამოვა თქეში და წეიმის გრილი წვეთები
ალმასებრ ციმციმებენ ვაშლებზე, ვასილის შუბლსა და
სახეზე. პროცესია კი მიემართება ღინჯად, ზეიადად და
და კვლავ გუგუნებს დიდებული სიმღერა-პიმნი.

„...ეულად დაძრწის მკლელი ტრამალზე. წყევლა-
კრულებით ვაუჩების ამ დიადი სიმღერის ომახიან ხმებს,
აჩ იცის, სად დაემალოს მას, სად ვადაიკარგოს... პირზე
ლუქმორეული ცდილობს მატლივით ჩაძერეს ნახნა მი-
წაში, ვიცი ხარივით ბულრაობს ხნულში და ანთხევს
გესლსა და შხამს. ერთ პატარა ქოხმახში კი, ამ დროს
საშინელი კივილით იატაკზე ეცემა ვასილის დედა. სახე
დამანქვია, ფრჩხილებით მიწას ფხოჭნის გამწარებული...
ის მშობიარეა, მოკლულ ვასილს ახალი ძმა უნდა შეს-
ძინოს...“

ასეთია წარმტაცი კადრები ალექსანდრე დოკ-
უნკიოს „მიწიდან“. „მიწა“ საბჭოთა კინოს ერთ-
ერთი საუკეთესო, ორიგინალური და პოეტური

ფილმია. ესაა ბუნებისა და სიცოცხლის უკავების დიდებული ჰიმნი: ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ცხოვრების უმძლავრეს წინსრბოლას სოცი-დილი უკვდავებაა, თუ სიცოცხლეს მომზადლის უფლება გასწირავ!

II

მერამდენჯერ გვექნებოდა ნახული კინოხელოვ-ნების ეს მაღალმხატვრული ქმნილება, როცა 1939 წლის შემოდგომაზე ერთხელ კიდევ დავესწარით მის დემონსტრაციას! არც ერთ მანამდე ჩვენგან ნახულ კინოსურათს არ ჰვავდა იგი, და სეანსის დამთავრების შემდეგ, ლადო და ალიოშა დიდხანს ყოყმანობდნენ: იქნებ, შეებრუნდეთ და კიდევ ვნახოთო. მაგრამ უკვე გვიანი იყო და პროსპექტზე გამოვედით.

ბესიკის ქუჩასთან შემოგვედნენ ალექო შენგელია, მირზა გელოვანი, გაბრიელ ჯაბუშანური, ვახ-ტანგ ბერუკელი და სხვები. ალექსი ოჩიაურის ოჯახიდან მოდიოდნენ. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, შემდეგ მათგან მარტო მირზა შემოგვიერთდა და გზა განვაგრძეთ.

ერთი ხის ჩრდილში შევნიშნეთ თეორისამოსი-ანი გალაკტიონის ლანდი. მარმარილოს სვეტივით იდგა, აღმართული და მხარგაშლილი, როგორც მთელი მისი პოეზია. თავაწეული, ოპერის თეატრს გაჰყურებდა, რაღაცას ჩურჩულებდა და თითო-ოროლა გამვლელთა ყურადღებას იპყრობდა. ოდ-

ნავ შეზარხოშებული ჩანდა; და სწორედ ამ დროს
იყო კარგი გალაკტიონი!

მირზა და ოლიოშა დაწინაურდნენ და შორიახ-
ლო მორიდებით შედგნენ. გალაკტიონი ბევრჯერ
ყოფილი „ჩვენი თაობის“ რედაქციაში და უოგილ
იცნობდა სამიერს. ახლა მალე შეამჩნია ისინი და
სიცილ-სიცილით მობრუნდა მათკენ:

—ო... ო... ნორჩ-ნორჩ კალმოსნებს ვახლა-
ვარ! — დაიწყო მან: — ჩემი ოქრობიჭები, ჩემი
ქორფა პოეტები! სად ყოფილხართ? რა გინახავთ?
თქვენი ლექსები დღეს გაზეთში წავიკითხე, ძა-
ლიან მომწონს, ძალიან... ერთობ საინტერესოა.
უყურე შენ? ახალგაზრდების ლექსები... ახალგაზრ-
დებიც სწერენ ლექსებს! ხე, ხე, ხე, ხე! საოცნე-
ბოა, საოცნებო!

III

იმ დღეს არც ერთ გაზეთში არ ყოფილი დაბეჭ-
დილი ახალგაზრდების ლექსები. მხოლოდ წინა
დღეებში გამოვიდა ჩვენი უურნალის მე-9 ნომერი,
საღაც მოთავსებული იყო ოლექსანდრე საჯაიას
„ქუხილი“, რევაზ მარგიანის რამდენიმე ლექსი,
ლადო ასათიანის „ვაჟა-ფშაველას“ ნამბობი“,
მირზა გელოვანის „უბის წიგნიდან“, ლადო ავა-
ლიანის „უკვდავი პიმნი“, ოლეკო შენგელიას „ნი-
უარაზე ამოკითხული“, იოსებ ნონეშვილის „მოდი
ნახე“, გიორგი ნაფეტვარიძის ორი ლექსი და სხვ.

გალაკტიონს, ოლბათ, შეეშალა და, უურნალის

ნაცვლად, დაასახელა გაზეთი, თორემ მას და კარგი მკითხველი იყო და ამ მხრივ საგანგებოდ გა. მოირჩეოდა ზოგიერთი მწერლისაგან.

ალიოშა მოკრძალებით მიესალმეს და მიმატებულ —

— როგორ ბრძანდებით, ბატონო გალაკტიონ?

გალაკტიონმა წარბები შეჰყარა, განიერი ქუთუ-
თოები აახამხამა, ალიოშას გადმოხედა და უთხრა:

— ვწერთ, ვწერთ ლექსებს — ცამ ქუხილი
დაიწყოს! არავის უნდა, მაგრამ არ შეეშინდებით...

უფროსებთან ყოველთვის მორიდებული, მაგ-
რამ ახლა ხალისიან გუნდებაზე მყოფი მირზა, სწრა-
ფად მიუახლოვდა მას, გულზე ეამბორა და ხელებ-
სა და შუბლს ბუტბუტით წაეტანა:

— აი ამ ხელმა დასწერა „მე და ღამე“, ამ გულ-
ში შთაისახა „მთაწმინდის მთვარე“, ამ შუბლიდან
გადმოიღვარა „ლურჯა ცხენების“ ჯადოსნური სი-
ტყვები, — შესძახა მან.

გალაკტიონმა ბავშვურად დაიმორცხვა, მირზა
საკოცნელად არ მიუშვა და ოქროს ქოჩორზე ხე-
ლი გადაუსვა. ლიბრ სინათლეზე ჩანდა, თუ როგორ
შეეფაკლა მას ფერმერთალი სახე.

— ო-ო, გცოდნია? — ღიმილით უთხრა მირ-
ზას. — ლურჯა ცხენები, ჩემი ლურჯა ცხენები...
ერთობ ეფემერული რამ ეგონათ. იცი, ძამიკო, ეს
დეკადენტობააო, სიმბოლისტებს მოპირაო და კი-
დევ, ვინ იცის, რა არ მოჩახეს! რა უჭირდა მოსაპა-
რავი თქვენს გალაკტიონს? ეს ქართულია, წმინდა
ქართული! ავთანდილი როგორ ცხენზე იჯდა, არ

იცით? ლურჯაზე! პატარა კახს ლურჯა ცხენი პყავა
და. ბარათაშვილის მერანიც, მგონი, ლურჯა იქნებ
ბოდა. და, ხომ გახსოვთ, ჩვენმა არსენამაც ლურჯა
ცხენი რომ გააჭერ-გამოაჭერა? პოდა ჰე! მოთ მოვბა
რე და მივბაძე. მეტი რაღა გინდათ? განდ არსენა და
ბარათაშვილი დეკადენტები იყვნენ? ან კიდევ ერეპ-
ლე მეორე და ავთანდილი — სიმბოლისტები? რო-
გორ იტყვით, ოქვენ?

ტუჩებზე ხელი მიისვ-მოისვა (მაშინ გრძელ
წეერს არ ატარებდა), გაზონი გადათელა, ცაცხეს
შემოუარა და ბუჩქებიდან გადმოგვძახა:

— იადონი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმან
იდამჟანაროს! ვენაცვალე რუსთაველს და გაუმარ-
ჯოს ამ რუსთაველის პროსპექტს... ესაა პოეტების
ვარსკვლავთსავალი გზა! შენ მირზა გქვია, არა?

— დიახ, ბატონო?

— მირზა... მირზა, — ორჯერ ძლივს გასაგონად
ჩაიღუდუნა გალაკტიონმა.

— მირზა არაბულია. სიტყვის თავში „ბატო-
ნოს“ ნიშნავს, ბოლოში „ბატონიშვილს“. სვანი
ხარ, ხომ? — ჩაეკითხა მირზას.

— წარმოშობით ქი. ისე — თიანელი...

— დედ-მამა ცოცხალია?

— ცოცხალია.

— შენს გარდა თუ ჰყავს შვილები.

— ერთი ვაჟი და ორი ქალი.

— შეხედე შენ? — წამოიძახა გალაკტიონმა, —
საოცნებოა, საოცნებო! სვანეთი, თიანეთი... მთე-

ბის შვილი, მირზა... ბატონიშვილი... ახლა თა-
ვისთვის იმეორებდა იგი და ალარავის ამჩენებდა
გარშემო. მეტე თითქოს გამოფხიზლდა და კულურ
მირზას მიმართა: — ლექსი, ლექსი... წერეთ, წერეთ
სები, კარგი ლექსები! სულის ამოხლომაშდე წე-
რეთ და წერეთ! ყველაზე მთავარია, სათქმელი არ
დაგელიოთ და გქონდეთ საკუთარი სამყარო, რო-
მელიც არაფრით ჰგავდეს ნამდვილს, მაგრამ რე-
ალური კი იყოს... ესაა პარადოქსი ან წინააღმდე-
გობა დიალექტიკური, მაგრამ ესაა ჩემი შემოქმე-
დების საიდუმლოება. თქვენი ლექსის სტრიქონებ-
ში ტელეგრაფის მავთულივით განუწყვეტლა
უნდა გუგუნებდეს ცხოვრება...

IV

ამბობდა ამას გალაკტიონი და თითქოს გულში
მღეროდა ოღნავ გასაგონად. ღუდუნებდა და სი-
ტყვებს ტუჩ-ქბილებს გარეთ არ უშეებდა. მისი
ინტონაციისა და მიმიკის, ან კილოს გადმოცემა და
აღწერა ძლიერ ძნელია. მომავალი თაობა თანადა-
მსწრის აღწერით ვერაფრით ვერ აღიდგენს, თუ
როგორ იტყოდა რომელიმე სიტყვას ან როგორ
წარმოთქვამდა გრძელ-გრძელ ფრაზებს გალაკტი-
ონი, ან რას უშეებოდა სახესა და თვალებს, როგორ
გამოიყურებოდა ლექსის კითხვისას ანდა უბრალო
საუბრის დროს. ვისაც იგი არ უნახავს, სხვისი
აღწერითა და ნაამბობით ამას ვერ წარმოიდგენს...
— ყველაზე დიდი გენია ფანტაზიაა, — განა-

გრძობდა იგი, — ფანტაზიის მერანზე მჭდარი ყველა
გან იმოგზაურებ.

შემდეგ ახლოს მოიწია, მირზას მხარზე ხელი
დაადო და ჩუმად, ნახევრად გასარჩევ-გასაგონად,
თითქმის ლულლულით წასჩურჩულა:

თუ ხარ ლვიძილი, რადა არს ძილი?

თუ ხარ სიმაძლე, რა არს შიმშილი?

თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკედილი?

იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!

ეს ჩვენი დავით გურამიშვილია, ლექებმა რომ და-
ატყვევეს ლამისყანაში და მერე ფხოველი იანვარა
მოპევარეს მოენედ... „დაი ხლებაო, ლაზარი“...
გახსოვს? ესეც დავითის ნათქვამია:

რაც დამრჩა, ვერ ესთქეი, მეწადა
მეთქეა გრძლად, თავი მეცადა,
ვერა ესთქეი, მოცდას ვუცდიდი,
ნეტამცა არა მეცადა!
მესწრაფა სევდის ლაზეარი,
საკედავად გულსა მეცა და,
აწ ამას ვდონობ, არ ვიცი,
ქეესკნალ წავალ თუ მე ცადა.

უკანასკნელი სტრიქონები ხმამაღლა წარმოთქვა
და კვლავ შემოუარა ცაცხეს.

— პოეზია და პოეტობა, ძამიკოებო, — ისევ
ჩურჩულით ამბობდა იგი, — გატანაბურთივითაა.
აბა, პე, აბა, პე, ვინ მიიტანს ლელოზე! ვინ მივა პი-
რველი. ეს შეჯიბრებაა მხოლოდ თანაბარ მეტოქეს-

თან, ტოლებთან ერთად. თუ დავარდნილები მოგ-
სდევენ უკან და მაშინ გაასწარი ყველას, ეს რა ბი-
ჭობაა, ან რა საინტერესო!

ერთოვენული
პირზოგისა

V

პირველად ვნახეთ მაშინ გალაკტიონი ასე ალა-
პარაკებული. ერთ ადგილას ვერ დგებოდა. ხშირ-
ხშირად გადაალაჭებდა გაზონებში, რომელიმე ხეს
გარს შემოუვლიდა და ჩაიმალებოდა ტუიას ბუჩ-
ქებში. ლილინებდა და სულ ლექსებით ლაპარა-
კობდა.

— ძამიკო, გამიგონე, — უთხრა მან ალიოშას, —

ერთხელ მეც ვიყავ შენებრ ლამაზი,
მაგრამ არ ვიყავ შენსაეით ნაზი...

ეს ერთი ძეელი მოლექსისაა. რომელია? არ მახსოვს.
აბა, გამოვიცნოთ, ვისია? მამია გურიელის? არა
ცახელის? არა! ჭალადიდელის? არც იმისო, არც
იმისო? გვყავდა ასეთი პოეტები. ერთობ საინტე-
რესოა.

ლადო ასათიანს ხელი გამოუწოდა, ფილაქანზე
გაღმოვიდა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა, მაგრამ ისე,
რომ კელავ ძნელი გასარჩევი იყო, მღეროდა თუ
ისე უბრალოდ წარმოთქვამდა სიტყვებსა და ბგე-
რებს: ზოგ სიტყვას ხმამალლა წამოიძახებდა, და-
ნარჩენს ლილინ-დუღუნით მიაყოლებდა:

როტშილდის ქონება მე,
შექსპირის გონება მე,

უფელაძე უფრისობდა,
 შენი კი მონება მე,
 შევარდნისა ფრენა მე,
 ბულბულისა ენა მე,
 და შენგამო, შენგან მე
 ტკბილი ცრემლის დენა მე!
 სხვა, ვინატრო რაღა მე?
 რაღა დღე და რა ღამე?
 როცა შენმა სიშორემ
 გული დამიდაღა მე!



საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთი

ეს აკაკის „ნატვრაა“. ნატვრა ჰქონდა ამ ლექსს. უკეთეს რას ინატრებს პოეტის გული...

— ახლა რაღას იტყვით? — გვითხრა ლადომ, გამოუსხლტა გალაკტიონს და მაგრად ჩამავლო ხელში ხელი, — ახლაც არ დამიჯერებთ, რომ ეს ლექსი აკაკისაა? იქნებ გააგებინოთ რამე, ბატონო გალაკტიონ, ამ ურწმუნოებს, თორემ სული ამომაძერეს დაცინვით...

VI

ამ ლექსს ხშირად ლილინებდა ლადო ქუთაისში ყოფნისას. ამბობდა, აკაკის ლექსიაო, ჩემს ნათესავ ქალს თვითონ ჩაუწერა აკაკიმ ალბომშით. მანამდე დაბეჭდილი არსად უნახავთ და ამიტომაც ყურადღება არ მიაქციეს ლადოს ნათქვამს.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ 1938 წლის 17 აგვისტოს ნომერში ლადომ გამოაქვეყნა ნინო ორბელიანის ერთ-ერთი დაუბეჭდავი ლექსი ასეთი შენიშვნით:

„პელაგია ჩიქოვანი-ასათიანის სახლს ხმირად ცტუზ-
რებოდნენ ცნობილი ქართველი პოეტები და საუკუნეების
მოღაწენი. მათ შორის ჩამდენიმეგერ აქაკი ცოლილა
სტრუმრად. აქ, გარდა ნინო ორბელიანის ლექსისა, არმო-
ჩნდა აკაკის დაბეჭდიავი ლექსიც“.

ლადოს უნდოდა აკაკის ამ ლექსის დაბეჭდვაც,
მაგრამ იმ ხანებში ავტოგრაფი ხელთ არ ჰქონდა
და ისე არ დაუკერეს. ახლა კი, გალაკტიონმა რომ
წარმოთქვა იგი, გასაგები გახდა ლადოს სიხარული.

ამჟამად „ნატვრა“ დაბეჭდილია - აკაკის თხზუ-
ლებათა აკადემიური გამოცემის მე-3 ტომში. ჩანს,
ამ ლექსის სხვა ავტოგრაფიც არსებულა, რადგან
იგი ლადოსეულიდან არაა ამ ტომში შესული.


VII

თქორი წამოვიდა. ხის ქვეშ გადავიწვიმეთ.
წვრილად ჟინელლავდა და მაღლა ფოთლებიდან
ჩამონადენი მსხვილმსხვილი წვეთები კახა-კუხიო
ეცემოდნენ უფრო დაბლა მყოფ ფოთლებს და შე-
მდეგ აღწევდნენ ჩვენამდის. სიგრილემ დაპკრა.

გალაკტიონმა ცაცხვის რტო შეარხია, წვიმის
წევთები დაეპურა მის სახეს და აღმასის ცვრე-
ბით აუკიაფა ორდენი.

— სულ წვიმს და წვიმს, — ჩაილაპარაკა მან. —
რა ხანია ყაზბეგისათვის არ მომიკრავს თვალი ვე-
რის ხიდიდან, სულ ნისლი აქვს მოხვეული მყი-
ნვარ-წვერს...

მერე მხრები შეშმუშნა, ცალი თვალი მოხუჭა,

მარცხენა ლოკა ისე შეათამაშა და ააცახცაზა, რო-
ოქოს მთელ ტანში იმ წვიმის სიგრილემ ურჟოღად
დაუარაო, — და ხმის კანკალით წარმოთქმვა: 

კელნი მწვანობენ,
ჩიტი ხარობენ,
მთანი ღვარობენ,
ცვარნი ცვარობენ...

შესაბურთებელი

და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ვაჟა ჩემი ოცნება! ვაჟა ღმერთია! ეს ოთხი
სტრიქონი მას ეკუთვნის. სადღაც წამყითხავს.

„Томление удалой тоски и иступленій кипу-
чей молодой и золотой страсти“, — ასეთია ვაჟი!
ამას რომ ამბობდა, ძალზე ბედნიერი სახე
ჰქონდა.

VIII

ლადომ ერთი მწერლის ახლადგამოსული წიგნი
იყიდა იმ დღეს. კინოში ყოფნისას ალიოშამ ტი-
ტულზე გარდიგარდმო წააწერა: „წამყითხველნო,
გთხოვთ, შემინდოთ და მაპატიოთ ცოდვანი და
უმეცრებანი ჩემნი“. გალაკტიონმა ის წიგნი შეა-
თვალიერა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და ქირქილ-
ხითხითით ჩაილაპარაკა:

— აი ძრწოლით, სიცრუით, მწუხარებითა და
ბოროტებით აღსავსე წიგნი.

შემდეგ იქვე, წიგნების მაღაზიის ვიტრინასთან
შივიდა და გამოფენილ წიგნებს ათვალიერებდა.

— შეხედეთ ამ პიესების კრებულს, — გვითხრა

მან. — მაგის ავტორი ცუდი მთარგმნელის ენით
წერს, უფერული, საგაზეთო ენით; მის პიესებ-
ში ერთი ხეირიანი ქალი არაა, კაცმა ჩრდება შესუებ-
როს. ო... ო, რამდენი წიგნი გამოსულა, წამო-
იძახა მან, როცა ვიტრინის მეორე ნახევარზე ჩამ-
წყრივებულ წიგნებს მოჰკრა თვალი. — მაგრამ რად
გინდა? ბევრი ნაგავია! ნახეთ, როგორ აგურებივით
აწყვია აქ. და დიდხანსაც ასე იქნება. ბევრს ბოლო-
მდეც ვერ ჩაათავებ, ზოგს კვლავ წაიკითხავ და
ისევ დაუბრუნდები. აი ესენი, — რამდენიმე პო-
ეტის წიგნზე მიგვითითა, — უსიცოცხლონი, დონ-
დლო ლექსებია, კაცს არც თვალში მოვრის ერთ
კურცხალ ცრემლს და არც სიხარულის ნაპერწკლით
გაუბრწყინდება თვალები. რითმის უპოვარნი, უსუ-
სურები. აბა, რა იქნება, ქათამმა რომ ლაყე კვერ-
ცხი დასდოს, ისეა ეს ლექსები. ლეინის წერტივი-
თაა, წყალს რომ ურევენ. ხომ გინახავთ, გასტრო-
ნომიული მაღაზიების ვიტრინებში მუშტრის თვა-
ლისა და გულის მოსატყუებლად გამოფენილი სან-
თლის ლოყაწითელი ფუნთუშები და გალაჭული
ხის გოჭები... აქაც ისეა!

ერთი დიდი რომანი ცალკე იდო ზედა თაროზე.
გალაკტიონმა შეხედა მას და ოქვა:

— ო... ო, რამხელა ტომი გამოუცია! Изуми-
тельный и неуемный писатель!

უკანასკნელი ფრაზა რაღაც ისე გამოთქვა,
უფრო „ნეუმნი პისატელი“ გამოვიდა. ეს შენიშნა,
გაეხარდა და რამდენიმეჯერ გაიმეორა:

— Да, да, неумный, неумный... мне так и хотелось сказать: он весьма неумный писатель. ვიზის ტყავში გახვეული ცხვრის მოთმინება უნდა გქონდეს მაგის კითხვისას. ყბები დაგმშტერებუ მთქნარებით და გული ამოგეხრაკება. ესაა საბიძლიოთექო ნაგავი. სულ თხილის ნაჭუჭში ჩასატევი ფუყე აზრებითაა გატენილი და მაგის ავტორს მოგონილი ტიპები ჰყავს გამოყვანილი. ახალგაზრდობაში ლექსებს ფორხილითა და ოჩნობით წერდა. ძალიან უტრადიცია მწერალია. ასეთებისთვის, საერთოდ, ძნელია წერა. კიდევ აფერუმ მაგის ვაუკაცობას, ამდენი რომ შეუძლია. მაგის წაკითხვას არ გირჩევთ. მაინცდამაინც არაფერს დაკარგავთ და არც არაფერი შეიცვლება: უამისოდაც გათენდება, დაღამდება, ისევ გათენდება და ქვეყანა ძველებურად იბრუნებს.

ერთმანეთის გვერდით იდო ორი ცნობილი პოეტის წიგნები. გალაკტიონს ბავშვური კმაყოფილებით გაუბრწყინდა თვალები.

— ამ ერთს შეიძლება ყველაფერი არ დაუჭერო, — თქვა მან, — ედავო, არ მოგეწონოს პირად მისი შემოქმედება, მაგრამ მაინც დაიჯერებ, რომ ნამდვილი პოეტია. ფანტაზიით, ზეშთაგონებით... მართლაც ჟეშმარიტი შემოქმედია. მეორესი ყველაფერი გვერა, ყველაფერი თავის ადგილზე აქვს, არაფერი არ აკლია, მაგრამ არაა პოეტი, შემოქმედი. ეს პარადოქსი როდია. ფაქტია. პირველს აქვს ფანტაზია, ოუნდაც ბაგშეჭრი, გამოუბრყეო-

ლო, მაგრამ მაინც — გაქანება და ფანტაზია მე-
ორეს — არავითარი! ეს შემოქმედება არაა. ამ წიგ-
ნის ავტორი ღარიბი მილიონერივითაა, უფლე-
თეს მძულდნენ ტაინსტენი ვიზუალურებულს
ტიჩესკი სიმბოლისტები და ბესპრედმეტნი ფორ-
მალისტები (ზუსტად ასე გამოთქვა ეს სიტყვე-
ბი!).

ერთი კრიტიკოსის კრებულზე თქვა:

— სწორედ ასეთ ვაი-კრიტიკოსებზე ვთქვი
ერთხელ: „შენს იდეებში ობობა ხლართავს ქსელს
და მიკიოტს ჩაუდგამს ბუდე“-მეთქი. მაგის ავ-
ტორს კეთილშობილების არავითარი ტრადიცია
არა აქვს. ესაა სულით პლებეი. მაგის იდეალია:
ვიცხოვროთ ტებილად, ვსვათ-ვჭამოთ თბილად,
გვეძინოს რბილად, და მწერლობამაც ამ საქმეში
ხელი შეგვიწყოსო. ახლა ესეც ნახეთ... აი, ასეთ
პოეტზეც მაქვს ნათქვამი: „თავის თაობას თანვე
დააკვდა, თაობის ადრე ამოხდა სული...“

— ნუთუ ყველაფერს კითხულობთ, ბატონო
გალაკტიონ? — შეეკითხა ალიოშა.

— ვკითხულობთ, ვკითხულობთ... გალაკტიონი
ყველაფერს კითხულობს... მოვალეობა, ხეცია, მო-
ვალეობა! — და ნიკაპი ისე ჩამალა ფართო ხელის
გულში, თითქოს მაშინ ჰქონდა ის ფართო წვერი.

უცბად წიგნებს თავი ანება, მსხვილი კისერი
დაძაბა და თავის ქიცინ-კანტურით მოგვმართა:

— თქვენ ოგარიოვის „ძველი სახლი“ წაგიკი-
თხავთ? უჰ, რას ამბობ? აბა, ის არის, რაც არის...

გამაცოცხლე, მანატრე,
თუნდ საფლავშიც ვდნებოდე...



ესეც ხომ კარგია? ხომ იცით ვისია?

IX

ერთ ხანს დუმდა, თავაწეული. თვალებს ახამხა-
მებდა და რაღაცას ჩურჩულებდა. უცბად განზე
გადგა, კვლავ გადათელა ნარგავები, შემოუარა ერთ
ნორჩ ცაცხვს, ალერსით ხელები მოხვია მის აშოლ-
ტილ ტანს და ჩაიდუღუნა:

— ამას შემოხედეთ, რა ტანქენარია. რა ლამა-
ზია. გინახავთ ვერის ხიდის თავში, სახელგამთან, სა-
შინლად მახინჭი ბჟოლა? აბა, ის არის, რაც არის!
ნამდვილი დემონიური ხე! ამას კი არა ჰვავს...

სანამ მტკვრის დღევანდელი მარცხენა სანაპი-
რო გაკეთდებოდა, წიგნის სასახლის წინ, ხიდის თავ-
ში, იდგა ერთი დიდი თუთისხე, უცნაურად გაბარ-
ჯლულბოლებიანი, იდგა ის ზედ მტკვარზე გა-
დამხობილი და მთელი მისი ტანი და ტოტები მარ-
თლაც არაბუნებრივი სანახავი იყო.

ამბობენ, პარიზიდან ახლადჩამოსულ გალაკ-
ტიონს, ერთ მთვარიან საღამოს, იმ თუთის ძირას
ჩასთვლემია და ქურდებს მისთვის პარიზული კოს-
ტუმი მოუპარავთო. მას შემდეგ გალაკტიონი ისე
არ ჩამოუვლიდა იმ ხეს, გაბრაზებით რომ არ წამო-
ეძხა: „აი, დემონიური ხე! დემონიური ხე!“



შემდეგ მე მომიბრუნდა.

— ჩემი ოქრონიკა, ახალი რა მმწების? ეს რა
გიჭირავს ხელში? „ჩვენი თაობა“? აზალი ნომერი?
რომელი გამოვიდა ახლა?

— მეცხრე, ბატონო...

— შემდეგი რომელი იქნება?

— მეათე...

— უყურე შენ, მეათე! მერე — მეთერთმეტე,
შემდეგ — მეთორმეტე და... ასე შემდეგ. თქვენ
რას დაგვიწერთ ახალსა და კარგს? უნდა წეროთ,
უნდა წეროთ... რედკოლეგიის სხდომებს თუ
იწვევთ დროზე? „მნათობში“ რედკოლეგიის სხდო-
მები ყოველთვის იმართება, ვესწრები, ერთობ სა-
ინტერესოა. „მნათობი“ ჩემი დაარსებულია. ყვე-
ლა ჩემი ლექსი თითქმის იქ დამიბეჭდია. ერთხელ
ასი ლექსი ერთად მოვათავსე, ერთ ნომერში. ვინ
ჩაიდინა ასეთი საქმე კიდევ? მხოლოდ და მხოლოდ
თქვენმა გალაკტიონმა. არ ვიცი, არ ვიცი.... მდაა!
ახლა რომ „ჩვენი თაობის“ რედაქციაა, იმ ოთახში
რამდენიმე წელი ვცხოვრობდი. ეს უნდა აღინიშ-
ნოს: მოაწყეთ სტენდი ან სხვა შსგავსი საიშვიათო
რამ... ეს თქვენი მოვალეობაა „მნათობში“ უკვე
აწყობენ, — ხუმრობდა გალაკტიონი და იღიმებო-
და.

ბოლოს ხმამაღალი ლაპარაკი სულ შეწყვიტა და
ჩურჩულში გადავიდა. თითქოს ჩვენთან აღარ იყო

და ვერც გვამჩნევდა. ბოლოს გამოერქვა, მხრეში
შეარხია და იდუმალი ხმით ჩაგვეკითხა:

— ხომ გასაოცარია, არა? განა თქვენ არ ვარ-
ცებთ მუდამ ერთ აღვილას მდგომარე ხე, შეუჩი-
რებლად მსრბოლი მდინარე, მოსიარულე ცხოვი-
ლი, მოლაპარაკე ადამიანი, ვარსკვლავებიანი ცა და
კიდევ რამდენი და რამდენი რამ?.. აბა შეხედეთ,
ხე სულ დგას, მდინარე მიღის, სულ მიღის... არავისი
ჯავრი არა აქვს. ხე უფრო ეგოისტია თუ მდინარე?

ისევ დადუმდა, ფეხის თამაშით გაიარა რამდე-
ნიმე მეტრი, უცბად შემოტრიალდა და შესძახა:

— „მარსელიოზა!“ რუსე დე-ლილი... რიუდის
ქანდაკება ეტუალის ტრიუმფალურ თაღზე... „მარ-
სელიოზა!“ დელექლიუზი და ლუიზა მიშელი რომ
მღეროდნენ პარიზის ქუჩებში.. პერ ლაშეზ, პერ
ლაშეზ!..

იმეორებდა ის დუდუნით და ეს სიტყვები არ
შორდებოდნენ მათ აღმომთქმელ ბაგეს, ისევ ბრუნ-
დებოდნენ და იხიზნებოდნენ კბილთა გვირგვინებს
მიღმა.

— ძამიკოებო, იწყება მსოფლიო ომი. ევროპას
გადაეფარა მისი შავი აჩრდილი. პიტლერი უახლოვ-
დება პარიზს. მალე გადაიღებს ფოტოსურათს ეი-
ფელის კოშკის ფონზე. დაეცემა პარიზი, ჩემი პა-
რიზი! რა ქნას მაშინ თქვენმა გალაკტიონმა? თქვენ
რაღას იზამთ, ოქრობიჭებო? — მიმართა მან ახალ-
გაზრდა პოეტებს.

— ჩვენ ჯარში მივდივართ, — უთხრა მირზამ,—

მე და ლადო უკვე გაწევეული ვართ და, ალბათ, სა-
კაა მალე გამოგვიძახებენ.

— ყოჩალ, აბა, ჰე, თქვენ იცით, — უთხრა მათ
გალაკტიონმა, — წადით, წადით, და თუ ბრძოლებ-
ში მიიღებთ მონაწილეობას, თქვენს ბიოგრაფიაზე
პოემებს დასწერეთ...

— მანამდე კი თქვენზე დაუწერთ კარგ ლექსებს,
ჩემო ბატონო, — უთხრა ლადომ და მირზას გადა-
ხედა.

უკვე შუალამე იყო. ქვემო მხრიდან ნელი ნაბი-
ჭით გვიახლოვდებოდნენ ვიქტორ გაბესკირია და
შალვა კაშმაძე. ვიქტორი მოგვესალმა და იქვე შემ-
ხედრ ნათესავსა თუ ნაცნობს დაემგზავრა. შალ-
ვა ჩვენთან მოვიდა, გალაკტიონს მკლავში ხელი
გამოდო და გვითხრა: ყმაწვილებო, ახლა მე დამით-
მეთ გალაკტიონიო, და ჭუკჭუკითა და ნელი ნაბი-
ჭით გაუყვენენ რუსთაველის ძეგლისკენ.

წასულამდე გალაკტიონმა ხელი გააშვებინა
შალვა კაშმაძეს, ისევ მობრუნდა ჩვენთან და ჩიი-
ლილინა:

გული მქონდა, სული მქონდა, ფული არა,
შაგრამ მაინც ვიცინოდი გულიანად!

რას ჰეგავდა მაშინ მისი გაბადრული სახე?
„ლომს, ვეფხვს, ზღვას, კუნძულს, ხომალდს“, თუ...
შედარებები შორს წაგვიყვანს!

იმ კვირაში ლადომ მოიტანა ლექსი „გალაკტიონს“ და რედაქციაში წაიკითხა. ალიოშა საჭარაშ თვალი ჩაგვიქრა: მას ლადოს გაგულისება უნდოდა, და, თითოეული სტრიქონის წაკითხვისას, „არ ვარ-ვაო“, გაიძახოდა. ლადო მართლა გაბრაზდა, ნაწერი დაჭმულება და განევას უპირებდა. ძლივს გამოვ-გლიჭე ხელიდან.

ლექსს არა უშავდა რა, მაგრამ გალაკტიონის ღი-ასი და შესაფერი რომ ვერ იყო, ამას ლადო თვი-თონაც ხვდებოდა და, მგონი, ამან უფრო გააბრაზა.

—არ გამოვიდა კარგი, როგორც მე მინდოდა,— ვვითხრა მან,—მაგრამ ახლა მაგას ვეღარ გადავაკე-თებ. სხვა დროს ვცდი და მეორეს დავწერ. გალაკ-ტიონი უფრო დიდის ღირსია. ის დიდია, დიდი...

ეს ლექსი მაშინ არსაც არ დაბეჭდილა. მხოლოდ შემდეგ შევიდა 1960 წელს გამოცემულ კრებულ-ში („ჩემი ქვეყნის ოქროყანა“). ის ალსანიშნავია, როგორც გალაკტიონთან იმდამინდელი შეხვედრის ფაქტი.

მირზას მანამდე (1938 წ.) ჰქონდა ერთი ლექსი გალაკტიონზე და ომში ყოფნისას (1943 წ.) დაუ-წერია კიდევ თექვსმეტსტრიქონიანი მეორე ლექ-სიც ჩვენს დიდ პოეტზე. ისინი ახლაც ამშვენებენ მირზა გელოვანის წიგნებს.



საით შავიდნენ ვაშეგი?

შენ მაშინ ტყვევხით
სტრიქონებს წერდი
და მამულისთვის
მიქროლი წინ...
რევაზ მარგარიტი

I

ერთი მცირე ზომის ფოტოსურათზე გამოხატულია რუხმაზარიანი ჭაბუკი: თავზე ძაბრულა ქუდი ახურავს, საფეთქელთან ხელთათმანიანი ხელი მიუდევს და გამოჯვიმულა... ეს ლადო ასათიანია, საბჭოთა არმიის რიგითი ჭარისკაცი.

სურათის მეორე მხარეს აწერია: „სალამი და გამარჯვება, ნიკალაი ძმაო! ლადო ასათიანი. 1939 წელი, 1 დეკემბერი. საფოსტო ყუთი 27/2 მეექვეს ასეული“.

ის და მირზა გელოვანი ერთად გაიწვიეს ჭარში 1939 წლის ოქტომბრის ბოლოს. ახლო მეგობრები და „ჩვენი თაობის“ რედაქციის თანამშრომლები, ნათესავებთან ერთად, მთელ კვირას თან დაჰყვე-

ხოდნენ თრივეს სამხედრო კომისარიატში და შე-
საკრებ პუნქტებზე — ერთი რაიონიდან მეორეში.
კიროვის ქუჩაზე — ლიტფონდის ფოტოატელიეში
ერთი დიდი სურათი გადაიღეს. იმ სურათზე მრავალი
ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, დამიტრი ბერძენი
შეილი, ერემია ქარელიშვილი, ნიკა აგიაშვილი,
გრიგოლ აბაშიძე, გიორგი კალანდაძე, რევაზ მარ-
გიანი, ალექო შენგელია, ალექსანდრე საჭაია, ლეო
კიქნაძე, ლადო ავალიანი, ვასო ლორთქიფანიძე,
გაბრიელ ჯაბუშანური, გივი კაჭახიძე. ახალწევეუ-
ლები ჩვენს წინ მხართებოზე — გვერდიგვერდ —
წამოწვენენ, ომგადახდილი გმირებივით...

და, აი, პირველი ნოემბრის საღამოს ყველანი
სადგურზე აღმოვჩნდით. რაღაც ფორმალობის გა-
მო, მირზას წასვლა რამდენიმე დღით გადაიდო.
დროებით ისიც გამცილებელთა მარაქაში მოექცა.
ყველაზე მეტად ამან დაწყვიტა თრივეს გული. უკა-
ნასკნელ დრომდე ეგონათ, ჯარში ერთად ვიქნე-
ბითო...

გამომშვიდობებამდე თრივენი მხიარულნი იყვ-
ნენ. ხუმრობდნენ და იცინოდნენ, მხოლოდ ძველე-
ბურად აღარ უბრწყინავდათ თვალები. განსაკუთ-
რებით ლადო იყო დალონებული, მარტო წასვლა
ეძნელებოდა. როცა ყველანი გადავეხვიეთ და მირ-
ზამაც გადაკოცნა, ბალლივით დაიმორცხვა, რაღაც
სიტყვების ბუტბუტი დაიწყო, მკაფიო ლაპარაკი
გაუჭირდა, სიტყვებს ხელები შეაშველა და ჰაერს
მოუპოტინა. ხმაში თრთოლვა შეეპარა და კანკალი

აუტყდა ისე, როგორც ლექსის კითხვისას /მაშაბაევი/ მატარებლისკენ წელმოწყვეტილი წავიდა. როცა ვაკონის ფანჯრიდან თავზე გადმოგვადგა, არც ლოცვები ჰქონდა შეფაკლული და ცალი ჭურულებული აპილპილებოდა, როგორც იცოდა ოდნავი შეელვარების დროსაც კი. სიქსიქებდა შემოდგომის ციკი ქარი. ფანჯარასთან მდგარი ლადო მაგრად იხევედა ყელზე კაშნეს და ისწორებდა გრძელი პალტოს კალთებს.

II

მეორე დღიდანვე იწყო გზადაგზა გამოგზავნილ-მა წერილებმა მოსელა. ლადო ახალწევეულთა ერთ დიდ შემადგენლობას გააყოლეს და ჯერ არ იცოდა, სად იყო საბოლოო დანიშნულების ადგილი... წე-რილებსა და დეპეშებს ვდებულობდით კიროვაბა-დიდან, ბაქოდან, მახაჩყალიდან, როსტოვიდან, ლის-კიდან. ეს იყო სხვადასხვაფერი ღია ბარათები, რაც საგზალთან ერთად ბლომად მოვუმარავეთ. ერთ-ერთი ბარათის ცალ გვერდს ამშვენებს ლადოს სა-ყვარელი ფიროსმანის სურათი — „მეაქლემე თა-თარი“, ხოლო ბარათებს, დევიზისა თუ პაროლის მსგავსად, ლადოს ხელით აწერია „გაუმარჯოს სა-ქართველოს!“

გზაზე ცოტათი გაცივებულიყო და იწერებოდა:

„როსტოვი ვართ, ირგვლივ თოველია და ყინვა საში-ნელი. არ ვიცით, სად მივდიდართ. მე ვეადა ვარ, სიცხე მაქვს 37, 5, უფრო უარესად ვიყავი გზაზე, ექიმიც

კი გამოიძახეს ჩემთვის შახაჩყალიფან, შავრამ არაფა-
რია — გაეუძღვებ და ყოჩალად ვიქწები!..

ბოლოს ქალაქ ოსტროგოვსკიდან მოვიდა წერი-
ლი და ამით გავიგეთ, „აღგილზე რომ ჩივიდა?“
ოსტროგოვსკი ვორონეჟის ოლქის ყოფილი სამაზ-
რო ქალაქია.

იქიდან მოიწერა:

„ივადმყოფობამ გამიარა და ახლა არა მიშავს, მიუხე-
დავიად საშინელი სიცივეებისა, და სიცივეში, ხომ იცი,
შენ, როგორი ვაეკაცია ლადიმიო ასათიანი. ამიტომ რანაი-
რად ვარ, ნიკალა, რომ იცოდე, თვალები დაგისველდება.
დავით გურამიშვილის „ქართლის ქირის“ ოცდამეთორმე-
რე ტაები წაიკითხე და ისე ვარ, იქ რომ წერია...“

მეორე წერილით იტყობინებოდა:

„ჩემი საქმე ყერ არაა გამორკეული, სად ჩაგვრიცხა-
ვენ, არ ვიცი. რადგანაც ავალი ვარ, მეუბნებიან, მწყობრ-
ში არ გატარებენო, სადმე სხვა საქმეზე დაგნიშნავენო.
მეც დღედღვზე ვუცდი ამ „საქმეს“, ეგბ, ცოტა მეშ-
ველოს რამე.

მირზა უკიდ წასული იქნება და შეიძლება ახლა ფი-
ნეთის ომში იყოს. ნეტავი იმასი ჩემს მდგომარეობაში
ყოფნის ბრძოლებში მირჩევნია. იქ ვაეკაციას მაინც გა-
მოიჩენს კაცი და დამიტასდება კიდევ. გამომიგზავნე მი-
სი მისამართი, წერილს მიეწერ (ლადოს გამზადებიდან
რამდენიმე დღის შემდევ მირზაც წავიდა ჭარში, ამ დროს
ხარკოვში იმყოფებოდა და იქიდან იგზავნიდა გულთბილ
ბარათებს. ნ. ა). ფული ვერწერილით მაქვს, თუ შემომე-
ლია, იცოდეთ, არავის მოვერიდებით.

ოსტროგოვსკი, როგორც ერყობა, ძველი ქალაქია, მდი-
ნარე ტიხია სოსნას ნაპირას მდებარეობს. ყოველ ფეხის

ჭადადგმაზე აქ ეკლესიებია და ტელებური დუგიები. ეს ტიხია სოსნა ახლა სქელ ყინულქეშაა პოფირებული და მართლაც წყნარია. მაგრამ, ალბათ, გაზაფხულზეც არ იქნება „შეშპარა და მჩქეფარე“. ქალაქში ბევრია სახმელ-საჭმელი და ხალხიც კარგი უნდა იყოს ჭერა. არავინ გამიცენია.

მართლა, სამხედრო ფორმა მაცეია, რომელიც, უნდა ვითხრა, ცოტათი კიდეც მიხდება და ნამდეილ ბუმბერაში ვგავარ. მტერთან ბრძოლაში მარჯვე მეომარი ვიქნები ნამდვილად, და არ შევარცხვენ წითელარმიელის სახელს.

ნიკოლაშა, წერილის მიღებისთანავე, თუ გიყვარდე, აიღე ხელში კალამი და მომწერე წერილი: რა ამბავია ჩეენს საყვარელ თბილისში? რუსთაველის პროსპექტზე რას შერჩებიან ჩეენი ძმა-პოეტები და მწერლები? ხომ არ დამიიციშვეს?

როგორ არიან „ჩეენი თაობის“ პაპანი: ირაკლი, დიმიტრი, ერემა? რევაზ მარგიანი „მთასა მყეირალი ირემი-ვით“ დაეხეტება, თუ უკვე მოძებნა ვინმე — ჩემსავით სტაციონალური? მომიკითხე ალიოშა საჭაია, გრიშა აბა-შიძე, კოლეგიარ ივალიანი, ვოგი კალანდაძე, ვახტანგ ჭელიძე, გივი გაჩეჩილაძე, ალექო შენგელია, ლეო კიქნაძე, გაბრიელ ჯაბუშანური და სხვანი და სხვანი — ძმანი ჩემნი საყვარელი — ხომ მიგონებენ? უჩემოდ დადიხართ და სთელავთ ჩემს საყვარელ რუსთაველის პროსპექტს, განა ეპ, საქართველოვ, ახლა გავიგე რა ყოფილხარ! ნედამიერიყებთ, ცოტა ხანს მაინც გახსოვდეთ, წერილებით გამახარეთ!

ანიკო ვაჩნაძეს თუ ვახსოვარ? ძმური ყურადღება მიაქციეთ და პატივი ეცით ისე, როგორც მე მაფასებდით.

ვაუმარჯოს ჩემს მეგობრებს, ვაუმარჯოს საქართველოს, ჩეენს ლამაზ სამშობლოს — სამოთხესი საქართველოს ვაუმარჯოს!

შემდეგ სავსებით კარგად გამხდარა და დაწვრილებით იწერებოდა იქაურ ამბებს. იყო ვორონეჟში, დაათვალიერა ვორონეჟის მქვიდრთა კასტრივის, ნიკიტინისა და სტანქევიჩის—ლიტერატურული მუზეუმი, კრამსკოის სახელობის სამხატვრო გალერეაში ნახა რეპინის, ლევიტანის, პოლენოვის, აივაზოვსკისა და თვით კრამსკოის (ისიც ვორონეჟელი იყო) შედევრები. გაიცნო საბავშვო მოთხრობათა მწერალი მიხაილენკო; კინო-თეატრებში ნახულობდა ქართულ ფილმებს. იყო მდინარე ტიხია სოსნის ნაპირას მდებარე სოფელ ნოვაია ოსინოვკაში, სადაც არმიელებმა „შაბათობა“ მოაწყეს კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ დასახმარებლად. აღწერილი აქვს სოფლები კრივაია პოლიანა და შუბნე, იგონებს ოსტროგოსკს და სახელოვან პოეტ-დეკაბრისტს რილეევს, რომელიც — ჯარში ყოფნისას, დიდხანს ცხოვრობდა ამ ქალაქში. სწორედ ოსტროგოსკში გაეცნო ლადო უფრო ახლოს ამ რევოლუციონერი პოეტის თავისუფლებისმოყვარულ ლექსებსა და პიმნებს. იწერებოდა, რილეევის ლექსები უნდა ვთარგმნო და ჩამოვიტანო.

„გულდასმით გადავიდითხე კოლუოვისა და ნიკიტინის სევდიანი, მომხიბვლელი გლეხური ლექსები,—წერია ერთ წერილში, — ბევრი ვიარე ვორონეჟის ქუჩებში, ვიხეტიალე ლენინის პროსპექტზე — ესაა ქალაქის მთავარი მაგისტრალი — უზარმაზარი პარკით, აქვეა კოლუოვისა და შიკიტინის საფლავებიც, ზაფრაშ ისინი ახლა თოვლითაა

დაფარული. ტექნიკურ მიმდგარი უზარმაზარი ვერსეტი და
მირიალი ყვავებითაა მინაბლული ცველგან და ყოველ უ-
ხის ნაბიჯზე. გასაოცარია, როთ იკვებება ამდენი, ქრინე-
ლი! ამაოდ ებრძვის მათ ჩემი ახალი ნაცნობი მშენებლი
მიხილენჯო, რომელიც ამავე დროს ამ დიდი პარტიის და
მინისტრატორიც ყოფილა. ნეტავი როგორი იქნება ეს
მიღამოები ზაფხულზე?“

IV.

სამი წლის შემდეგ, 1943 წლის დამდეგს, როცა
საბჭოთა ჯარების მოქმედი ნაწილები მიერკეყნოდ-
ნენ სასტიკ ბრძოლებში განაღებურებულ ფაშისტ-
თა არმიის ნარჩენებს, ჩვენმა ამხანაგებმა ინახუ-
ლეს ეს ადგილები. ირგვლივ გაპარტახებული იყო
ყველაფერი: აღარც ქალაქის დიდი პარკი, და
კოლცოვისა და ნიკიტინის ძეგლები, არც ქრამს-
კოის გალერეა და ის მუზეუმი, აღარც ტიხაია
სოსნის ნაპირებზე გაშენებული მშვენიერი წყნარი
რუსული სოფლები... ვერხვნარიც ამოეძირკვათ:
საგულისხმო იყო: თავზარდაცემულ და მუსრგავ-
ლებულ ავაზაკებს იმ სუსხიან ზამთარში ვერხვები
შეშად და საკუთარი საფლავების ჯვრებად აღარ
ეყოთ, ხოლო ყვავები — მშიერი კუჭის ამოსა-
ყორავად!

V

ლადოს იქ ყოფნის დროს კი, თითქოს, ვერ კი-
დევ შორს იყო საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან
მსოფლიო ომის ხანძარი, მაგრამ, იმ შემოდგომის
მიწურულს ფინეთთან გამართულ ორთაბრძოლაში,

იგრძნობოდა, რომ ვერაგი მტერი ნიადაგს სინჯავ-
ლა საბოლოო და გადამწყვეტი იერიშებისათვის.

მირზა გელოვანსაც ეგონა, ფინეთის ომში მო-
მიხდება მონაშილეობის მიღებაო (ასე იწერებოდა
იგი), მაგრამ ჯერ ტანკისტთა სასწავლებელში
გაამწესეს, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ
სხვა მიმართულებით გაჰყენა ომის გზებს, „სულ
მქუჩარე ბრძოლებში იმყოფებოდა“ და ხუთი წლის
მანძილზე „სუნითქავდა დენთისა და ტყვიების
ბოლს...“

„მე მაინტერესებს, ლადო სად არის, — იწერებოდა
ის პირველ ხანებში. — გწერს თუ არა წერილს? რა იცი
მისი? რახა გწერს, როგორ ვარო? მისი ფიცხი ხასიათი
მაღვევე ხომ არ მოსტებეს? მისწერე ჩემი სალამი და ჯანმრ-
თელობა უსურევე. მისი მისამართიც მომაწოდე.

ილბათ, „ჩვენი თაობა“ სავსეა ხალხით და პოეტობასთან
ერთად ყველა ჰკენებს ეავკაცობას. ეს ძალიან კარგია. მე
მაინტერესებს, თუ არის რამე ახალი ამბები მაქეთ! ჩე-
ზო მარგიანი უკეთ გაიჩინდა ახალ კამპანიონებს, მაგრავ
მე არ მეგულება ახლა მაქ ვინმე, ლადობა რომ გაუწი-
ოს ჩვენს რეზოს.

მშეიღობით. მე, ხომ იცი, არსად არაფური შიჭირს ერ-
თის მეტი: ოჯახის ჯაერი მაქეს...“

შემდეგ გამოგზავნილ წერილში კი ასე წერს:

„ჩემმა ოდნავმა გამოცდილებამ სამხედრო საქმეში,
და — საერთოდ — ცხოვრებაში, ამხანაგებისა და უფრო-
სების პატივისცემა დამიმსახურეს, თუმცა პირეელად მა-
ინც მექნელებოდა ყველაფური... მერე სწავლა დავამთავ-
რეთ, მე და რამდენიმე ამხანაგმა მანქანები მიეიღოთ და

შევეღით. საშინელი სიცივეებისას მატარებული კუპონულობრივ ჩვენს მანქანებს. თბილი ტანსაცმელი ხიცემის ვერ იქნერდა სრულიად. ვიყავით იქ, სადაც, მოუხდავა სასტიკი ყინვებისა, ყველაფერი იწვოდა და დაულია. ზერგები ზე ზე დაიღო და ისევ დავბრუნდი.

ახლა იქა ვარ და, ვინ იცის, კიდევ საით წავალო.

იცი, საოცრად გვიციტებე ენა რესულში. თავისუფალ დროს მე ვუმბობ ჩემს ამხანაგ რესებს ქართული მწერლების შესახებ. მიხარია, რომ მათ ვუყვარეთ. ისინი საქმაოდ გულკეთილი ამხანაგები არიან და ზოგი იღუმ. ლად ზრუნავს კიდეც ჩემზე. მაინც მენატრება მანდაურობა. მომენატრა ქართული პური, ქართული ღვინო, ქართული პაერი!

ბენზინის სუნი უკვე თვისებად მექცა. ჩემი ხელები არა სოდეს არ არიან სუფთანი. მთელი დღე საჭეს ვუზიგარ. მაინც დრო მიდის და ვადაეწყვიტე, შევისწავლო სხვა საქმეებიც. საბრძოლო მანქანაზე მუშაობის ნებართვა დიდი ხანია მაქეს. მერე სამოქალაქო შოტრის წიგნაკიც მიკვიდე. ახლა უკვე ნება მაქეს ვიმუშაო შოტრად საბჭოთა ქილაქებში განუტჩელად. გუშინ კი მოტოციკლების შესასწავლა წრეში ჩაეცირე — დაე, ისიც მიემატოს ჩემს ხელობას!

მე მაინტერესებს, როგორ გრძნობს თაგს ლიტერატურული საქართველო თავისი „ლიტერატურული საქართველოთი“? მე მაინც ვახერხებ თითო-თრიოლა ლექსის დაწერას. გიგზავნი რამდენიმე მათგანს და ყველას გოხოვთ, დამიბეჭდონ ისინი. საერთო სათაური მიეცით „გაუგზავნელი ბარითები“, ანდა ისევ „უბის წიგნაკიდან“ (ისინი მართლაც უბის წიგნაკებში იწერებიან!), როგორც უმჯობესად დაინახოთ. მომიერთხე ყველა ჩვენი ამხანავი.

მათ ნიკოლოზ, რომ ჩამოვალ და ერთმანეთს შეეხედებით, მოგიოხროშ ძაღლიან ბეჭრ საინტერესო ამზიდს...“

ჩემო - ძვირფასო მირზა! ომის შემდეგ შენი ხა-
თესავები და მეგობრები ამაოდ ეძებდნენ შენს კზა-
კვალს. ვით, რომ ვერ ელირსე შინ გამარჯვებით
დაბრუნებას და უთქმელი დაგრჩია ის „ჩალტან ბევ-
რი საინტერესო ამბავი!“

სად დაიკარგე, სად დარჩი,
რად სდუმხარ, რად არ ხმიანობ?
იალონივით ხმატებილო,
ხმალბასრო, კალამფხიანო?!

VI

...ლადო ასათიანი კი დიდხანს როდი იყო არ-
მიის რიგებში. სამხედრო-საგარნიზონო კომისიამ
საესებით გაათავისუფლა სამხედრო სამსახურიდან.
„შეიძლება ორ კვირაში გნახო და ისევ ბევრჯერ
გავიარო ჩვენი თბილისის მზიან ქუჩებშიო“, —
წერდა 1939 წლის 22 ნოემბრის წერილში და ეს
წერილი, როგორც ლადოს ჩვევოდა „ყველაფრის
ლექსად გარდაქმნა“, იწყება ასე:

„ძმაო ნიკალა!

იცი? შენთან, რა ხანია მიმოწერას ვაპირებდი.
გამარჯობა, გესალმები ტიხი სოსნას ნაპირებით.
შძიშედ რეკას თხტროვოქსეის ეკლესიის დიდი ზარი,
მე სიონი მავონდება, გულს მედება ცეცხლის ალი.
მავონდება საქართველო, საქართველოს ლურჯი მთები.
და ამიტომ, რაც დრო გადის, კიდევ უფრთ უჩჩი ვხდები.
და ვიძახი, ვამარჯობათ, საქართველოს ლურჯო მთებო,
ვამარჯობათ, ცხრამთას იქით დაკარგულო მეგობრებო!


გამარჯობა საყვარელო, სიყვარულო, გამარჯობა, ღმერთმა ნერც ერთს მოგიშალოთ სტვირთბა და ქმანწობა ჰაუ, ჩეზო მარგიანო, ნეტავ ახლა საითა ხარ? დაგამუნებს, გაგაუშებს, ნუ აიღებ ჩაის სტანის, ჰაუ, კოკი საფაავ, ჩემმა ხმამ რომ გაგაოცა, მარგიანიც შეაჩვიდ შენს საყვარელ კავთხა და სხვა...“

ავადმყოფობას რომ ხელი არ დაერია, ლადო, უეჭველად, ჭარში დარჩებოდა და ისე მალე ვეღარ ვნახავდით. ომი მოუსწრებდა. და, იქნებ, მასაც მირზა გელოვანისა და გიორგი ნაფეტვარიძის ბედი გაეზიარებინა ანდა, დაგვბრუნებოდა სახელოვანი და ახალ-ახალი ლექსებით დატვირთული... ვინ იცის!

VII

დექემბრის თბილისურად ერთ თბილ დილას, როცა „ჩვენი თაობის“ რედაქციაში შევედი და „მნათობშიც“ შევიხედე, იქ დივანზე იჯდა ლადო ასათიანი თავისი ქლალი პალტოთი, გრძელი კაშნით ყელშეხვეული და ქუდჩამოფხატული. იგი რალაცას უამბობდა სიმონ ჩიქოვანსა და კარლო კალაძეს, ირგვლივ ჩვენთაობელები შემოხვეოდნენ.

ჩემთვის ისე მოულოდნელი აღარ იყო ლადოს ჩამოსელა, რადგან უკვე მოველოდით, მაგრამ მაინც ვეღარ დავთარე სიხარული... მომეხვია, მიმიზიდა და მხარზე მომითათუნა ფართო ხელი. ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, და საავადმყოფოდან ახ-


ლადგამოსულს ჰგავდა. ხელში მომხვდა მისი კოდე-
ლი, საშინლად ცხელი თითები.

შემდეგ: სიყვარელი ტოლმეგობრების, დაცოლა-
შვილება, პირველი წიგნის გამოსვლა, ქვეყნის
ზის სიყვარული... და „მისმა ცხოვრებამ მიიღო
ჩვეულებრივი სახე“.

აღრი წასული კაცის ფიქრები

ჯარში რომ მიდიოდა, ლადომ გადმომცა ზოგი-ერთ დაბეჭდილ და დაუბეჭდავ ნაწარმოებთა ხელ-ნაწერები, რამდენიმე სხვადასხვა დოკუმენტი, ნა-თესავებისა და ამხანაგების მიმოწერა და ფოტო-სურათები, მწერალ-მსახიობთა ჩანახატები, ეურ-ნალ-გაზეთებში მოთავსებულ მასალათა ამონაქრე-ბი, ძველი მეფისდროინდელი ქალალდის ფული (500, 25, 10 და 5-მანეთიანები), ბენო გორდეზია-ნის „ნიკო ფიროსმანაშვილი“, შოთა რუსთაველის, ავაკის, მაიაკოვსკის, კოტე მარგანიშვილის, ლადო მესხიშვილის, ვანო სარაჯიშვილის, ნაპოლეონისა და ჩირლი ჩაბლინის სურათები (უკანასკნელის შე-სახებ — კინოკადრებითა და წერილებით), მაიაკოვ-სკის ოფახისა და მისი აკვნის ფოტოსურათები, ქუ-თაისის, გელათის, სათაფლიის გამოქვაბულის, მისი მიღამოებისა და დინოზაერთა ნაკვალევის ხედე-ბი — პეტრე ჭაბუკიანის სურათიანდ; ეურნალ „მნათობის“ გვერდები, სადაც დაბეჭდილია გიორ-გი ლეონიძის „ცხოვრება ფიროსმანისა“ და სხვა.

ამ მასალებში იყო აგრეთვე ლადოს მიერ თარ-

გმნილი: პუშკინის „სადგურის ზედამხედველი“ / რა
რამდენიმე ლექსი, მამინ-სიბირიაკის „ემულია მო-
ნადირე“, მიხალკოვის „ძია სტეფანე“, შევჩენკოს
„ქავკასია“, კვიტკოს „იავნანა“, ბიანკის „დათვი“,
ულრინალი „მშრომელი ქალი“ (1936 წ. №№ 1 და 4),
რომლებშიც დაბეჭდილია ლადოს ორი ნარკვევი,
და მე-4 ნომერშივე მოთავსებულია მისი მეგობ-
რის — გიორგი შალამბერიძის ლექსი „სტახანოვე-
ლი ქალის სიმღერა“).

ფოტოსურათებშია ივანე მაჩაბლის პორტრეტი,
ლადოს მიერ წარწერილი ლექსით:

ბევრჯერ ეწევე სიკეთე თბილისს,
ბევრი პოეტის ფართო გონება,
საქართველოს კი ასეთი შეილი,
ნიკოლოზ, დიდხანს არ ეყოლება!

აქვეა ლადოს მიერ თარგმნილი სერგეი ესენინის
შემდეგი ლექსიც:

* * *

ყველა სულდემული თავის ბედს მიძყავს
და ყველას ბედის ლოდინი დალლის,
მე რომ პოეტი არ ეყოფილიყავ,
დამიძახებდნენ ქურდა და თაღლითს.
ტანად დაბალი და კაფანდარია,
ბიჭებში ყოჩი, სინდისიანი,
თითქმის ყოელდე, არ დაგიმალავთ,
შინ ებრუნდებოდი პირსისხლიანი.
და განცეიფრებულ დედაჩემს ასე,
კენესით ეტყოდი ანგლობის ამბავს:
ეგ არაფერი, დავეცი ქვაწე



და ხეალ დილამდის მოერჩები ალბათ.
 და ახლა, როცა შორით წასულან
 იმ ნათელ დღეთა მღელვარე ხმები,
 ზეიალმა ძალამ, მამაკაცურად, ეროვნული
 ჩემს პოემებში გაშალა მხრები. ტელევიზიონი
 ოქროს სიტყვების ძვირფასი ხვევი
 ყოველ სტრიქონში საქეცინოდ მამხელს,
 როგორც თდესლაც უშიშარ რაინდს,
 როგორც მოჩხებარს და როგორც თავხედს.
 და დაერჩი მაინც ამაყი დღემდე,
 მხოლოდ ახლისკენ ვალგამ ნაბიჯებს
 და თუ წარსულში სახეში მცემდნენ,
 ახლა ეს სული სისხლით ამივსეს,
 და დედის ნაცელად ვავუწყებ ასე
 ბობოქარ ბრბოებს ანგლობის ამბავს,
 — ეგ არაფერი, დავეცი ქვაზე
 და ხეალ დილამდის მოერჩები — ალბათ.

საბურთალოს ბაზარში, ბუკინისტიან, შევიძინე
 ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა ძველი გამოცე-
 მა (დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით) და ლადოს
 ვაჩუქე. ჯარში წასვლისას უკანვე დამიბრუნა, შე-
 მინახეო მითხრა და ტიტულის მეორე გვერდზე წა-
 აწერა ეს ლექსი:

მე მახარებს, როცა ძველი
 წამოღება უცებ,
 და ახალის შუქნათელით.
 გაანათებს ცურცლებს.
 მე მახარებს, შენც გიტაცებს,
 და ნუ მკითხავ — რატომ,
 თუ ამ ძვირფას წიგნის ყდაზე
 წააწერა ლადომ?

თუ რად უყვარს ასთიანს

თე მისაფრად ძველი?
 ო, ნე მყითხავ, ამას გეტყვის
 თვით ცხოვრება ჩვენი.
 ვთქვათ უბრალოდ:
 აწვარდასულთ უკეთესი მოვლა
 ვთქვათ უბრალოდ:
 — ბარათაშვილს საუკუნო ხსოვნა!



საქართველო
სამართლებულო

1939 წ; ოქტომბერი. თბილისი.

სამახსოვროდ და შესანახად მობარებულთა შორის იყო ერთი უბის წიგნაკი.

აქ ლადოს მიერ ჩაწერილია ბევრი საინტერესო (მისი და სხვისი) აზრი გამოთქმა, შენიშვნა, ამონა-წერი მეგობართა ბარათებიდან, რამდენიმე მასალა და ნაწყვეტი, თემა და გეგმა მომავალ ნაწარმოებთა ღასაწერად, პატარ-პატარა ლექსი, კალამბური და მოგონება, შერჩეული სტრიქონები საყვარელ პოეტ-მწერალთა ნაწარმოებებიდან და დიდ ადამიანთა გამონათქვამი ცალკეული ფრაზები, რომელებიც მას მოსწონებია და გულს მოხვედრია.

„ჯერჯერობით უფრო სხვისი აზრების ჩაწერა შიყვაჩს, წიგნებიდან ამოკითხულის, — წერია ერთ-ერთ გეერდ-ზე, —ჩემსას შემდეგ ჩაწერ, როცა „დაებრძენდები“. ზოგიერთი მათგანი გამიგონია უფროს ამხანაგებთან საუბრების ღრმოს, თავში მომსელია ჩემს მეგობრებთან კამათისა და შედავებისას. და მაშინვე ჩამიწერია. ზოგს იხლავისენებ და აქ ვათავსებ, თითქოს სულ ერთია, ეისი ნათევამია. კარგი კია და მეც მომწონს. ზოგიერთი, შეიძლება, მე ვთქვი, ან მან, ან სხვამ, არ ვიცი, მაგრამ ეს რომ მაშინ ითქვა, ეს სწორია. ამ ჩანაწერებში ნე ეძებთ ლა-

მას სიტყვებს, მაღალ სიბრძნეს, ღრმა აზრებს. მაგრა ამ პრეტენზია და არც უნარ-შეძლება დამწერას არ ჰქონია. ამ და მქონდეს მხოლოდ როგორც მასალა, იქნებ გამოვალ. გეს რაშიმე...“

ერთ 1960 წლის 20 მარტი

სანიმუშოდ აქ თავსდება რამდენიმე ერთგულის


* * *

„როცა რაიმეს ვკითხულობ, ნაცნობი ავტორი-სას (სულ ერთია პროზა, პოეზია, წერილი), ყო-ველთვის წარმომიდგება თვითონ შემთხვეველი იმ ნაწარმოებისა: მესმის მისი ხმა, თუ როგორ იტყოდა ამა თუ იმ ფრაზას, რა მანერით და რა ხა-სიათით. თითქოს ვხედავდე იმ ავტორს თვალდა-თვალ.“

1988 წელი, 3 თებერვალი

ავდექი, დარღით გულგასერილი,
გავალე ჩემი მავიღის უუთი,
ენახე, ძვირფასო, შენი წერილი...
და გამიბრწყინდა თვალები წეთით.
ვკითხულობ, ვლელავ, ქართლის მთებიდან
გინატრე შეიღმა, იტირა ლექსმა,
ამ გაყითლებულ წერილებიდან
მე შენი გულის ფართქალი მესმა.
ჰაუ, რამდენი ცრემლები ვლვარე,
როცა გავყევი წუხილის დემონს,
ნეტავ საღა ხარ, ან რომელ მხარეს,
სულზე უტკბესო დედილო ჩემო,
აეიღებ ყვითელ წერილის ფურცლებს,
ეინახავ გულთან, მარცხენა მხარეს...

უემაერიალებს ტანში და უცებ
 ეგრძნობ შენი ხელის სიტყბოს და ალერს.
 და მჯერა, როცა ბრძოლის დროს, ხმალში,
 განივგმირება პოეტის გული,
 დედი, მაგ გულიც მოკვდება მაშინ,
 უცხო მხარეში გადაკარგული.



ეროვნული
სიმამართული

იმდენად დიდი წარმოდგენა მქონდა მწერ-
 ლებზე, რომ ისინი არაჩვეულებრივი აღამიანები
 მეგონა. შემდეგ რომ ვნახე — ქუჩაში ან რედაქცი-
 აში ჩვეულებრივად მოსაუბრე მწერალი, გამი-
 კვირდა და რაღაც სიამე თუ სითბო ვიგრძენი, რომ
 ისინი ჩემთან კადრულობდნენ გაბაასებას და გალი-
 მებას...

თოვდა... ტრამვაის ვაგონიდან არ ჩანდა, თუ
 როგორ თოვდა. ბნელი იყო მხოლოდ და ნისლი.
 ლურჯ-ლურჯ ელნათურებს პეპლებივით დაფარფა-
 რებდნენ გარშემო თოვლის ფანტელები.

ერთი არჩეული პოეტი არა მყავს. ყველაზე დი-
 დი შთაბეჭდილება ჩემზე „ოდისეამ“ მოახდინა.
 რუსთაველზე არათერს ვამბობ. მისი ლექსები ისე
 უნდა იყითხო ყოველ დილა-საღამოს, როგორც დი-
 ლისა და საღამოს უამს კითხულობდნენ ბერები
 ლოცვას, და ძლისპირივით უნდა იღილინო ჯადოს-
 ნური სტრიქონები.

ყოველი ქართველი პოეტი ისე უნდა ივსებდეს

პირსა და გონებას შოთას შაირებით, როგორც და-
მოსთენი იგსებდა პირს კენჭებით, უნაბრუნების
დასაძლევად!

ურუალუა
სისტემის

1938 წლის 14 ივლისი,
ყოველწლივ ჩაივლის,
მაგრამ ასეთი არც ერთი არ იქნება.
ამ დღეს ჩამოვიდა მოსკოვიდან პოეტი გრიგოლ აბაშიძე.
მე არ ვიცნობ გრიგოლს,
არც მე მიცნობს გრიგოლი...
მაგრამ მინახავს მისი ლექსების გრიგალი.
მჯერა, შევხედები გრიგოლს
თბილისის ქუჩებში სადმე,
შემახედრებს ნიკოლოზ აგიაშეილი...
მერე სამიერ ერთად შევალთ სარდაფუში,
იქ პეიდია ფიროსმანის სურათი „ანგელოზები“.
მე ავიღებ სასმის და დავლევ უგზო-უკვლ
ფიროსმანის საღლევრძელოს...
გრიგოლიცა და ნიკოლოზიც ასწევენ სასმისებს,
მამაძაპურად ღვინოს პურზე დააწევეთებენ,
და იტყვიან: — ღმერთმა აცხონოს ნიკალია!
მერე ამოვალთ სარდაფილიან.
თბილისი იქნება ლაუგარდისფერი.
შევალთ ოპერის ბაღში,
თავდახრილი დავლევებით იყავის ძეგლთან,
სადაც მუდამ ციმციმებენ
„სიჭაბუქის ფიქრებიეთ ვარდები გაუშლელი...“
უეცრად ვამოჩნდება ვიორგი შატბერაშვილი.
ჩეენ ვიტყვით ლექსებს:
ძმობაზე, საქართველოზე, სიყვარულზე...
შემოგვაჩერდება ბრძენი ხალხი,
დაგვინახავს თუ არა,

გადგება განშე.

და კლამ დაგვიწყებს ცერეს.

ჩვენ უმალ დაკიძრებით და შალე, სულ მაღა

დაგვფარავს თბილისქალაქი,

ეს პოეზიის უწმიდესი ადგილის დედა! საბულონის დედა — ასე წყნარად მთავრდება ძვირფასი დღე —

14 ივლისი,

რომელიც ყოველწლიურად ჩაიყლის,

მაგრამ არასოდეს არ იქნება ასეთი...

სახარებას ქართული სიტყვისათვის უფრო ვკი-
თხულობ. „ნეტარ იყვნენ გლახაქნი“, — ჩემი საქ-
მე არ არის. ცხოვრება წარმართვით უნდა გიყვარ-
დეს.

გამო შეითამაშე,
არვინ ეტყვის მამაშენს!

მე-19 საუკუნეში არავის არა აქვს ასეთი რით-
მები. აქ რაფიელი სწორუპოვარია. კიდევ აქვს იმ
დროისათვის ახალი რითმები: მერანი — ვერავინ —
ფერავენ, და ა. შ.

არ მეხარბება პინდაროსის ბედი, ოდებს ტირა-
ნებისა და ცნობილ დიდეაცთა დაკვეთითა და გარი-
გებული ფასით რომ წერდა. საზინლარია დაქირა-
ვებული პოეტი!

დასვენების დღე
(ნაწყვეტი)



ამ დღეს დავდივარ მე უზრუნველყოფილობის
პატივისცემით, ყელამდე სავსე, გერმანული კულტურის
ბედნიერება მსურს ვუთხრა ყველას,
გულში ფარულად ვერ მოვათავსე...
ამ დღეს უზომოდ ვარ მხიარული,
ნელი ლილინით გავყვები ქუჩას,
ამ დღეს მეტი მაქვს მე სიყვარულიც,
ბედის სიძულვილს რომ გადაურჩა.

1939 წ. 18 ოებერვალი.

ლეო ქიაჩელისაგან გავიგონე სიტყვები: გული-
დან ამოიმხრო; სიბრძნის მჩხრეკელი; თვალებში
ფრჩხილი ამოუვიდა; კალმის ჩახმახი; ტყეში გამო-
ვარდნილი.

„ჰავი მურატს“ როცა ვკითხულობ, მგონია, მეც
დავწერ ასეთს-მეთქი, ისე კარგად და უბრალოდაა
დაწერილი. აბა, სინჯე, შენით განაგრძე რომელიმე
თავი? რა გამოგივა?

პოემის გმირი ლომთათა, ან ლომინი.

დღეს მთელი დღე ვიკითხე გრიგოლ ხანძთელის
ცხოვრება. ამოვიწერე:

ტებილ არიან სასასა ჩემსა სიტყვანი შენი უფროის
თაფლისა პირსა ჩემსა“;

Յորաքզօնց ո՞մեանս";
 „Ճա Յորաքթիա პալա՛րագ";
 „Քրոջա եռհ՛այո";
 „Մյշրուսթո";
 „Մյցօնդրոծա լոռեպենո";
 „Տրուլթան Տոյցարուլթան գաճազենու Սո՛մո";
 „Ցհմենալթեթպալեթաք Հաբելո արև Շմուգաք, եռլու գո-
 մոլո ոյրու հիշըլո";
 „Տրուլելնո Տօծրմենէ մյոթպալեթեն, եռլու Ցհմենտ յինք գո-
 մոլո";
 „Նայլուլոցանեթաք ჩիմո արա Թոլոմծ գոմոլագ";
 „Ահասոնց ցամու նացուլո Տուրպան პօրուսացան ჩիմուսա";



ԱՆԴՐԵԱՆԻ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

լուրնարդու „Տաօնդումլու Տյերոծա" Տայտուրետո-
վլուս կը գումարելու հոմ ցեսարու, Իւ գուգեթուլու Տայմը
ոյնեթուդա!

Տողլուդան ჩամոցու ցոռնցո Շաբերա՛մցուլո.
Ոյ մասթիացլու ծեղագագա. Կուրա ցամեցարու, ցասողլու-
ծուլո. աելու პարարա ծովո Նեթեցու, Պանու Տակըլո
Վյցու. լոյշեցի եռմ ար Շյրու Մենո Մցուլո-մետյո,
ցացեթումրո. մացաւ յու արա, մեց ալար մուալու լոյշ-
եցի Տաբու Տաբու Տաբու Տաբու.

յուտաւսմո նոյաւ ոտանու կը գումարելու ցուր-
նալ ՝ Արուցայթորուդան" ամովրուլո Տուրատո: յալո
պարանուանո ցալատուտ. մալուան մոմիոնդա գա Տուլ
մոնդոջա Շամերտմու. ար մանեթեթդա. աելու ոմ յուր-
նալու մարտու ցունցու, ու Տուրատո ամոց-
չերո, նոյաւ ցահիւյք գա Շեգ Շացա՛շերո:

ახლა ვიპოვე და მოშაგონდა,
და მივაბარე სტრიქონს...
გახსოვს? ასეთი სურათი გქონდა?
ოცდაწევიდმეტში, ნიკო
სურათი გაქრა, წუთებიც ნაზი,
და დღეს, კიდევ რომ ვიქო,
შენ ხელს ჩაიქნევ და იტყვი ხაე:

— იყო და არა იყო!..

ახლა ვიხილე და მომავონდა,
და მივაბარე სტრიქონს...
გახსოვს? ასეთი სურათი გქონდა
იმ შენს ოთახში, ნიკო!



1939 წ. 7 მარტი.

„მე ვმღერი და შემდეგ ვწერ“. სიმღერა ვიქსაც
დააშოშმინებს, — უპასუხა „ტკბილქართულით“...

ვისია ეს ლექსი, ჰაინესია?

ორივეს გულში ენთო ალმური
და გაურბოდნენ ტრფობას ფარულად,
სურდათ ტრფიალით დატანკულიყვნენ
და უცქეროდნენ ერთმანეთს მტრულად.
ბოლოს დაშორდნენ და ერთმანეთი
სიზმარში ნახეს მხოლოდ თვალებმა,
გარდაიცვალნენ და არ იცოდნენ
მათ ერთმანეთის გარდაცვალება!

რა იქნებოდა ტოლსტოისა და გოეთეს ხნის ბაი-
რონი, ბარეთაშვილი ან ლერმონტოვი?

ჰონგურო, ტებილო ჩონგურო!



„შემოდგომის საღამოა მშვიდი, ურთისესობა
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“, — ესაკ ტერენტი გრანელი! ეს მომწონს!


დამამახსოვრდა: უშანგი ჩხეიძის ელვარე თვა-
ლები, ოდნავ მომლიმარი, ვაჟკაცურად ლამაზი სა-
ხე, შნოიანი აღნაგობა. ქუთაისის თეატრში ვნახე
ერთხელ.

კარგი სიტყვებია: ლაჭანური, ლაბეჭინა, ლეხი-
დრისთავი, ლალუმელა, ლეხიდარი, ლეჩხუმი...

ალიოშა საჯაიას თვალები — რიბირაბო, დანი-
სლული. დანაშაულზე წასწრებულივით დამორ-
ცხებული.

თეკერეის რომანი „ამაოებათა ბაზრობა“. რამ-
დენი მისისი და მისტერ კროულია აქ! ვინ ვისი
შეილია, ვინ ვისი ძმა, ვინ ვისი მამიდა და ბიძაშვი-
ლი? უნდა იფიქრო და ტვინი იღრძო. „ჰენრი ეს-
მონდის თავგადასავალი“ მირჩევნია: რა კარგები
არიან დიკენსის ბავშვები! როგორ მომწონს ფრან-

გული ნოველები; მთელი მერიმე და „უკანის წელი
აბენსერაჟი“.



სანჩო პანსა — იმერელი გლეჭენა, ზემოქმედი,
ან ოქრიბელი.

სასადილოში რომ კაცი იყო, წარბს ზემოთ ხალი
ჰქონდა, თითქოს ბუზი აჯდა. როგორ მინდოდა ამე-
ფრინა: ერთხელ „აქშაც“ კი შევუძახე...

რაც რადიოში დაიწყო მუშაობა, ლაპარაკსა და
ჭიქვის მოუმატა. მანამდე ენაბრგვილი ეგონა
ყველას.


ნაწყვეტი

თავს დაგვდიოდა სხივთა რიალით
მზე მოარმიყე და მოისარი.
და ისე ესხა ხეს მანდარინი,
ეით საყურენი ოქროისანი.

ასი წლის კაცი, დოსტი ფიროსმანის, დადის ქუ-
ჩაში, უსინათლო...

მერე გადიგდეს მშეილდები მხრებზე
და მეყვესეულად იშიშელეს ხმლები.

იმ ტკბილ ენაზე მოუბარნი, თამარ და შვილა
რომ ლაპარაკობდნენ.



გამოვიდა წიგნები
სახელგანთქმულ ციგნების!

ასტენა ერთი ბლავილუამიერი!

ომა ლუდის ქაფივით აღგება თავზე.

მწუხარება და სევდა ბევრჯერ შეჭრია ცხოვრებაში, მაგრამ მის ლექსებში კარები ლია ვერ უპოვია.

კუპრინის აზრი: „ადამიანი რომ დადის, ვერ მარცხენა ფეხს წარდგამს წინ, და მარჯვენა ხელს აიქნევს; მერე — მარჯვენა ფეხს გადადგამს და მარცხენას მიაყოლებს. ეს იმიტომ, რომ ასე დადიოდნენ ჩვენი ოთხფეხი წინაპარი ცხოველები: ოთხივე ფეხს იმნაირად ამოძრავებდნენ სიარულის დროს. ეს შეგვრჩა — სამუდამოდ“...

რა ლამაზია ყველაფერი ამ ქვეყანაზე. იი თუნდაც ეს მოშრიალე „ჩვენი“ ჭადარი... გინდა სულ უმზირო და იფიქრო უკვდავებაზე.



როცა მწერალი თანამედროვეობაზე წერს, გვი-
ანდელი განწყობილების კვალობაზე სჭირებულ
განვლილ ისტორიულ გზას.

სიკვდილივით მარადია სურვილი,
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
გალაკტიონივით სულ ამაზე ვფიქრობ.

გუშინ ფიქრს გავყევ. წამიძღვანია
(რა კარგი სიტუაა ეს „წამიძღვანია!“). ფიქრი სად
არ წაგიყვანს? ხან ბრძენს გაგხდის, ხან გაგასულე-
ლებს...

მირზა გელოვანი შოვშია და იწერება:
„მაღალი ნაძვებით შემოსილ მთებს დასჩერე-
ბიან მარადთოვლიანი მწვერვალები. აქ არაფერი
არაა საჭირო, გარდა სიყვარულისა და, იცი? აქ
ისეთი ბუნეაა, უცებ შეუყვარდები კაცს. გადაეცი
ყველას, რომ მირზა ბედნიერია!“

შენი რითმა მე რად მინდა,
განა ჩემი აბვაში ძევს?
ამ სასმისით გაუმარჯოს
პოეტ გრიშა აბაშიძეს!



ეროვნული
სამართლის

გვარები: მებუკე, მენაბდე, მესტუმრე, მენა-
ფირე, მენალარე...

რა ფერისაა ქვეყანა,
ნეტავ მაჩვენა ოვალითა? —

რა სევდა ვიგრძენი ვაჟას ამ სტრიქონების წაკით-
ხვისას!...

ცხრა მაისს ცხრა მტკაცელი თოვლი მოვიდა.
ცხრა ძმა მაისურაძემ ცხრა ირემი მოკლა. სანამ
გაატყავებდნენ, თოვლი ისევ წაეიდა.

სიკედილს მე როდი შევუშინდები;
იგი, ძმავ, მუდამ ჩემს მხარეზეა.
მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის,
სიკედილს რომ პვავს და უარესია...

გალაკტიონს შეენის ამის თქმა!

ხალხის შვილები: თამარ ვაშლოვნელი, პაატა
თემურიშვილი, გელა ნათელაშვილი, მაია წყნეთე-

ლი, თინა წავკისელი, ხვარამზე და სხვები. ნამდებ-
ლი გმირები. რა ითქვა მათზე აქამდის?

ეროვნული

„ჩვენი შესანიშნავი პოეტის ამ ღორისშესანულ
შნავი კრებულის გამოცემა, როგორც ამას ჩვენი¹
არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტიკა აღნიშნავს,
ნიშნავს იმ განსაკუთრებულისა და ახლის აღნი-
შვნას ჩვენი უშესანიშნავესი ხალხის ცხოვრებაში,
რაც პოეტმა ჩანიშნა ჩვენი მწერლობის შესანიშნავ
საგანძურში და, რაც ბუნებრივად აღსანიშნავია,
დაკავშირებულია ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს
უმნიშვნელოვანეს სახელთან“. (სტილი და ენა).

ნაწყვითი ჩემი ლექსიდან:

როკავდა ვაჟა-ფშაველა,
ფეხის წევრებზე დგებოდა,
მისი სიმღერის ცეცხლითა
ჭიუხზე თოვლი დნებოდა:
ქალწული იბნილებოდა,
მიცვალებული დგებოდა,
ვაჟა კი ვამჩენ ბუნებას
სიცოცხლეს ეველრებოდა.

კუიქრობ დიდ თემებზე, კუიქრობ და კუ-
ქრობ...

ზოგი ავად არის ტიფით,
სხეები რჩება უტიფარი...

დღეს ბალში გადავიღეთ სურათი მე, მიძინამ,
შალვა დემეტრაძემ... ვზივართ მერხზე და შევყუ-
რებთ ფოტოაპარატს. ესაა და ეს, გვინდა!

მღერიან მთები სვანურ ლილეოს.

და აუტოკდა საულვაშენი,

ძილმა წამწამებს დაუგო მახე.

ნაწყვეტი

თენდება. ღამის ბინდი ქრება —
ღამე ღამეული ღიმილით
ეთხოვება ვარსკველავთა კრებას
ტკივილით, სახსრების ტკივილით.
ღამე დაჭრილია, კიეილით
მირბის, თემშარაზე გაწვება
ჩუმი ჩურჩულით, ჩივილით,
ცისკარს ვარდები ვამოუსხამს
ლაწვებად,
და ღამე დაჭრილია, კიეილით,
მოგელავს მამლის ყივილით...

შივიქრა ბაგეს თავდაეიშუებით
შენი პატარა და თეთრი ხელი...

და დავასკელო ჩემი ცრემლებით
შენი პატარა და თეთრი ხელი.

[ჰაინრიხი]



იჭიკვიკეთ, ჩიტუნებო, იჭიკვიკეთ!

ერთ სანახავად კმარიყო —

ვენახი ვენახოვანი.

ვარდისუბანი, ოქროყანა და კიდევ სხვები...

ვიდექ ანძასთან და ზღვაზე გარეთ

ვთვლიდი და ვთვლიდი ტალღების ფაფარს.

მშვიდობით, ჩემთ სამშობლო მხარევ,

ხომალდო ჩემო, გასცურე სწრაფად!

ვინც ღვინოს არ ეტანება, ყველა ღვინისმშე-
ლი ლოთი და ვაგაბუნდი ჰგონია. ყურძნისა და
ღვინის ქვეყანაში ლოთები უფრო ნაკლებია, ვიდრე
უვენახო და უვაზო მხარეში, — ეს გერცენის ნა-
თქვამია.

„ვისრამიანის“ ტკბილქართულის მოსმენა და
„ქილილა და დამანას“ კითხვა ნუ მომეშალოს კუ-
ბოს კარამდე!

ნარიყალა — ნარიგ-ყალა (მიუვალი ციხე სპარ-
სულად); სოლოლაკი — სულუ-ლახი (სარწყავი
არხი — იმავე ენაზე).

ერთის სურათზე თქმული: ისეთი გამოხედვა
აქვს, ყველაფერს იყადრებს. გილალატებს, შოგა-
ტყუებს. ორ გროშად გაგყიდის.

ერთი გვერდი

შესაბურთებული

გოგუცა აგიაშვილის „ვეფხის ტყაოსანები“
წარწერილი:

ვეფხისტყაოსანს გაჩუქებ
მასვე გაგატან მზითევად,
ბნელში გადაშლი, აშუქებს,
იფრქეევა მარგალიტებად...
გმირობის გამომხატველმა,
აგასიმლეროს, ვარდო, მან...
ასე დასწერა ქართველმა
ასათიანმა ლალომან.

შალვა დადიანმა მიიღო ლენინის ორდენი. მი-
უჟღლოცეთ ახალგაზრდებმა ბინაზე — 11-სართუ-
ლიან შენობაში. ვიყავით ლალო ავალიანი, რევაზ
მარგიანი, გიორგი კალანდაძე, ალექო შენგალია,
ალიოშა საჭაია, ანდრო თევზაძე, შალვა ამისულა-
შვილი და მე.

„შევატყევით, არ ეწყინა“. უხაროდა. თმაშე-
ვერცხლილი მწერალი დინჯად უჯდა სამწერლო
მაგიდას და დიდხანს გვესაუბრა.

ჩვენი შეხვედრა კინო-ქრონიკაში გადაიღეს და
უჩვენებდნენ სრულმეტრაჟიან ფილმების ბოლოს.

შიანშველამ თუ იცის ჩვენი არსებობა? საერ-
თოდ, ცხოველებმა თუ იციან, რას ვხლაფორთობთ

ჩვენ. საინტერესოა, რას ფიქრობენ, როცა უფრე-
ბენ ჩვენს ნაცოდვილარსა და ნახელავს? აღმათ,
ჩვენც იმ ჭიანჭველასავით ვერ ვხედავთ და არ ვი-
ცით ბევრი რამ. იქნებ არის ვინმე ჩვენზე დიდი და
ახლა ის დაგვყურებს ჩვენ, როგორც ჭიანჭველებს.
ჩვენ კი ვერ ვგრძნობთ ამას!

ქართველი გლეხი. ნამდვილი გლეხი. კარგად
ვიცნობ იმერელ გლეხს, ლეჩებუმელს, მეგრელს,
გურულსა და რაჭველს... ქართლელსა და კახელს—
უფრო წიგნებით.

პრუდონი ამბობდა: მე მყავს 14 წინაპარი გლე-
ხთა შთამომავლობა. დამისახელეთ თუნდ ერთი
ოჯახი, რომელსაც ამაზე უფრო კეთილშობილი
წინაპრები ყავდაო.

ფუტბოლი ქართულია: ფუტი და ბოლი.

ჟანედან:

წენელები ჩალპნენ დიდი ხანია,
ლეშად და მძორად სამარეში იყროლებული...

ვისია სასიმღერო ლექსები:

„ყიყაჩო იყვავებულა“; „ნეტავ ვიცოდე, სად
დავლევ სულსა?“ „ერთხელ ვნახე შავი თვალები?“.

იოსებ მჭედლიშვილმა წამიკითხა თავისი „ოი-

ანა-ბუიანა“. კარგი რამეა. იბეჭდება „ჩვენს თაობა-ში“. ჩვენთანაა ჩვენი ძველი იოსები, შავი ჩოხითა და ახალგაზრდული გულით.

ეროვნული
პილოტები

მას თითქოს სულ გაღიმებული სახე პქონდა, წუხილის დროსაც. ძალიან მინდოდა, მართლა გაღიმებოდა. როგორი იქნებოდა მაშინ? (ეს ვაჟია ფხოველი იყო).

„იავნანამ რა ქმნა?“ პირველი მოთხრობა იყო, რომ ვიტირე. მერე — „მაგდანას ლურჯა“ და „ქა-ჯანა“, შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა თავ-გადასავალი მატირებდა.

აქილევსს რუსთაველის გმირები მირჩევნია. „სკობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელო-ვანი“ აქილევსმა არ იცის. ოღონდ ცოცხალი იყოს, მკვდართა სამეფოში არ დარჩეს და... მკვდარ ლომს ცოცხალი ძალი ურჩევნია. ამის მსგავსი უთხრა მან რაღაც აიდესში ჩასულ ოდისევსს.

ვლადიმერ უბილავამ დაბეჭდა პოემა „ტობა-ვარჩხილი“. ძალიან საიმედოაო, თქვეს და შეაქეს. მშეენიერი ლექსები აქვს. პოემა დაწერილიც კარ-გადაა!

კთარგმნი ვიქტორ შელოვსკის ნარცეს რუმო-
თხრობას: „სინათლე ტყეში“.

ეროვნული

გაბრიელ ჭაბუშანური ჩამოვიდა ზეგაურების
დან. ჩამოიტანა ერთი დიდი ზღაპარი-პოემა.
წაგვიკითხა. ძალიან სერიოზული სახით კითხულო-
ბდა და ზღაპარიც კარგი რამეა, ნამდვილი ზღაპარი!
ალიოშა ძლიერ მოეწინა. ალიოშა თვითონაც
წერს ზღაპრებს, მაგრამ ლექსად კი არა...

ფიროსმანს ყველაფერი გულუხვად აქვს: პური
ვარო, ლვინო ვარო!

ისტორიული რომანი, რომელიც აამაღლებს
ერს. გამოგონილი კი არა. ნამდვილი. არა ისე, მე-
ფეები მხოლოდ და მხოლოდ გარყვნილები რომ
არიან, თავადები — მოღალატენი და გლეხობა —
აჯანყებული და გაყაჩალებული. ასეთი ქვეყანა აქა-
მდე დაიღუპებოდა.

საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის... ისე,
დიკენსმა რომ გააკეთა.

რა მომწონს „ქავო ყაჩალში?“:

„მითხარ, დედალო, რას აკეთებდი!“ „შენი მარ-
ჯვენის ჭირიმე შენი!“, „და შეუნგრია გულის ფი-
ცარი“, „ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა“...

არა გვიშავს,
არაგვი შევს
არ მოგვაკლებს ტალღებს...



დემიანოვა უხა — დემიანეს ყური. გვ. 1922 წ.

ის კოლხიდის ფშანებში დაიბადა და გაიზარდა.
იმ თავიდანვე სისხლში მალარიის უემური უდგას
და ამიტომაა ასეთი.

ზოგიერთი წიგნის შენიშვნები კარგი რომანიეთ
საკითხავია და საინტერესო.

მშვენიერი სიმღერები: „ფერად შინდი“, „ვახტანგური“, „შვიდკაცა“, „ბროლის ყელსა“ და
სხვები შეტაც ძნელად შესასრულებელი და ჩახლა-
რთული სიმფონიებია.

ოცდაათ წლამდე სულ პოეზია, შემდეგ პროზა
და დრამატურგია... მანამდე ხელს ვერ მოვქიდებ,
ვერ გავჩედავ!

სოფელ მშვეიდობაურიდან ჩამოვიდა იაშა ჩხა-
იძე. ჩამოიტანა მოთხრობები „გოლიათი“ და „ცხრა
შვილის მამა“. ია ბახველია. ჯერ ძიმითში იყო
მასწავლებლად, ახლა ხიდისთავში გადაუყვანიათ.
ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის და კარგ
მოთხრობებსაც წერს ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან.

„სამი წელია ვზელ ტალახს და ვზრდი მოშავალ
ლიტერატორებსო,—ღიმილით ეუბნებოდა ოედაქ-
ტორს — ირაკლი აბაშიძეს. — მალე, ალბათ —
ჩემსავით, და უფრო კარგი მოთხრობებით, მრავა-
დგებიან კარზე. მშვენიერი მოწაფეები მყავს. თბი-
ლისი არ მენატრება, იქ, ჩემთანაა ყველაფერი, სი-
ცოცხლით სავსე ახალგაზრდობაშიო“, — ამაყად
წარმოთქვა მან!“

ჯივანოლის „სპარტაკმა“ და დე ამიჩისის „მო-
წაფის დღიურმა“ შემაყვარეს ძველი და ახალი
იტალია.


უნდა დაეწერო ზღაპრები. ლექსად.

ვინას ზღაპრი პირველი:

ბიჭი ჭერ ბატების მწყემსი იყო. ძერამ წაართვა.
ყანაში საღილი წაიღო, ძალლმა შეუჭამა. თხებთან
დაიმალა, თხებმა გასცეს. მამამ მოკვლა დაუპირა.
მამას გაეპარა. ქალაქში ერთ მდიდარს დაუდგა.
მდიდარი სხვა ქალაქში წავიდა. ცოლი მოსტაცეს.
დედა მოუკვდა. სახლი დაეწვა. ცხენები დაეხოცა.
ხარები დაეხოცა. ლეკვიც მოუკვდა. ბიჭი ბატონ-

1 იაქობ (იაშა) ჩხაიძემ „ჩეენს თაობაში“ დაბეჭდა ათამ-
დე მოთხრობა. მისი „ვოლიათი“ მოთაესებულია „მნათობში“.
იაშა დაიღუპა სამამულო ომის ფრონტზე. მასთან ერთ ნა-
წილში იყო პოეტი ვლადიმერ უბილავა. ისიც ბრძოლის
ელზე დაეცა. — ნ. ა.

თან წავიდა. ბატონს უამბო. ბატონს გული მოკუჭა-
ლა (დიალოგია შესანიშნავი).



მისივე ზღაპარი მეორე: საქართველო
საგანგმოო განაცხადი

მონადირე გლეხი. ჰყავს ცოლი. მოჯამავირე.
ერთმანეთი უყვართ. ერთხელ შეხვდა ტყის მეფის
კაცს. დაპატიჟეს. მათრახი აჩუქეს. ასწავლეს. ცოლ-
მა ვირად გადააქცია. შემდეგ — ძალლად. გააგ-
დეს. მეცხვარეებს დაუდგა. სახელი გაითქვა. ხელ-
მწიფის შვილი მოარჩინა. დაასაჩუქრეს. ქუდიანმა
ასწავლა, მწყრად იქცა — მათრახი ხელთ იგდო.
ჭავ და მამალ ვირად გადააქცია ისინი. აზიდვინებ-
და წყალს.

ნათელი ზღაპარი პირველი:

ებრაელი და ქრისტიანი. ებრაელმა გააგდო იგი.
ქრისტიანმა თავი წისქვილს შეაფარა — ხეიმირში.
მოვიდნენ ტურა, მელა, მგელი. მგელმა: თავეს ვინც
მოკლავს და წყალში გადააგდებსო... ტურამ: ხელ-
მწიფეს ქალი ყავს ავად, შავი ცხვრის ნაღველი უხ-
დებაო. მელამ: ხელმწიფეს წყარო არა აქვსო. ეზო-
ში, ქვის ქვეშ, არისო. ქრისტიანმა ყველაფერი გა-
აკეთა. ქალი ითხოვა. გამდიდრდა.

ებრაელმაც ასე მოინდომა. წისქვილში შესჭა-
მეს.

მისივე, ზღაპარი მეორე:

სამი ძმა. ერთს — სულელს — ერგო სურსუ-

ლიანი მოზევერი. კლდეს მიყიდა. მგელმა შეუჭამა. მეორე დღეს კლდეს შვილი მანეთი გამოართვა. მეტი არა. ძმებს შეეხარბათ. ისევე მოიმოქმედეს. ცუდად გამოუვიდათ.

შესაბუთისა

ვისივე, ზღაპარი მესამე:

მეწისქვილეს წისქვილი დაუდგა. ნახევარი წეელა ყველი მელამ შეუჭამა. დაიჭირა. მელამ, — გამიშვიო. შემდეგ ჩექმებიან კატასავით: მიდის მეფესთან, ჩახჩახ მეფისთვის ითხოვს ოქროს საწყაოს, შემდეგ მარგალიტს, მერე ქალიშვილს და ა. შ.

როგორი იქნება გალექსილი „ასფურცელა“ და „ირმისა“ — ორი საუკეთესო ზღაპარი?

ჩემი ძეელი მეგობრები ხშირად მიგზავნიან წერილებს. ამ დღეებში კვლავ გადავიკითხე ზოგიერთი მათგანი და თვალები ისე გამიბრწყინდა, თითქოს ახლად მიმეღოს ისინი. გუშინ მომივიდა შოთა ქურიძისა და ნელი დუმბაძის ბარათები, ისედაც არ მივარგოდა მეტყველება და მთლად დამება ენა! დიდხანს გაუხსნელად დავატარებდი — სიხარულის მოლოდინით. მთელი დღე რაღაც მახარებდა... მწერენ სიყვარულით გამობარ ბარათებს, მეპატიუებიან ქუთაისს, ბათუმს... როგორ დვიძლი და-ძმებივით ზრუნავდნენ ჩემზე სტუდენტობის დროს!

პეტრე ჭაბუკიანს ყურს აკლია. არმიაში მსხვეულობდა. ერთხელ სასტიკ ელვა-ჭექაში მოყვა და მასთან ახლო მდგარ ხეს მეხი დაეცა. გადარჩა, მაგრა რამ მას შემდეგ ყურში კარგად აღარ გასმის. დაუკურავა თავრებული აქვს დორპატის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი.

ეის აამლერებს თქეენი ეურნალი,
ეს თაობაა თუ უთაობა?
მაგას აკლია ფრიდონის ცეცხლი
უა ტარიელის გამბედაობა!

„მთვარის მოტაცება“ გრანდიოზული რომანია. ჭანგმოცარულ მიმინოს ზეპირად ვკითხულობ. ქუთაისში ხშირად გვიკითხავდა ლექტორი ზარქუა.

დავდივარ იმ ადგილებში, სადაც ნიკალას დაუდგამს ფეხი.

ნეტავი ვინ იყო ამის მთქმელი:

მაღლა შემოჭდა
უცხო ფრინველი,
ბოლო წითელი,
ორბი ფრთიანი?

რამდენი ასეთი მარგალიტია ჩვენს ხალხურ პოეზიაში!

უნდა დავწერო ქართული კომიკური რომანი ლექსად.

„ბედი ქართლისა“, „აჩრდილი“ და კიდევ სხვა
რომელი? „თორნიკე ერისთავიც!“ ეს სამა პოემა
ეყოფა მე-19 საუკუნის საქართველოს.

— გერეზები —

ძველებში: შოთა, — საბა, გურამიშვილი; ბარა-
თაშვილი — ილია — აკაკი — ვაქა, ყაზბეგი —
ქლდიაშვილი — ნინოშვილი; ცოცხლებში: ნიქო
ლორთქიფანიძე — გალაქტიონი! ამათ, თავიანთი
საკუთარი მაღლი, სხივი და შუქი აქვთ!

„ბუნების კარი“, — იშვიათია ასეთი სახელწო-
დება. ბევრ წიგნს არ ჰქვია ასეთი დიდებული სა-
ხელი.

პროვინციელი პოეტი ი. გ — ია ლექსებს წერს
შეყვარებულზე, რომელსაც ქვათა რქმევია. ალიო-
შამ და მე შევუთხზეთ ერთი ეპისტოლე:

სიცოცხლეზე მეტად ტკბილო, სანატრელო ჩემო ქვათა,
სიყვარულის ვაპროსებზე ბედმა შენთან მაყამათა.
მაჭანქლებად მოგიგზავნე სალომე და მაკა, მატა,
მაგრამ შენმა იტკაზებმა ცეცხლზე ცეცხლი მომიმატა.

დადის და დააქვს ეს ლექსი რედაქციაში: დამი-
ბეჭდეთ და ერთი ოთახი მომეცითო, ამბობს.

დიდუბის საავადმყოფოში ვინახულეთ ახალგა-
ზრდა პოეტი ვასო ლომიძე. ვლადიმერ უბილავაში

წაგვიყვანა, სანთელივით ჩამომდნარს, სახეზე /მი-
წის ფერი ედო. სიცხისაგან ისედაც გათანგულო,
ცხელ ქვეშაგებში იწვა და სქელ ლეიბზე კიდევ
ცხვრის ტყაპუჭი ეგო: მცივაო, შემოგვჩიულა, —
არაფრით არ იქნა ჩემი გათბობაო.

გათხელებული, გამჭვირვალე ცხვირი... ჩამო-
ლვენთილი თითები! ჩვენთან საუბარი უნდოდა,
მაგრამ სიტყვის თქმა უჭირდა.

რედაქტირით გამოვზავნილი ფული გადავეცით
და, გარეთ რომ გამოვედით, ბაღში გაზაფხული იყო,
ალუჩები ჰყვაოდნენ... და ის კი ჭლექით კვდებოდა.¹

რუსთაველის სამარე

მე ბედაურით ჩაეცექროლე მგოსნის სამარეს,
ეიმხიარულე, ვიგალობე ძმობის შაირი.
ერცელ ტრამალებზე გაეირბინე ფიქრით ფრთამალით,
მე ბედაურით ჩაეცექროლე მგოსნის სამარეს,
ენახე მნათობი გაბადრული, სახე თამარის
და გაზაფხულის ყვავილები ნაირ-ნაირი.
მე ბედაურით ჩაეცექროლე მგოსნის სამარეს,
ეიმხიარულე, ვიგალობე ძმობის შაირი.

ერთმა კრიტიკოსმა (და კიდევ ერთმა!) ჩემი პო-
ემა „კოლხიდა“ გააბიაბრუა. არ ღირდა ამ პოემაზე
კალმის წვერის დალლა, მელნის დახარჯვა. თოვლი-

1 მერე, როცა ლადო თვითონაც ისე გახდა ავად, ხშირად
გაისცენებდა ამ დღეებს: ასე ჩემსავით იყო ვასო ლომიძე აყ-
ვავებული ალუჩის დროსო. — ნ. ა.

კით ქათქათა ქალალდის დასვრა... ამდენიც / ტარუ-
რია ის პოემა.

ამის შემდეგ იქნებ გველირსოს და ტალახიდან
ამოგვიყვანოს იმ კრიტიკოსთა სიმჭრავლემა, ემუსტმა
დიდებამ, მათმა მზეჭაბუკობამ და სიქველემ!

ბაგრიცის „ფიქრი ათანასეზე“ შევჩენქოს პოე-
მებს მაგონებს. ბევრი ვიკითხე შევჩენქოს ბიოგრა-
ფია და მისი „დღიურები“.

რა კარგია აკაკის მოგონება შევჩენქოზე!

გრ. აბაშიძეს ჰქონდა ფრანგულიდან თარგმნილი
ფრანსუა ვიონის რეასტრიქონიანი ლექსი:

მე სიჭაბუკეს მივსტირი მარად,
დროს ვატარებდი ტოლებში მეტად,
სიბერე ისე წამომეპარა,
ახალგაზრდობა სად ვაქრა ნეტავ?
იქნებ ქვეითად წავიდა კენტად,
იქნებ გაქტროლა რაშით ქარულად?
დავდივარ, ვეძებ, ვეღარისით ვხედავ,
ვერ ვამიგია — სადით წასულა

ალიოშამ წაიკითხა და თქვა: ეს კაცი (ფრანსუა
ვიონი) ჩვენსავით ახალგაზრდა იყო, ქეიფობდა, ლა-
ღობდა, დროს ატარებდა. ახალგაზრდობას კი მის-
ტირისო, ჩვენთვეის ჯერ აღრეა ასეთი წუწუნიო.

როგორ გამიხარდა, „დონ კიხოტში“ რომ ვნებე
ფრაზა: ქვა მოხვდა ლიტრას, ლიტრა მოხვდა ქუჩა,
მაინც ვაი ლიტრის ბრალიო. „ქილილა და დამარაკ
შია“ ასეთი — ჭაროს ნათქვამი არაკი — „ნელშეჭრე
და დიდებული“: „მე და შენი საქმე ჭიქასა და ქვას
ჰგავს, თუმცა ქვა ჭიქასა ეცა, ანუ ჭიქა ქვასა დაჭრა,
ორგანვე ჭიქა დაილეწება და ქვა უვნებლად დადგე-
ბა“.

მწერალთა სახლის ბაღში ერთი მწერალი იჯ-
და — რაფიელის „სამშობლო ხევსურისა“ ადგილობ-
რივი, კუთხური პატრიოტიზმიაო, შოვინიზმის სუნი-
უდისო. სულ სულელი ვუძახე. უნდა მეცემნა,
ძლივს გამასწრო... სულელია და... აბა, რა ჭიუა
უნდა მოვკითხო?...

ხომ გენიალურია, დავით კლდიაშვილის არის-
ტო რომ ბოხოხს დაახეთქებს მიწაზე?

რამდენი ნოდარი, რევაზი, თამაზი, ეახტანვი,
შოთა, ოთარი, რამაზი, მერი, მეგი და სხვა გმირებია
თანამედროვე მწერლების ნაწერებში. როგორი სახე
აქვთ? რა აცეიათ? ხშირად ზოგ ავტორს აღარც კი ახ-
სოვს, როგორები არიან მისი ნაწარმოების უსისხლ-
ხორცო და უსახო გმირები. აბა, დაიძახე: ლუარსაბ
თათქარიძე! ოთარაანთ ქვრივი! ტარიელ მკლავიძე!

სოლომონ მორბელაძე! მოსე მწერალი! ერემია
წარბათ სპირიდონ მცირიშვილი

ერემია

თბილისში ჯერ თოვლი მოვიდა, შეზღუდული ისე
გამოიდარა, რომ პალტო, კალოშები და ხელთათ-
მანები არქივში შევინახეთ. მეორე დღეს ისევ და-
უბერა საშინელმა ქარმა და კვლავ დავათრევთ
პალტოს, კალოშებს, ხელთათმანებს...

ბოლო დროს ცირკში სიარულს დავეჩვიეთ.
ბევრს ვიცინით სისულელებზე და ვიგონებთ ქუ-
თაისის ცირკს — ღია ცის ქვეშ — გაშლილი ქოლ-
გებით ქარში, ავდარში.

დიმიტრი, ერემია, რეზო, ალექო, ნიკა და მე
კინოთეატრ „რუსთაველის“ განსნას დაევსწარით.
კარგი შენობაა. პირველად რატომლაც ცოტა უგე-
მურად მოგვეჩენა. ვნახეთ ფილმი „პეტრე I“.
ერთ ხანს ვისეირნეთ პროსპექტზე. შემდეგ კაფეში
ვისხედით და ყველა კაი კაცის სადღეგრძელოს
ესვამდით.

ქუჩაში რომ გამოვედით, უკვე თოვდა. ფართო-
ფართო ფანტელები დაფარფატებდნენ ასფალტზე.
საღამოს სკოლებიდან ერთი ყიქინითა და ურიამუ-
ლით ბრუნდებოდნენ მოსწავლეები... ერთი ჯგუფი
„მხიარული ახალგაზრდობის“ მარშს მღეროდა.
ვეღდევნეთ უტყვი სიამოვნებით. დიდხანს მივყვე-

ბოლით ნახევრად ფეხშეწყობილნი. ფეხქვეშ ჭრა
ალით იკუმშებოდა ახალი თოვლი.

შალვა ამისულაშვილს რედაქციაში შემოყვა არონ
კოფშტეინი — შავტუხა ჩასკვნილი ჭაბუქი, კარგი
უკრაინელი პოეტი.

ეყიდა სერგი მაკალათიას წიგნები: „თუშეთი“, „ფშავეთი“, „ხევსურეთი“ და დანტეს „ჯოჯოხეთი“ ქართულად. ეს უკანასკნელი ს. მაკალათიას ნაშრომი ჰვონებია, რადგან ამ წიგნის სათაური მათ მსგავსად ბოლოვდებოდა (-ეთი). სახელწოდებამ გამაბრიყვა და „ჯოჯოხეთიც“ მხარე მეგონაო, — სიცილით ამბობდა იგი.

ძალიან მალე დაუახლოვდა ჩვენს პოეტებს, გან-
საკუთრებით დაუმეგობრდა ირაკლი აბაშიძეს და
ახალგაზრდობას. არონმა უკვე ისწავლა „საყელ-
პურო“ ქართული, ზოგიერთ ფრაზას კითხულობს
კიდეც ქართულად და წერს თავისებურ ფუნაგორი-
ებსა და კალამბურებს. აი, ორიოდე ნიმუშიც:
„Ираклий პოეტი саბჭოთა, получил Знак почета“,
„Шенгелая аრი სამი, как им быть, не знают сами“.
კიდევ იქვე ბევრი ასეთი, მაგრამ ახლა აზ მაგონ-
დება.

სულ წიგნებს ჩაჰერკიტებს, სიარულის დრო-
საც კი. ერთ წიგნს რომ გადაშლის და კითხულობს,
რამდენიმე იღლიაში იქვე ამოჩრილი: ხან ერთს
ამოიღებს და ჩახედავს, ხან მეორეს და ასე განა-
გრძობს კითხვას.

ერთხელ კახეთში შაყვა შალვა ამისულშვილს.
შალვამ ამ შემთხვევის გამო ერთი მშვენიერი ლექ-
სიც კი დასწერა და არონს უძღვნა. კარგია სტრი-
ქონები:

შესაბურთებული

შენ რუსთაველის ჩანგი გამოიყენდა,
მე დიდოსტატის კობზას ვნატრობდი....

სასადილოდ ცოლშვილიანი და უცოლშვილონიც
ახალ რესტორან „თბილისში“ დავდივართ. პირველ
ხანებში ხელოვანთა და ლიტერატორთა კლუბს თუ
ყავახანას დაემსვავსა ეს რესტორანი. ყველანი იქ
ქვეიფობენ. და თავზე შავკოსტუმიანი ოფიციანტები
დასტრიიალებენ.

გუშინწინ იქ შევედით. ერთი საწყალი ხუთ-
თუმნიანი გვქონდა და იმის იმედით შუა ადგილას
გამოვიჭვიმეთ. სასადილო დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად
უსხდნენ მაგიდებს მწერლები, მსახიობები, მხატვ-
რები და რედაქტორთა მუშაქები. შემოვიდნენ და
ცალკე დასხდნენ: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე
ქუთათელი, გრიშა აბაშიძე, არონ კოფშტეინი.

მე ვეიღე ხელსახოცი ქალალდი, ზედ ფანქრით
ლექსის პირველი სტრიქონი დავაწერე და მეორე
სტრიქონი რეზომ მიუწერა, მესამე კი — ნიკამ და
ა, შ. გამოვიდა ოცსტრიქონიანი მთლიანი ლექსი

საიდან მოხველით ამდენი მგოსნები?

გეტუობათ, ჭიბეში დასტებად ფული გაჟია!

მოღიან მწვადები ნანატრი ოცნებით...

რა მშენიერია, რა დიდებულია!

არ მოგვწონს, სუფრაზე „ბორჯომი“ გიფხათა

თქვენ ლეინო მიიჩოთ, ლეინო თუ გწყურიათ!

ზოგი ხართ პატარა და ზოგიც დიდია...

რა მშენიერია, რა დიდებულია!

ეს საქართველოა, მვოსნების ქვეყანა,

სასტუმრო „თბილისი“ თბილისის გულია.

ნეტავი სიმონი 1 თან წამოგეყვანათ...

მაინც რა კარგია, რა დიდებულია!

თქვენს ახლოს ჩეკნსავით ვიქტორიც² ერთობს.

ეტუობა, იმასაც თქვენსავით ფული აქვს.

მოძმეთა კავშირი, მოძმეთა ერთობა...

რა მშენიერია, რა დიდებულია!

მაშ „ხაი ფიე!“ და სალამი ქართული,

ლექსებიც იმღეროს გულმა, თე გულია.

ქართულ სმა-ჭამით ასე ხართ გართული...

რა მშენიერია, რა დიდებულია!

ეს ლექსი ოფიციანტის ხელით შეატ გავუგზავნეთ:
არონ კოფშტეინმა რუსულ-ქართული კალამბურე-
ბით ყრელებული ლექსი გადმოგვცა და სუფრაზე
მიგვიწვია.

1 სიმონ ჩიქოვანი.

2 ვიქტორ გაბესკირია მარჯანიშვილის შსახიობებთან გრ-
ოვად იყო დარბაზში. — ნ. ა.

შემდეგ შევაერთეთ მაგიდები და შეერთლნენ
გულებიც. მალე სხვა მაგიდებთან მსხდომებმაც
მოგვძაძეს და შეიქნა ერთი მთლიანე კუთხისას.

შემდეგ შევაერთეთ მაგიდები და შეერთლნენ

* * *

ლადოს უბის წიგნაკში კიდევ არის ასეთი
ჩანაწერები, მაგრამ ზოგან ფანქრით ნაწერი ადგი-
ლები უკვე გადაშლილია და ყველას ამოკითხვა არ
ხერხდება.

1 არონ კოფშტეინი გმირულად დაიღუპა ფინეთის ოშია:
დაჭრილი ამხანაგის გადარჩენის დროს განგმირა ფინელი
სნაიპერის ტყვიაში. ოსმა მწერალმა დ. ჯატიევმა გულთბილი
წერილი მოათავსა კურნაალ „ზნამიაში“ და დაწერილებით ალ-
წერა არონის უკანასკნელი წუთები, — ნ. ა.

ჩემი უბის წიგნეპიდან

I

უურნალ „ჩვენს თაობაში“ პირველად 1939 წლის იანვრის ნომრიდან დაიწყო ლადო ასათიანის ლექსების ბეჭდვა. ამ ნომერში მოთავსებულია: „კოლმეურნეებთან ლხინში თქმული“, „ძველი მოლოცვის მოსაგონარი“, და „სამი უსათაურო“, მანამდეც, და შემდეგაც იგი სისტემატურად ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს „მნათობში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

„ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში მუშაობისას (1938—1939) ლადოს კალამს ეკუთვნის ბევრი ლექსი, ნარკევი, წერილი და ნახატ-სურათის წარწერა. ზოგიერთ მათგანს აწერია: ლ. ვარდოშვილი, ლ-ანი, ა-ანი, ლ. მალალაშვილი, ლ. ასათიძე, ესაა ლადოს ფსევდონიმები.

„ტექსტი ლ. ვარდოშვილისა, ნახატი გ. ისაევისა“, ხშირია ასეთი წარწერა „ნორჩი ლენინელის“ მაშინდელ ნომრებში მოთავსებულ სურათებსა და ჩანახატებზე. გიორგი ისაევი, უურნალ-გაზეთების

ნიჭიერი მხატვარ-გამოცრმებელი, იმ დროს „ნიჭიერი ლენინელში“ მუშაობდა და დიდად მეცნიერობდა ლადოსა და მის ამხანაგებს.

ერთობლივ

წერილები და ნარკვევები: უოლტრომსკის უორზ ზანდი, ბარბიუსი, ამუნდსენი, რეპინი, რადი-შჩევი, მაიაკოვსკი, ნ. ბარათაშვილი, ვ. სარაჯიშვილი, მაიაკოვსკის სამშობლოში, თბილისის ზოოპარკში და სხვა, ხელმოწერილია ლადოს ამ ფსევდონიმებით. აქვეა მოთავსებული ლადოს მიერ თარგმნილი ოვპანეს თუმანიანის, იანკა კუპალას, ვლ. მაიაკოვსკის, კვიტკოს, იენსენისა და სხვათა ლექსები. ამ წლებში დასწერა მან რამდენიმე საბავშვო ლექსი.

II

წერდა ყოველთვის სწორი, ლამაზი, ძალდაუტანებელი, მსუბუქი ხელით, სუფთად და გადაუხაზავ-გადმოუხაზავად. ესაა მეტად ჭანსალი და დამშვიდებული აღამიანის ნაწერი, რაც ავადმყოფობის დროსაც არ შეუცვლია. მაშინ თითქოს უფრო მტკიცეა და გამართული მისი ხელი. 1942 წელში დაწერილი „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „ასპინძა“, „ბასიანის ბრძოლა“, „გულბაათ ჭავჭავაძე“ და სხვები ერთი ხელის მოსმითაა დაწერილი, „ბზარიც“ კი არ უჩევია ნაწერს და ხელი ბოლომდე თანაბარია და ენერგიული.

III

ერთ დღეს (1940 წლის 2 იანვარს) ჩემს მაგიდასთან ჩამოყდა და ქალალდის ფურცელზე ჭირმარტო ერთხელ დასწერა სახელი „ლადო“. შეძლებ ზედიზედ 88-ჯერ მიუწერა გვარი „ახათიანი“ და თქვა:

— ეს ერთ კაი ლექსს ჭობია. ფურცელისტები და დაღაისტები ხომ წერდნენ რამდენიმეჯერ განმეორებულ და ერთმანეთზე მიჯრილ ერთდაიგივე უაზრო სიტყვასა და ფრაზას? მაგალითად, წამიკითხავს: ტრისტან ტზარას ერთი ლექსის ყველა სტრიქონში სიტყვა „იყვირე, იყვირეს“ მეტი სხვა არაფერია და ბარე თხუთმეტჯერაა განმეორებული, მგონი, ეს სიტყვა. არავითარი აზრი კი არა აქვს. აქ კი ადამიანის სახელი და გვარი მაინც არისო, — ლიმილით დაამთავრა და ის ქალალდი მე დამიტოვა.

IV

1940 წელს გამოდიოდა კარლო კალაძის ლექსთა კრებული. ერთხელ კარლომ გაღმომცა იმ კრებულის მაკეტი — ლიდერინის ყდიანი კარგა მოზრდილი წიგნი და მითხრა:

— ვიცი, შენ რომ აგროვებ ეპიგრამებს და სხვადასხვა ნაკვესს. აი, გქონდეს ეს და შიგ ჩასწერე ყველაფერი. აღარ დაიკარგება და ერთად იქნება თავმოყრილიო.

კარლოს იმ წიგნზე სათაურიად წაეწერა „ფუნა-

გორიები“. სიტყვა „ფუნაგორია“ პოეტმა კოლაუნადირაძემ შემოიღო და ისიც კარგა გვარიან ეპიგრამებს წერდა. პირველი ფუნაგორია ერთოვნის მასვე. ესაა ოთხსტრიქონიანი მწვავე — ეპიგრამა ყარიბზე (პეტრე გელეიშვილი), რომელმაც ოციან წლებში „მნათობის“ ფურცლებზე მეტად გესლიანი შენიშვნებით სავსე წერილები დაბეჭდა ცის-ფერყანწელთა შემოქმედების შესახებ.

მასთან ერთად, კარლოს ხელითვე, ჩაწერილი იყო მისი საკუთარი ერთი კარგი იუმორისტული ლექსი, რამდენიმე პატარა სხარტულა და კოლაუს ის პირველი ფუნაგორია პეტრე გელეიშვილზე. „მან მწერლობაში დასტოვა კვალი“... და სხვ.

ფუნაგორია ანუ ნეხვის ჭია — ხოჭოს მსგავსი ერთი უვნებელი მწერია, რომელიც არავის არაფერს უშავებს და არავითარ ზიანს არ აყენებს. „მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ, იქვე, ახლოს, აგორებო“, — ნათქვამია მასზე აკაქის ცნობილ ლექსში.

ამ საქმეში კი მეტისმეტ გულმოდგინებასა და აქტიურობას იჩენს, თანაც — თითქოს — ეს „მუშაობა“ მისთვის უბრალო გასართობი საქმეა.

თითქოს ჰქონდეთ შეჯიბრება,
სტადიონზე გადიოდნენ,
ნეხვს ბურთივით მოაგორებს
აგერ ხოჭო ათიოდე.
ნეხვს აგორებს და შავ ბურთებს
მიაგორებს მიწის ხერელში,
გაპერავს ბოლოკიდურებით,
ბურთს არ იღებს ისიც ხელში!

კოლაუ ნადირაძის განმარტებით, თითქოს ასე-
თივე უვნებელი რამ იყო ეპიგრამაც. მხოლოდ ამ-
ხანაგთა სალალობოდ თუ გამოდგებოდა ის, თორემ
სხვაფრივ არავის განაწყენებას არ კისფხავდა, მიზეუ
ნად.

ამიტომაც, მან ყოველ სახუმარო-სალალობო
ლექსს „ფუნაგორია“ შეარქვა. ეს სახელწოდება
მალე გავრცელდა და დღემდე შემორჩია არათუ
„მშეიღობიან“ და სათნო ტონის შემცველ, თავ-
შესაქცევარ ეპიგრამას, არამედ თვით ძალზე გეს-
ლიან და გამკენწლავ, მწვავე ნაქვესს, მეტად მა-
ხვილაკურ და ენამოსწრებულ „განმქიქებელ-გა-
მანადგურებელ“ კალამბურს...

იმ წლებში ბევრი პოეტი წერდა ეპიგრამებს
და სახუმარო იუმორისტულ ლექსებს. განსაკუთ-
რებით აქტივობდნენ ამ საქმეში ახალგაზრდა მწერ-
ლები, რომლებიც თავიანთ „მასწავლებლად“ თვლი-
დნენ კოლაუს და ორჯერ კიდევ გაუგზავნეს მას
„ეპისტოლე“, „კოლაუ ნადირაძეს, პოეტსა და მაეს-
ტროს“. ორივეს ავტორი ლადო ასათიანი იყო.
პირველ მათგანში, სხვათა შორის, წერდნენ:

ცველა იძახის: „კოლაუს ეს რა შევილები მაესტრო?“
ჩეენც გულით გეხმიანებით, ფუნაგორის მაესტროვ!
არ მომხდარიყოს, რომ ქვეყნად შენთვის სხვა ვინმეს
გაესტროს.
ხანდახან უნდა მოხვიდე და ჩეენს შეკრებებს დაესტრო...

... ყველა წერს, ზოგი რაյონებს, ზოგიც იხრჩოდა უფეროით,
დღეიდან კაცს არ დავუთმობთ, დღემდე თუ მრავალს
ვუთმობდით.
„ბევრი „მოლვაწე“ პრისპექტზე მთვრალივია იწყება ეს კი
შესაბამის დღეს.“

შიგ შებლში უნდა მივარტყათ მათ ჩეენი ფუნაგორია!
სხვაც ბევრი არის საქბილო, მანდ შენთან ახლოს, თუ გარეთ
გვინდა, შეგვიცით, კოლაუ, და სიტყვა გითხრათ მქუხარე:
— ერთად დავასხათ უხამსებს ამომთუთქავი მდუღარე,
ზოგთან შენ თვითონ მიიქერ და ციცხლი გაღაუყარე!
კარგად ნათქვამი განქიქვა ხალხში დადის და გორაობს...
ვიცით, მომხმარე გვირდება, საქმე რომ დააბოლაო,
ჩეენ გამოგყვებით, არ გაწყენს ასეთ შვილების ყოლაო,
შენ გავიმარჯოს, მხოლოდ შენ, დაუძლეველო კოლაუ!

V

კარლოს ნაჩუქარი წიგნი ლადო ასათიანს გადა-
ვიცი და მან შიგ ჩასწერა ბევრი ეპიგრამა, იუმო-
რისტული ლექსი, სხარტულა და ნაკვესი, რომელთა
უმრავლესობა მას ეკუთვნიდა. დანარჩენი სხვა
ამხანაგებისა იყო. სანახევროდ შევსებული წიგნი
ისევ მე დამიბრუნა და შემდეგ ბოლომდე ჩავწერე
400-დე სხვადასხვა მასალა.

1940 წლის ივლისში „ჩეენს თაობასა“ და „მნა-
თობს“ ლადოსგან აბასთუმნიდან რამდენიმე ლექსი
მოუვიდა დასაბეჭდად. როგორც წერილებიდან
ჩანდა, ნელ-ნელა უკეთესდებოდა მისი ჯანმრთე-
ლობა. „ფუნაგორისტობას“ მაინც არ იშლიდა და
იქიდან „ერთ მკვლევარსა და ფუნაგორისტს“ გა-
მოუგზავნა კარგი ლაზათიანი „საპროგრამო ეპისტო-

ლე“, სადაც, ეგრეთწოდებული მშვიდობიანი ტახის
მატარებელ სტრიქონებთან ერთად, ბლომად ფრ
„ამოსაცხები მალამო ჭერ კიდევ ჩვენს გარშემო
მყოფი ზოგიერთი თავგატეხილისა და ათვალისწილებულისა
თათვის“.

ფრნაგორია სტილია „ამომავალი“ კლასისა,
ბევრის პერიანგი შეღება, ბევრი უნიჭო გასრისა...
სწრაფია ფრნაგორია, ხელიდან ხელში გადადის,
აკანონებს და ანმტკიცებს ლიტერატურულ სინიდისს,
უინი სჭირს მწერლუკანების, მონიკელებულ ცილინდრის...

ეწერა იმ წერილში, და, მართლაც, მაშინ დიდ
მოდაში იყო ახალგაზრდობის მიერ ცილინდროს-
ნების „დევნა“ თბილისის ქუჩებში.

ლექსებისა და იმ „ეპისტოლეს“ გარდა ლადომ
ერთი გალექსილი წერილი გამოუგზავნა „ჩვენი
თაობის“ მაშინდელ რედაქტორს დიმიტრი ბენა-
შვილს, რომელსაც შემდეგს სწერდა:

ალბათ, ახლა „თაობაში“ ძევლებურა ზიხარ ისეებ,
ვერდით გაიზის ერემია, 1 გემატება სიხალისე.,
მომენატრა, დიმიტრიგან, .ძევლებური ქამანჩიბა,
შენ, „თაობავ“ გაგიმარჯოს, შენ, დიმიტრი, გამარჯობა
მე კარგად ვაჩ, დენთი ვიყავ და ისევე ვრჩები დენთად.
საქართველოს სიუკარულით ჩემი სული დაითენთა,
დამაქეს „პარმის მონასტერი“, სტენდალი რომ აზრით

„სტენ-და“,
კოთხვამ ისე გამიტაცა, რომ ფურცლებშე დამათენდა.

1 ერემია ქორელი შვილი „ჩვენი თაობის“
რედაქტორი ქრისტიან განყოფილებას განაცემდა.

მე კარგად ვარ, ისევ დავლევ, თბილისში რომ ღვინოს
სცემზე,

მტრის უინაზე ისევ ისე მეყვარება ფიროსმანი.
ჩემი გზა მაქვს, ჩემი ჸერა, წითლად ლეიის, ჩემის ცეკვა, ე
და ვერავინ ვერ შეიძლებს, დამავიწყოს ჭანჭვალი. სუსკ
მე კარგად ვარ, დიმიტრივან, მხოლოდ ერთი უნდა გთხოვო,
ჩემი ლექსი სულ დაბეჭდე, ნომერი არ ვამოტოვო.
კარგად იცი, მიზანი მაქვს, ბევრი რამე გავაკეთო,
სიცოცხლე კი ჩეარა მიპქრის, რაც არ უნდა დავაფეთო.
გამიგრძელდა, თუმც შემეძლო, ორჯერ მეტი დამეწერა,
ბევრის გული დამეკოდა, ბევრის გული დამესერა.
ცოტა კიდეც მეზარება, ცოტა კიდეც აეადა ვარ!,
თორემ ლექსი და სათქმელი რა ეშმაკმა ვაათავა!
გამიგრძელდა, მაგრამ ერთი უნდა გითხრა მაინც ნაღდად:
როგორც ვატყობ, ყველა კაი დღეს კავშირის წევრი გახდა,
და მე ნუთუ მთლად გლახა ვარ, რომ დამტოვეს ასე სხარტად,
ჩემი ჸერა და გონება ნუთუ ასე გაქესაზღადა?
ეს ისე ეთქვი, სხვათა შორის, მძულს ამგეარი ბრიყვულები,
სად მცალია, ლექსებს ემდერი, ბენებაში ვიყურები,
მარტობით ეიმოსები და დუმილით ეიხურები,
დაეანგრიე, დაცავლეწი ტყეში ნიცშეს ჭიხურები!
ეს ისე ეთქვი, რადგან სული ალელდა და ათავარდა,
მე სხვა არ მწამს არაფერი, ყველა ფეხზე დამეხლართა:
საქართველოს, ფიროსმანის, პოეზიის, ლექსის გარდა...
ასე იცის განშორებამ, ცხელი გულის გახურებამ,
არ ვეწყინოს, დიმიტრივან, ეს ლექსი და გახუმრება.
შენ კაცი ხარ, კარგად იცი, ბულიონს რომ ყაურჩა სკობს.
შენს ვაეკაცურ სითამამეს, შენს ბიჭობას გაუმარჯოს...
...ეს წერილი, აბასთუმნის მწვანე ტყიდან მონაბერი,
მოვა შენთან თავდახრილი ისე, როგორც მონა ბერი,
იტყვის: თვალებს ბენაშვილის კიდევ უნდა დაევენახო...
მოეტებო, მომღერლებო, სახლო, ეზოვ და ვენახო,

მერა შუთით დაფიქტდება, ეგონება თავი სტამბოლს:
— შევიშლები და კაცს მოვკლავ, ახლა რომ არ დაჭისტავთ

მეგობრულად — ლადო ასათიანი.

1940 წ., 5 ივლისი, ანასთავლის —

სისტემური განვითარების

• • •

ლადოს გარდაცვალების შემდეგ ეპიგრამების
თხზვა ისევ გრძელდებოდა. ბევრი მართლაც გო-
ნებამახვილურად და ენამოსწრებულადაა დაწერი-
ლი. ზოგიერთს მათგანს ლადოს მიაწერენ და მისი
გამოთქმული პერიოდი, მაგრამ ლადოს ფუნაგო-
რიას სულ სხვაგვარი პერი და ლაზათი პქონდა:
პირდაპირ მიზანში ხვდებოდა სანიშნოს...

შემოღამება მთაწმინდაზე და დღე უკანასკნელი

გამიხსენებულ როგორც ნიკალის
და თბილ სამარეს დააბიჯებულ.
ლოდ თ ასათიანი.

I

ქველი „ბედილბლის კალენდარში“ წერია:

„ვაჟი, რომელიც დაიბადება 12 იანვრიდან 12 თებერ-
ვლამდე, ე. ი. ამ ხანებში, იქნება ჩუმი და ფიცხი, მაგრამ
კეთილი ხასიათისა. უყვარს თავისთავთან ლაპარაკი და მარ-
ტონისა. სიყმაწვეილეში გაჭირებას გამოივლის სიღარიბისა
და მშობელთა დაუდევრობის გამო. 30 წლიდან გაჭირ-
ებას ასცილდება. უდიდესი მისი სარგებლობა იქნება
ეკვირობაში, თუ 33 წელს გადასცილდა, 88 წლამდე იცო-
ცხლებს...“

რამდენჯერ წაგვიკითხავს ერთად ლადოს და მე
ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდრის“ ეს
„წინასწარმეტყველება!“

— მე ხომ 1917 წლის 14 იანვარსა ვარ დაბა-
დებული, ნინოობის დღეს, — ბევრჯერ უთქვამს

ჩემთვის ლადოს ზემორე სტრიქონების წაკითხვების
დროს, — ამ კალენდარს კი რა უნდა ვუყო. რძია-
კვირველია, აქ დასაჭერებელი არაფერია, მაგრამ
კაცმა რო თქვას, ზოგიერთი ნათქეამი ჰუკუში მოსახ-
სვლელია, თითქოს მართლდებაო.

ლადო ასათიანს ბევრი რამ აუცხადდა ამ „წინას-
წარმეტყველებიდან“. ის მართლაც იყო ჩუმი და
ფიცხი, მასთან უაღრესად კეთილი ხასიათისაც.
მაგრამ მარტოობის მოყვარული არასოდეს არ ყო-
ფილი. მარტო-მარტო ლაპარაკი კი არა და, თავის
საყვარელ ივტორთა ლექსებით ღილინი კი უყვარ-
და. ისიც მართალია, რომ ბევრი გაჭირვება და სი-
დუხჭირე გამოიარა ჯერ კიდევ თითქმის ბავშვმა,
მაგრამ უმთავრესში, როგორც ყოველთვის, მაინც
შეცდა ბედისმწერელი: ლადომ არათუ 88 წლამდე
გაძლო, 30 წელსაც კი ვერ მიაღწია. მით უმეტეს,
33 წელსაც ვერ გადასცდა, რათა, იქნებ, ნაწინას-
წარმეტყველებ გაჭირვებას ასცდენოდა. ივი ვერ
ეღირსა 30—35 და უფრო შემდეგი წლების ასაქს,
როცა ბავშვობის მიამიტურ სიცელქესა და სტუ-
დენტობის მღელვარე დღეებს შეცელიდა სიმწიფე
და დინჯი ხანდაზმულობა. ვაჭრობის შნო და უნა-
რი კი სულაც არ გააჩნდა ცხოვრებაში ახლადფეხ-
შედგმულს.

როგორ იცინოდა ამ სიტყვების წაკითხვისას!

— ერთხელ ხომ გავყიდე გურჯაანის ბაზარში
ლვინო ვეჯინელ კოლმეურნესთან, ის იყო და ის
მთელი ჩემი ვაჭრობა. ალბათ, ამას გულისხმობდა

მაგის დამწერით, — ამბობდა, და ის კი უხაროდა,
88 წლამდე იცოცხებსო, რომ ეწერა.

— წარმოიდგინე ოთხმოც წელს კვადაციალევ-
ბული ლადო ასათიანი... — მითხრულების მიზან
მიჩანჩალებს იგი რუსთაველის პროსპექტზე გრძე-
ლი ყავარჯინით ხელში. გამვლელ-გამოვლელი სიყ-
ვარულითა და მოწიწებით ესალმებიან...

და ამას მოყვა იმ ხანგრძლივი წლების მანძილზე
ვითომც მომხდარი ამბების გახსენება: თუ ვინ
დარჩა ნაცნობებიდან ცოცხალი და ვინ აღარ იყო
ამ ქვეყნად. შემდეგ დაიწყო ჩვეულებრივი ხუმრო-
ბა... და, საერთოდ, ყველაფერი ეს ხუმრობადვე-
მიაჩნდა.

II

მაგრამ ხუმრობა ხუმრობა იყო, და, ლადოს უკ-
ვე მოეძალა ავადმყოფობა. ხმამაღალი ლაპარაკის
ინ სიცილის დროს ხველა აუვარდებოდა, წელში
მოიხრებოდა და სიცხით ჰქონდა ანთებული ლოყე-
ბი. წინათ მუდამ მშრალი და თბილი ხელები ახლა
ხშირად უოფლიანდებოდა, მაგრამ მძიმე სალმობას
თავს არ უდებდა და მაინც ფართო ნაბიჯებით ზო-
მავდა ქუჩებს.

ძლიერ გაახარა პირველი წიგნის გამოსვლამ.
შიგ 38 ლექსი იყო და ყდის მხატვრობა ლადო ავა-
ლიანს ეკუთვნოდა: მოცისფრო ფონზე: თითქოს მო-
ზარნიშვილული ხევსურული ფარი, და შიგ ჩაწე-
რილი: „ლადო ასათიანი — ლექსები“.

იმ კვირაში ანიქო ვაჩაძემ გადმომცა ლადოს გამოგზავნილი წიგნი. თვითონ ლადო ჩემთან უბრად იყო. ამის წინა ხანებში სულ უბრალორთაშემცემები წავლაპარაკდით და ახლა ერთმანეთისთვის შშის გაცემა გერცხვენოდა. წიგნში ლექსიდ ჩაეწერა ჩემთვის მიძღვნა: „შენ წინათ ცაში დაპქროდი, ესიტყვებოდი ვარსკელავებს“, და. ა. შ. ლექსის შინაარსა-დან ჩანდა, რომ არ დამინდო და საყვედურები გადმომკრა: მშეენიერი სიტყვები იყო, გულზე მომხედა.

მერე რუსთაველზე შემხვდა, ამხანაგებს მოყვებოდა. დამინახა, ჩემსკენ გამოემართა, ხელი მაგრად ჩამომართვა და მკითხა, წიგნი თუ მიიღე, ლექსი როგორ მოგეწონაო.

იმ ლექსმა შეგვარიგა, თორემ მართლა დამდურებულებივით დავდიოდით...

III

უკანასკნელ 2-3 წელს თანდათან იგრძნობოდა, რომ დებოდა ომის მძიმე დრო: ფაშიზმის აჩრდილი გადაენართხა მთელ დასავლეთ ევროპას და ახლა ლამობდა თავს დასწოლოდა კაცობრიობას. 1940 წლის 14 ივლისს დაეცა პარიზი. ჰიტლერმა სიტყვა წარმოთქვა ინვალიდების ტაძარში — ნაპოლეონის საფლავთან. და მართლაც გადაიღო სურათი ეიფელის კოშკის ფონზე, რისი შიშიც გამოთქვა გალაკტიონ ტაბიძემ ამ ამბების წინ ერთი წლით

აღრე, — რუსთაველის პროსპექტზე ახალგაზრდა
ბოეტებთან შეხვედრისას.

მთელს თბილისში სანატრელი გახდა სინათლე
ყველას გვახსოვს თოვლისა და მთვარისაგან განა-
თებული სალამოები, როცა უკვე ჩამომდგარ ბინდ-
ბუნდში გამოვდიოდით შენიღბული ქალაქის ქუ-
ჩებში.

მაღაზიებში, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ვა-
გონებში ეკიდა მუქლურჯი, მწევანე და ცისფერი ნა-
თურები, იდგა რაღაცნაირი ამაზრზენი, გვიმსი სი-
ნათლე, სახეები და საგნები არაამქვეყნიურად იყო
განათებული და ადამიანებსაც მკვდრის ფერი
ედოთ. თეატრებისა და კინოების გაჩირალდნებუ-
ლი დარბაზებიდან გამოსულნი, უცბად წყვდიალში
რომ მოხვდებოდნენ და კუნაპეტი ღამე აუბამდათ
თვალებს, სადმე — სხვა ქალაქში ან მიყრუებულ
სოფელში ეგონათ თავი.

ერთი წლის შემდეგ მტერმა ჩვენი საზღვრებიც
ვაღმოლახა, ოშიც დაიწყო, და

უკანასკნელი ჩაქრა სანთელი,
გაქრა შუქი და ჩაბნელდა ბინა..

რუსთაველის პროსპექტი დღითი დღე თხელ-
დებოდა: თირთქოს ყველა ომში წავიდა, უურნალ
„ჩვენი თაობის“ რედაქციამ დროებით შეწყვიტა
მუშაობა, ბევრი ჩვენთაობელი ჯარში გაიწვიეს და
„მიმოიფანტა მეგობართა წრე“.

დაბომბების დროს მინების ჩამტვრევის შიშვილ
შენობათა კარ-ფანჯრები ქალალდის ჯვრებითა და
ბანდებით იყო „ყბაშეხვეული“ და ქალაჭი ბრძოლის
ველზე დაჭრილ მეომარს დაემსჭვიარებული

ქუჩებში მალე გამოჩნდნენ მსუბუქად დაჭრი-
ლები, შემდეგ მათ მოყვნენ უფრო მძიმენი და ხალ-
ხი სიყვარულითა და სიბრალულით შეჰყურებდა
მათ, ეხმარებოდა ტრამვაისა და ტროლეიბუსის ვა-
გონებში ასვლისას, ეშველებოდა გადასასვლელებ-
ზე, თავაზიანად უთმობდა გზას. ლადო ეერ უ-
ლებდა მათ დანახვას. — როგორ უნდა ვიყო უხე-
ლო, ან უფეხო, ხომ გადაეირევიო, იტყოდა ამ
დროს.

IV

ბოლო ხანებში წინანდებურად ველარ ვაწყობ-
დით რეიდებს და ვერსადაც დავდიოდით. მანამდე
ჩვენი ოცნება იყო ვარძიაში წასვლა, ატენის, ყინწ-
ვისისა და სხვა საიშვიათო ადგილების ნახვა, შე-
მოდგომობით — კახეთში გამგზავრება. ლადოს
ენატრებოდა ვეჭინში მისვლა და ნაცნობი კოლმე-
ურნის ოჯახის მონახულება. მაგრამ იმ პირობებში
ასე შორს წასვლა მისთვის აღარ ხერხდებოდა.

მხოლოდ ბეთანიაში კი „გავბედეთ“ ერთხელ
გასეირნება.

1941 წლის ნაგვიანევ შემოდგომაზე, წყნეთის
გზით, სამადლომდე გამვლელ მანქანას გავყევით,

შემდეგ გადავუჩვიეთ და ტყე-ტყე ფეხით გვინდო-
და ჩასვლა ტაძრის სანახავად.

შევედით აკურისის ტყეში. თითქმის უგზის უკვ-
ლოდ გავემართეთ მაღალ ხეებს შორის.

წამყე ბეთანიისაკენ...

იქ, საღლაცა, აწლომახლო,

იყო ორბელიანების

და ირაკლის სამოსასლო.

გზაზე, სადაც ცაცხვებია და მუხნარი უმეტესი,

არსად ქვეყნად არ მინახავს

აღგალები უკეთესი

წამყე ბეთანიისაკენ

მიღილინებდა ლადო გალაკტიონის სიტყვებს და
მუხლამდე მიაპობდა ძირსდაცვენილ შარშანდელ
ფოთლებს...

ოდნავ შესამჩნევი ბილიკებით გავედით ტყის
პირას და გადავადექით ფლატეს. ჩვენს დაბლა, გაღ-
მით — კბოლეზე, წამოიმართა ბეთანიის მთავარი
ტაძრის მტრედისფერი გუმბათი. ეზოს შესასვლელ-
თან მიბმული შავი ნაგაზი ავი ღრენით უყეფდა ვი-
ლაცას, ებრძოდა და ლრღნიდა მსხვილ ჭაჭვს, რომე-
ლიც მკაფიოდ მოჩანდა ამ სიშორიდანაც.

გაღმა არ გავსულვართ. ლადომ ჩახედა ძირს,
ქარაფზე დაკლაკნილ ჩასასვლელ ბილიკს, და მითხ-
რა:

— დავიღალე. იქ რომ ჩავიდე, მერე ვეღარ
ამოვალო. ცოტა ხანს აქ დავისვენოთ, ვუყუროთ

იმ ტაძარს, აქედანაც კარგად მოჩანს, მერე უფროვე
გავბრუნდეთ.

გალმა-გამოლმა, სიპ კლდეებსა და ფლატეებზე,
ჩირალდნებივით იყო იბრიალებული თრიმლის ბუჩ-
ქები. შინდის, კუნელის, ასკილის, მოცვისა და შეე-
რის ნაირ-ნაირად აჭრელებული და მოჩითული
ფოთლები ისე იყო ცეცხლწაკიდებულიერით მოგიზ-
გიზე და მზით გაფიცხებული, თითქოს ყოველი
მხრიდან მოისმოდა ცეცხლის ენათა ტკაცატკუცი
და თვალს სჭრიდა ფერთა გასაოცარი იალ-ციალი.
ქვევით, ღრანტეში, ჩაკარგულიყო მდინარე ვერე
და მისი ეიჭრო ხეობა, პირდაპირ მოჩანდა იალნოს
მთები და შორს — კაცასიონის ქედი...

ლადო ფერდობზე გადაშეერილ ერთ რუს ლოდ-
თან ჩამოჟდა, გრძელი ფეხები ხრამის პირას გადა-
აწყო და ხარობდა ლამაზი მიდამოს ცქერით. ასე
გაიხარა მან ერთხელაც, ჯვარის მონასტრიდან რომ
გადავხედეთ მცხეთის მიდამოებს.

მანგლისის მხრიდან ორი ყორანი ზანტი ფრე-
ნით მოაპობდა ჰაერს, გადმოუფრინეს თავზე ტა-
ძარს და ყრანტალით ჩაექანენ ღელეში.

— რა ბედნიერია ფრინველი, — შურით გააყო-
ლა მათ თვალი ლადომ. — ფრთები რომ მქონდეს,
რა სწრაფად გადავფრინდებოდი ამ ქარაფებზე, ახ-
ლოს ვნახავდი იმ ტაძარს, თვალს შევავლებდი თა-
მარის შეენებით სავსე სახეს და უფრო კარგ გუნე-
ბაზე დაებრუნდებოდი თბილისში, — ნაღვლიანად
წარმოთქვა მან.

იქიდან წამოსულნი ახლა უფრო დაბურულ ტყეში შევედით. ხშირ-ხშირად ვისვენებდით აქა-იქ ამოჩრილ ძირკვებზე. შინდსა და ჭოლას კულტურულ შერჩენოდათ გადამწიფებული მჟენარება, წყლის გიბები ავიგსეთ ძირს ჩამოყრილი წაბლითა და ტყის თხილით. ცალატყორცნილი მუხები და ჯმუხა-ცაცხვები იდგნენ ისე მყუდროდ და მღუმარედ, რომ ჩვენ მართლა დავისვენეთ. მხოლოდ ხეთა კენ-წეროებში გუგუნებდა უჩინარი ქარი და თავზე გვაყრიდა წითელ-ყვითელ ფოთლებსა და ნეშოებს.

დიდხანს ვიხეტიალეთ ასე, მერე, როცა მოსა-ლამოვდა, სამადლოსთან ისევ „ავეკიდეთ“ ერთ სამხედრო ავტოს და ქოჭრის გზით თბილისისაკენ დავეშვით...

...თხუთმეტი წლის შემდეგ მწერალთა ერთი ჯგუფი სწორედ ამ ტყეზე გავლით ჩავიდა ბეთანია-ში. კვლავ გვიანი შემოდგომა იდგა და ვი-თომც უველაფერი ისე უცვლელი მეჩვენა, როგო-რიც იმ დღეს, როცა ლადო ასათიანი და მე ვიყა-ვით იქ. კვლავ იგივე ტყე, მუხლამდე დაყრილი ნე-შოები, ტანკენარი, მუხები, ცეცხლწაკიდებული თრიმლი და შექრი. მხოლოდ ახლა გზაწერილები და ბილიკები აღარ იყო საძებნი — მივყვებოდით ფართო გზას და მყუდროებას არღვევდა შუაგულ ტყეში წამომდგარი სკოლა-ინტერნატის აღსაჩრ-დელ ბავშვთა უივილ-ხივილი. მაშინ ლადომ ვერ შეძლო ძირს ჩასვლა. ძნელი ამოსასვლელი აშინებ-და, ავადმყოფობისაგან უკვე დაძაბუნებულს. ხო-

ლო ამ ექსკურსიის ყველაზე ხანდაზმულმა მონაწილეებმაც კი — გერონტი ქიქოძემ და მარიჯანმა — ფრიად ადვილად დაძლიეს მათი ასაკის შესაფერიალი არცთუ ისე იოლი ბილიკი.

როგორ კარგად აღწერა მერე ანა კალანდაძემ მშვენიერი ლექსით ბეთანიიდან გამოვლილი გზა:

ასკილი, მოცხარი, მოცვი...
გზადაგზა კუნილიც გვხდება...
აღარ წეიმს... ლამაზი მხრები
ვაშალდს ლამაზმა მოგბმა...

V

ახლა, როცა რუსთაველის პროსპექტს დავადგები და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის თავში აწვდილ იმ „ჩვენს“ ბორჯლალა ჭადარს გავუვლი, ყოველთვის თვალწინ დამიდგება ის დღე და ის საათი, უკანასკნელად რომ დავშორდი ლადოს.

მას უკვე უმძიმდა მთაწმინდაზე ასელა, მაგრამ „უმისოდ ეერ ვძლებო“, ამბობდა. 1942 წლის ივნისის ერთ ჩვეულებრივ დღეს კი შემომიჩნდა და არ მომასკენა, თუ კაცი ხარ, წამომყევი, ერთხელ კიდევ ავიდეთო. ჩვენც ჩვეულებრივად „ავმაღლდით“ ფუნიკულიორით.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი ერთად ასელა მა-მადავითზე.

ფუნიკულიორის სადგურამდე ზღაზვნით ადიოდა ლადო აღმართში და მძიმე-მძიმედ აქონდა

ზორბა ტანი. შემდეგ თითო-ოროლა მგზავრიანი ვაგონი გრიალ-გრიალით აეშვა ზევით და თბილისი კი დაქანდა საღლაც, დაბლა. მთელმა ქალაქმა უცბად იწყო გაფართოება, ხოლო სანლებრა ფართან პატარავდებოდნენ და ფერმკრთალდებოდნენ ბავშვობის მოგონებებივით.

დილიდანვე ცხელი დღე იყო. და ახლა მთაწმინდაზე იდგა მზიანი და მშვიდი, ძალზე მშვიდი საღამო. ხოლო არც ისე შორს, მთებს გადაღმა, იყო სასტიკი ომი, საშინელი ხოცვა-ქლეტა და მრეჩი ხოცვა-ქლეტითვე უახლოვდებოდა კავკასიონს. ერთი წელი სრულდებოდა სამამულო ომის დაწყებიდან. გერმანელმა ფაშისტებმა უკვე იგემეს არნახული დამარცხება მოსკოვის კართან. ყოველდღე მოდიოდა ოდესისა და სევასტოპოლის გმირული დაცვის ცნობები. ქერჩის ამბებიც დამთავრებული იყო და იქ მებრძოლ იმხანაგთა შესახებ ჯერ გარკვეულად არაფერი ისმოდა...

როცა რესტორნის ვერანდაზე ჩალის სკამებში ჩაესხედით და გადავხედეთ ნაშუადლევის მზით განათებულ თბილისს, ზედაზნის მხრიდან წამოეიდა სეტყვის უზარმაზარი შავი ლრუბელი, უცბად მოედო და მოგრავნა იალნოს მთები. შემდეგ ელვა-ჭექითა და გრუხუნით მოზვავდა დიდუბისა და ლრმალელის მისაღვომებთან და „ბომბავდა“ ქალაქის მტკვარგალმა ნაწილს. გამოლმა გამოსვლა კი ვერ „გაბედა“, გვერდელად წამოედვა მახათას მოტვლეპილ თხემებს, გადაინაცვლა სამგორისაკენ—


გარეჭის მთებთან, და ახლა იქიდან მოისმოდა გრუ-
ნუნი და ლურჯ-წითლად თართალებდა ზეცა...

ჩვენს მხარეზე კი სრული სიმშვიდე ჟულუბდა და
წვიმა ძლიერ იღებდა მთაწმინდის კალთებაში და
მხოლოდ რამდენიმე მსხვილი წვეთი კახაკუხით
დაეცა პარქში და აახმიანა ნორჩი ცაცხვების ნეშო-
ები. სეტყვის ლრუბელიც ზემოდან ისე ჩანდა, თით-
ქოს შავი მუცლით ეხახუნებოდა სახლის სახურა-
ვებს და ზურგი მზით ჰქონდა მოოქრული.

კარგა ხანს ვისხედით ვერანდაზე — მკვდრის
მზით განათებულნი, და თავზე გვადგა მოსარკალე-
ბული ცა. შემდეგ ცისარტყელას ნაირფერადი რკა-
ლი გარდიგარდმო გადაეცლო თავზე მთელ ქალაქს
და საღლაც მლაშე ტბების მიღამოებს დააბჯინა
ცალი ფეხი.

— ადამიანი უნდა მოქვდეს უეცრად, ასეთი მეხ-
თატეხის დროს, ანდა ვაჟკაცურ ბრძოლაში მტრის
ტყვიით გულგანგმირული, — რალაც მწუხარე
ხმით ჩაილაპარაკა ლადომ, — მიღის ის ქარში, სა-
შინელ ლვართქაფში, უცბად ატყდება ელვა-ჭექა,
სეტყვა... დაეცემა მეხი და გააგორებს მოულოდნე-
ლად. ეს იქნება ბედნიერება... თორემ ჩემსავით
ხომ არ უნდა ელოდოს და უცადოს სიკვდილს... —
ამბობდა ამას, ისობდა ხელს კუთხოვან ფართო
შუბლზე. ისრესდა თხელ-თხელ საფეთქლებს, პირ-
წმინდად გაპარსულ უწვერულვაშო სახეს და ოდ-
ნავ დამცინავი, ჭიკვიანი თვალებით გაპყურებდა,

თუ როგორ გაქრა ის ცისარტყელა და როგორ ჩა-
იმალა მთების გადაღმა მზე.

სითეთრე დღისა თოვლებრ დნებოდა...


მალე ჩამობნელდა საშინლად. მოგრძელებულ არ-
იყო ამოსული, დარჩა მარტო ცა და მოკიაფე ვარ-
სკვლავები დაგვცეროდნენ სუფთა და ნათელი თვა-
ლებით. მოპირდაპირე მხარეს კი კვლავ უსაშვე-
ლოდ ელავდა და ელავდა, და იმ ელვის ციალ-კიალ-
ზე ფერი მისდიოდათ ჩვენს თავზე ანთებულ ვარს-
კვლავებს...

— ამ დღეებში დავამთავრე „ანა კარენინა“, —
თითქოს უადგილოდ დაიწყო ლადომ. — ნეტავი
მართლა თუ იყო ისე ჯადოსნურად მომხიბვლელი
ქალი ამქვეყნად, როგორც ტოლსტოის ჰყავს დახა-
ტული ანა? როგორი იყო იგი თვალად, ტანად?
ხომ დაწერილებითაა ალწერილი, მაგრამ, ასე მო-
ნია, უფრო უკეთესი იქნებოდა. აბა გახედე გაღმა
მხარეს. გრუხუნის ხმა ოდნავ ალწევს ჩვენამდე,
მაგრამ ხედავ? ზეცის მთელ იმ ნაწილში და აქაც,
ჩვენს მხარეზე, როგორ ერთი სულის შებერვით
აქრობს და ისევ აღანთებს ვარსკვლავებს ეს გა-
ნუწყვეტელი ელვა? ხომ ჰგავს ეს სურათი „ანა
კარენინას“ ბოლო ნაწილში ალწერილს? შინ რომ
მიხვიდე, აუცილებლად წაიკითხე, და თუ ეტყუ-
ოდე...

და ახლა მართლაც ყველაფერი თითქმის ისე იყო,
როგორც იმ რომანში წერია, მე-8 ნაწილის XIX
თავში:

„ უდიმ საესებით ჩამობნელდა და სამხრეთით, საიდაც
იყურებოდა ახლა ლევინი, ლრუბლის ნასახიც კი არ ჩან
და. ლრუბლები ახლა მოპირდაპირე მხარეს მოგროვილიყვ.
ნენ. სწორედ იქიდან გამოიციალებდა ელვეტიკაზენთვის
ისმოდა შორეული ქუხილის გუგუნი, ტევტონის ქუჩუკი
უგდებდა, თუ როგორ თანაბრად ეცემოდნენ ცაცხებიდან
ჩამონადენი წეიმის წვეთები ბალში და შესცემოდა მის-
თეის ნაცნობ გარსკელავთა სამჯუთხედს, რომელსაც შუა
განფენოდა ირმის ნახტომი თავისი განშტოებებით. ყო-
ვალ გაელევებაზე არამცუ ეს ირმის ნახტომი, მოკაშქაშე
ვარსკვლავებიც კი უჩინარდებოდნენ. მაგრამ როგორც კი
ელვა ჩაქრებოდა, თითქოს ეიღაცის მარჯვე ხელით მიმო-
ფანტილნი, ისევ იმავ აღგილას აციმციმდებოდნენ“.

VI

ასე დავუურებდით მთლად ჩაბნელებულ თბი-
ლისს და გავიხსენეთ, ორიოდე წლის წინათ რომ
ვისხედით აქ. მაშინ, დიდი სიცხისაგან, ცეცხლშენ-
თებული საარყე ქვაბივით თუ საკირხესავით, დუღ-
და და ქოთქოთებდა ჩვენს ქვემოთ გაჩირალდნებუ-
ლი ქალაქი — ეს გადმობრუნებული ვარსკვლავე-
ბიანი ცა.

რას ვადარებდით მოელვარე ღამეულ თბი-
ლისს? — ხან ერთსა და ხან მეორეს, მაგრამ ყვე-
ლაფერი უკვე ათასჯერ იყო თქმული და გაგონილი...
ვაჭობინეთ ის, რაც ყველასათვის ცნობილი იყო:
ისევ ზეცა, და მერე — როგორი?

— სამყაროსავითაა ჩვენი საყვარელი თბი-
ლისი, — მითხრა მაშინ ლადომ, — აბა, გადახედე


თავიდან ბოლომდის: თითქოს არც დასაწყისი გვეს, არც დასასრული ამ ლამეში. როგორ უინულიღები ვით ანთებულან და კაშკაშებენ ლამპიონები ნამდვილი ზოდიაქოები თუ ცოორილები; ნათურების ანარეკლით დაწინწკლული მტკვარი ირმის ხანტომია, ბოლოში ორტოტად გაყოფილი; ელექტროშუქით გასხივოსნებული რკინიგზისა და ტრამვაის ლიანდაგები, პროსპექტები და ქუჩები — ვარსკვლავ-პლანეტათა სავალი გზები და ორბიტებია; ეს სწრაფმსრბოლი მანქანები და ვაგონები კი მეტეორებია, დროდადრო რომ ვადაისრიალებენ უსასრულო სივრცეში. აგრე კომეტაც! — წამოიძახა მან და მიათითა ერთ დიდ ლამპიონს, მართლაც მონისლულ კუდიან შუქს პროექტორიეით რომ აფრქვევდა ნავთლულის მხარეს — სწორედ რომ ვარსკვლავთსამყაროა, — ამბობდა იგი და განაგრძობდა:

— ასეთი ამბავი ვნახე მაშინ, ვეჯინში რომ ვიყავი. იქაც ასე იყო: ვარსკვლავები ზემოთ, ვარსკვლავები ქვემოთ... ცეცხლის ზოლივით მიუყვებოდა ალაზნის ველს სინათლე!..

ამბობდა და თან უსმენდა დები იშხნელების სიმღერას, იქვე, რეპროდუქტორში, ვაჟკაცებიეით რომ აქანქალებდნენ ხმას.

— ნეტავი დიდხანს, დიდხანს გაგრძელდეს ეს „მორბის არაგვი, არაგვიანი“, — წამოიძახა მან და მეტე შეწუხდა: ძალიან მალე დამთავრდაო. რა კარგია ჩვენი სიმღერები: „შაშვი კაკაბი“,

„ფერად შინდი“, „ჩაქრულო“, სულ მანდა ციხ-
მინო, არასოდეს არ მომწყინდება!



VII

საქართველოს
განაკვეთი

ცოტა ხნის მერე ბორბალივით ამოგორდა და-
ვახშმებული მოვარე. განათლა გაღმა-გამოღმა
მთავორები. შენილბული თბილისი კი იყო ისევ
ბნელსა და ჩრდილში ჩაძინებული. იქ ჯერ ვერ იღ-
წევდა მოვარის შუქი და ახლა იმ ღამეში ეს ჩახ-
ჩახა ცის თავანი გვეგონა თავზე გადამხობილი
წინანდელი ვარსკვლავთსამყარო — თბილისი, თა-
ვისი ელვარე ლამპიონებით, ხოლო ნამდვილი
ქალაქი მოღრუბლულ-მოქურუშებულ ზეცასავით
იყო ჩაბურული.

ქვემოთ, სიბნელეში, გაყვესავდა და გაყვესავდა
ხანდახან, ოდნავ გაიელვებდა, სადღაც გაჩნდე-
ბოდა, გაბრწყინდებოდა პატარა ნაპერწყალი და
უმაღლ ჩაქრებოდა. ეს, ალბათ, ტრამვაის ბიუგელი
მოედებოდა რაიმეს მოსახვევებსა და გადასასვ-
ლელებზე, ინდა, იქნებ უნებურად — ასანთს გაჭ-
რავდა ვინმე...

ლადომ პაპიროსის ქოლოფი ამოიღო. მაგრამ
აღარ დავანებე, — ხშირად წევდა თამბაქოს. ერთ-
ხელ რედაქციაში შეველაპარაკე. პაპიროსები ამო-
ყარა ქოლოფიდან და შიგ ჩაწერა: „შეწყდეს და
აღიკვეთოს... ამიერიდან ლადო ასათიანი აღარ
მოსწევს. ვიყო წყეული აწ და მარადის, თუ კიდევ

მოვკიდო ხელი. არა და არა!“ ასეთი იყო პირობე-
სა და ფიცის ტექსტი. მაგრამ ვერ შეასრულა ის
ფიცი.

ერმიტეზე

კოლოფი „ჩვენი თაობის“ რეჭალკურის მუსიკა
დაში დარჩა. ახლაც, ალბათ, მწერალთა კავშირის
არქივში ინახება საღმე ლადოს ზოგიერთ ხელ-
ნაწერთან და „ჩვენი თაობის“ დანარჩენ მასალებ-
თან ერთად.

VIII

წინათ რომ ფლამარიონის „ასტრონომიას“ და
სხვა მის მსგავს წიგნებს ჩავკირკიტებდით, ხანდა-
ხან ლამით სულ ვარსკვლავებიან ცას შევყურებ-
დით, ახლა ლადოს ბაეშვივით უხაროდა ნაცნობ
თანავარსკვლავედთა დანახვა.

— შარშან რომ ვიყავი აბასთუმანში, ყანობი-
ლის მთაზე მინდოდა სულ ასელა, მსურდა მენახა
ასტროფიზიკური ობსერვატორია, მისი კოშები-
დან დამეზვერა ვარსკვლავეთი, მაგრამ ვიზარმაცე
და ვერ მოვახერხე. მერე რა პოეტური ამბებია და
რა სახელები და ტერმინები: სუსტი პლანეტარუ-
ლი ბუნდოვანება, ნისლეული, ირმის ნანტომი, ვა-
ლაქტიკა, დიდი დათვი, კასიოპე, ალციონა, ანდრო-
მედა, ორიონი, ბეტელგეიზე, ალდებერანი... —
ბუტბუტებდა იგი, მლოცველივით თვალაბყრობი-
ლი შეჰყურებდა ზეცას და შეუცდომლად ათითებ-
და ზოგიერთ მათგანს.

გვიან იყო უკვე, როცა პარკში გამოვედით. ფუ-

ნიკულიორის ვაგონები აღარ მოძრაობდნენ. ნებთ
ნიავი აშრიალებდა ნორჩ ნარგავებს და იფრქვეო-
და ცაცხვის უვავილის თავბრუდამხვეჭო მარტინჭი-
ლება.

ლადოს ვაჩქარებდი, თორმეტ საათს ბევრი
აღარ უკლდა და მერე ქუჩებში უსაშეებოდ არ
გაგვატარებდნენ. თანაც, სახლში რას იფიქრებ-
დნენ.

— ანიკომ იცის, ერთად რომ ვართ, არ შეეშინ-
დებაო, — მეუბნებოდა ის და თან ფეხს ითრევდა,
წამოსვლას არ აპირებდა: — ხომ ხედავ, ხომლი
უკვე ამოსულა, მალე კიაფ-კიაფით ამოანათებს
თეთრსპეტაკი სირიუსიც — ეგვიპტელთა დიდე-
ბული სორტისი. ერთხელ კიდევ მინდა ენახო ეს
ჩვენი ცის ყველაზე ღიდი და „უახლოესი“ ვარს-
კელავი, რამდენიმე სინათლის წლით რომაა დაშო-
რებული ჩვენგან...

როგორც იყო, დავიყოლიე და ნელ-ნელა დავა-
დექით საცალფეხო გზას. სვენებ-სვენებით დიდ-
ხანს მოვდიოდით მთვარიან ლამეში მიხვეულ-
მოხვეულ დაღმართზე.

— ასვლა — ვულს, ჩამოსვლა — მუხლებს! —
სიცილით ამბობდა ლადო და ძალიან უჭირდა
დალმა-დალმა სიარული, მაგრამ უხაროდა ამ მთვა-
რიანში ყოფნა. — როდის იქნება სინათლე ჩვენს
ქალაქში, როდის დამთავრდება ომი. ბნელით მო-
ცული თბილისი მკვდარ ქალაქს დაემსგავსაო, —
დუდუნებდა ის და ფრთხილად ადგამდა ნაბიჯს.

ბოლოს გავძვერით ფუნიკულიორში მავნე უნდა
მოდ ჩავუარეთ დიდ აღამიანთა საფლავებს და,
პროსპექტზე რომ გავჩნდით, თბილისის ჭრების
მაინც ჩქეფდა ცხოვრება. გვიპოვთ მარტინი

— როგორ მენატრება აღრინდულად გავკრა
კამარა რუსთაველზე, — მითხრა ლადომ, როცა
ჭადართან გამოსამშვიდობებლად შევჩერდით, —
მაგრამ თანდათან მიჭირს. მინდა, რაც შეიძლება
დიდხანს ვიყო გარეთ, ვუყურო ამ ქვეყანას. ხვალ-
ზეგ აბასთუმანში უნდა წავიდე, იქნებ რაიმე მარ-
გოს. შარშან ძალიან მომიხდა. ალბათ, მალე შენც
ფრონტზე წახვალ და... ნუ დამივიწყებ!

ხელი მაგრად ჩამოვართვი და მთვარის შუქით
გაბრწყინებულ თვალებში ჩავხედე. ის იყო და ის,
ამის შემდეგ ალარ მინახავს. მხოლოდ წერილებით
უეხმაურებოდით ერთმანეთს.

IX

ფრონტზე მყოფ ამხანაგებს ლადოზე ცუდი ამ-
ბები მოსდიოდათ თბილისიდან.

იმ ზაფხულზე, უკანასკნელად აბასთუმანში სა-
მურნალოდ რომ წავიდა, იქ ვეღარ ძლებდა.

„მომწყინდა ამ აბასთუმანში ყოფნა, — სწერდა ის
ალექსანდრე ქუთათელს 5 ივლისს, — დაეყრუვდი და დაე-
შენდი, საში ბატონო. მალე უნდა გამოვიქცე, თორემ
ძალზე გაენერვიულდი. არც მიხდება, შენ წარმოიდგინე...
ან როგორ მომიხდება? ჩემი საქმე წასულია, სულ წასუ-
ლი... საშინელი დღე დამიყარა ცხოვრებამ... რაც შევხება,

მწერლობას, ეს ცალკეა. მწერლობას სხვაგვარი პატარი ცემა უნდა“.

აბასთუმნიდანვე ლადო ავალიანს წერდა:

„ალიოშა მწერს, რომანი დაუმთავრებიუჩ უჩიუ ჟიქუ ჟიქუ უჩიუ უჩიუ... ლიან გამეხარდა, დედას გაფიცები, ძალიან... მეც ვწერ ცოტ-ცოტს რაღაცებს... ხომ იცი, არც ის გარგა, იყო სოფელში და სოფელს არ არგო...“

აქ ნაგულისხმევია ლ. ავალიანის რომანი „უცნობი ქალის პორტრეტი“.

ახლა ჩვენი ვოლდემარი
ხატავს „უცნობ ქალის პორტრეტს“,
მრავალ მწერალს ამ რომანით
უსათუოდ გააკოტრებს,

ნათქვამია ლექსად დაწერილ ერთ მაშინდელს ბარათში... შემდეგ იგი უურნალ „მნათობში“ უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ — რატომღაც — ეს არ მოხერხდა და, რაღაც მიზეზით, სტამბაში დაიკარგა. რომანის აღდგენა ავტორს აღარ უცდია.

ლადო აბასთუმნიდან მაინც მომჯობინებული დაბრუნებულა, მაგრამ გზაზე გაცივებულიყო და ისევ ცუდად გრძნობდა თავს.

„ლადო ვერაა კარგად, — იწერებოდა ალიოშა საჯია 1942 წლის ოქტომბერში. — აბასთუმნიდან ჩამოვიდა. გარეგნულად თითქოს არა უშავს, მაგრამ ახლა რაღაც ნალელიანია, თუმცა მისებურად ისევ დალის და ღიღინებს. რატომღაც სულ დელავს, ოცნებობს და წუხს, ხშირად უფრო სევდიანია, ვიდრე წინათ იყო, სულმოკლე და უიმედო კი არა ჩინს, ისევ მხიარულია და ჩვენც გვამხიარულებს...“

გუშინწინ, საღამოს, რუსთაველზე გავედით. ჩვენი ქუბიკი კადართან მოვიყარეთ თავი. ლადო აჭთავაშიცინ გუმოვიდა ნელ-ნელა, თითქოს პალტო ამძიმებდა და მხრებზე ტეირთად იწვა. გეიახლოვდებოდა იმ ბაბერი-ცხენის ნაბიჯებით, მე რომ მიყვარდა გაერწველი, ასლაც ჩვენი ბურად ჩაეტასკარტე, მაგრამ უცად მომიქრა: ამდენ ჩოჩჩებს ერთი ბედაური არ უნდა ამშეენებდესო?

ყველამ გავიცინეთ, მანაც ერთი ჩაიქირქილა, პალტო ნაბადიებით მოივდო მხრებზე და ჰავებავაძის ქუჩას შეუყვა: პატარა მანანა პყავდა ივად და მისთვის წამალი მიპქონდა. დიღხანს ჩანდა, თუ როგორ უჭირდა ბნელ შეღმართში ზომეა-ზომეით ასელა. ერთხელ შემობრუნდა სინათლეში. დაგვითახა, ქუდი მოგვიხადა და სადღაც, შესახვევთან გაერჩინარდა.

უკანასკნელ ხანებში სულ ოცნებობს: ერთი ძალიან გრძელი, გრძელი რომანტიკოსის პლაშჩი უნდა წამოვისხა, კისერში ჩატენილი თმა და ზორბა ქოჩორი მოვუშვა და დავიყენო, თეთრი, სულ თეთრი გახამებული საყელო და ქარში მოფრიალე შარტვი გაეიყეთო, ფართო ფარტლებიან ქუდში გედის ტრთა გაეირქო და ისე ავიარ-ჩაეიარო რესთაველზე. ნახე, როგორ დამმშეენდებაო.

ძალიან კარგი მოსაუბრე შეიქნა. საიდან იცის ამდენი ამხების ბევრს ასე პეტია, მთელი დღე რუსთაველზე დახეტიალობს, სულ მწერალთა სახლის ბაღშია, ან ამხანაგებთან კალე-რესტორანებში ატარებს დროს და მეტს არაურერს აეკთებსო. მაგრამ ირც ასეა საქმე: ბევრს კითხულობს და ხანგრძლივად საუბრობს უფროსი ასაკის შემცირებითან».

X

ისე ახლოს და განუშორებლად ვიყავით ერთ-მანეთთან, რომ ბევრი მიწერ-მოწერა არ გვქონია. მაგრამ ფრონტზე ყოფნის დროს, ხანმოკლე გან-

შორებისას მოწერილი ლადოს ჩამდენიმე პარაზი-
დან ბევრი სტრიქონი საგულისხმოა ძლიერ. მიუ-
ხედავად იმისა, რომ ცუდად იყო მისი ჯანმრთელო-
ბა, და ამას თვითონაც კარგად გრძნობდა, რომ წე-
რილებში კვლავინდებურად სახემდიმარცხ უკუ-
მოსწრებულია. თან ყოველთვის ცდილობს, არ
იყოს სევდიანი.

„არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი საათი, რომ
არ ეფიქრობდე ჩემს ბავშვობაზე, — იწერებთდა ის, —
თითქოს თან დამაქეს ეს ბავშვობა და მისი შთაბეჭდი-
ლებები. უნდა დავწერო ჩემი თავგადასავალი ბლოკის
მანერით: როგორ მოვედიოთ ჩეენ, ოქტომბრის კბილანი
ამ დიდი მშენებლობისა და მძაფრი ბრძოლების ხანაში.

ჩეენს დროში საჭირო გახდება ძეველ თემებს ახლო-
ბურად დავუბრუნდეთ. უნდა აისახოს ჩეენი გრანდიო-
ზული და მქანეარე დღეები როგორც უზარმაზარი პანო
საღმე, დიდი ქალაქის ევებერთელა კედელზე ფართო
პლატფორმით, ისე, მარჯანიშვილი რომ აპირებდა მთაწმინ-
დის პლატოზე მაიაოვესეის მისტერიის დადგმას...

ჩეენი დრო ითხოვს ვაგნერისებური მუსიკის, მაღალი
ძაბვისა და მძაფრი დენის სუნთქვას პოეზიაში, ტანცეი-
ზერის უკერტიურასავით გამყივანად ამაღლებულსა და
დამბნედს, შალიაპინის მქუნეარე ხმით რომ იმღერება,
როცა მთელი ქვეყანა წინა დგამს გიგანტურ ნაბიჯს და
უკელაფერი მაღლა და მაღლა მიიწევს.

მე ახლა ვკითხულობ და ეთარემნი ბლოკის „Возме-
щение-ს. ჩეენი გალაკტიონის არ იყოს, ბლოკი მართლა
ღმერთია, და ღმერთმა მომცეს ისეთი კალამი და იაჩი-
ლი, მის რომ ჰქონდა! ისე კი, ომი არ გაახარებს ჩეენს
ქვეყანას, ჩეენს პოეზიას!

ბონდო სვანეთშია და იქ მასწავლებლობს. მირზა ისევ
ბრძოლებშია და მისი ლექსები დროდადრო გაიცლვებენ

გაზეთებში, ნატიფი და მოხდენილი, პირმწყაზარი ჩატარა, ჩვენი კოკი-ალიოშა მოქითხვეს გითვლის, მანდ მარჯვე
იყიდვი, მტერი აქტ არ გამოუშვაო. მოგიკითხა კოხტა აღდო
აღამიამ. გუშინ პროსპექტზე შემცდა, უკრაინულულების
სადღაც მიიჩინარის, თითქოს რაღაც გადაუდებელი ქადაგის
ვარბოდეს“.

1943 წლის გაზაფხულზე, ერთ-ერთ წერილში
იუწყებოდა:

„რომ იცოდე, როგორი გაზაფხულია თბილისში,
ყველაფერი პყვავის, ყველაფერი ხალისობს. რა იქნება
ზარდნალაში! ჩვენს დელევბში ახლა იმოდის ფშალა, გა-
ფურჩქვნილა ძეწნა, და ტირიფი. ქალები კრეცენ ეკალას,
იურქევევა ახლადმოხნული მიწის სუნი. მაღვე დაიჩეკე-
ბიან ჩიტების პირველი ბარტყები. ჩეროში სკუპდარუკით
დატრიან თეთრი თავნები.

სულ მენატრება და მელანდება ასეთი სურათი: თენ-
დება, ახელაზე უწინ ჩიტების ჭიკეიე და ქლურტული
ჩამესმის ყურაში. თეალებს ვაქციტ, ზეზე წამოვევარდები
უხემიშველი, თავქუდმოგლევილი გავევარდები კარში. მზე
ახლად იმოდის. გუმარებშის ვალებში ჩრდილები წაგრძე-
ლებრელა, გაერჩიეარ მდელოზე ცერიანი ბალახი შემი-
ხინინებს ფეხის გულში და მთლად გავილუმპები... ერთი
ძელი სოფლური დილა დირს მთელ სიცოცხლედ. ესაა
მიწის სინედრე და სურნელება, — ვაჟასა და ფიროსმანს
რომ უყვარდათ!

მე კი... ბოტანიკურ ბაღშიც ევღარ გადაედივარ. რაღა
გამანედლებს?

უკვე აყვავდა გლიცინიები მწერალთა სახლის ვერან-
დაზე. ცზივართ ხალში და ცუსმენთ ცოცხალ კლასიკოსთა
დინკ ბაასსა და მოგონებებს. ხანდახან კონტანტინე გამ-
სახურდია გამოგვხედავს და გადმოგვძახებს: „ვეონხვებო“,

„კაბუქებო“! და კაი გამარჯობის გვერცვის, როგორც
შეენის კაცურ კაცს.

გუშინ კიდევ ერთხელ წავიკითხე ლეო ქაბჩელის „ალ-
მასგარ კაბულანი“. თუ წაგიკითხავს შენ უსრულებელად
და ისევ მოგსურებებია გადაგვეკითხა ისეუ ქაბულის გადა-
ლად და გიურად, როგორც აქაა აღწერილი გიქმავი ენ-
გური და გაგრებული ილმასგირ კიბულანი?..

ჰემინგუეის „კილიმანჯაროს თოვლიანი მთები“ ხომ
ვახსოვს? ისევ მოვკიდე ხელი და თუ შევძელ, უნდა
ვთარებმო».

წინათ მართლაც აპირებდა ამ მოთხრობის თარ-
გმნის, მაგრამ გადადო, დედანში უნდა კითხულობ-
დე ასეთ ნაწარმოებს და იქიდან თარგმნიდეო. ჯერ
თარგმანი რაა და თარგმანის თარგმანი რაღა იქ-
ნებაო, — იცოდა თქმა, — მდიდარი კაცის ნაჩუ-
ქარი ტანისამოსი რომ აჩუქო შენზე ღარიბ ნათე-
სავს, იმას ემგვანებაო... სურათი პქონდა ერთი —
„კილიმანჯაროს მთა“, რომელიღაც უურნალიდან
ამოეჭრა და ჰემინგუეის იმ მოთხრობაში ედო.
მოთხრობა ისე უთარგმნებული დარჩა. და კიდევ რა-
მდენი რამ პქონდა დაწყებული და გასაკეთებელი!
„მაგრამ დღემოკლემ სიმღერა ვერ დაამთავრა...“

1942 წლის 16 დეკემბერს გამოგზავნილ წე-
რიალშია:

„აპარატუმანში ბევრი დრო მქონდა და სულ წიგნებ-
თან ეიყავი. რა კარგია მასთუმნის ცხელი წყალი — გო-
ლიათური... იქ განკურნებულა ალექსანდრე მაკეტონე-
ლიო... ასე ამბობენ!

ყანობილის მთაზე წელსაც ვერ ივედი, ერთი მაინც
ჩამეხედა ცის სიღრმეში, — გავიხსენებდი ჩვენს საყვა-

რელ ფლაშარიონს. არაზინდო ჩვენს ზევითაა, მერე მანა-
ბა მდინარე ოძრხე.

სიზმარში ვნახე ფიორდები. ეს კნუტ ჰაშუნას რო-
მანებს რომ უკითხულობდი, იმის გამოა. რატომ უკუჭურა
ვნახო ცხადად იბსენის, გრიგის, აშუნდურწმუნებულ
ნის ქვეყანა? მირზა ველოვანმა თქვა ერთხელ: ინდოეთში
დიდებულ რაჭასავით ვიმოვზაურებდი სიმოვნებით,
სპილოებით ვეფხვებსა და მარტორქებსე ვინადირებდი.
ჰიმალაის უმაღლეს მწვერვალებს თვალს შევავლებდი
შორიახლოდან. მე კი მენატრება ვნახო პარიზი, რომი,
საბერძნეთი, ესპანეთი... ჩამოვიყლიდი ჩაილდ პაროლდი-
ვით... მაგრამ ჩვენს ქვეყანას არაუერი ჯობია, შეხედე
ამ ცას, ამ ვარემოს, ვაღმოხედე მთაწმინდიდან მოელს
ქვეყნიერებას... რა კარგია ჩემი ბარდნალა, ქუთაისი,
თბილისი...

მე კარგად გაეხდები და მალე ჩამოლი. ივლევთ ერთ
დღეს და ვიხეტიალოთ სულხან-საბას გზებით — ტანძი-
იდან ვანამდე, მოვინახულოთ სამხრეთ საქართველო, ას-
ტრახანი, მოსკოვი... იქნებ იმის შემდეგ სპარსეთისა და
ეკროპიის გზებიც ვითხინას, და მაშინ მთავარ გმირიად
ვამოვნახოთ საღმე ერთი იმდროინდელი ქართველი
ულენშინებელი და ერთად დაეწეროთ ძველი საქართვე-
ლოს ქრონიკა, სათავეადასავლო რომანიეთ. ეს იქნება
მოშაორეთა შექიბრება, ფალავანთა რკენა, რაინდთა ორ-
თაბრძოლა და ა. შ.


რომ იცოდე, რამდენი რამ წაეიკითხე: როლანისა და
ცვაიგის ნაამბობი ბეთამვენის, მიქელანჯელოს, ტოლს-
ტოის, ბალზაკის, დოსტოევსკისა და დიკენისის ბიოგრა-
ფიები, შემდეგ — ვაზარი და სტენდალი. ვაენათლდი და
ვაკეკეთდი კაცი! მერე რამდენი კარგი წიგნია აქ: გიორგი
ბრწყინვალეს ისტორია, ბექა და აღმულა ათაბაგების სა-
მართალი, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი,
ჟერიდოტე და სტრაბონი, რა ყოფილა ეს გილგამეშია-

ნი, — ბრძოლა სიკედილისა და სიბერის წინააღმდეგ
საუკუნთ ცხოვრებისათვის! ამ ავაღმყოფობაში შემოყვარ-
და არჩილ მეფის ვაჟეაცური ჩარხებმბრუნავე ლექსები.
წარმოიდგინე, თეიმურაზის „ვარდბულბულისნისა“ და
„შამი-ფარეანიანის“ დაშაქრული პოეზიაც „კრ შაშეჭრია
და გურამიშვილის ზარი და ვოდება ხომ თავზარდამცე-
მია. მისი „ეცხელა ეცხნაც“ არასოდეს მოწყინდება
აღაშიანს.

ნეტავი ზოგიერთი კინო-სურათი, სიმღერა, რომანი ან
სიმღერია დიდხანს გაგრძელდეს, დიდხანს უყურო, იყოთ-
ხო ან უსმინო ისე, როვორც მოვისმინეთ ერთხელ, მთა-
წმინდაზე უკანასკნელად ყოფნისას, დები იშნელების
„მორბის არავი არავიანი“... ხომ ქარგად გახსოვს?

ახლა თბილისი დაცალიერებულია, მაგრამ კიდევ დარ-
ჩნენ ეფროსინები... ო, როგორ მძულს და მეზიზლება
ზოგი ხეპრე და ბოთლის თაყვანისმცემელი „სერედნიაკი“
შწერალი, თვითქმაყოფილი, კარგად ნასაღილევი აღამია-
ნის სახე რომ აქვს. საზარელია მისი ტანისამოსი, აღნა-
გობა, ყველაფრით რომ კმიყოფილია, თითქოს არაფერი
არ აქვთ, ყველაფერი რომ თავის აღგილზე აქვს, მაგრამ
არ გააჩნია შინო, ლაზათი და მშევნიერება, თვალებში უა-
ზრობა ჩადგომია, ასეთი ადამიანის გული ბნელია რო-
გორც ძენწი კაცის საფლავი...

ჰე, უნიკალურო ნიკალაი! ბევრი, ძლიერ ბევრი მინდა
გავაკეთო... ამ ამბებს ერთი კაცის ხანგრძლივი სიცოცხ-
ლე არ ეყოფა. მე კი... დამქროლა ქარმან სასტიქმან!
მაგრამ, რასაც მოვასწრებ, ვეცდები ისეთი წიგნები დაკ-
წერო, რომლებმაც მკითხველს სიხარული განაცდევინონ!
ეს ქვეყანა შეაყვარონ და ყოველთვის უკეთესი ცხოვრე-
ბა მოანატრონ. ჩემმა წიგნებმა უნდა გაახალისონ მკითხ-
ველი, იყონ მისი მხიარული თანამგზავრები..”



მაშინ ჩვენი საფრონტო გაზეთის „რედაქცია“
არც ისე შორს იყო საქართველოდან უკანასკნელი წერილი შევიღე. ჩვენი
ნაწილი იდგა კრასნოდარის მიდამოებში, იქ, სადაც
„დაწყდება მთები კავკასიონისა“ და მდორედ მდი-
ნარებს ყუბანი, „ქართლის ცხოვრების“ ეს ყაბა-
ნისი. იქ ყოფილა ოდესაც საქართველოს საზღვა-
რი და ახლა პიტლერელები ამ ჩვენ ძველ საზღვარ-
თან იყვნენ ჩასანგრებული — ყუბანის ლაქაშებს
გალმა, ცნობილ „ცისფერ წაზთან“.

ის წერილი რიგით უკანასკნელი როდი იყო,
მაგრამ მოპოებული გამარჯვების შემდეგ საბ-
ჭოთა მოქმედი არმია ისე სწრაფად მიიწევდა წინ,
რომ საველე ფოსტა ველარ გვეწეოდა და ძალზე
დავითინებით მოვიდა. მერე გამოგზავნილები უფ-
რო ადრე მივიღე, ის წერილი კი სადღაც, ომით
დარბეულ გზებზე, გაჩირულიყო, სოჭიდან გვ-
ლენებუამდე — შევი ზღვის მთელ სანაპიროზე გავ-
ლით — შაფსულეთის მთებიდან ფეხდაფეხ მოგვ-
დევდა და რამდენიმე თვის შემდეგ ძლიერ მოგვ-
წვდა კრასნოდარში — დაქექილ-გაცვეთილი კონ-
ვერტითა და გადაშლილი მისამართით.

ჭერ კიდევ ერთი წლით ადრე ვიყავით ამ მიდა-
მოებში, მაგრამ, ჩვენი ჯარების დროებითი წარუ-
მატებლობის გამო, დავტოვეთ ეს ადგილები და
ურველდღე თანდათან ვუახლოვდებოდით კავკასი-

ონის შთის კალთებს. იმ დროებითი გამარჯვებული
თაებრულასხმული და გათავსედებული ჩატარი /
ფეხდაფეხ მოგვდევდა. შემდეგ, 42 წლის ძროში ცის სასტიკად განადგურებულმა, კავკასიონზე უძლიერი წერტილი ნია სამარცხვინო მარცხი და დასავლეთისკენ იბრუნა პირი. ახლა ჩვენები მისდევდნენ ფეხფადებს და შემმუსვრელი ხოცვა-ჟლეტით მირეკეს იგი ყუბანის ქვემო წელამდე — იმ „ცისფერ ხაზთან“, მიუღომელი და აულებელი ციხე-სიმაგრე რომ ეგონა მოწინააღმდეგეს...

უკან დაბრუნებისას, ჩვენმა ნაწილებმა გზადა-
გზა კვლავ გაიარეს ის ნაცნობი ადგილები და ნა-
ხეს მტრისაგან დარბეულ-განადგურებული და გა-
პარტახებული ნაცნობი ქალაქები და სტანიცები,
გადამწვარი სოფლები.

ყველგან ხვდებოდათ: სამკედრო-სასიცოცხლო
შეტაკებებში დახოცილთა ჯერ კიდევ აულებელი
და დაუმარხავი გვამები; უამრავი დამსხვრეულ
დალეჭილი საჭურველი და იარაღი; ყოველი სოფ-
ლის განაპირობის, ტყესა და ველებში, ტრიამელ მინ-
დერებზე ამართული გორაკების ძირში — ძმათა
სასაფლაოები; ომის ხანძარით გადაბუგულ ველ-
მინდვრებსა და დანგრეულ გზებზე ჯარ-ჯარად
იდგნენ ტყეები პიტლერელები და შურით გაპყურებ-
დნენ საბჭოთა არმიის ნაწილთა ძლევამოსილ წინ-
სრბოლას...

სწორედ წერილის მიღების დღეს ენახე კრას-
ნოდარის ბაზარში სტანიცა მინგრელსკაიადან ჩამო-

სული ერთი მოხუცი დედაკაცი, მამალს, ლეკვა და
კატას რომ ეძებდა საყიდლად. — სოფელი მთლად
დაყრუცდა. ამ ომის გადამკიდე, მთელს აჩემისწერები
ერთი დამყივლებელი ყვინჩილა და მუქუფარი ჭავ-
შიაც არსად ჭაჭანებსო, ამბობდა იგი. კატებიც სად-
ლაც გადაიხეწნენ და, სამაგიეროდ, ძლიერ გამ-
რავლდნენ თავვები, ათასგვარი მღრღნელები და
გველხოკერებით...

ბაზრიდან დაბრუნებულს ის რამდენიმე თვის
წინამ გამოგზავნილი ლადოს წერილი გადმომცეს.

თავისთვზე ვერაფერს საიმედოს იწერებოდა:

„მე, დაწყეველილი ლადო ასათიანი, ერთი კვირაა, რაც
გვახელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გავატარე აბას-
თუმანში... არაეითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ვანჩრ-
თელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით, მე მალე
უნდა მივიცვალო, ძვირფასო, და აბა, შენ იცი, ცრემ-
ლებს თუ დაღური. როცა ჩამოხეალ, შენ ნახავ ჰექზამეტ-
რებით წაწერილ ეპიტაფის ჩემს სამარის ქვაზე, — წერ-
და ის ნაღულიან-სახუმარო კილოზე და იქვე უმატებდა
თავისებურ სალალობოსაც: — თუ კაცი ხარ, თავი დაანე-
ბე მანდ ფხაურს და წამოლი აქეთ მოტოციკლეტით. ასე
ლა ასე:

ნიკაია მოხალისევ,
მალე თბილისს მოხვალ ისევ...“

მაგრამ ეს „მალე“ ძლიერ გვიან მოხდა, მა-
მინ, როცა ლადო უკვე ორი წლის გარდაცვლილი
იყო და გულზე „მიწა ეყარა... თბილისის ახლოს“,
350

მხოლოდ 1945 წლის გაზაფხულზე ენაზუალის ში საფლავი.

იმავე წერილში იტყობინებოდა ცუჭიცადუაქარის საინტერესო ამბებს თბილისის ცხრენიშვილის სერიოზულსა და სახუმაროს: ვინ რა დასწერა, ვის რა დაემართა, ვის შეუთხზეს ანალი ეპიგრამა, თვითონ მან რა დასწერა და რას აპირებდა. იწერებოდა, რომ ომში წასული ზოგი ამხანაგი ქერჩის შემდევ აღარსად ჩანდა. მირზასიც აღარაფერი ისმოდა.

„აბა მითხარი, რა მე და შენის ხაქმედა ომი, ისიც ისეთი სასტიკი ომი. მე და შენ ვიქინგებად არ გამოვდევბოდით. მით უმეტეს შენ, კოქებამდე წყალში ცურვა ძლიერი რომ იცი. თუმცა ისიც წამიკითხავს, ერთ უკელაზე სახელვანიქმელ მექობრეს, რომელიც თვიზარსა სცემდა მთელ სმელთაშუა ზღვას, ცურვა არ ცოლია. და ცოფიანი ით შინებია წყალში ჩასვლისა...“

რაც შეხება ჩემს პოეტურ მოღვაწეობას, ვიცი, ვაინტერესებს: ბევრი არაფერი დამიწერია. ირც ისეთი რამე მაქვს ამჯერად, შენ რომ მშერ, რაც თქვენი განეთისათვის გამოღვება და ამიტომ ნუ დამემღურები. დაწერე რამდენიმე ლექსი: „გულბათ ჭავებივაძე“, „სუმბაული“, „იმ-მების შეთქმულება“ და ერთიც 300-სტრიქონიანი ისტორიული პოემა თუ ბალადა „ბასიანის ბრძოლა“. გასულ კვირას მიკროფონთან წავიკითხე და მოგანსენე საქართველოს. „მნათობში“ იძექდება. სხევბიც მაქვს, კაი-კაი „ასათიანური“. თუ იეაღმყოფობამ არ შემიშალა ხელი, ცალკე წიგნად მინდა გამოვცე „ასპინძა“, ეს ბალადა და სხვა ლექსები. დამპირდნენ გამოცემას. წიგნს „წინაპრები“ უნდა დაუარქვა და იმ წინაპართა საგმირო საქმეები ააფრთხოებანებს ჩევნს მამაც მებრძოლებს მტერთან შეტაკებაში. ხომ იცი:

Так в небесах померкнувшая звезда
Через много лет посмертно блещет миру...

ეს სტრიქონები აქ შეიძლება უადგილო ფუნქციას მომზადების და მინდოდა შენთან მოწყვილ წართხის ჩამეგდო სადმე...

ისე კი ძალიან უნდგეშოა ჩემი ყოფნა. ხანდახან, როგორც იტყვიან, მარტო საკუთარი ლანდი თუ ჩრდილი დამრჩა მევობრად და ისიც მშიან დღეში. იედარში სულ მარტო ვარ და სული ამომძრბა, პარამუტზე ჩამოყიდებულ აღამიანს გვევარ, ცისა და მიწის შეა დაკიდებულს.

დღეს „ბახტრიონის“ წაეითხოა მომენატრა: კვირიას სიზმარი, ლელას გამოჩენა, ლუხუმი და გველი... ესაა თითქოს ყველაფერი და კიდევ, შინ რომ შევაბიჯებ, ჩემი ჩიტუნია-მშეწვევია, პაწაწინა მანანა. მისი ღიმილი ყველაფერს მირჩევენია და სულ სიცოცხლის გავრძელება მენატრება. მინდა სულ კიძახო: ამ ბედნიერ დღეს ვაჭმარეოს, როცა ჩეენ გაფჩნდით ამ ქვეყანაშე!

XII

1943 წლის ივლისის ერთ მშვენიერ დღეს, რომლითაც ასე უხვი იყო კრასნოდარი, ამ წერტილს გაზიერ „კომუნისტის“ 23 ივნისის ნომერი მოჰყვა და სამგლოვიარო განცხადებაში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი და ლადოს ოფანი მის გარდაცვალებას იუწყებოდნენ.

ჩეენს ირგვლივ იმდენი უბედურება და ვაივაგლახი იყო, იმდენი საშინელებისა და ნგრევა-განადგურების მნახველი მომსწრე და მოწამე ვიყვით ყველანი, რომ ამ თავზარდამცემ ამბავს, რო-

ვორც შეგონა, ისე აღარ უმოქმედნია; თან კუთ
მოულოდნელიც არ იყო, რადგან წერილებიდან და,
საერთოდ ყველაფრით, ჩანდა და იუზმწერებულდეს
ლადო მალე აღარ იქნებოდა ცოცხალის შესახსრები
გული კი ჩამწყდა და მეტკინა ძლიერ და იმ დღეებ-
ში ყველა ნაცნობისა და უცნობისთვის მინდოდა
მეამბნა ლადოს სევდიანი თავგადასავალი...

ფრონტზე მიღებულ წერილებში ახლობლები
და ამხანაგები მძიმე გულისტკივილით იტყობინე-
ბოდნენ ლადოს გარდაცვალებას და დაწერილებით
აღწერდნენ მის უკანასკნელ დღეებს.

ბოლო ხანებში ძლიერ გაჭირვებია ავადმყო-
ფობით.

იმ წელსაც სასტიკი პაპანაქება ყოფილა თბი-
ლისში. როცა კარგად იყო, ლადოს თბილისის ეს
თავარა სიცხეც უყვარდა და მისი ზამთრის სუს-
ხიანი დღეებიც ახარებდა. ახლა კი სული უწუბ-
და, ქალაქიდან გასვლის ღონე კი, თურმე, აღარ
ჰქონია. ყველა ატყობდა, დათვლილი რომ იყო
მისი დღეები.

უკანასკნელ წერილში ერთგან იწერებოდა:

„ვეღარ ვძლებ ამ ვიწრო ოთახში, თითქოს კუბოში
ვარ ცოცხლად მდებარე, მზის მონატრული. რომ მოვეკ-
დე, ნეტვე, ამაზე უარესი თუ იქნება ის კუბო. ამის
ბრალია, აღხათ, რომ თითქმის ყოველ ღამით, და დღისი-
თაც, როცა ოდნავ წავთველემ, სულ თავანდილი კუბო-
ები მეზმანება.

კუბოს დანახვა ყოველთვის ტანში მზარევდა, კუბო
სიკვდილია... შენ ხომ იცი, სიზმარი მიყვარდა და უფრო

ტებილი იყო იგი, რაც უფრო საშინელი და კომისარები იქნებოდა. ხშირად მინახავს ფერად-ფერადი სიზმრებიც — წარმტაცი პეიზაევებით.

ახლა კი საუკუნის ღამე ჩამოდის და საშინელი სიზმრები არ მასევენებენ... სულ ერთი და იგიც, „ერთს და იგივე — ცაცალელად: ვითომც, ეწევარ ერთ შავ რკინის კუბოში, გარშემო უამრავი კელაპტრები უნია. მათ ლიფლიფზე შავ კატებს მხრებზე შეუდგამო ის კუბი და ამაზრზენი კნავილ-ჩხავილით, კუდების სხმარტალითა და შესახარი თვალთა ბრიალით, „კუბო“, „კუბოს“ ერთობლივი შემაძრტენებელი ძახილით და გნიასით მიმაქროლებენ სადღაც.. შემდეგ კატები ქრებიან, კუბო უდრიალით ენარცხება მიწას და ის კატები დახოცილნი მაცევან თავზე. კუბო ივსება მათი გახრწნილი ჩბილ-ჩბილი ლეშით. გაეურბი საშინელ მყრალ სუნს, მავრამ მუხლები მეკეცება, ძირს ვეცემი და ვიღვიძებ ოფლში გალემსული. ჭერ ირავისთვის გამიმხელია ეს ამბავი.

შენ იცი, როგორ მიყვარდა ცხოველები და, მათ შორის კატები... გახსოვს, ჩემი საყვარელი ბერანეეს ლექსების ძეველ კრებულში იყო მშევნიერი სურათი — ერთი ლექსის ილუსტრაცია — ბაეშეებს რომ ეწევეთ. მეზობლის შევი კატა?.. პატარა ბაეშეივით მახარებდა იმ სტრიქონების წაკითხვა და სურათის დათვალიერება! ახლა ამ საშინელმა სიზმრებმა ყველაფერი შემაძაგეს და შემაზიზლეს..”

ლოგინში მწოლიარე მალ-მალე ახსენებდა ამხანაგთა სახელებს, ხშირად იგონებდა სტუდენტობის მეცობრებს, მავრამ ბევრი აღარ იყო მის ახლოს: ზოგი ომის გზაზე იყო დამდგარი და სხვები კი ცხოვრების მდინარებამ სხვადასხვა მხარეს მიმოფანტა იმ მძიმე წლებში.

ავადმყოფს ნახულობდნენ ახლო მეგობრები და პატივისმცემელნი. ერთ დღეს მარიკა ბარათა-შვილმა ინახულა და იაიები დაუწყო ლოგინზე: მიშა ჭაფარიძემ სოფლურად დამცხვარებული რები მიუტანა. თითქმის ყოველ დღე დაღიოდა კლავდია დევდარიანი, და ლვიძლ დასავით ზრუნავდა მისთვის.

ხშირად ეწვეოდა სიმონ ჩიქოვანი, მოსაკითხს მოუტანდა, სასთუმალთან მიუჯდებოდა და გულ-თბილი საუბრით ართობდა და ახალისებდა მას. სიმონმა ყველაზე კარგი ჭირისუფლობა გაუწია ლადოს გარდაცვალების შემდეგაც.

როცა ჭარიდან დროებით ჩამოსული შალვა დემეტრაძე ესტუმრა, ლადოს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ოვანზე სკამი დაუდგა შალვას, ზედ დასვა და ბოდლერის „ბოროტების ყვაეილები“ გამოუტანა: ეს წიგნი შენია და დაიბრუნეო, უთხრა. შემდეგ პლატონ იოსელიანის „გიორგი მე-13 ცხოვრება“ შეაჩეხა ხელში და სთხოვა, სოლომონ ლეონიძის სიტყვა წამიკითხეო. ქართული მჭევრმეტყველების ეს უბადლო ნიმუში ორივეს ძალზე უყვარდათ და მოსწონდათ.

შალვამაც აღარ დააყოვნა და კითხვას შეუდგა, თან, ლადოს შეუმჩნევლად, მის ფეხებს უკერდებოდა: საწყალს, ორივე ფეხი რუმბივით ჰქონდა დასიებული და ძლივსლა დაბობლავდა, მაგრამ მაინც ხალისიან გუნებაზე იყო და არაფერს იმჩნევდა. განაგრძობდა კითხვას შალვა, მაგრამ წაკითხუ-

ლი სიტყვების აზრი აღარ ესმოდა, ისე ძუო ნებული და მომაკვდავის უბედურებით თავზარდა-ცემული. ლადო კი დიდხანს უსმენდა, უთხევასკული ჩაინდებული, და ეს იაიები, ეს შოთი მუზიკული ნახავად მისულ ამხანაგებთან საუბარი ისე ახარებდა ავადმყოფს, აწი აღარ მოვკვდებიო, ამბობდა თურმე.

ისე კი, როცა ავადმყოფობა მოეძალებოდა, მეტის სიმწვავით თვითონაც გამწვავდებოდა და ძლიერ ცუდ გუნებაზე დგებოდა. მაშინ არავის დანახვა არ სურდა, ყოველი მნახველი ეჭავრებოდა. ვინც მოვიდეს, ნუ შემოუშვებო, ეტყოდა ანიკოს. მაგრამ ამ დროს თუ ვინმე ინახულებდა, გახალისდებოდა-და ლმობიერი ხდებოდა, მიმსვლელებს საუბარს გაუმართავდა, და როცა წავიდოდნენ, დიდხანს იმეორებდა: რა კარგები არიან, რა კარგები ყოფილანო.

XIII

ერთ საღამოს, როცა მეტისმეტად გაუარჯლდა ხეელება, მისი განუყრელი ანიკო ექიმთან გაიქცა. კიბეზე კონსტანტინე გამსახურდიას შეხვდა, ლადოს სანახავად მომავალს. კონსტანტინემ დახედა მწოლიარე ავადმყოფს და გამამხნევებლად შესძახა: აღსდექ, ვაჟეაცო, ებრძოლე სიკვდილს, სალმობამ არ დაგაძაბუნოსო!

გაბადრულ მთვარესავით გაუხდა ლადოს ნატანჯი სახე. ლოგინიდან წამოდგა, კონსტანტინეს

სკამი შესთავაზა და სრულიად მშვიდად, დაწერნა-
რებულმა, სტუმარს საუბარი გაუბა. ტკბილმა და
გულთბილმა საუბარმა ხალისიან გუნებაზე დაა+
ყენა, ხველება დაუცხრა და შეება იგრძნოს კუსკუსები

შემდეგ ანიკოსათვის უთქვამს: ექიმის შოსაცვა-
ნად მიდიოდი და, ხომ ხედავ, კონსტანტინეს ნახვამ
როგორ მომარჩინაო. ამაზე უკეთეს ექიმს ვერსად
ვიშვენიდიო. ნეტავი ყოველდღე მოვიდეს, თუ ასე
მოვჯობინდებიო.

სწორედ გარდაცვალების წინა დღეს ინახულეს
სერგო კლდიაშვილმა და ვიქტორ გაბესკირიამ.
მწერალთა კავშირის ექიმს — მაგაკიანს ეთქვა
მათთვის, ხვალამდე ვეღარ გააღწევსო. შემდეგ
სერგო კლდიაშვილი უამბობდა ამხანაგებს:

„ძალიან გაუხარდა ჩვენი მისვლა. სახეზე კარ-
გად იყო, თითქოს არაფერი ეტყობოდა. მაინც ვხე-
დავდით, რომ თავდებოდა კაცი. მაგრამ არ მოგვე-
შვა, ხალისიანად ალაპარაკდა. ხუმრობა დაიწყო
და ჩვენც ვეღარ მოგვეშვით. ბავშვივით აფოფინდა,
წამოვდა, სასოფუმლიდან ნაწერი ქაღალდი გამოიიღო
და რაღაცნაირი მქუხარე ხმითა და მგზნებარებით
თვალებანთებულმა ლექსი წაგვიკითხა. ეს იყო
ავადმყოფობაში — სიკვდილის სარეცელზე დაწე-
რილი „ცხრა ძმა ხერხეულიძე“. ისე კარგად მოგვე-
ჩვენა, რომ გაკვირვებული და გაოცებული დავრ-
ჩით: „ნუთუ ეს კაცი ასე უსაშველოდ ავადმყო-
ფია, ნუთუ ეს ხვალამდე ვეღარ გააწევს-მეთქი“,
გავიფიქრე. ალარ მჩერიოდა იმ ექიმის ნათქვამი და

გუნებაში აუგად მოვიხსენე კიდეც ჩვენი მოაზრი
ილებისათვის. მაგრამ შემდეგ საცოდფომა საშანო
გადაიწია და საშინლად დასივებული ფეხები გვი-
ჩვენა".

"ამის მსგავსი ჯერ არაფერი მეტაზოული
ტებდა ვიქტორი. — როგორც იყო, ვანუგეშეთ და
გავამხნევეთ, გამოთხოვებისას სევდიანი ღიმილით
შემოგვჩივლა: წავიდა ჩემი ყმაწვილკაცობა! განა
ახეთი ახალგაზრდობა მინდოდა მე? განა ამას ვნა-
ტრობდიოთ? ვხედავდით და ვხვდებოდით უიმედო
ავადმყოფის სულიერ მდგომარეობას. ის თვითო-
ნაც გრძნობდა და ხვდებოდა ალსასრულის მოახ-
ლოებას და მისთვის საყვარელ სიცოცხლესთან გა-
მოთხოვების უკანასკნელ წუთებში ლექსების კი-
თხვითა და თავისთავის განვებ მომხიარულებით
ცდილობდა ამაყად და მედგრად დახვედროდა სი-
კვდილს".

სერგოსა და ვიქტორის ნაამბობიდან ჩანს, რომ
სიკვდილის შემზარავმა აჩრდილმა ლადო ასათიანს
მაინც ვერ შეაზარა სიცოცხლე და ქედი ვერ მოად-
რეკინა. იგი, ფეხზე მდგომი, სულ ბედნიერივით გა-
ლიმებული და ყოველთვის ლექსებით იმეტყველე-
ბული მინახავს და მახსოვს, და ახლაც, როცა უსა-
შეელოდ ფეხებდასიებული არყოფნის უფსკრულ-
თან იდგა, მაინც ხუმრობდა და სიხარულით უკით-
ხავდა სანახავად მისულ მეგობრებს იმ სიცხის ალ-
მურში შეთხულ ლექსებს.

იმ კვირაში სულ მამამისს ნატრულობდა. სიკვ-

დილის დღეს — დილით უთქვამს: წუხელ მანერები მესიზმა, დღეს უთუოდ ჩამოვათ. ფკანასტელად, 1942 წლის შემოღვომაზე, აბისთუმნირინ დაბრუნებულს, უნდოდა ბარდნალაში წარმატება, გრამ ვეღარ შეძლო: შორი მანძილი უჩინებდა.

შემდეგ თითქოს უფრო კარგად გამხდარა. ანკუ დაშოშმინებულა და სამსახურის საქმეებზე წასულა. მაგრამ მალე მამამისს — ნიკო ვაჩნაძეს შეუტყობინებია — ძალიან ცუდადააო, და ისევ შინ მობრუნებულა.

ლადო ნახევრად წამომჯდარიყო ლოგინზე. ტელში ინგლისური პოეზიის წიგნი ეჭირა, წყნარიდ იმზირებოდა და ხმის არ იღებდა. ანიკოს დაძახებაზეც პასუხი არ გაუცია. კიდევ რომ გაეხმიანენ, მაინც დუმდა, და მხოლოდ საწყლად და მუდარით შეპყურებდა ყველას თვალებში, თითქოს რაღაცას ითხოვდა, მაგრამ ვეღარ ამბობდა. ამ დროს მოვიდა კლავდია დევდარიანი, მას ანიკოს სხვა ამხანაგებიც შემოყვნენ. ლადომ მათ ახედ-დახედა, ჰაერში ხელით რაღაც მოხაზა, ბაგე დასძრა, მაგრამ მხოლოდ ეს აღმოხდა: მა...ა! რას ნიშნავდა ეს შუაზე გაწყვეტილი სიტყვა, რა იყო ის, მამა თუ მანანა, ვერ გაიგეს...

ზედა მოსქო ტუჩი ღიმილით შეუთამაშდა, მშვიდად მიესვენა ბალიშზე, და ასეთივე მშვიდი ყოფილა კუბოშიც, მშვიდი და ლამაზი, თითქოს მძინარე, — სახეზე ტანჯეის ნასახიც აღარ ეტყობოდაო.

ჯერ მთლიად არც კა იყო გაციებული ცხელური, აივანზე ერთი მოხუცი შემოსულა და ლადო ასათიანი, ანის ბინა უკითხავს. ეს იყო... მექი ასათიანი. ლადოს აუხდა სიზმარი: ბარღნალიდან მემა ჩამოჟუფის და, მაგრამ თვითონ მას ალარაფერი უკმიტდა /უფლებულის სწორედ ოცდაექვსი წლის, ხუთი თვისა და ათიოდე დღის იქნებოდა.

მწერალთა კავშირის სახლიდან გამოასვენეს და ვაკის პანთეონში დაკრძალეს, წყნეთისკენ მიმავალი გზის გადასახედზე. აქედან კარგად მოჩანს თბილისი და მისი მიდამოები — ლადო ასათიანის საცხარელი და საგულიგულო ადგილები.

XIV

გასვენების დღეს სოფლიდან ჩამოუსწრო ალიოშა საჯაიამ. ლადოს კუბოსთან დაიჩოქა და მოქმით დაიტირა უდროოდ დაკარგული მეგობარი.

1943 წლის სექტემბერში კი, სტანიცა აბინსკაში, მოვიდა მისი წერილი:

„საწყალი ლადო ალარ გვყავს, — იწერებოდა იგი. — მე სწორედ დასაფლავების დღეს ჩამოვედი სოფლიდან საშინლად იმოქმედა ჩემზე, მთელი კვირა ივად ვიყავი. არ მეძინებოდა. მის დაკრძალვას დაეცესწარი, მაგრამ ჯერ ისევ ცოცხალი მგონია. რუსთაველზე გაელისას ახლაც ნშირად მელანდება გზაში. ვიღაც ერთი ახალგაზრდა ძალიან ჰევას მას იერით, სიარულით, თუ ჩატმულობით. ვიცი, რომ ის ლადო არ არის, მაგრამ მაინც ავედევნები ფეხაკრეფით, გაეცვები შორიახლო ჭავჭავაძის ქუჩის

კუთხიდან ბესიების დასაწყისისამდე. ის შედის ლადობის წყლების მაღაზიაში. ედგები ისე, რომ მისი საჩუ არ დაფინახო და შემჩრების ილუზია... სვამს წყალს სულმოუთქმელად, სახე უწითლდება, ცალი ყურიც ლატრანსკირაციაში პილბილდება, მაგრამ... ხელის თითები მოკლეს ჰგავს მოკლე... არა, ის ლადო არაა და ებრუნდები გულდაწყვეტილი იმავე გზით, სადაც ასე ხშირად დავაძიფებდით ერთად...

სადღაც წამიკითხავს და ჩემს უბის წიგნაუში ჩამიწერია: „ამაყი იყო, მაგრამ ამპარტავნობა და ზევიადობა არ პქონდა, გულუხვი იყო და არ მედიდურობდა. ეს იყო ერთ-გული და უანგარი მეგობარი, მახვილვონიერი, თავდაუმდაბლებლად და გაუზევიადებლად მხიარული, ყეველა დირსება-ნაჯლოვანებით პირეელი იყო, უბედურებითაც მაღალი არ მოეპოვებოდა“. როგორი ზედგამოკრილია ეს სიტუაცია ჩერენს დაუვიწყარ ლადოზე! ვანა ასეთი არ იყო იგი?

თუ გიყვარდე, კუბოს ფიცარს
ლურსმანს ნუ დაურკობ,
დამიჭერე, დედის ეფიცავ,
ლადოს ასე უკობს...

ეს სტრიქონები ლადოს ერთი წერილიდანაა. არ ვიცა, იმ დღეს მისი კუბო დალურსმნული ჩავუშვით სამარეში, თუ როგორ იყო, მაგრამ ის კი კარგად მანსონეს, ვიორგი ლეონიძემ რომ ჩასხახა საფლავში, როცა უკანასკნელ მუქა მიწას ვაყრიდით ლადოს ნეშტს: — შენ ბედნიერი ხარ, გულზე საქართველოს მიწა რომ ვაცეივა და შენს თბილ საფლავს ნათესავები და ტოლმევობრები დასტირიანო; რამდენი შენი ამხანაგის საყვარელი ძელები დნება ახლა უკუმოოდ და უსამაროდ ბრძოლის ველზე, ვანა რამდენ შინმოუსელელს დაეიტირებთ ასე, შენსაკითო!

როგორც ეტყობა, ეს ომი მალე დამთავრდება.

მჯერა: პნელი, დამღუპველი
მოშორდება ცას ლრუბელი,
ცეცხლიც, ქარიც დამშვიდდეჭირვება
დაჭვენდება ცას სინაზე, პირდამარცვა
ვაჟკაცების ნასისხლარზე
ჩვავილები ვაძმირდება!

ეს კი ჩემი ლექსიდანაა. გიგზავნი მას, მთლიანად,
გაზეთიდან იმონაქერს.

„საბლიტგამი“ სცემს ლადოს წიგნს. მე უნდა დავწერო
მისი ბიოგრაფია. ეს, ჩემო ნიკა, ასეთია ცხოვრება, და,
საერთოდ, ი სკურნო, ი გრუსტნო ნა ეტომსვეტე, ვასძა-
და — ხედავ, როგორ შევუამხანავე აქ ერთმანეთს
ლერმონტოვი და ვოგოლი?

მაგრამ ალიოშა საჭაია ველარ მოესწრო ვერც
ომის დამთავრებას და ვერც ლადოს წიგნის გამო-
ცემას. მეორე შემოდგომაზე ისიც ლადოს კვალს
მიჰყვა და გაზეთებმა ყირიმში მოიტანეს სეანეთის
მთებში მისი მოულოდნელი დალუპვის ამბავი და
ისიც, რომ მან „ოდიშში დაიდო სამუდამო ბინა
თავისი ალალი კუბოს ფიცარით“. მართლაც ასე-
თი ყოფილა ცხოვრება!

როგორც ზემოთაც ითქვა, მაშინ მივიღე სხვა
ამხანაგების წერილებიც, ხოლო სწორედ იმ დღე-
ებში, როცა გერმანელი ფაშისტები აზოვის ზღვაში
ჩარეკეს საბჭოთა ჯარებმა და ჩვენი გაზეთის ფო-
ტოკორესპონდენტებმა გადაიღეს ქერჩის გამოლ-
მა — ჩუშქის ვიწრო ყელზე — უსულოდ გაშე-
ლართული უკანასკნელი პიტლერელი კავკასია-

ში. — მომივიდა, მგონი, ბრიანსკის ფრონტიდან
გამოგზავნილი, მირზა გელოვანის წერილი.

„მე ვიცი, როგორ დაგწყვეტდა ვულს პრატჩტის ცექისათვის
ცვალების ამბავი, — მოკლედ იწერებოდა წერილი შემსტეულ
ლისიდან შემატყობინებს ამხანაგებმა. მინდა აქედან უკი
მწუხარებას შევუერთო ჩემი ქვითინიც და ერთად ვიგ-
ლოეთ საყვარელი ლადო... „დაეცა ჩეენი ნორჩი მედო-
ლე, მაგრამ სიმღერა იცოცხლებს მისი“. ტყუილად მა-
ბობენ. სიკედილია ყველაფრის ლაბოლოებათ... კი ყმა
სიკედილს შემღევაც იცოცხლებს!“

მირზამაც ველარ იხილა „ბრძოლების შემდეგ
მზე გამარჯვების“. ომის დამთავრებას ბევრი აღარა
უკლდა რა და... თავზარდამცემი იყო მისი დაღუპ-
ვის ამბავი. იქნებ კვლავ გამოჩნდეს სადმე და მო-
ინახოს მირზას საფლავი! იქნებ ის საფლავიც ისე
გამოიტანოს და გამოაგდოს საიდანმე დროის უსა-
ზღურო დენა-ჭენებამ, როგორც არნახულად თავა-
რა ზაფხულის მზით გამდნარი თოვლის ლანქერი
გამოიტანს ხოლმე მრავალი წლის წინათ ზვავისა-
გან ნაპრალებში ჩაჩუმქრული და გადახაფრული
მთასვლელის უგზო-უკვლოდ დაკარგულ გვამს...
კინ იცის! ჭერჭერობით კი:

ლადოს თბილისის კარებთან სძინავს,
მირზას საფლავის არა ვიცით რა!..

* * *

რა კარგი იყო ახალგაზრდობა! კარგები იყვნენ
ისინიც: იმ ლოდორის ჩანჩქერივით გიუმაუნი და

მჩქეფარენი, მართლაც კახური მრავალეამიერებულ
სულ აღმამსვლელნი და წინმსრბოლნი, ახალგაზრდა-
ლულად მოხეთქილი და აფეთქებული ტემპერამენ-
ტით, თავბრუდამხვევი ურუანტელით, უკულმიშ მომ-
ზლვავებული სიმღერებითა და ლჟეს საშრავლების
ბით.

დავაუკაცებისა და მოწიფულობის შემდეგ ხან-
ში კი დაშვენდებოდათ, და „მერე როგორ დაშვენ-
დებოდათ“: სიბრძნე, სიღინჯე და გამოცდილება!
მაგრამ, სად ვნახოთ მათი ლიმილი?..

* * *

ჯერ მინდოდა დამეხატა პატარ-პატარა სურა-
თები და მოკლედ ამეწერა ჩვენი დაუვიწყარი ამხა-
ნაგების ხანმოკლე ცხოვრებისა და საქმიანობა-
ურთიერთობის ზოვიერთი მხარე, მაგრამ ცოტა
გაჭიანურდა და ეს გამოვიდა. დარწმუნებული ვარ,
ამისთვის არავინ დამემდურება! ეს საჭირო იყო,
რადგან, როგორც ლადო ასათიანი ამბობს თავის
„კოლხიდაში“, მართლაც:

ნეტავი იმას, ეინც ლია ვულით
კაცა კაცური უთხრა სიმღერა,
ნეტავი იმას, ვისი ჩონგურის
დღესაც გაისმის სიმღერის ელერა
ნეტავი იმას, ეინც მრავალ ბეობით
გაიგო კაცის სიცოცხლის უეთქვა,
მაგრამ ვის მას, ეინც უნიჭობით
ერთი მაგარი სიმღერაც ეერ თქვა.

ვით მას, ვინაც ისე სუსტია,
 რომ ნაადრევი თოვლიყით ქრება;
 ვისაც ერთხელაც არ განუცდია უკროვნული
 დიდი ღელვა და აბობოქრება; უკროვნული გადა
 ნეტავი იმას, ვინაც მოშაქრა
 ლექსის ჯიქანი და ხალხს აწოვა,
 მაგრამ ვაი მას, ვინც ისე გაქრა,
 რომ მცირე კვალიც კი ვერ დასტოვა
 ნეტავი იმას, ვისაც პქონია
 კაცის შუბლი და კაცის სინდისი,
 ვისაც მფარეველად მუზა პყოლია, —
 უკვდავი იყოს სახელი მისი
 ვინაც ყველაფერს ჩანგი არჩია,
 არ შეუქია ყველა მგზავრები,
 და რომლის კვალიც მიწას აჩინა,
 ვით ნაფეხური დინოზავრების!..

კიდევ რამდენი რამ არის მოსაგონარი და სათქ-
 მელი. განა „უწინდელი გულის ძგერა წავიდა?“

ჩვენი თაობა ოთხ ათეულ წელიწადს ითვლის,
 რა არის მისი ხანგრძლივობა ეამთასელის ზღვაში?

მაგრამ... დანარჩენი სხვამ მოიგონოს!



క ౪ క ౫ గ ౦

జ్ఞాతాసిసిస డల్చ లా లాథ్య	9
డల్చసాచ్ గాసిమిస థాతిస సిమల్చ్రు	122
డల్చ్రుచ్రిఫాన్	153
టింటిసమానిస మెగ్గంబార్హి	163
క్రిష్టానిసిస ప్యాపాథించ్చి	194
ఎ. కాచ్చునాశ్వేంలిస డా చ్చెరింలిస అణ సాక్షాదాసతాన	213
ఖంగంల్చ్ కాచ్చుర్లిస మహావాల్చ్రామించ్ర	220
క్షామల్చ్రిస డా కొర్కాప్రిస సానాపించించ్చే	229
ఒమ త్యేతిర సాపులాఖతాన	237
గారీస్క్రెల్వాప్టసావ్చాల గ్భోంచ్చే	244
సాంత చ్చావిండ్నేన్ గాప్చేంచ్చే	264
ఎఱ్రు చ్చాస్చులిస కాప్రిస ట్యిఫ్ఫ్రెంచ్చే	276
కీమిస ఉంచిస చ్చింగ్నాజించాన్	313
శ్చేమంలామ్చేంచ్చే మతాచ్చించ్చాన్ డా డల్చే శ్చూనాస్చేంచ్చేలిస	322



რედაქტორი გ. ჰ ი ლ ი ძ ე

გამ-ბის რედაქტორი ნ. ხომერიკი
მხატვარი გ. გორდელაძე
მხატვ. რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექნიკური ნ. მაძალუა
კორექტორი გ. თათეიშვილი

* *

ნელმოწერილია დასაბეჭდად 23/XI, 1961 წ.
ანაწყობის ზომა $4,5 \times 7,25$, პირობით ფ. რაო-
დენობა 11,73, ფიზიკურ ფ. რაოდენობა 23,
ტირაჟი 5,000, შეკვ. № 1075, უ 03753.

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალის“ სტამბა,
თბილისი, პლეხანოვის, 181

Типография изд-ва „Сабчота Мцерали“
Тбилиси, Плехановский 181

ფასი 62 კაბ.



Николай Дмитриевич Агиашвили

Остались юными навсегда

(На грузинском языке)

изд-во „Сабчота Мцерали“

19 Тбилиси 61

კურნალის ეროვნული ბიბლიოთეკი



ეროვნული
ბიბლიოთეკი

K 30.028/2